საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში

2023

სარჩევი

შესავალი 5

საქმიანობის ზოგადი და სტატისტიკური ანგარიში 6

უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები 11

საგანმანათლებლო საქმიანობა 14

სახალხო დამცველის აპარატის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა 15

სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობაში ხელშეშლა 16

სიცოცხლის უფლება 17

თ. მ.-ს საქმე 18

შ. მ.-ს საქმე 22

ხანძარი N17 დაწესებულებაში 24

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე 25

ე.წ. შეწყალების საქმე 27

ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება 27

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა 28

არასათანადო მოპყრობის შესახებ მომართვები 29

შსს-ს ვიდეო ჩანაწერები 31

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა 33

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები 42

ნინოწმინდის პანსიონის ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება 46

თემურ აბაზოვის საქმე 47

ექსტრადიციის საქმეები 48

სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში 50

გაჭიანურებული რეფერალი 51

სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზები 55

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საქმიანობის ხარვეზები 62

ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება 64

მიხეილ სააკაშვილის საქმე 65

აქციები 80

5 ივლისის საქმე 81

20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების გამოძიება 88
სისტემური ხარვეზები პენიტენციურ სისტემაში 88
დეესკალაციის ოთახში პატიმართა განთავსების პრაქტიკა 89
ვიდეოჩანაწერების შენახვა/დაარქივება 96
ე. წ. მაყურებლების საქმე 96
იოსებ გოგაშვილის საქმესთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერები 100
ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა 102
კრიმინალური სუბკულტურა 105
დისციპლინური სამართალწარმოება და საშიშროების რისკები 107
მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია 109
სავარჯიშო ინვენტარი 110
პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი 111
გადაწყვეტილებებში დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით არსებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა 123
გენერალური ინსპექციები 131
სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა 132
შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა 134
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველო 139
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 140
ადმინისტრაციული დაკავებები და გამოხატვის თავისუფლება 141
საზღვრის კვეთის უსაფუძვლოდ შეზღუდვა 144
ბრალდებულად ცნობილი მოწმეები 146
სამართლიანი სასამართლოს უფლება 149
კანონიერების პრინციპის დარღვევა და პოლიტიკური მოტივაცია 149
ნიკა გვარამიას საქმე 149
ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება 151
ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი 153
მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა 155
დაცვის უფლება 157
პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების ადვოკატთან გასაუბრების უფლება 157

დისტანციური სასამართლო პროცესებისას ადვოკატებთან კონფიდენციალური კომუნიკაცია ... 158
პანდემიის პირობებში ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში ... 159
ადვოკატის შეხვედრის შეზღუდვა გორის ჰოსპიტალში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან. 160
ადვოკატის საქმიანობის ხელშეშლა ... 161
სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა ... 161
საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება ... 163
თარჯიმნები ... 166
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური საქმეების განხილვის გაჭიანურება ... 167
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ... 168
ე.წ. სუს-ის ფაილების საქმის გამოძიება ... 168
საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ... 169
სახალხო დამცველთან გასაუბრების კონფიდენციალურობის დარღვევა პენიტენციურ დაწესებულებებში ... 173
სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე სატელეფონო კავშირის ხმის ხარვეზები ... 175
ვიდეო და ხანგრძლივი პაემნებით სარგებლობის პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში ... 176
პატიმრების წერილობითი მიმოწერის უფლების დარღვევა ... 177
ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსება ... 178
გარესამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა ... 179
საკუთრების უფლება ... 180
გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები ... 184
გამოძიების შეწყვეტაზე უარი ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად ... 184
ბუნდოვანი ჩხრეკის განჩინება ... 187
ექსპერტიზების გაჭიანურება ... 188
შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" გამოვლენილი პრობლემური საკითხები ... 192

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს ზედამხედველობს. უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტებს აპარატი სწავლობს როგორც პირის მომართვის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი, სახალხო დამცველის აპარატის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ადამიანის უფლებების დაცვაზე რეაგირებას ახორციელებს. სახალხო დამცველის აპარატში შემოსული ყველაზე მეტი საჩივარი/განცხადება, სწორედ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხილვის ქვეშ ექცევა. წინამდებარე ანგარიშით სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის საქმიანობის შედეგებს. ანგარიშში ყურადღება დაეთმობა, როგორც უშუალოდ აპარატის მიღწევებს, ისე სისტემური თუ ინდივიდუალური უფლების დარღვევის შემთხვევებსა და პრობლემებს.

გასული წლების მსგავსად, 2022 წელიც (შემდეგში - საანგარიშო პერიოდი) მრავალმხრივი გამოწვევებით ხასიათდებოდა. უფლების დარღვევის შემთხვევები სიცოცხლის უფლების, არასათანადო მოპყრობის აკრძალვის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა თუ საკუთრების უფლების მიმართულებით, სამწუხაროდ, კვლავ არაერთ კონტექსტში გამოვლინდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტთან გამორჩეულად ეფექტიანად თანამშრომლობდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რაც გამოიხატებოდა ინფორმაციის დროულად და დეტალურად მოწოდებაში, გამოძიების მასალებზე საგამონაკლისო წესით დაშვებაზე და სხვა. ინფორმაციის მოწოდების პროცესში არსებითი შეფერხება/გაჭიანურება ან ინფორმაციის/მასალების მოუწოდებლობის შემთხვევებს, სამწუხაროდ, აპარატი სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისგან და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან წააწყდა. გარკვეული ხარვეზები იყო სხვა უწყებების მხრიდანაც, მათზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების პროცესში.

სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ წინამდებარე ანგარიში დაეხმარება საზოგადოებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არსებული ვითარების აღქმაში და დაეხმარება პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, ადამიანის უფლებების დაცვის სწორი სტრატეგიისა და მიდგომების ჩამოყალიბებაში.

საქმიანობის ზოგადი და სტატისტიკური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით კვლავ აქტიურად აგრძელებდა უფლებების დაცვის ხარისხზე ზედამხედველობას. აპარატმა განიხილა მოქალაქეთა, მათ შორის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ათასობით განცხადება/ოქმი, განახორციელა რამდენიმე ასეული ვიზიტი დახურულ დაწესებულებებში, მოამზადა არაერთი წინადადება/რეკომენდაცია და სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, შეისწავლა და მანდატის ფარგლებში შეაფასა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, არაერთ კანონპროექტთან დაკავშირებით რელევანტურ ადრესატებს მიაწოდა ადამიანის უფლებების სფეროში ექსპერტული მოსაზრება, ჩაატარა არაერთი ტრენინგი ადამიანის უფლებებში ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა.

2022 წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში შემოვიდა 3 408 საქმე, აქედან 2 448 განცხადება და 960 ოქმი. 2448 განცხადებიდან 1 803 განცხადება შემოვიდა პენიტენციური დაწესებულებებიდან. გასული წლების მსგავსად, მომართვები ფიქსირდებოდა ძირითადად დახურული დაწესებულებებიდან, ხოლო ნახევრად ღია დაწესებულებებიდან, სადაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარი იხდის სასჯელს, განცხადებების რაოდენობა მინიმალურია. კერძოდ, N6 პენიტენციური დაწესებულებიდან შემოვიდა 457 განცხადება, N3 – 379, N2 – 275, N8 – 219, N18 – 203, N10 – 151, N5 – 42, N15 – 26, N14 – 19, N12 – 14, N16 – 10, N17 – 8.

2022 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაკავებული/დაპატიმრებული პირების მონახულების მიზნით 598 ვიზიტი განახორციელეს და მოინახულეს 1 540 დაკავებული/დაპატიმრებული პირი.[1] აქედან, 557 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში და მონახულებულ იქნა 1 482 პატიმარი. 15 ვიზიტი განხორციელდა შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში და ნანახი იქნა 13 დაკავებული. 18 ვიზიტი განხორციელდა აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში, სადაც მონახულებულ იქნა 37 პაციენტი. ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში განხორციელდა 2 ვიზიტი და შეხვედრა განხორციელდა 1 პაციენტთან. დაპატიმრებულ პირებთან შეხვედრის მიზნით 6 ვიზიტი განხორციელდა სამედიცინო ცენტრ „ვივამედში", სადაც მონახულებულ იქნა 7 პაციენტი.

[1] სტატისტიკაში მოცემულ პირთა ოდენობაში იგულისხმება შეხვედრების ჯამური რაოდენობა და მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთ პატიმართან ხორციელდება რამდენიმე ვიზიტი სხვადასხვა შემთხვევებში.

თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების შესახებ მონაცემები ამგვარია:[2]



საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოამზადა სახალხო დამცველის 30 წინადადება/რეკომენდაცია და 14 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. დამატებით, ორ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე იმუშავა სახალხო დამცველის აპარატის სხვა დეპარტამენტთან ერთად. ასევე, მოამზადა შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნები ნიკა გვარამიასა და 5 ივლისის საქმეებზე.[3][4][5] ნიკა გვარამიას საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა შეწყალების

[2] 121 ვიზიტი განხორციელდა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, 102 ვიზიტი განხორციელდა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, 73 ვიზიტი განხორციელდა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, 67 ვიზიტი - N3 პენიტენციურ დაწესებულებაში, 57 - N10 პენიტენციურ დაწესებულებაში, 37 - N5 პენიტენციურ დაწესებულებაში, 30 - N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, 21 - N12 პენიტენციურ დაწესებულებაში, 19 - N15 პენიტენციურ დაწესებულებაში, 15 - N17 პენიტენციურ დაწესებულებაში, 7 - N16 პენიტენციურ დაწესებულებაში, 7 - N14 პენიტენციურ დაწესებულებაში და 1 ვიზიტი განხორციელდა არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

[3] იხ.<https://www.ombudsman.ge/geo/shemotsmebis-shedegebi/sakhalkho-damtsvelis-shemotsmebis-shedegebi-nika-gvaramias-ganachentan-dakavshirebit >

[4] იხ.<https://www.ombudsman.ge/geo/shemotsmebis-shedegebi/shemotsmebis-shedegebi-5-ivlisis-sakmestan-dakavshirebit >

[5] იხ.<https://www.ombudsman.ge/geo/shemotsmebis-shedegebi/sakhalkho-damtsvelis-shefasebit-nika-gvaramias-siskhlis-samartlis-sakmeshi-politikuri-motivatsia-dasturdeba>

ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა.[6]

<u>სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები</u> გაიგზავნა სხვადასხვა საქალაქო/რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში:

- 6 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის გარეშე ჩხრეკის ჩატარების პრობლემატიკას
- 3 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხებს
- 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შეეხებოდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევასა და ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ხარვეზების წარმოჩენას (იგივე პრობლემატიკაზე იმუშავა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა ორ სხვა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმოებაში არსებული საქმის ფარგლებში)
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შეეხებოდა კანონიერებისა და ნორმის განჭვრეტადობის პრინციპს
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიემართებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის საკითხებს
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიემართებოდა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მისთვის სასჯელის გადავადება/გათავისუფლების საკითხს

<u>წინადადება/რეკომენდაციები:</u>

12 წინადადება/რეკომენდაციით საქართველოს იუსტიციის მინისტრს -

- 5 წინადადება - მომზადებულ იყო პატიმრისთვის შესაბამისი სამედიცინო სერვისის მიწოდების თუ სამოქალაქო მრავალპროფილურ სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ
- 1 წინადადება ეხებოდა ეკვადორის მოქალაქე პატიმრის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას
- 3 წინადადება - პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას, პატიმრების უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტებზე

[6] იხ. <https://www.ombudsman.ge/geo/shemotsmebis-shedegebi/sakhalkho-damtsvelis-shemotsmebis-shedegebi-nika-gvaramias-ganachentan-dakavshirebit >

- 1 წინადადება - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ არაჯეროვანი სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების შესახებ
- 1 რეკომენდაცია შეეხებოდა - პანდემიის პერიოდში პატიმრის ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის საკითხებს
- 1 წინადადება - ბრალდებულისთვის მინდობილობის დამოწმების უზრუნველყოფას

6 წინადადებით საქართველოს გენერალურ პროკურორს -

- 4 წინადადება ეხებოდა მიმოსვლის თავისუფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე გამოძიების დაწყებას
- 1 წინადადება ეხებოდა სიცოცხლის უფლებაზე მიმდინარე გამოძიების არაეფექტიანობას
- 1 წინადადება მიემართებოდა მოქალაქისთვის ავტომანქანის დაბრუნების საკითხს

4 წინადადება/რეკომენდაციით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს -

- 3 წინადადება მიემართებოდა შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ არასრულფასოვან სამსახურებრივ შემოწმებას
- 1 წინადადება ეხებოდა გამომძიებლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საკითხს

3 წინადადებით საქართველოს პარლამენტს -

- 2 წინადადება ეხებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის საკმარისი გარანტიების არსებობის მიზნით კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებს
- 1 წინადადება ეხებოდა პატიმრობის კოდექსში განსახორციელებლ ცვლილებებს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაშეფარდებული ბრალდებულებისთვის ადვოკატებთან სატელეფონო კავშირის გარანტირების მიზნით

1 წინადადებით სახალხო დამცველმა მიმართა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს და შეეხებოდა ბრალდებულის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების აუცილებლობას

1 რეკომენდაციით - საქართველოს ფინანსთა მინისტრს და ეხებოდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს დებულების შემუშავებასა და დამტკიცებას

1 წინადადება - საქართველოს თავდაცვის მინისტრს, რომელიც შეეხებოდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ არასრულფასოვან

სამსახურებრივ შემოწმებას ადვოკატისა და პატიმრის დაცვის უფლების შესაძლო დარღვევის შესახებ

1 წინადადებით - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორს და შეეხებოდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების აუცილებლობას, დასაბუთებული განაჩენის მიღებისა და საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევის ფაქტების გამო

1 რეკომენდაციით - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, მსჯავრდებულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის საკითხის შესწავლას საჭიროებას

გაგზავნილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 2022 წელს ამგვარი იყო:

14 სასამართლოს მეგობრის მოსაზრებიდან:

- გაზიარებულ იქნა 1
- საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა 5 საქმეზე
- ვერ შესრულდა (გარემოებების შეცვლის გამო) 1
- არ იქნა გაზიარებული 7[7]

გაგზავნილი 30 წინადადება/რეკომენდაციიდან:

- შესრულდა 6
- ნაწილობრივ შესრულდა 4[8]
- ვერ შესრულდა (ობიექტური მოცემულობის ცვლილების გამო) 1
- მიმდინარეა 2
- ჯერ პასუხი აპარატს არ მიუღია 5
- არ შესრულდა 12

როგორც აღინიშნა, ყველაზე მეტი წინადადება/რეკომენდაცია გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროში, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ უწყებების მხრიდან წინადადება/რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი ასეთია:

[7] თუმცა, ამ შვიდიდან ერთ-ერთი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, მიუხედავად იმისა, რომ იმ კონკრეტულ საქმეში არ იქნა გაზიარებული, მსჯავრდებულმა დოკუმენტი გამოიყენა სხვა საქმის განხილვის პროცესში, სადაც სასამართლომ გაიზიარა.

[8] ამ ოთხიდან ერთ-ერთზე ნაწილობრივ შესრულდა და მეორე ნაწილში შესრულება აღარ გახდა საჭირო; მეორე რეკომენდაციის შემთხვევაში კი ნაწილობრივ შესრულდა და მეორე ნაწილში გრძელდება წარმოება.

იუსტიციის სამინისტრომ მიღებული 12 წინადადება/რეკომენდაციიდან არ შეასრულა 5, შეასრულა 3, ნაწილობრივ შეასრულა 2 და ვითარების ცვლილების გამო ვერ შეასრულა 1, 1 რეკომენდაციაზე კი აპარატს იუსტიციის სამინისტროდან ჯერ პასუხი არ აქვს მიღებული.

გენერალურ პროკურატურაში გაგზავნილი 6 წინადადებიდან შესრულდა 2, ნაწილობრივ შესრულდა 1 და არ შესრულდა 1 წინადადება, ხოლო 1 წინადადებაზე აპარატს პასუხი ჯერჯერობით არ მიუღია.

4 გაგზავნილი წინადადებიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ 3 წინადადება არ შეასრულა, ხოლო 1 წინადადებაზე პასუხი აპარატს დღემდე არ მიუღია.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, ასევე იმუშავა ახალი პენიტენციური კოდექსის პროექტში ასახვის მიზნით სახალხო დამცველის პოზიციის/რეკომენდაციების მომზადებაზე. ვიმედოვნებთ, რომ ახალ პენიტენციურ კოდექსში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სახალხო დამცველის რეკომენდაციები, რაც არსებითად გაუმჯობესებს პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის დაცვას.

უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები
სახალხო დამცველის აპარატი ყოველდღიურად ახორციელებს წერილობით ან/და ზეპირ კომუნიკაციას ამა თუ იმ უწყებასთან კონკრეტული მოქალაქის უფლების/უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. შესწავლის შედეგები ხშირად აისახება სახალხო დამცველის რეკომენდაციაში, წინადადებაში ან/და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც განმცხადებლების უფლებების დარღვევის დადგენა, დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება და განმცხადებლის კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილება პირველადი წერილობითი ან/და ზეპირი კომუნიკაციის ეტაპზევე ხდება.

საანგარიშო წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი საქმეებიდან, უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის მრავალი ათეული თუ ასეული ასეთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი.

2022 წლის წარმატებული საქმეების ჩამონათვალშია ისეთი შემთხვევები, როდესაც აპარატის მიმართვის საფუძველზე სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს გაეწიათ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. მაგალითისთვის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტთან წერილობითი კომუნიკაციის შემდგომ, მსჯავრდებულ ლ.ც.-ს, რომელსაც ჰქონდა სახსრების დაავადება, ჩაუტარდა ოჯახის ექიმის კონსულტაცია, დაენიშნა ფიზიოპროცედურები, სიმპტომური მკურნალობა, დამატებითი კონსულტაციები და

სამედიცინო გამოკვლევები;[9] მსჯავრდებულ თ.ზ.-ს ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრაფია და კარდიოლოგის კონსულტაცია, ასევე, გადაწყდა პოსტოპერაციული ბანდაჟის შესყიდვა;[10] მსჯავრდებულს ს.მ.-ს ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა და კარდიოლოგის კონსულტაცია, ასევე, ჩაუტარდა ფსიქიატრის კონსულტაცია და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა;[11] მსჯავრდებულ გ.ზ.-ს, რომელსაც 2020 წლის აპრილის შემდგომ აწუხებდა გამონაყარი პირის ღრუში და ენის შეშუპება, ჩაუტარდა ექიმ-პარადონტოლოგის კონსულტაცია და დაენიშნა მკურნალობა;[12] მსჯავრდებულ ზ.ნ.-ს ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა;[13] მსჯავრდებულ ა.ლ.-ს მიეწოდა ექიმის მიერ დანიშნული სათვალე;[14] ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში დასაქმებული ექიმის აქტიური ჩართულობის შედეგად, მსჯავრდებულ დ.გ.-ს სასწრაფო დაყოვნების წესით ჩაუტარდა ნეიროქირურგის კონსულტაცია, რომლის ჩატარება მანამდე გეგმიური წესით (ანუ უფრო ხანგრძლივი დაყოვნებით) იყო განსაზღვრული[15] და სხვა.

წარმატებული კომუნიკაციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ №3 დაწესებულების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა,[16] სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულების საკნებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება,[17] №10 პენიტენციური დაწესებულებიდან საზღვარგარეთ (მაროკოს) მიმართულებით სატელეფონო ზარების განხორციელების ხარვეზის აღმოფხვრა,[18] მსჯავრდებულია არტ-თერაპიაში ჩართვა,[19] მსჯავრდებულების ნახევრად ღია ტიპის ან საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანა,[20] ბრალდებულებისთვის საგამონაკლისო წესით ადვოკატის

---

[9] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 11 მარტის №68828/01 წერილი.

[10] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 22 მარტის №80972/01 წერილი.

[11] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 28 მარტის №87421/01 წერილი.

[12] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 18 მაისის №№143598/01 წერილი.

[13] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 13 ივნისის №173311/01 წერილი.

[14] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 10 აგვისტოს №236427/01 წერილი.

[15] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 6 სექტემბრის №262800/01 წერილი.

[16] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 6 მაისის №130831/01 წერილი.

[17] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 3 თებერვლის №31503/01 წერილი; №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 9 დეკემბრის № 359104/01 წერილი; №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 15 დეკემბრის №365898/24 წერილი.

[18] №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის № 339021/01 წერილი.

[19] №8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 23 მარტის № 82316/21 წერილი.

[20] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2022 წლის 29 აგვისტოს №№253840/01 წერილი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს 2022 წლის 13 დეკემბრის №362632/01 წერილი.

დანიშვნა,[21] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ პენიტენციური დაწესებულების მაღაზიაში გასაყიდი პროდუქციის ცხრილის მიმდინარე პერიოდისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში ყველაზე მოთხოვნად უცხო ენებზე (რუსული, ინგლისური, თურქული, სომხური, აზერბაიჯანული და არაბული) გადათარგმნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება,[22] მსჯავრდებულებისთვის სხვადასხვა უწყებიდან მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტების/აუდიო-ვიდეო ჩანაწერების მიწოდება.[23]

რამდენიმე შემთხვევაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტთან განხორციელებული წერილობითი კომუნიკაციის შედეგად, დადასტურდა პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები და პენიტენციური დაწესებულების შესაბამის თანამშრომლებს დისციპლინური სახდელებიც დაეკისრათ. ამათგან, რიგ შემთხვევაში მსჯავრდებულები თანამშრომლების მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე მიუთითებდნენ,[24] ასევე, რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა, რომ მსჯავრდებულებს შეეზღუდათ კორესპონდენციის გაგზავნა,[25] ხოლო ერთ შემთხვევაში, მსჯავრდებულის მხრიდან უფლების დარღვევის ფაქტზე დისციპლინური სახდელი №18 პენიტენციური დაწესებულების ექთანს დაეკისრა.[26]

საანგარიშო პერიოდში საგამოძიებო უწყებებთან წერილობითი კომუნიკაციის შედეგად, რამდენიმე განმცხადებელს დაუბრუნდა ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში ამოღებული კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება, რომელთა დაბრუნება გაურკვეველი მიზეზით/უმიზეზოდ ჭიანურდებოდა.[27]

---

[21] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №LA 1 22 00001708 წერილი; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის 2 მაისის №LA 2 22 00012554 წერილი.

[22] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 22 ივლისის №218722/01 წერილი.

[23] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 5 მაისის №2ბ/2492-2021 წერილი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 18 მაისის №144096/01 წერილი; გენერალური პროკურატურის 2022 წლის 29 ივნისის №13/40379 წერილი.

[24] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 2 თებერვლის №30405/01 წერილი.

[25] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 1 მარტის №№58220/01 წერილი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 7 აპრილის №99321/01 წერილი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 7 ოქტომბრის №294460/01 წერილი და თანდართული შემოწმების მასალები.

[26] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 1 ივლისის №196120/01 წერილი.

[27] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 3 ივნისის №13/34131 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 27 ივნისის №MIA 7 22 01739756 წერილი; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 11 ნოემბრის №13/72649 წერილი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან სახალხო დამცველის აპარატის წარმატებული საქმეების შესახებ გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც.[28]

საგანმანათლებლო საქმიანობა

სახალხო დამცველის უფლებამოსილების მნიშვნელოვან და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს. აპარატის თანამშრომლები სისტემატურად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეებს/სტუდენტებს ეთმობა.

წინა წლების მსგავსად,[29] 2022 წლის განმავლობაშიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები საგანმანთლებლო საქმიანობის განხორციელებაში. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებთან. შეხვედრების მიზანი ბავშვებისთვის მათი უფლებებისა და სახალხო დამცველის მანდატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე, პოლიციის თანამშრომლებთან კომუნიკაციის დროს უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო.

შეხვედრების პირველ ეტაპზე, რომელიც 2022 წლის 24 მაისიდან 13 ივნისის ჩათვლით განხორციელდა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის წარმომადგენლები, აპარატის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოებთან თანამშრომლობით, ეწვივნენ კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, თბილისის, იმერეთის, სვანეთის, გურიისა და აჭარის სკოლებს. რწმუნებულები 62 სხვადასხვა სკოლის 2 269 მოსწავლეს, მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფ და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს შეხვდნენ. შეხვედრები გაიმართა ასევე ბავშვების უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციასა და კოლეჯშიც, ქალაქ ბათუმში, გორსა და ახალციხეში.

შეხვედრების მეორე ეტაპი 2022 წლის 21 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდე განხორცილდა, რა დროსაც აპარატის წარმომადგენლები შეხვდნენ იმერეთისა და აჭარის 15 სკოლის 336 მოსწავლეს.

მოსწავლეების მიერ დასახელებული პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ თემებს, როგორიცაა საპოლიციო მოქმედებები: იდენტიფიკაცია (განსაკუთრებით, ბავშვებისთვის ფოტოების გადაღება), გამოკითხვა და ზედაპირული შემოწმება. აპარატის თანამშრომლებმა ისაუბრეს ამ ღონისძიებების კანონიერების წინაპირობებზე და მიაწოდეს ბავშვებს ინფორმაცია იმის

[28] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ZFuKJK >, ბოლოს ნანახია [17.01.2023].
[29] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3koHZy4 > [ბოლოს ნანახია [16.01.2023].

შესახებ, თუ რომელ ორგანოებს უნდა დაუკავშირდნენ მათი უფლებების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევაში.

შეხვედრების დროს განხილული საკითხებისადმი გამოხატული განსაკუთრებულად დადებითი შთაბეჭდილებებისა და გამოჩენილი ინტერესის გათვალისწინებით მომავალშიც იგეგმება მსგავსი თემატიკის შეხვედრების ჩატარებას როგორც სკოლის მოსწავლეებთან, ასევე, სტუდენტებთანაც.

სახალხო დამცველის აპარატის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა
სამწუხაროდ, სახალხო დამცველის აპარატი საქმიანობის პროცესში უწყებების მხრიდან გარკვეულ წინააღმდეგობებსაც აწყდება. რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო უწყებები არ ასრულებენ ან ნაწილობრივ ასრულებენ მათზე დაკისრებულ კანონისმიერ ვალდებულებას, რაც სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობას და უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შემოწმების მიზნით აპარატისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს.

სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის ორიენტირებულია უწყებებთან პროფესიულ თანამშრომლობაზე და მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატისთვის რელევანტური ინფორმაციის მიუწოდებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასჯადად არის გამოცხადებული,[30] აპარატი ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო მიზნებიდან გამომდინარე უწყებებთან სამართლებრივ დიალოგს/კომუნიკაციას ანიჭებს უპირატესობას. სამწუხაროდ, რიგი უწყებების კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები თუ თანამდებობის პირები ბოროტად იყენებენ ამ დამოკიდებულებას და ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მათი მხრიდან კანონის დარღვევას არაერთჯერადი ხასიათი აქვს.

სახალხო დამცველის აპარატი, რიგ, და არც თუ იშვიათ შემთხვევებში, დროულად ვერ იღებს ინფორმაციას მაგალითად სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტიდან,[31] შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან,[32] შინაგან

[30] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი,
„მუხლი 173[4]. სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა
სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, -
გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე."
[31] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 მარტის N15-10/2956 წერილი, 2022 წლის 18 ნოემბრის N15-15/11579, 2022 წლის 14 დეკემბრის N 15-15/12494 წერილი, 2022 წლის 5 ივლისის N 15-15/6833 წერილი, 2022 წლის 2 ნოემბრის N 15-15/11002 წერილი, 2022 წლის 26 აგვისტოს N 15-15/8696 წერილი, 2022 წლის 26 ოქტომბრის N15-15/10756 წერილი, 2022 წლის 7 ნოემბრის N 15-15/11128 წერილი, 2022 წლის 21 აპრილის N15-3/4280, 2022 წლის 26 ოქტომბრის N15-3/10722 წერილი, 2022 წლის 27 ივნისის N 15-3/6533 წერილი, 2022 წლის 26 ივლისის N15-3/7655 წერილი, 2022 წლის 8 აგვისტოს N 15-3/8064 წერილი.

[32] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 14 სექტემბრის N15-8/9245 წერილი, 2022 წლის 26 დეკემბრის N15-8/12971 წერილი.

საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციიდან,[33] ინფორმაციის მოწოდების შეფერხება ფიქსირდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან[34] და სხვა.

ყოფილა ერთეული შემთხვევები, როდესაც აპარატმა პრაქტიკულად ვერ შეძლო წლების მანძილზე განმცხადებლისთვის პასუხის გაცემა, შესაბამისი უწყებების მხრიდან ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო. მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატს 2019 წელს განცხადებით მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" ადმინისტრაციამ გააუქმა პოლიტიკურ პარტია „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული ასობით გვერდი და ანგარიში, რომელთა საქმიანობა და აქტივობები შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. პოლიტიკური პარტია ითხოვდა სათანადო რეაგირებას.

აპარატის მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მიმართვის შემდეგ[35] განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიგზავნა.[36] აპარატს ეცნობა, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებების შესწავლა საჭიროებდა ინფორმაციის მოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, რის შემდეგაც აპარატს ეცნობებოდა შედეგები,[37] თუმცა, ინფორმაციის არაერთხელ გამოთხოვის მიუხედავად, განხორციელებული რეაგირების შედეგების შესახებ ინფორმაცია აპარატს დღემდე არ მიუღია.[38] აპარატს კიდევ ერთხელ ჰქონდა პროკურატურიდან ინფორმაციის მიღების მცდელობა,[39] პროკურატურამ კი კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაამისამართა საკითხი.[40]

სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობაში ხელშეშლა

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2020 წელსა და 2021 წლის დასაწყისში სახალხო დამცველის რწმუნებულებზე პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა მიზანმიმართული და სავარაუდოდ ორგანიზებული უკანონო ქმედებები პატიმართა

[33] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 8 ივნისის N15-5/5891, 22 აგვისტოს N15-5/8515, 2 დეკემბრის N15-5/12102, 2022 წლის 11 ივლისის N15-12/7029 წერილები.

[34] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 8 აგვისტოს N 15-13/8053, 2022 წლის 13 სექტემბრის N 15-13/9228 წერილები. 2022 წლის 13 ივლისის N15-5/7132, 19 აგვისტოს N15-5/8472, 23 სექტემბრის N15-5/9622, 26 ოქტომბრის N15-5/10739 და 2023 წლის 10 იანვრის N 15-5/193 წერილები; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 15 ივლისის N15-5/7280, 2022 წლის 22 აგვისტოს N15-5/8517 და 2022 წლის 22 ნოემბრის N15-5/11739 წერილები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 22 ოქტომბრის N15-5/10041, 2021 წლის 21 დეკემბრის N15-5/12181.

[35] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 27 იანვრის N15-3/805 წერილი.

[36] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 31 იანვრის №13/5992 წერილი.

[37] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 10 თებერვლის MIA 2 20 00354274 წერილი.

[38] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 13 აპრილის N 15-3/4114, 2020 წლის 9 სექტემბრის N 15-3/8889 და 2021 წლის 1 დეკემბრის N 15-3/11312 წერილები.

[39] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 იანვრის N 15-3/529 წერილი.

[40] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 იანვრის №13/3154 წერილი.

მცირე ჯგუფის მიერ, რომლის თაობაზე პროკურატურაში გამოძიება ჯერ კიდევ 2021 წლის თებერვალში დაიწყო.[41]

სამწუხაროდ, გამოძიება ამ დრომდე არ დასრულებულა,[42] მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მოიპოვა და საქართველოს პროკურატურას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია რელევანტურ ვიდეოჩანაწერებზე ასახული გარემოებების, მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის (დირექტორის მოადგილის) შესაძლო მონაწილეობის შესახებ.[43] ამ დრომდე კვლავ ბუნდოვანი რჩება პროკურატურის პასუხი, დაიკითხა თუ არა საქმესთან დაკავშირებული ყველა პირი და რა გარემოება უშლის ხელს გამოძიებას შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაში.[44]

სიცოცხლის უფლება

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, საანგარიშო პერიოდში, ცალკეული სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების ჭრილში ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების შესრულება, საქმეზე გამოძიების ზედმიწევნით და სრულყოფილად წარმოების კუთხით.

2022 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა იმუშავა არაერთ საქმეზე, გაეცნო სისხლის სამართლის საქმეებს, რის შედეგადაც კვლავ გამოვლინდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების დარღვევის ცალკეული შემთხვევები, რასაც შეეძლო გამოძიების შედეგებზე არსებითი გავლენის მოხდენა.

საქმეთა შესწავლის პროცესში გამოიკვეთა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების გაურკვეველი მიზეზით გაჭიანურების ფაქტი, გამოვლინდა არაერთი დაუდგენელი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც საგამოძიებო უწყებას არ უმსჯელია, არ ჩაუტარებია ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება საქმის სრულყოფილად გამოძიების მიზნით. შეუსრულებელი დარჩა სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინადადება ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და სამსახურებრივი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, ბრალეული პირების პასუხისგებასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი 2022 წელსაც აგრძელებდა იმ საქმეების მონიტორინგს, რომლებიც გასული წლების ანგარიშებში იქნა განხილული. მათ შორისაა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც არა მხოლოდ სახალხო დამცველმა, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გამოძიების პროცესში პროცედურული დარღვევები.

---

[41] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13-14. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >

[42] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 29 დეკემბრის N13/84505 წერილი.

[43] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 14 დეკემბრის N15-9/11922 წერილი.

[44] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 20 სექტემბრის N15-9/9496 წერილი და საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 7 ოქტომბრის N13/63673 პასუხი.

საგულისხმოა, რომ მითითებულ საქმეებზე სახელმწიფოს მხრიდან არც დღეის მდგომარეობით შეინიშნება პოზიტიური ძვრები საქმეზე არსებითი შედეგის მიღების მიზნით.

თ. მ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა, დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. მ.-ს განცხადების[45] საფუძველზე, შეისწავლა თ. მ.-ს 2018 წლის 6 ივლისს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალები.[46] საქმის მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიება არ იყო ჩატარებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შესაბამისად, რითაც დაირღვა თ. მ.-ს სიცოცხლის უფლება (სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება).

თ. მ. გარდაიცვალა 2018 წლის ივლისში. საქმეზე პასუხისგებაში მიეცა მხოლოდ ერთი პირი, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ჩადენისთვის, რამაც თ. მ.-ს სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ თ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებისას პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა საგამოძიებო მოქმედებების არასრულყოფილად ჩატარებას, ასევე, დაგვიანებით ან საერთოდ არ ჩატარებულა საგამოძიებო მოქმედებები კონკრეტული გარემოებების დასადგენად. არაეფექტიანი გამოძიების, საკვანძო საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარებლობის გამო, შეუძლებელი გახდა, დღემდე დადგენილიყო, იყო თუ არა თ.მ.-ს მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულებრივი ქმედებებიც და იყო თუ არა ეს ქმედებები უშუალო მიზეზშედეგობრივ კავშირში მის გარდაცვალებასთან.

კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, სადაც აღმოჩენილ იქნა თ. მ. უგონო მდგომარეობაში, არ იქნა დაფიქსირებული და აღწერილი სავალი გზის მდგომარეობა, ზომები, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ობიექტები, ადგილზე მყოფი ავტომანქანის მძღოლსა და მის თანმხლებ პირებს პოლიციის თანამშრომლის მიერ ნება მიეცათ დაეტოვებინათ შემთხვევის ადგილი ავტომანქანასთან ერთად, ავტომანქანის პარამეტრები აღებულ იქნა მოგვიანებით, თუმცა მათზე რაიმე კვლევა აღარ ჩატარებულა თ. მ.-ს სხეულზე არსებული დაზიანების მიყენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

გამოძიების მიერ ვერ იქნა დადგენილი რა მიზეზით მოხდა თ. მ.-ს მიერ სიცოცხლის უკანასკნელ საათებში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება; ნათესავებისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომ დაჭრილია და დის მეუღლესთან საუბარი, რომ მიაკითხონ საავადმყოფოში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გამოძიების მიერ არ არის გამორიცხული სხვა დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესაძლებლობა თ. მ.-ს მიმართ, რის შედეგადაც მას თავის არეში მიადგა დაზიანება.

გამოძიების მიერ უტყუარად არ არის დადგენილი თ. მ.-ს თავზე არსებული დაზიანების მიმყენებელი საგანი და გარემოებები. საქმის მასალებში არსებული ექსპერტიზის დასკვნები არ გამორიცხავს აღნიშნული დაზიანების მიყენების შესაძლებლობას საქმეზე

[45] სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული N3295/22 საქმე.
[46] სისხლის სამართლის N011060718001 საქმე.

მსჯავრდებული პირის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის გადავლის შედეგად ერთიანად, მანქანის ნაწილის დარტყმის შედეგად, თუმცა, აღნიშნული დასკვნა არ არის კატეგორიული.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ თ.მ.-ს გვამზე არსებული კონტურირებულკიდეებიანი სისხლნაჟღენთების მიმყენებელი საგნის (სავარაუდოდ ავტომანქანის საბურავი) დადგენისა და კატეგორიული დასკვნის გაცემის მიზნით, ექსპერტები საჭიროდ მიიჩნევდნენ დამატებითი კვლევის ჩატარებას, კერძოდ, თ. მ.-ს სხეულზე არსებული სისხლნაჟღენთების კვალის შედარებას კონკრეტული ავტომანქანის საბურავებთან, მაგრამ გამოძიების მიერ აღნიშნული ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

გარდა ამისა, გამოძიებას არ ჩაუტარებია შესაბამისი ექსპერტიზები, კერძოდ, თ. მ.-ს თავზე არსებული დაზიანების ფორმისა და მდებარეობის შედარების მიზნით საქმეზე მსჯავრდებული პირის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის პარამეტრების გათვალისწინებით (მათ შორის, სხეულზე არსებულ სხვა დაზიანებებთან და შესაძლო საბურავის გადავლის კვალთან მიმართებით ერთობლიობაში), საქმის მასალებით დადგენილ გარემოებებში (საავტომობილო გზის სავალი ნაწილის შუაში პირქვე მწოლიარე მდგომარეობაში).

გამოძიების მიერ ასევე კატეგორიულად/ცალსახად არ არის დადგენილი ის საგანი, რომლის ზემოქმედების შედეგად მიადგა დაზიანება თ. მ.-ს თავის არეში.

იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების მიერ დადგინდებოდა ავტომანქანის მოქმედების შედეგად თ.მ.-ს თავზე არსებული დაზიანების მიყენების შეუძლებლობა განაჩენით დადგენილ გარემოებებში, გამოძიებას უნდა დაედგინა, ხომ არ მოხდა გარდაცვლილსა და სხვა პირებს შორის რაიმე სახის კონფლიქტი, თუმცა აღნიშნული გამოძიების მიერ არ არის კატეგორიულად დადგენილი ან გამორიცხული. საქმის მასალების თანახმად, თ.მ. გარდაცვალებამდე იმყოფებოდა სუფრაზე, სადაც მიიღო სასმელი - ღვინო. მოგვიანებით კი, ასევე საქმის მასალების თანახმად, შესაძლოა თ.მ. ყოფილიყო სხვა ლოკაციაზე, სადაც ასევე მიეღო ალკოჰოლი - ლუდი. თუმცა, გამოძიებას სრულყოფილად არ გამოუკვლევია ამ მეორე შესაძლო ეპიზოდის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ გამოურიცხავს მეორე ლოკაციაზე შესაძლო კონფლიქტის განვითარება.

გვამის შინაგანი გამოკვლევისას გამოძიება არ დაინტერესებულა თ.მ.-ს კუჭის შიგთავსში იყო თუ არა განსხვავებული ალკოჰოლური სასმელის (ღვინო, ლუდი) შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნივთიერებები. ხოლო სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელისთვის დამახასიათებელი ნივთიერებების აღმოჩენის შემთხვევაში, დაეგეგმა და ჩაეტარებინა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, რა გარემოებებში და ვისთან ერთად მიიღო განსხვავებული სასმელი გარდაცვლილმა მასთან შემხებლობაში მყოფი პირებისა და გარემოებების დადგენის მიზნით, რაც განვითარდა თავდაპირველი ადგილსამყოფელიდან მისი წასვლის შემდეგ.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, კერძოდ, გვამის პირველადი გამოკვლევის შედეგად ექსპერტის მ. მ.-ს მიერ, იმავე დღეს გამოკითხვისას არ იქნა გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ექსპერტიზაში

სათანადო დარგის სპეციალისტების მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მითითებულ იქნა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გაცემულ დასკვნაში. ხოლო მომდევნო რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, ექსჰუმირებული გვამის გამოკვლევის შედეგად გაცემული დასკვნის თანახმად, გვამს უკვე აღენიშნებოდა გარკვეული ცვლილებები და სათანადო გამოკვლევისთვის არ იყო ვარგისი. კატეგორიულად იმის მტკიცება შეუძლებელია, თუ როდის დაეწყო გვამს იმ ტიპის ცვლილებები, რომელმაც შეუძლებელი გახადა გარკვეული გამოკვლევების ჩატარება, თუმცა, იმის თქმა დადასტურებით არის შესაძლებელი, რომ ექსპერტის პირველი გამოკითხვის დროს აღნიშნულის დაფიქსირება პრობლემას თავიდან აარიდებდა გამოძიებას.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მითითებული ექსპერტი ასევე იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების უფროსი. გამოძიების მიერ დადგენილი არ არის, რა მიზეზით არ უზრუნველყო საექსპერტო დაწესებულებამ სათანადო დარგის სპეციალისტების მონაწილეობა გვამის პირველად გამოკვლევაში.

ამასთან, გამოძიების მიერ არ არის დადგენილი რა შინაარსის კომუნიკაცია ჰქონდა თ. მ.-ს, გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე რამდენიმე პირთან, რაც დასტურდება სატელეფონო კავშირის ამონაწერით.

საქმის მასალების თანახმად, გარდაცვლილის ბიძა მ. მ. ერთ-ერთ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მობილურ ტელეფონში აჩვენა შემთხვევის ადგილზე მწოლიარე მდგომარეობაში თ. მ., თუმცა გამოძიების მიერ არ იქნა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები მითითებული გარემოების დასადგენად და არ იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია შესაბამისი მობილური ტელეფონიდან. აღნიშულმა კი არსებითად დააზიანა გამოძიება, რადგან საკვანძო ფაქტობრივი გარემოებები - ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად თ.მ.-ს მდებარეობა გზაზე სხვა ობიექტებთან მიმართებაში - ბუნდოვანი დატოვა.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან არ იკვეთება გამოძიების მიერ ჩატარებული რამდენიმე საგამოძიებო მოქმედებები რა საფუძვლითა და რა მიზნით ჩატარდა, კერძოდ, რა საფუძვლით ჩატარდა ერთ-ერთ ადგილმდებარეობის შემთხვევის ადგილის სახით დათვალიერება გამოძიების საწყის ეტაპზე, აღნიშნულ ადგილზე სავარაუდოდ მყოფი პირების, ასევე რამდენიმე პირის გამოკითხვა.

შესაბამისად, საქმის მასალების შესწავლის შედეგად საქმეში იკვეთება არაერთი გამოუკვლეველი და დაუდგენელი გარემოება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლოა თ. მ.-ს მიმართ, სატრანსპორტო შემთხვევამდე, განხორციელებული ყოფილიყო სხვა დანაშაულიც, რომელიც ასევე შეიძლება ყოფილიყო მოქალაქის გარდაცვალებასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში.

ამასთან, დადგინდა, რომ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, დღეის მდგომარეობით, სამწუხაროდ, ვეღარ მოხდება გარემოებების ცვლილების შესაბამისად, რის გამოც, გამოძიების მიმდინარეობისას დაშვებული არაერთი ხარვეზი გამოსწორებადი

აღარ არის. მაგალითად, არ მომხდარა შემთხვევის ადგილის დეტალური მახასიათებლების აღწერა, არ არის გაზომილი საავტომობილო გზის სიგანე, ის ადგილი, სადაც აღმოჩენილი იქნა თ. მ. გზაზე მწოლიარე, გზის ნაპირებიდან რა მანძილით იქნა აღმოჩენილი დანა, სისხლისმაგვარი და მოთეთრო-მოყავისფრო ბლანტი ნივთიერების ლაქები, სად იყო გაჩერებული ის ავტომანქანა, რომელმაც გადაუარა თ. მ.-ს და ასფალტის საფარზე აღინიშნებოდა თუ არა ავტომანქანის დამუხრუჭების შედეგად საბურავების მიერ დატოვებული კვალი - ავტომანქანის საბურავების კვალთან შემდგომი შედარებისა და დამუხრუჭების მანძილის განსაზღვრის მიზნით და სხვა.

თუმცა, გამოიკვეთა ისეთი გარემოებებიც რომელიც შესაძლოა სათანადო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შედეგად ჯერ კიდევ გამოსწორებულიყო.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა (როგორც არსებითი გარემოებების, რაც შესაძლოა უშუალოდ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში ყოფილიყო თ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტთან, ისე სხვა მნიშვნელოვანი კონკრეტული გარემოებების დადგენის მიზნით) და თ. მ.-ს თავზე არსებული დაზიანებების მიყენების ზუსტი გარემოებების დადგენის მიზნით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთებოდა გამოძიებაზე პასუხისმგებელი მოხელეების მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულების ბრალეული ხარვეზები, ასევე ემსჯელა მათი შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების თაობაზე.[47]

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა გაატარებდა ყველა შესაძლო ღონისძიებას თ. მ.-ს სიცოცხლის უფლების (პოზიტიურ ასპექტში) დასაცავად და ჩაატარებდა იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს, რომელთა ჩატარებაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, საქართველოს პროკურატურამ არ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება თ. მ.-ს გარდაცვალებასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის მიზნით დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნაწილში. პროკურატურის განმარტების თანახმად, თ. მ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებების მიყენების გარემოება უკვე დადგენილი იყო საქმეზე არსებული განაჩენით.

სახალხო დამცველი გენერალურ პროკურორს წინადადებით ასევე მიმართავდა გამოკითხულიყო სამედიცინო ექსპერტი, რომელმაც გამოკითხვისას არ აღნიშნა სრულყოფილი ექსპერტიზის ჩატარებისთვის სათანადო სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობის თაობაზე, ასევე, გამოკითხულიყვნენ ის პირები, რომლებსაც, საქმის მასალების თანახმად, მობილური კომუნიკაცია ჰქონდათ თ.მ.-სთან გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, კომუნიკაციის შინაარსთან დაკავშირებით. აღნიშნულ ნაწილში წინადადება დაკმაყოფილდა და გენერალური პროკურატურის წერილის თანახმად, აღნიშნული პირები გამოიკითხებიან გამოძიების პროცესში.[48]

---

[47] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 დეკემბრის N15-2/12147 წინადადება.
[48] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 26 დეკემბრის N13/83385 წერილი.

Შ. მ.-ს საქმე

ყოფილი პატიმარი შ. მ. სამოქალაქო კლინიკაში გარდაიცვალა 2020 წლის იანვრის თვეში. 2021 წლის 12 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა N15-2/3379 წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლისა და საქმის გამოსაძიებლად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დაქვემდებარების მოთხოვნით, ვინაიდან, სამედიცინო მასალების შესწავლის შედეგად იკვეთებოდა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივ გულგრილობას, რაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იყო შ.მ.-ს გარდაცვალებასთან. გენერალური პროკურორის მიერ სახალხო დამცველის წინადადება დაკმაყოფილდა.[49] აღნიშნულის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს გააგრძელა საქმის მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, საგამონაკლისო წესით, გაეცნო ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალებს.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ გამოძიებისთვის არსებით დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ 2022 წლის 9 დეკემბრის[50] მდგომარეობით გამოძიებას მიღებული არ აქვს 2021 წლის 19 აპრილს დანიშნული სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც უნდა დადგინდეს შ. მ.-სთვის ჩატარებული მკურნალობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის გარდაცვალებასთან.[51]

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე გენერალური პროკურორის მიერ საქმე გამოსაძიებლად გადაეცა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს[52], პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა ქმედებების დამდგარ შედეგთან (სიკვდილთან) შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის მიზნით, გამოძიების მიერ, 2021 წლის 27 მაისიდან 31 აგვისტომდე პერიოდში, ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რის შედეგადაც მოხდა შ. მ.-ს პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მისთვის სამედიცინო მომსახურების ამსახველი ძირითადი დოკუმენტაციის მოპოვება. 2021 წლის 29 სექტემბერს, კვლავ დაინიშნა სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა და დაისვა დამატებითი კითხვები პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, შ.მ.-სთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დამდგარ შედეგთან შესაძლო მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან

---

[49] დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.19-21. ხელმისაწვდომია < https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >.

[50] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის N002240120008 საქმის მასალებს, საგამონაკლისო წესით, გაეცნო 2022 წლის 9 დეკემბერს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურში.

[51] გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2021 წლის 19 აპრილს დანიშნული იყო სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში შ.მ.-სთვის მიწოდებულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, და არ მოიცავდა მისთვის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დაგვიანებისა და უხარისხობის შესაძლო გავლენას დამდგარ შედეგთან.

[52] ამჟამად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

დაკავშირებით. 2021 წლის 29 ოქტომბერს გაცემული მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამოქალაქო კლინიკიდან, 2021 წლის 17 ნოემბერს, გამოთხოვილ იქნა შ. მ.-ს CT კვლევის ელექტრონული ინფორმაცია, რაც დანიშნული სამედიცინო კომისიური ექსპერტიზისთვის სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გადაეგზავნა დამატებით 2022 წლის 11 დეკემბერს, სხვა მასალებთან ერთად, მოპოვებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ.[53]

ვინაიდან, სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოიკვეთება შ. მ.-სთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების, მათ შორის პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ქმედებებს ჰქონდა თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან და ქმედებები შეიცავს თუ არა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის ჩატარებას და დასკვნის გაცემას არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წარმოედგინათ ინფორმაცია, რა მიზეზით არ არის დასრულებული შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დანიშნული სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა და არ არის დასკვნა გადაცემული გამოძიებისათვის.[54] თუმცა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სახალხო დამცველის აპარატს ინფორმაცია არ მიაწოდა.

აქვე, სამწუხაროა, რომ გამოძიების მიერ ამ დრომდე არ არის გამოკითხული იმ სამედიცინო კლინიკის პერსონალი, სადაც ყოფილი პატიმარი გარდაიცვალა. გარდა ამისა, არ გამოკითხულა სპეციალური პენიტენციური სამსახურის რეფერალის საკითხთა კომისიის წევრები მსჯავრდებულის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

გამოკითხვის გაჭიანურების შემთხვევაში, ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შედეგად, შესაძლოა მოწმეებმა მათ ვეღარ მიაწოდონ გამოძიებას სათანადო ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე გამოძიების ფარგლებში გამოიკითხოს სამოქალაქო სექტორის კლინიკის ის სამედიცინო პერსონალი, რომელთაც შეხება ჰქონდათ შ.მ.-სთან; ასევე გამოიკითხოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლები და რეფერალის საკითხთა კომისიის წევრები პატიმრის სამოქალაქო სექტორში გადაყვანის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, ხოლო სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პირები გამოიკითხონ დამატებით.[55]

---

[53]საქმეზე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები ტარდებოდა ძირითადად 2021 წელს.

[54] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 3 იანვრის N15-2/16 წერილი.

[55] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 მარტის N15-2/2294 წინადადება.

ხანძარი N17 დაწესებულებაში

სახალხო დამცველის აპარატი 2022 წელსაც აქტიურად აგრძელებდა მონიტორინგს, 2021 წლის 14 ოქტომბერს, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ორი მსჯავრდებულის გარდაცვალების საქმეზე, რომელზეც გამოძიება კვლავ მიმდინარეობს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

სახალხო დამცველის აპარატი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, საგამონაკლისო წესით, გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.[56] საქმის შესწავლის შედეგად, ნათლად გამოიკვეთა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სისტემური ხარვეზები ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით. კერძოდ, მასალების თანახმად, ირკვევა, რომ N17 პენიტენციურ დაწესებულებაში, სამოქალაქო და სახანძრო თავდაცვის ინსპექტორის პოზიციაზე დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობაში შედიოდა დაწესებულების ტერიტორიაზე სახანძრო სტენდების დამონტაჟება და მათზე შესაბამისი ინვენტარის განთავსება, ტერიტორიის შემოვლა და შემოწმება. თუმცა, მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ მითითებულ პოზიციაზე დასაქმებულ პირს, სპეციალური ცოდნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დარგში არ გააჩნდა და არც რაიმე ტიპის ტრენინგი გაუვლია ამ მიმართულებით. როგორც, ამ კონკრეტულ საქმეში ხსენებულმა პირმა მოწმის სახით გამოკითხვისას მიუთითა, მისთვის უცნობი იყო რეგულირდებოდა თუ არა რაიმე სახის დოკუმენტით მეხანძრის უფლება-მოვალეობები და შესაბამისად, არც ამ დოკუმენტს გასცნობია.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი განმარტავდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვა, სწორედ ამ სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. იგი, პერიოდულად, პირადად ამოწმებდა დაწესებულებებში განთავსებულ სახანძრო სტენდებს და შესაბამის ინვენტარს. თუმცა, სპეციალური ცოდნა მას არ გააჩნდა და სიღრმისეულ ზედამხვედველობას ვერ ახორციელებდა.

ამდენად, გამოძიებით, პრაქტიკულად დადგინდა, რომ ხანძრის გაჩენამდე, როგორც N17 პენიტენციურ დაწესებულებაში, ისე სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც, სისტემური შემოწმება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით არ ტარდებოდა.

დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის 2022 წელს მომზადდა უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმები. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმების განთავსება დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში. ასევე, N8 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში შეიცვალა სახანძრო ჰიდრანტები. 2023 წლიდან დაგეგმილია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული

[56] სისხლის სამართლის №199141021002 საქმე.

სახანძრო წყლის მოქნილი მილების (შლანგი) მარაგების შევსება მილების ახალი საჭირო რაოდენობებით. სპეციალური პენიტენციური სამსახური აგრძელებს მუშაობას მომავალში ყველა პენიტენციური დაწესებულების სახანძრო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით.[57] სახალხო დამცველის აპარატი კი გააგრძელებს ერთი მხრივ - ამ გეგმის შესრულების, მეორე მხრივ კი - გამოძიების მონიტორინგს.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

სახალხო დამცველმა, ჯერ კიდევ 2020 წელს, გამოძიება არაეფექტიანად წარმოებულად შეაფასა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად, თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლების შესახებ წინადადებით[58] გენერალურ პროკურორს მიმართა.

სახალხო დამცველის პოზიციით, სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტზე გამოძიების პროცესში აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო საგამოძიებო ორგანოს მოეპოვებინა ინფორმაცია, რომელიც ასახავდა სპეცოპერაციის მიმდინარეობის კონტროლს. შესაბამისად, ზედმიწევნითი და სრულყოფილი გამოძიების სტანდარტის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ოპერაციის განხორციელებაზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სპეცოპერაციების პერიოდში ერთმანეთს შორის სატელეფონო კომუნიკაციის, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო პროგრამებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის მოპოვება/გამოთხოვა.

გარდა ამისა, სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნდა ოპერაციაში მონაწილე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყველა მოსამსახურის რაციის ჩანაწერების მოპოვება, რაც საქმისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება ყოფილიყო, ღონისძიების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის არარსებობის პირობებში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რაციების ჩანაწერები ასახავს რეალური და იმწუთიერი კომუნიკაციის შინაარსს.

სამწუხაროდ, გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა.

ამის ფონზე, თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე[59] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის - სიცოცხლის უფლების - დარღვევა პროცედურულ ნაწილში, რადგან სახელმწიფომ ვერ შეასრულა ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების მოთხოვნები.

სასამართლომ მიუთითა გამოძიების ხარვეზებზე: პირველადი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებისა და დამუშავების ხერხზე, ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ფაზის ზედაპირულ

[57] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 30 დეკემბრის №380872/01 წერილი.
[58] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 მარტის N15-5/3581 წინადადება.
[59] „Machalikashvili and others v. Georgia" განაცხადი N32245/19, 19.01.2023 წ.

გამოკვლევაზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების გამოკითხვის დაგვიანებაზე, განმცხადებლისთვის დაზარალებულის სტატუსის მიუნიჭებლობაზე, რამაც ხელი შეუშალა პროკურატურის გადაწყვეტილების გასაჩივრებაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სპეცოპერაციის გარემოებების შესახებ იმავე დღეს, თუმცა, პროკურატურა დაეყრდნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგებს. პირველი საგამოძიებო მოქმედებები (თემირლან მაჩალიკაშვილის საძინებლის ჩხრეკა და ხელყუმბარის ამოღება) ჩაატარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებელმა, რომელიც არ შეიძლება დამოუკიდებლად ჩაითვალოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრების მიმართ. ადგილის თავდაპირველი მდგომაროება არ იყო დაცული, რასაც ჰქონდა კონკრეტული გავლენა გამოძიებაზე. მაგალითად, სათანადოდ ვერ დადგინდა და დადასტურდა: სროლის მომენტში თემირლან მაჩალიკაშვილის მობილური ტელეფონის მდებარეობა, მასზე სავარაუდოდ აღმოჩენილი სისხლის კვალი და ბრალდებები ყურსასმენებთან დაკავშირებით. ხელყუმბარა გადაიტანა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერმა საწოლიდან იატაკზე, რათა სამედიცინო დახმარების გაწევა ყოფილიყო შესაძლებელი. სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ სერიოზულად დაშავებული პირისთვის პირველადი დახმარების გაწევის აუცილებლობას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინციდენტის ადგილის შეცვლის თავიდან აცილების მოთხოვნაზე.

გადაწყვეტილების თანახმად, ოპერაციის დაგეგმვა და კონტროლი გამოძიების ფარგლებს გარეთ არ დარჩენილა, თუმცა, სასამართლოს არ შეუძლია არ შენიშნოს, რომ არ არის ოფიციალური ანგარიშები ოპერაციის მომზადების და/ან განხორციელების შესახებ. სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი არარსებობისას გამოძიება შეზღუდული იყო ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ფაზის შეფასებისას.[60]

ამასთან, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში, რადგან არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება, გონივრული ეჭვის მიღმა დასკვნისთვის, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ გარემოებებში. სასამართლოს პოზიციით, მის წინაშე არსებული მტკიცებულებები შეუძლებელს ხდის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიების შეფასებას და ეს ნაწილობრივ მაინც გამომდინარეობს გამოძიების ხარვეზებიდან. სასამართლოს განცხადებით, თემირლან მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა სასიკვდილო ჭრილობის შედეგად, რომელიც მან მიიღო მისი დაკავების ოპერაციის დროს, თუმცა, ეროვნულ დონეზე არ მომხდარა სასამართლო შეფასება იმ ზუსტი გარემოებების შესახებ, რამაც გამოიწვია სასიკვდილო გასროლა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს ევალება გამოძიების განახლება და ხელახალი ეფექტიანი გამოძიების ჩატარება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გამოძიებაზე

[60] იქვე, პარ. 90.

პასუხისმგებელი უწყება სპეციალური საგამოძიებო სამსახური იქნება. სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს განახლებული გამოძიების მონიტორინგს.

ე.წ. შეწყალების საქმე

2019 წელს სახალხო დამცველმა სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ იმ მსჯავრდებულთა შეწყალება, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ განზრახი მკვლელობებისთვის და მსჯავრის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუხდელად პენიტენციური დაწესებულებები დატოვეს. ამ საკითხს სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებშიც დაეთმო ყურადღება.[61] თუმცა, სამწუხაროდ, შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით[62] 2019 წლის 20 სექტემბერს დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება ისევ ხელშესახები შედეგის გარეშე მიმდინარეობს.[63]

იმ გარემოების ფონზე, რომ გენერალურმა პროკურატურამ არ მისცა სახალხო დამცველის აპარატს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გაცნობის საგამონაკლისო შესაძლებლობა,[64] უცნობია თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რამდენად ეფექტიანად, დროულად და ზედმიწევნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. საგამოძიებო უწყებამ აპარატს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და ასევე, აცნობა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს პრეზიდენტი.[65]

ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება

2022 წელსაც, წინა წლების მსგავსად,[66] უშედეგოდ გააგრძელა საქართველოს პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება. კვლავ ზოგადი და არაინფორმატიული პასუხით შემოიფარგლა გენერალური პროკურატურა სახალხო დამცველის აპარატის მიმართვასთან დაკავშირებით და განმარტა მხოლოდ ის, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება არ დასრულებულა.[67]

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახალხო დამცველის აპარატი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო უწყებების ქმედებების მონიტორინგს 2017 წლიდან ახორციელებს და სამწუხაროდ, აპარატს კვლავ იმის გამეორება უხდება, რომ

---

[61] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019, 2020 და 2021 წლების საპარლამენტო ანგარიშები https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf გვ. 44; https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf გვ. 40; https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf გვ. 31.

[62] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf გვ. 21–22.

[63] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 10 იანვრის №13/475 წერილი. გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[64] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 14 სექტემბრის N13/53054 წერილი.

[65] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 და 2023 წლის 10 იანვრის №13/475 წერილები.

[66] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf გვ. 21.

[67] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 11 იანვრის N13/751 წერილი.

პროკურატურის მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯები კვლავ არ ჩანს. ამგვარი გაჭიანურება კი იმის ფონზე ხდება, როდესაც მაგალითად 2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ მთელი წლის მანძილზე მხოლოდ 24 სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა,[68] 2021 წელს კი - 22.[69] ამგვარად, თეორიულად დასაშვებად ვერც ის არგუმენტი შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პროკურატურის გენერალური ინსპექცია დიდი დატვირთვისა და საქმეთა სიმრავლის გამო ვერ ასრულებდეს ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე შემოწმებას.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებები სახალხო დამცველის აპარატში კვლავ ხშირად ფიქსირდება. მოქალაქეები, მათ შორის, პატიმრები ხშირად საუბრობენ, რომ დაექვემდებარენ წამებას, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახავ მოპყრობას სამართალდამცავი პირების, მათ შორის, პენიტენციური სისტემის წარმომადგენლების მხრიდან.

ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივი ფაქტის შემოწმების/გამოძიების პრობლემა შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიდეო ჩანაწერების არარსებობას უკავშირდება, რიგ შემთხვევებში კი გამოძიება ექსპერტიზის დასკვნების დაგვიანებით მომზადებით ფერხდება. ამ და სხვა გამოწვევებზე, სხვადასხვა გამოძიების არაეფექტიანობაზე სწორედ წინამდებარე თავში იქნება საუბარი.

წარმოდგენილი იქნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მუშაობის მონიტორინგის შედეგები. მათ შორის, სამსახურის ინსტიტუციური და ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო ბერკეტებით საკანონმდებლო გაძლიერების აუცილებლობის საკითხები.

ყურადღება დაეთმობა ექსტრადიციის პროცესში არასათანადო მოპყრობის რისკების ანალიზს სხვადასხვა საქმის კონტექსტში. განხილული იქნება პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისთვის გაჭიანურებული ან რიგ შემთხვევაში, არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების პრობლემა. საუბარი იქნება ფსიქიატრიული ექსპერტიზების ჩატარების გაჭიანურებით, პატიმრებისთვის ჯანდაცვის შესაფერისი სერვისის მიწოდების შეფერხების საკითხზე. წარმოდგენილი იქნება პატიმრებისთვის სავარაუდოდ ადეკვატური და ხარისხიანი სამედიცინო სერვისის მიუწოდებლობის შემთხვევებზე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებული შემოწმების გაჭიანურების პრობლემებზე და სხვა.

---

[68] იხ. საქართველოს პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 96, < https://pog.gov.ge/uploads/42f3329b-saqarTvelos-prokuraturis-saqmianobis-2020-wlis-angarishi.pdf?fbclid=IwAR3MOvQCywiIwOoEJXMo8GMzc6cn1nEbF1yavsOJRWaxs8Cb_3zseftkWKg >

[69] იხ. საქართველოს პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 102, < https://pog.gov.ge/uploads/fbe6749f-13-maisi-angarishi.pdf?fbclid=IwAR0VqRJNZ7Kvwo4uDyEQdrwE3VMVZb4TfgA7Y9IDv8ltgexo_2F4kwOBBY8 >

არასათანადო მოპყრობის შესახებ მომართვები

სახალხო დამცველის აპარატს, როგორც აღინიშნა, კვლავ ხშირად მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც აფიქსირებენ პრეტენზიას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი მსჯავრდებულის საჩივარი, რომლებიც მიუთითებდნენ პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი საქმე, სადაც მსჯავრდებულები მიუთითებდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირების სამმართველოს თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე.

ერთ შემთხვევაში, მსჯავრდებული გ. პ. განმარტავდა, რომ 2022 წლის 22 ოქტომბერს, გადაყვანილი იყო შპს „ვივამედში", სადაც ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა. ხსენებულ კლინიკაში, კონფლიქტის ნიადაგზე, ესკორტირების სამსახურის თანამშრომელმა იძალადა მასზე, კერძოდ, მოკიდა ხელი დრენაჟს, რომელიც მსჯავრდებულს მუცელში ჰქონდა ჩამაგრებული, თუმცა ვერ მოაძრო, კისერში მოუჭირა ხელი და სცადა მისი გაგუდვა. ასევე, ანთებული სიგარეტი დაადო სასქესო ორგანოსთან და მხარზე. მსჯავრდებულმა რწმუნებულს აჩვენა ტანსაცმელი, რომელზეც აღინიშნებოდა სიგარეტის ნამწვის კვალი.

მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულს განუმარტა, რომ ესკორტირების სამსახურის თანამშრომლებმა სცადეს ძალადობის კვალის წაშლა, გაეცნენ როგორც გენერალური ინსპექციის თანამშრომლები და სურდათ სიგარეტის ნამწვის მასალების ამოღება, რომელზეც აღინიშნებოდა თანამშრომლის ბიოლოგიური კვალი. გ. პ.-ს თქმით, როდესაც მიხვდა ამ პირების ვინაობას, დაიწყო ყვირილი, მოითხოვა სახალხო დამცველის აპარატში დარეკვა, მიუთითებდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, რის შემდეგაც, ძალის გამოყენებით, გადაიყვანეს N18 სამკურნალო დაწესებულებაში. სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა აჩვენა მას სხეულზე არსებული დაზიანებები სისხლნაჟღენთების სახით.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[70] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელმაც დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N199241022003 საქმეზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან გ. პ.-ს მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა", „ბ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[71]

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მსჯავრდებული დ. დ. განმარტავდა, რომ 2022 წლის 10 ოქტომბერს, მოთავსებული იყო კლინიკა „ვივამედში", სადაც გადიოდა ოპერაციის შემდგომ მკურნალობას. მისივე თქმით, უსაფრთხოების ერთ-ერთ თანამშრომელთან მოუვიდა სიტყვიერი შელაპარაკება, რის შემდეგაც არაერთმა თანამშრომელმა მიაყენა ფიზიკური

[70] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 1 ნოემბრის N15-7/10963 წერილი.
[71] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის N SIS 3 22 00014762 წერილი.

შეურაცხყოფა. მის მიმართ ცემას ადგილი ჰქონდა რამდენჯერმე, ხოლო ჯამში, მასზე იძალადა დაახლოებით ოცმა თანამშრომელმა.

2022 წლის 20 ოქტომბერს, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N199201022004 საქმეზე, პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა მიერ დ. დ.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[72]

სამწუხაროდ, 2022 წელს, ხშირი იყო ასევე მომართვიანობა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებულ პირთა მიმართ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. მოქალაქეები მიუთითებდნენ დაკავებისას და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ მათზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე, არაპროპორციული ძალის გამოყენებასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე. მითითებულ საქმეებზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება, რომლებზე მონიტორინგს აგრძელებს სახალხო დამცველის აპარატი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდოდ არაპროპორციული ძალის გამოყენების ნიშნები იკვეთება ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხება 2022 წლის 19 თებერვალს, ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ჰილტონთან" მიმდინარე აქციაზე დაკავებულ აქტივისტ ე. ბ.-ს.

დაკავებულის განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით, იძულებით ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში, რის შედეგადაც დაზიანება მიიღო მარცხენა მხრისა და ხელის არეში. სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას დაკავებულმა განმარტა, რომ მყესები ჰქონდა დაჭიმული და ტკივილი აწუხებდა მარცხენა კეფის, მხრისა და ხელის არეში.

გარდა ამისა, ე. ბ.-მ აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ მანქანაში იძულებით ჩასმის დროს მიარტყა თავი. დაკავების შემდეგ საჭირო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება, რის შემდეგაც დაკავებული გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში და გაუწიეს შესაბამისი მომსახურება.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს[73], რომელიც აწარმოებს გამოძიებს მითითებულ სისხლის სამართლის საქმეზე.[74]

ასევე, აღსანიშნავია კიდევ ერთი საქმე, რომელიც საანგარიშო პერიოდში შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა. საქმე ეხებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, დაკავებულ არასრულწლოვან ნ. ქ.-ს, ასევე ნ. ქ.-ს ბებიის - დ. ბ.-სა და დეიდის - მ. ქ.-ს მიმართ, ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების

[72] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 7 ნოემბრის NSIS 6 22 00014387 წერილი.
[73] დღეის მდგომარეობით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური.
[74] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2022 წლის 24 თებერვლის NSIS 4 22 00004421 საპასუხო წერილი.

თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს.[75]

სახალხო დამცველის აპარატში დ. ბ.-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით ხუთმა პოლიციის თანამშრომელმა ძალის გამოყენებით შეიყვანეს არასრულწლოვანი პოლიციის განყოფილებაში, დააგდეს დივანზე და ურტყამდნენ ხელებს სხეულის სხვადასხვა არეში. მ. ქ.-ს გადმოცემით, თვითონაც დაინახა ბავშვის ცემის ფაქტი. ასევე, აღნიშნავს, რომ როდესაც ბავშვი შეიყვანეს ცალკე ოთახში, იქიდან გამოდიოდა ბავშვისთვის დარტყმის ხმები.

დ. ბ.-მ აღნიშნა, რომ თვითონაც გახდა პოლიციის თანამშრომლის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, ვინაიდან, თანამშრომელმა კისერში მოუჭირა ხელი და ასწია მაღლა, ასევე, ფეხი დაარტყეს მუხლის არეში. მ. ქ.-მ კი განმარტა, რომ პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოკიდა ხელი და თრევით გაიყვანა განყოფილების გარეთ, რის შედეგადაც, ხელზე აღენიშნებოდა დაზიანება სილურჯის სახით.

მითითებულ საქმეზე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[76] შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა განყოფილების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოების დაარქივება, თუმცა მიღებული პასუხის თანახმად, აპარატის მიერ მოთხოვნილი პერიოდის ვიდეო ჩანაწერები, ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ იძებნება. ხოლო კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები არ არიან აღჭურვილნი სამხრე კამერებით.[77] აღსანიშნავია, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან მოწმეებმა - ბებიამ და დეიდამ უარყვეს ყველაფერი და გამოძიება არ დაიწყო. არასრულწლოვანი კი თავიდანვე არ ადასტურებდა არასათანადო მოპყრობას.

ნიშანდობლივია, რომ ვიდეოჩანაწერების გაცნობის შეუძლებლობამ სახალხო დამცველის აპარატს ვერ მისცა ფაქტის გადამოწმების საშუალება. ამასთან, სამწუხაროდ, ვიდეოჩანაწერების მოპოვების პრობლემა სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეთა შორის ერთჯერადი არ აღმოჩნდა და ამ კუთხით შეინიშნება სისტემური ხარვეზები.

შსს-ს ვიდეო ჩანაწერები

არასათანადო მოპყრობის გამოძიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული ნეიტრალური მტკიცებულება ვიდეო ჩანაწერებია. სამწუხაროდ, უკვე ტენდენციის სახე აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან იმის გაცხადებას, რომ არც პოლიციის შენობებში დამონტაჟებული ვიდეო კამერების და არც პოლიციელების სამხრე-კამერების ჩანაწერები არ მოიპოვება/ინახება, ტექნიკური ხარვეზითა თუ სხვა მრავალი მიზეზით.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, შეისწავლა არაერთი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით. რიგ შემთხვევებში,

[75]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული N12333/22 საქმე.
[76] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 31 ოქტომბრის N15-15/10878 წერილი.
[77] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 22 ნოემბრის NMIA 3 22 03301124 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატმა თავად მიმართა[78] შინაგან საქმეთა სამინისტროს, რელევანტური ვიდეო ჩანაწერების დაარქივებისა და გაცნობის მოთხოვნით, თუმცა მიღებული პასუხის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაცია ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ ინახებოდა. ხოლო პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ სამხრე კამერებით აღჭურვილნი.[79] სახალხო დამცველის აპარატმა ერთ-ერთ საქმეზე სცადა გამოერკვია საკითხი, თუ რა მიზეზით (ჩამწერი მოწყობილობის გაფუჭება, ჩანაწერების წაშლა, განადგურება და ა. შ.) არ იძებნებოდა ვიდეო ჩანაწერები და ამ მიზნით არაერთხელ მიმართა[80] შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა აპარატს განმარტება დღემდე არ მიუღია.

ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა, მითითებული მიზეზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც ვერ ახერხებს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ვიდეო ჩანაწერების მოპოვებას, რის გამოც, შესაძლოა, არაერთ საქმეზე შეიქმნა დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენის და მისი პასუხისგებაში მიცემის პრობლემა. ეს ეხება არა მხოლოდ პოლიციის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებს, არამედ, ასევე, პოლიციის სამხრე კამერებსა და სამსახურებრივი ავტომობილის ვიდეო რეგისტრატორებს.[81]

ამდენად, სავარაუდო ძალადობის ფაქტის ამსახველი ან დაკავშირებული რელევანტური ვიდეო ჩანაწერების არარსებობა მნიშვნელოვნად აძლიერებს ეჭვს არაერთეულ შემთხვევაში პოლიციელების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიმართულებით აქტიურ მუშაობას. სამწუხაროა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვიდეო ჩანაწერების მოპოვების პრობლემა აქვს როგორც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ისე სახალხო დამცველის აპარატს და მიემართება როგორც პოლიციელების სამხრე კამერების ჩანაწერებს, ისე პოლიციის შენობების ვიდეო მეთვალყურეობის სისტემას. აღნიშნული პირველ რიგში აფერხებს გამოძიებას, დაადგინოს ან გამორიცხოს პოლიციელების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია. ასევე, არანაკლები მნიშვნელობის დაბრკოლებაა სახალხო დამცველის აპარატისთვისაც, რომელიც ვიდეო ჩანაწერების გაცნობის შეუძლებლობის გამო, ვერ ახორციელებს მოქალაქეთა საჩივრების ეფექტიან შემოწმებას.

---

[78] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 31 ოქტომბრის N15-15/10878, 2022 წლის 21 მარტის N15-5/3088, წერილები.

[79] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 22 ნოემბრის NMIA 3 22 03301124, 2022 წლის 3 ივნისის NMIA42201487834 საპასუხო წერილი.

[80] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 8 ივნისის N15-5/5891, 22 აგვისტოს N15-5/8515 და 2 დეკემბრის N15-5/12102 წერილები.

[81] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან, მსჯავრდებულ ლ. გ.-ს, ბრალდებულ ვ. გ.-ს, მოქალაქე ა. ა.-ს, ბრალდებულ ვ. გ.-ს, ბრალდებულ ც. ხ.-ს, ადვოკატ ვ. მ.-ს, მოქალაქე გ. ჩ.-ს და ზ. ხ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობა

სახალხო დამცველს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შექმნის დღიდან გამოირჩეოდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის საუკეთესო ხარისხით. 2022 წლის 13 იანვარს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაუქმდა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის საქმიანობის მიმართულებად განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.[82]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის ხარისხი არ შეცვლილა. 2022 წლის 1 მარტიდანაც აპარატმა ათეულობით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო, გაეცნო ათეულობით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეს და საგამონაკლისოდ გაეცნო არაერთი გამოძიების მასალებს.

აქვე, როგორც წინა წლის საქმიანობის ანგარიშში არის აღნიშნული, სახალხო დამცველის აპარატში შემუშავებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდების წესი,[83] რომლის საფუძველზეც აპარატი მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ახდენს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირებას არასათანადო მოპყრობის შესახებ დაფიქსირებულ საჩივრებთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ უწევს მონიტორინგს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიებას.

2022 წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს 233-ჯერ მიმართა არასათანადო მოპყრობისა და სიცოცხლის უფლების საქმეებზე.[84] აქედან 198 კორესპონდენცია ეხებოდა სხვადასხვა მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას, ხოლო 35 – მოიცავდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე შეტყობინებებს.[85]

გამოძიების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის 198 კორესპონდენციიდან 129 შეეხებოდა პოლიციის (შსს) თანამშრომლების მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ჩადენის ფაქტს, 47 - პენიტენციური სისტემის თანამშრომლებს (პენიტენციური დაწესებულებისა თუ ესკორტირების სამსახურის თანამშრომლებს), 1 - როგორც პოლიციის, ისე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს, 1 - შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლებს, 1 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

[82] „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 2.

[83] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 თებერვლის N20 ბრძანება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ".

[84] 2022 წლის 1 მარტამდე ხსენებული უწყების ნაცვლად ფუნქციონირებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და წარმოდგენილი ინფორმაციის მიზნებისთვის, იგულისხმება ინსპექტორის სამსახურთან გაგზავნილი კორესპონდენციაც.

[85] ამ ოცდათხუთმეტი ფაქტის შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატი მოქმედებდა, როგორც საგამოძიებო უწყებისთვის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის პირველადი მიმწოდებელი, ვინაიდან აპარატისთვის არ იყო ცნობილი სპეციალური საგამოძიებო სამსახური ინფორმირებული იყო თუ არა უკვე სავარაუდო დანაშაულის შესახებ.

თანამშრომლებს, 1 - თავდაცვის სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს, 1 - ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს, 1 - „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თანამშრომლებს. დარჩენილი 15 კორესპონდენცია მიემართებოდა სიცოცხლის უფლებას, საიდანაც 13 შემთხვევაში კორესპონდენცია ეხებოდა პატიმრის გარდაცვალებას და სადაც გამოძიება პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიმართ მიმდინარეობდა, ხოლო 2 შემთხვევაში სახეზე იყო მოქალაქის გარდაცვალების ფაქტი და გამოძიება შსს-ს თანამშრომლების მიმართ მიმდინარეობდა.

რაც შეეხება 35 ფაქტს, რომლის შესახებ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ინფორმაცია სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატმა მიაწოდა: 17 ეხებოდა პენიტენციური სისტემის (პენიტენციური დაწესებულებისა თუ ესკორტირების სამსახურის) თანამშრომლებს, 16 - პოლიციის (შსს) თანამშრომლებს, 1 - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, 1 შემთხვევაში პატიმარი არასათანადო მოპყრობის შესახებ მოპყრობაში ადანაშაულებდა როგორც პენიტენციური დაწესებულების, ისე პენიტენციური სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებს.

საყურადღებოა, რომ 35 შემთხვევიდან გამოძიება დაიწყო მხოლოდ 24 შემთხვევაში ან ფაქტის შესახებ ინფორმაცია დაერთო იმავე პირის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული სხვა არასათანადო მოპყრობის ეპიზოდის გამოძიების მასალებს, ხოლო 11 შემთხვევაში გამოძიება არ დაიწყო. გამოძიების არდაწყების მიზეზი გახდა ის, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, გასაუბრება ჩატარდა სავარაუდო დაზარალებულებთან, რომლებმაც ყველა შემთხვევაში უარყვეს/არ დაადასტურეს არასათანადო მოპყრობის შემთხვევები. თითქმის ყოველ მესამე შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობის შესახებ პოზიციის შეცვლა სავარაუდო მსხვერპლის მხრიდან საყურადღებოდ უნდა იქნეს მიჩნეული. კერძოდ, ხომ არ გახდა სავარაუდო მსხვერპლი დამატებითი მუქარის ან იძულების მსხვერპლი შესაძლო მოძალადე პირების მხრიდან ან ხომ არ აქვთ ხოლმე მსხვერპლებს დამატებითი ანგარიშსწორების მოლოდინი.

როგორც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოძიებული და დასრულებული საქმეების შესწავლითაც.[86] 2022 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის იმ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, რომელზეც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაასრულა გამოძიება და 2022 წლის 1 მარტის შემდეგ აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება შეწყდა პროკურორის დადგენილებით, კონკრეტული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გარეშე. ასეთი სულ 40

[86] იგულისხმება ის საქმეებიც, რომელთა გამოძიება დაიწყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა.

სისხლის სამართლის საქმე იყო.[87] მათგან, 2022 წლის ბოლოს, აპარატმა შეისწავლა 31 დასრულებული სისხლის სამართლის საქმე.[88]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი 31 სისხლის სამართლის საქმიდან 13 საქმე იყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს I სამმართველოს წარმოებაში, 9 სისხლის სამართლის საქმე იყო აღმოსავლეთ საქართველოს II სამმართველოს წარმოებაში, 3 სისხლის სამართლის საქმე იყო დასავლეთ საქართველოს სამმართველოს წარმოებაში, 2 სისხლის სამართლის საქმე იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს წარმოებაში და 4 სისხლის სამართლის საქმე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს წარმოებაში.

აღნიშნულ 31 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

კვალიფიკაცია იყო შემდეგნაირი: 25 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით), 1 საქმის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილი (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება), 1 შემთხვევაში გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „ზ" ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ), 4 საქმის კვალიფიკაცია კი იყო სსკ-ის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ჯგუფურად და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ).

გარდა შეწყვეტილი გამოძიების მასალებისა, სახალხო დამცველის აპარატმა, საგამონაკლისო წესით[89], შეისწავლა 10 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე. მათგან, 2 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით), 1 საქმის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი), 5 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" „ე" და „ზ"

[87] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 14 ნოემბრის NSIS 1 22 00014913 წერილი.

[88] შესწავლილი იქნა ისეთი სისხლის სამართლის საქმეები, რომელზეც გამოძიება დაიწყო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამო.

[89] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონი მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს არა აქვს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა.

ქვეპუნქტებით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ჯგუფურად და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ), 1 საქმის კვალიფიკაცია სსკ-ის 144[3]-ე მუხლთან ერთად იყო სსკ-ის 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილიც (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება), 1 საქმის კვალიფიკაცია მოხდა ორი სსკ-ის მუხლით, სსკ-ის 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი) და 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი), 1 საქმის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის სამი მუხლით, სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 342[1] მუხლის 1-ელი ნაწილით (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევა).

სისხლის სამართლის საქმეთა სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. გამომძიებლები, როგორც წესი, ცდილობენ დროულად ჩაატარონ ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომლის დაგვიანებამაც, შესაძლოა, გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს მტკიცებულებათა მოპოვება (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ვიდეოჩანაწერების მოპოვება, ექსპერტიზების დანიშვნა და სხვა). ჩატარებული გამოკითხვები ორიენტირებულია საქმის ირგვლივ ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვებაზე და არ ტოვებს განცდას, რომ გამოძიება ცდილობს, რომელიმე პირი დარჩეს პასუხისმგებლობის მიღმა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ არცერთ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობა არ მომხდარა[90] ხშირ შემთხვევაში გამოძიება ინფორმირებულს ხდის სავარაუდო მსხვერპლებს გამოძიების მიმდინარეობისა თუ შეწყვეტის შესახებ. რიგ შემთხვევებში კი სავარაუდო მსხვერპლები გაეცნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებსაც.[91] აქვე მისასალმებელია, რომ 2022 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურის უფროსმა დაამტკიცა სპეციალური ბრძანება,[92] რომელიც სავარაუდო მსხვერპლს უზრუნველყოფს უფლებით, რომ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიმდინარე გამოძიების ეტაპზე მაშინ, როდესაც იგი ჯერ დაზარალებულად ცნობილი არ არის.

---

[90] პირის დაზარალებულად ცნობის უფლებამოსილება გამომძიებელს არ გააჩნია და პირის დაზარალებულად ცნობს პროკურორი.

[91] სს 199241121001 საქმე, სს 199270221001 საქმე.

[92] ბრძანება ვრცელდება იმ საქმეებზე, სადაც მოქალაქე სამართალდამცველებს ძალადობასა და არასათანადო მოპყრობაში ედავება და გამოძიება დაიწყო 2022 წლის 27 ივლისის შემდეგ. იხ. <https://sis.gov.ge/ka/article/specialur-sagamodziebo-samsaxurshi-dainteresebuli-moqalaqeebistvis-sisxlis-samartlis-saqmis-masalebis-gacnobis-wesi-amoqmedda/207 >

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოძიებებს არ ახასიათებს სისტემური ან ხშირად განმეორებადი ერთგვაროვანი ხარვეზები, სახალხო დამცველის აპარატმა მაინც გამოკვეთა ერთეული ყურადღებამისაქცევი პრობლემები.

შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიების საწყის ეტაპზევე გამოკითხავს სავარაუდო დაზარალებულს და სხვა ნეიტრალურ მოწმეებს, ნიშნავს ექსპერტიზებს და ცდილობს საქმესთან რელევანტური ვიდეოჩანაწერების მოპოვებას. თუმცა, სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაში მხილებული პოლიციელებისა და თუ სხვა მოხელეების გამოკითხვებს ატარებს ყველა სხვა მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ. აღნიშნული ვლინდება სისტემურად თითქმის ყველა საქმეში და შესაძლოა აიხსნას გამოძიების სტრატეგიით. თუმცა, რიგ შემთხვევაში ხსენებულ პირთა გამოკითხვები გვიანდება და ჩატარებულია გამოძიების დაწყებიდან 8 თვიდან 1 წელზე მეტი დროის ინტერვალში.[93] შედეგად, მოწმეთა ნაწილი მიუთითებს, რომ ფაქტის ირგვლივ დეტალებს ვერ იხსენებს, დიდი დროის გასვლის გამო.[94]

საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლავ ფიქსირდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ექსპერტიზის დაუსრულებლობის საკითხი. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში 2022 წლის 24 იანვარს დანიშნული საინფორმაციო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით (თითქმის 1 წლის გასვლის შემდეგ) გამოძიებას მიღებული არ ჰქონდა.[95]

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების საწყის ეტაპზევე გამოთხოვილია/ამოღებულია საქმისთვის რელევანტური ვიდეოჩანაწერები, მათი დათვალიერების ოქმის გაფორმება რიგ შემთხვევებში დროში გაჭიანურებულია. კერძოდ, ვიდეოჩანაწერების ამოღებიდან/ გამოთხოვიდან 8 თვიდან - 1 წლისა და 6 თვის დროის ინტერვალია გასული დათვალიერების ოქმების გაფორმებამდე.[96] აღნიშნულს, შესაძლოა, ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, რადგან, სავარაუდოდ, ჩანაწერი გამომძიებელს ნანახი აქვს და არ დასტურდება არასათანადო მოპყრობის ფაქტი. მიუხედავად ამისა, ვიდეოჩანაწერის დეტალურად დათვალიერებასა და ოქმის გაფორმებას ერთეულ შემთხვევებში შესაძლოა ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში[97] გამოიკვეთა, რომ ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმის გაფორმების შემდეგ, საჭირო გახდა პოლიციის თანამშრომლის გამოკითხვა, ჩანაწერში მის მიერ ხსენებული ფრაზის გამო. ვიდეოჩანაწერის დეტალური დათვალიერების გაჭიანურების გამო, პოლიციის თანამშრომლის გამოკითხვა მოხდა ფაქტიდან 1 წლის და 3 თვის შემდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკითხვის

---

[93] სს 199250921001 საქმე, სს 199020221002 საქმე, სს 199151121002 საქმე, სს 199280620001 საქმე, სს 199080720002 საქმე.
[94] სს 199080720002 საქმე, სს 199280620001 საქმე.
[95] სს 199190221002 საქმე. მითითებულ საქმეზე გამოძიება გრძელდება.
[96] სს 199270221001 საქმე, სს 199020721002 საქმე, სს 199080720002 საქმე.
[97] სს 199080720002 საქმე.

დაგვიანებას საქმის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა მომავალში იმავე პრაქტიკის გაგრძელებამ შესაძლოა დააზიანოს გამოძიების ინტერესი.

დამატებით, საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებში/შენობებზე დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების მოპოვება ზოგიერთ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება, რადგან მყარ დისკზე ჩანაწერი არ იძებნება.[98] ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში ჩანაწერების მოპოვების პრობლემა, მათი წაშლის გამო, არსებობს კერძო ობიექტების ვიდეოჩანაწერების მიმართაც.[99] აღნიშნული ფაქტები ადასტურებს პრობლემის სიმწვავეს, რაზეც ჯერ კიდევ ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორი და სახალხო დამცველი მიუთითებდნენ საკანონმდებლო წინადადებებში[100], კერძოდ, კანონით არ არის გაწერილი დამატებითი გარანტიები მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვებისა და დაცვის/შენახვის უზრუნველსაყოფად.

საქმეების შესწავლის შედეგად, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში საგამოძიებო მოქმედებების (მოწმეთა გამოკითხვები) მოგვიანებით ჩატარება, თუ მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმების გაფორმება. ხსენებულ საქმეებში, გარდა ერთი სისხლის სამართლის საქმისა[101], პროკურორის წერილობითი მითითებები საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად ჩატარებასთან დაკავშირებით არ ყოფილა. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში გამოიკვეთა საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების დაგვიანებით გაფორმების შემთხვევები.[102]

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიებები ძირითადად პასუხობენ საერთაშორისოდ დადგენილ ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს, რაც ხაზგასმით მისასალმებელია, აპარატის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ცალკეულ მკაფიოდ ნეგატიურ შემთხვევებს. კერძოდ, დეტალურად წარმოვადგენთ სახალხო დამცველის აპარატის მიერ საგამონაკლისო წესით გაცნობილი ერთი არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმის შესწავლის შედეგებს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მოცემული საქმე, ისევე როგორც სიცოცხლის უფლების თავში განხილული ირანის რესპუბლიკის ყოფილი მოქალაქის/ყოფილი მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიება, ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. ორივე საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეა და მიგვაჩნია, რომ ამ საქმეთა გამოძიების მიმართ სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია და მიწოდებული რეკომენდაციები, დაეხმარება სამსახურს სამომავლოდ თავიდან აირიდოს მსგავსი საყურადღებო ხარვეზები. გარდა ამისა, ამავე თავში განვიხილავთ კიდევ ერთ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეს (გ.ნ.-ს საქმე), რომელზეც მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ (ამ შემთხვევაში სპეციალური საგამოძიებო

[98] სს 199080921002 საქმე, სს 199110322002 საქმე, სს 199010521001 საქმე.
[99] სს 199070420002 საქმე.
[100] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 მაისის N15/4736 და 2022 წლის 3 ნოემბრის N15/11047 წინადადებები.
[101] სს 199261021001 საქმე.
[102] სს 199210521001 საქმე, სს 199030221001 საქმე, სს 199201220002 საქმე.

სამსახურის მანდატით) უარი თქვა პოზიტიური ვალდებულის შესრულებაზე, რაც გამოძიების დაწყებისა და ჩატარების ვალდებულებას გულისხმობს.

ტრანსგენდერი ქალი პატიმრის საქმე

აპარატი გაეცნო ტრანსგენდერი ქალი პატიმრის საქმეს, რომლის მიმართ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში სავარაუდოდ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს.

ყოფილი პატიმარი მიუთითებდა დანაშაულებრივი მოპყრობის რამდენიმე ეპიზოდზე N8 დაწესებულების თანამშრომლებისა და მათ შორის, დაწესებულების დირექტორის მხრიდან. აპელირებდა, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ფიზიკურ ძალადობაზე.

მიუთითებდა ოთხ სხვადასხვა ეპიზოდზე. (1) აცხადებდა, რომ დაწესებულებაში შესახლებამდე ატარებდა გრძელ თმასა და ფრჩხილებს, იღებდა ჰორმონალურ პრეპარატებს და ჰქონდა მკერდი. აღნიშნულის ნიადაგზე, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისას, სავარაუდო მსხვერპლის გადმოცემით, თანამშრომლები ექცეოდნენ ცინიკურად, მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით. ასევე, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უსაფრთხოების მოტივით, შეაჭრეს თმა და ფრჩხილები. მსხვერპლის თქმით, მისთვის ეს ყოველივე იყო დამამცირებელი, ჰქონდა მძაფრი შეგრძნებები. ასევე, მოსთხოვეს გაშიშვლება, რადგან უნდა შეემოწმებინათ, ხოლო ამ დროს ოთახში შემოდიოდნენ სხვადასხვა პირები, რომლებსაც შემოწმებასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, მას უყურებდნენ და დამცინავ ფრაზებს ამბობდნენ. (2) მეორე ეპიზოდში, ყოფილი პატიმრის გადმოცემით, სცემა დირექტორის მოადგილემ წყლით სავსე ბოთლებით, ცემის შედეგად კი ბოთლი მოხვდა პირზე და ჩამოუგდო სამი კბილი (იმპლანტები). (3) მესამე ეპიზოდში ძალადობას დაექვემდებარა იმის გამო, რომ საკანში მის გარდა იყო 3 სხვა პატიმარი, თუმცა ჰქონდათ ორი ლეიბი. იმის გამო, რომ მოითხოვა დამატებით ლეიბის მიწოდება, თანამშრომლებმა ჩაიყვანეს სხვა საკანში, სადაც არ იყო განთავსებული ვიდეოკამერები. ორმა თანამშრომელმა წააქცია და ურტყეს ფეხები და ხელები, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც. (4) მეოთხე ეპიზოდში კი ჯოხით სცემეს იმის გამო, რომ ითხოვდა მედიკამენტებს.

გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაიწყო 2020 წლის ივლისში. იმ წელს საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობდა და იმ დროისთვის უმეტესად საჭირო საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა. თუმცა, გამოძიებამ 2021 წელს არაფერი გააკეთა თავად ამ მსხვერპლი პატიმრის განაჩენების გამოთხოვის გარდა. შემდეგ გამოძიება განაგრძო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, რომელმაც დაწესებულების თანამშრომელთა ნაწილი გამოკითხა 2022 წლის აპრილში. აპრილის შემდეგ კი, 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, სხვა მოქმედება ჩატარებული არ არის. ამასთან, არ არის თვალსაჩინო, თუ რატომ არის გამოძიება შეჩერებული.

ნიშანდობლივია, რომ გამოძიებაზე ჩასატარებელია არაერთი დამატებითი საგამოძიებო მოქმედება. გამოსაკითხი არიან მსხვერპლის თანამესაკნეები; გამოსაკითხია ის პირები,

ვინც დაწესებულებაში შესახლებისას მოახდინეს მსხვერპლის შემოწმება-დათვალიერება, მათ შორის სამედიცინო პერსონალი; გამოსაკითხია დაწესებულების არაერთი თანამშრომელი; გამოსაკითხია ელექტრონულ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი (ე.წ. „პულტების" ოთახის) თანამშრომლები, ვინაიდან სრული ვიდეომასალის მოპოვება ვერ მოხერხდა და სხვა.

გ.ნ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2022 წელს ინდივიდუალურად შესწავლილი საქმეებიდან, აღსანიშნავია გ.ნ-ს საქმე. საქმე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას განეკუთვნება და სამწუხაროდ, სახალხო დამცველის პოზიციით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მოცემულ საქმესთან მიმართებით არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულფასოვნად. კერძოდ:

2022 წლის 22 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ ბრალდებულ გ. ნ-ს. ბრალდებულს სახეზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის დროს, მან დააფიქსირა, რომ არ სურს შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირება და არ წარმოადგინა პრეტენზია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიმართ, მის სახეზე არსებული დაზიანებების სიმრავლე და სიმძიმე აშკარა ეჭვს ბადებდა მის მიმართ შესაძლო ძალადობის ან/და არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატმა მიზანშეწონილად მიიჩნია, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით დაეწყო ბრალდებულის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლა.

საკითხის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმმაც ჩატარებული პირველადი შემოწმების დროს და ბრალდებულის პოზიციის მიუხედავად, მის მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე ტელეფონითა და წერილობით შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[103] შეტყობინება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გააგზავნა №3 პენიტენციური დაწესებულების მთავარმა ექიმმაც.[104] ბრალდებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი განცხადება გაკეთდა გ. ნ-ს ადვოკატების მიერ.[105] ინფორმაცია გაჟღერდა ასევე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რა დროსაც მოსამართლემ სხდომაზე განაცხადა, რომ „...სასამართლო, სხდომის დასრულებისთანავე, პირველივე სამუშაო დღეს, მიაწვდის ინფორმაციას სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც დეტალურ

[103] ინფორმაცია მოპოვებულია გ.ნ.-ს თაობაზე იზოლატორში არსებული დოკუმენტების შემოწმების შედეგად.
[104] შეტყობინება გაიგზავნა 2022 წლის 23 სექტემბერს, 00:57 საათზე.
[105] იხ. < https://bit.ly/3SNq40x >; < https://bit.ly/3CR9ebw >; < https://bit.ly/3CR9hnI> .

ინფორმაციას მოიძიებს და შემდგომ გადაწყდება საკითხი, დადგინდება, თუ რა მდგომარეობაში, რა გარემოში მიიღო ეს დაზიანება და მოხდა თუ არა რაიმე კუთხით ბრალდებულის უფლებების დარღვევა".[106]

ამ მიმართულებით განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა თავდაპირველად მიმართა[107] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

უწყებიდან მიღებული პასუხით[108] სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან შემოსულ შეტყობინებასთან დაკავშირებით, იმავე დღეს ჩატარებული გასაუბრებისას, გ.ნ-მ მიუთითა, რომ სხეულზე არსებული დაზიანებები მიიღო დაკავებისას, თუმცა მის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა პოლიციელების მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში მითითებულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

მართალია, გ.ნ-ს შემთხვევაში, დამკავებელი სამართალდამცავი ორგანო აფიქსირებს პოზიციას, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ძალა აუცილებელი იყო მისი დაკავებისთვის და შესაბამისად, დაზიანებები, რომლებიც მას აღენიშნებოდა, სწორედ დაკავების პროცესში მიიღო და თავად ბრალდებულიც არ აფიქსირებდა არანაირ პრეტენზიას მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე, გ.ნ.-ს სხეულზე არსებული მრავლობითი დაზიანებების სიმძიმის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო, ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარების გზით, პასუხი გასცემოდა ყველა კითხვას, რომელიც არსებობს გ. ნ.-ს დაკავებასთან და მის მიმართ დაკავების დროს გამოყენებული ძალის პროპორციულობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი სტანდარტით, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის იმ პირთა საქმეებშიც, რომლებიც დაზიანებას იღებენ დაკავების პროცესში. სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ დაპატიმრების დროს ძალის გამოყენების პროცესი არ მიმდინარეობდა გადაჭარბებული სიმკაცრით.[109]

ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პირი სხეულის დაზიანებას იღებს დაკავებისას ან პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, ყოველი ასეთი დაზიანება წარმოშობს ძლიერ პრეზუმფციას, რომ ადამიანი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, წარმოადგინოს ჯეროვანი ახსნა-განმარტება, თუ

---

[106] იხ. < https://bit.ly/3Thlvuf >

[107] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 23 სექტემბრის №15-13/9620 წერილი

[108] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის SIS 9 22 00011978 წერილი.

[109] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე Rehbock v. Slovenia, №29462/95, §§ 65-78, 28.11.2022, Mikiashvili v. Georgia, №18996/06, §73, 09.10.2012; Dvalishvili v. Georgia №19634/07, §42, 18.12.2012.

რამ გამოიწვია დაზიანებები. სახელმწიფოს მიერ მსგავსი განმარტების წარმოუდგენლობა აშკარად წარმოშობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხს.[110]

ანალოგიურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც გამოძიების დაწყების აუცილებლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ მაშინაც კი, როცა საჩივარი, როგორც ასეთი, არ არის შეტანილი, აუცილებელია გამოძიების დაწყება, თუ არსებობს საკმარისად ზუსტი მონაცემები, რომლებიც იძლევა ფიქრის საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან არასათანადო მოპყრობას. ამ კონტექსტში, სისწრაფისა და გონივრული გულმოდგინების მოთხოვნა აშკარაა.[111]

აუცილებელია დასახელებული სტანდარტების გათვალისწინება, მით უფრო იმის ფონზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ან/და ძალის გადამეტებისა თუ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებზე გამოძიების დაწყების წინაპირობად უშუალოდ სავარაუდო მსხვერპლის მხრიდან საჩივრის წარდგენას. სავარაუდო მსხვერპლმა, ბევრი გარემოების გამო, შესაძლოა ვერ ან არ ითანამშრომლა გამოძიებასთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ სავარაუდო მსხვერპლი სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშაა და არა - თავისუფლებაზე მყოფი.

მიუხედავად ამისა, როდესაც სახეზეა მრავლობითი დაზიანებები, მით უფრო, საეჭვო ლოკაციებზე (მაგ., თვალბუდის არეში), ამავდროულად დაზიანებები თავისი ხარისხისა და სიმრავლის გამო, სულ მცირე, ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ექიმის მიერ ფასდება ძალადობაზე საეჭვოდ, საგამოძიებო სამსახურმა უნდა ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება და გამორიცხოს ან დაადასტუროს ეჭვი არასათანადო მოპყრობასა თუ არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა წინადადებით[112] მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ბრალდებულ გ. ნ.-ს მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა უსაფუძვლოდ მიიჩნია სახალხო დამცველის პოზიცია და გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით კვლავ იგივე პოზიცია დააფიქსირა.[113]

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა და ეფექტიანი მუშაობა სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების

[110] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Colibaba v. Moldova, №29089/06, §43, 23.10.2007.
[111] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეებზე: Aliev v. Georgia, №522/04, §100, 13.01.2009; Ilhan v. Turkey, [GC], №22277/93, §63, 27/06/2000.
[112] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 19 ოქტომბრის №15-13/10467 წინადადება.
[113] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 4 ნოემბრის №SIS 0 22 00014255 პასუხი.

თვალსაზრისით სახელმწიფოს ერთ-ერთი ვალდებულებაა, რის შესახებაც წლების განმავლობაში სახალხო დამცველი, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტები მიუთითებდნენ. სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ სამსახურს გამოძიების დამოუკიდებლად, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობა პროკურატურისგან ნებართვის მოპოვების გარეშე ჰქონოდა. მის რეკომენდაციას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა წარმოადგენდა.[114]

2022 წლის მაისსა და ნოემბერში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროცესში სახალხო დამცველმა წინადადებებით[115] მიმართა პარლამენტს. უნდა აღინიშნოს რამდენიმე პოზიტიური ცვლილება, როგორიცაა: სამსახურის გამომძიებლისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება; დაცვის სპეციალური ღონისძიების ეფექტიანი გამოყენებისთვის პროკურორისთვის წინადადებით მიმართვის შესაძლებლობა. გაიზარდა სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით კონვენციის დარღვევის დადგენის შემთხვევაში დანაშაულის, ასევე, სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში გამოვლენილ განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების, უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბის, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის ფაქტებზე გამოძიების ჩატარება. ხსენებული პრობლემის საკანონმდებლო რეგულაციით აღმოფხვრის საჭიროებაზე მიუთითებდა სახელმწიფო ინსპექტორიც და სახალხო დამცველიც, შესწავლილი საქმეების[116] ფონზე.

დადებითი ცვლილებების მიუხედავად, პარლამენტმა არ გაითვალისწინა სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები, რომელთა მიღების საჭიროებასა და აუცილებლობაზე მითითებული იყო ეუთო/ოდირის შეფასების დოკუმენტში. კერძოდ, ეუთო/ოდირის დასკვნის მიხედვით, სამსახურის საგამოძიებო მანდატი უნდა გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე; ამასთან, უწყების საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება სამართალდამცავების მიერ (გარდა პროკურორისა) განზრახი მკვლელობის, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების, ძალადობის, გაუპატიურების და ტრეფიკინგის, მუქარის ფაქტებზე. გაუგებარი რჩება, რატომ უნდა იყოს გამორიცხული პროკურორების მიერ ხსენებულ მძიმე დანაშაულთა გამოძიება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომპეტენციიდან.

---

[114] იხ. < shorturl.at/fPSW6 > (ბოლოს ნანახია: 2022 წლის 19 ოქტომბერს).

[115] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 მაისის N15/4736 და 3 ნოემბრის N15/11047 წინადადებები.

[116] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წ. საქმიანობის ანგარიში, გვ. 26-27 https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 მაისის N15/4736 წინადადება.

გარდა ამისა, ეუთო/ოდირი მიუთითებდა, რომ სამსახურს დაემატა მთელი რიგი დანაშაულების გამოძიება (სიტყვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, საარჩევნო დანაშაულები), რომლებიც მანდატის მიღმაა. მანდატის გაფართოება დამატებით დანაშაულებებზე და მათ პოტენციურად გავრცელებას ნებისმიერი ინდივიდის მიერ ჩადენილ ქმედებებზე სერიოზულად ამცირებს უწყების ყურადღებას სამართალდამცავების დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ძალიან ფართო იურისდიქციამ შეიძლება შეამციროს გამოძიების ეფექტიანობა ან/და გამოიწვიოს ნაკლები ყურადღება სერიოზულ დანაშაულებზე. დამატებით შეშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ მანდატის გაზრდის მიუხედავად დამატებითი რესურსები არ ყოფილა გათვალისწინებული. აუცილებელია, საგამოძიებო ორგანო აღჭურვილი იყოს საკმარისი რესურსით. ასევე, საჭიროდ მიიჩნევენ სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა ნუსხიდან სსკ-ის 153-159, 162-163 და 164[4] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ამოღებას.

საგულისხმოა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც[117] მიუთითებს საგამოძიებო ქვემდებარეობის გაზრდით დატვირთვის გაცილებით გაზრდაზე. სამსახურისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საკმარისი საბიუჯეტო რესურსის არარსებობა. სამსახურმა საკანონმდებლო წინადადებით[118] მიმართა პარლამენტს, სადაც მზადყოფნას გამოთქვამს, თავიდან განისაზღვროს და ხელახლა ჩამოყალიბდეს საგამოძიებო ქვემდებარეობა და გამოსაძიებლად გადაეცეს მხოლოდ სამსახურის მიზნებთან, გამოწვევებთან და რესურსებთან თანხვედრაში არსებული დანაშაულების გამოძიება. მიუხედავად ამისა, ხსენებული დანაშაულების გამოძიება, ნებისმიერი პირის მხრიდან ჩადენის შემთხვევაში, კვლავ სამსახურის ქვემდებარეობას განეკუთვნება. ერთადერთი ცვლილება, რაც ამ თვალსაზრისით პარლამენტმა გაიზიარა, კერძოდ, საარჩევნო დანაშაულების გამოძიება, სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებას მიკუთვნება მხოლოდ სამართალდამცავი პირების მხრიდან ჩადენის შემთხვევაში.

გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებები არ მოიცავდა ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის საკმარის გარანტიებს, რაზეც, მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინადადებაში იყო აღნიშნული და სახალხო დამცველიც[119] იზიარებდა. კერძოდ, არ არის განსაზღვრული საქმის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ სამსახურის მოთხოვნის განხილვის შემჭიდროვებული ვადები და პროკურორის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება; არ მომხდარა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ სამსახურის დასაბუთებული წინადადებების განხილვის ვადების შემცირება, ასევე, პროკურორის გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება; არ არის გაწერილი დამატებითი გარანტიები მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვებისა და დაცვის/შენახვის უზრუნველსაყოფად, ხოლო სამსახურის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში -

[117] იხ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 6 თვის საქმიანობის ანგარიში, გვ. 5, 36. https://cutt.ly/ONEgElG [ბოლოს ნანახია: 2022 წლის 28 ოქტომბერს].
[118] იხ.<https://t.ly/loGI > [ბოლოს ნანახია: 2022 წლის 28 ოქტომბერს].
[119] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 მაისის N15/4736 წინადადება.

უარის დასაბუთების ვალდებულება; კვლავ არ აქვს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესვლის უფლებამოსილება. სამწუხაროდ, ხსენებული საკითხები კანონმდებლობაში არ აისახა და სერიოზულ გავლენას ახდენს სამსახურის ეფექტურობაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების საკითხი. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა, 4 დღის ვადაში, დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, უფლებამოსილება შეუწყდათ სახელმწიფო ინსპექტორსა და მის მოადგილეებს.[120]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ[121] არაკონსტიტუციურად ცნო მხოლოდ კანონის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლებას ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების გარეშე ან სამართლიანი კომპენსაციის მიუცემლად; ხოლო კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია ნორმები, რომლითაც 2022 წლის 1 მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და დამატებული საქმეების საგამოძიებო ქვემდებარეობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლების განსაზღვრა მნიშვნელოვანია რეფორმის მართებულად გაანალიზებისა და ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა კონსტიტუციით გარანტირებული - არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლების თვალსაზრისით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - ხსენებულ ფაქტებზე გამოძიება აწარმოოს ინსტიტუციურად და პერსონალურად მიუკერძოებელმა და დამოუკიდებელმა უწყებამ. საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმება საკონსტიტუციო სასამართლომ ვიწროდ, მხოლოდ მისი ხელმძღვანელის კომპენსაციის გარეშე დატოვების ჭრილში განიხილა და უარი თქვა სისტემური პრობლემის აღნიშვნაზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ავტონომიის დაცვის აუცილებლობას არა მხოლოდ დემოკრატიის განვითარებისთვის, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად და მიიჩნია, რომ „განსაკუთრებით საყურადღებოა დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოთა ავტონომიის დაცვის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში მაშინ, როდესაც ისინი თავისუფალნი უნდა იყვნენ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნებისმიერი ხელყოფისა და პოლიტიკური გავლენისგან, რომელიც შესაძლოა მათთან მიმართებით არსებობდეს." მიუხედავად ამისა, სასამართლომ

[120] ცვლილებები ძალაში 2022 წლის 1-ლი მარტიდან შევიდა.

[121] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის N1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე: „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

სამსახურის გაუქმების, საგამოძიებო ქვემდებარეობის გაფართოების საკითხები რედაქციულ ცვლილებად აღიქვა და საკმარისად მიიჩნია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა საქმეებზე საგამოძიებო ორგანოდ განისაზღვრა 2022 წლის 1 მარტიდან.

ამის საწინააღმდეგოდ, ეუთო/ოდირის შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება იყო ნაჩქარევი, კანონის უზენაესობის ხელყოფისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების საფრთხეს ქმნის და საშიშ პრეცედენტს წარმოადგენდა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე, არასათანადო მოპყრობისა და დაკავებულ პირთა გარდაცვალების საქმეთა გამოძიებაზე.[122] შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი შეხედულებით და ყოველგვარი დასაბუთების გარშე, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე გამოძიების მწარმოებელი დამოუკიდებელი უწყების ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობის დაშვება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმების მხოლოდ საკანონმდებლო რედაქციულ ცვლილებად განხილვა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს.

ნინოწმინდის პანსიონის ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება

გასული წლის ანგარიშში სახალხო დამცველი მიუთითებდა ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელი ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არსებითი ხარვეზებით გამოძიების შესახებ. 2021 წელს, საქმეების გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველმა წინადადებით[123] მიმართა გენერალურ პროკურორს ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე. სახალხო დამცველმა მოითხოვა პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის სისტემური გამოძიების წარმართვა სსკ-ის 144[3] მუხლით, რადგან საქმეებში იკვეთება თითქმის ყველა ბავშვის მიმართ გამოყენებული, პერმანენტული ხასიათის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ძალადობრივი მეთოდები, რის გამო სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) კვალიფიკაცია არასაკმარისია. ასევე, გამოძიების სისტემურად წარმართვა, არა ერთეულ ეპიზოდებად დაცალკევება, არამედ ყველა საქმის გაერთიანება, შსს-ს სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის გამოსაძიებლად გადაცემა, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად და სრულყოფილად ჩატარება, პანსიონში მომხდარი ფაქტების სრულყოფილი შესწავლა და მტკიცებულებების ერთიანად მოპოვება.

აპარატის მიერ შესწავლილი 4 საქმიდან - 3 საქმეზე გამოძიება ძალადობის ფაქტზე (სსკ-ის 126-ე მუხლი) მიმდინარეობდა, ხოლო 1 საქმეზე - გაუპატიურების ფაქტზე (სსკ-ის 137-ე

[122] იხ. < https://www.osce.org/files/f/documents/d/1/512728.pdf >

[123] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 12 დეკემბრის N15-5/11525 წინადადება.

მუხლი). საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა:[124] სავარაუდო ძალადობის 2 საქმე სხვა საქმესთან გაერთიანდა, სავარაუდო ძალადობის 1 ფაქტზე გამოძიება შეწყდა, ხოლო სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე გამოძიება გაგრძელდა დამოუკიდებელ ეპიზოდზე; ამასთან, გაერთიანებული საქმე შსს-ს სხვა დანაყოფს გადაეცა. უწყების განმარტებით, მიმდინარე საპროცესო მოქმედებების შედეგების გათვალისწინებით და დანიშნული ექსპერტიზების დასკვნების მიღების შემდეგ, მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება საქმის საბოლოო კვალიფიკაციის შესახებ.[125] საქმეებზე გამოძიება გრძელდება კვლავ სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) და პროკურატურის პოზიციით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო, კვალიფიკაცია არ შეცვლილა; დაზარალებულად ცნობილია მხოლოდ 1 პირი, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ არ დაწყებულა.[126] მიუხედავად იმისა, რომ საქმეების გაცნობის შედეგად, იკვეთებოდა ბავშვების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნები, გამოძიება კვლავ მსუბუქი - ძალადობის 126-ე მუხლის 1^1 ნაწილით მიმდინარეობს, რომელზეც გამოძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია.

თემურ აბაზოვის საქმე

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა მიმოიხილა თემურ აბაზოვის საქმე.[127] მარნეულის ყოფილ მერს პირის არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებასა და ამ ქმედების ამსახველი კადრების საჯარო გავრცელების ორგანიზებაში ედებოდა ბრალი. პროკურატურამ სასამართლო პროცესის დასკვნით ეტაპზე წარდგენილი 2 მძიმე ბრალიდან ერთ-ერთი (კადრების გავრცელების ორგანიზება) დაუსაბუთებლად მოხსნა, რითაც სასამართლოს წაართვა ერთ-ერთ დანაშაულზე მსჯელობის შესაძლებლობა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. როგორც ანგარიშში აღინიშნა, ხსენებული ქმედება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სამართლებრივ ლოგიკას და განსაკუთრებით საეჭვო იყო, რომ აღნიშნულ ნაწილში ბრალის მოხსნა მოხდა სასამართლო პროცესის მიწურულს, როდესაც ყველა მტკიცებულება უკვე გამოკვლეული იყო, რაც მიუთითებდა ბრალდებულების მხრიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებასა და გავრცელებაზე. ამასთან, ბრალდების მოხსნის შედეგად, ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის სამართლებრივი პრინციპის გათვალისწინებით, ამგვარ დანაშაულზე სამართლიანობის აღდგენა სამომავლოდაც გამოირიცხა.

---

[124] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 თებერვლის N13/5438 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 23 მარტის NMIA62200758070 წერილები.

[125] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 თებერვლის N13/5438 და 2022 წლის 21 მარტის N13/16205 წერილები.

[126] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 დეკემბრის N13/84256 წერილი.

[127] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 83.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების ბრალდებისა და ძალადობის ნაწილში,[128] რის შემდეგაც სახალხო დამცველი აგრძელებდა სამართალწარმოებაზე დაკვირვებას. 2022 წლის 27 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის საჩივარი და ყველა პირი, მათ შორის, თემურ აბაზოვი, კვლავ სრულად გაამართლა. ხოლო პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდი, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე ბრალდების მოხსნის გამო, ცხადია, კვლავ სამართლებრივი შეფასებისა და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე დარჩა.

2022 წლის 1 ივლისის განჩინებით[129] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად სცნო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი, რითაც ხსენებულ საქმეზე ეროვნულ დონეზე სამართლიანობის აღდგენა, ფაქტობრივად, სრულად გამოირიცხა.

ექსტრადიციის საქმეები

საქართველოდან სხვა ქვეყანაში მოქალაქეთა ექსტრადირების შემთხვევები სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანი სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა თუ სხვა უფლებების მოსალოდნელი დარღვევისგან დაცვის კონტექსტშია. განჭვრეტადი უფლების დარღვევის რისკების არსებობის შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატი ცდილობს ამ რისკებზე გაამახვილოს კომპეტენტური უწყებების ყურადღება, რათა არ მოხდეს ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან უფლებების დარღვევაში თანამონაწილეობა.

ი.ს.-ს საქმე

2022 წელს სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო 2019 წელს საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი.ს-ის საქმის მონიტორინგი. 2020 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა არ გაცემულიყო თანხმობა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი.ს-ს მიმართ დამატებითი ბრალდების წარდგენაზე, მოსალოდნელი სასიკვდილო განაჩენის გათვალისწინებით. 2023 წლის იანვრის მდგომარეობით პროკურატურას კვლავ არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.[130]

ი.ს.-ის ადვოკატის მიერ სახალხო დამცველის აპარატში დამატებით იქნა წარმოდგენილი განცხადებები, სადაც მიუთითებდა რუსეთის ფედერაციის პენიტენციურ დაწესებულებაში ი.ს-ის უფლებათა განგრძობადი დარღვევის საკითხზე. ადვოკატი მიუთითებდა პენიტენციურ დაწესებულებაში მძიმე პირობებზე, აუტანელ ხელოვნურ განათებასა და ბუნებრივი სინათლის მკაცრ შეზღუდვაზე; რეგულარულ, გეგმიურ პირად შემოწმებებზე, რომლებსაც თან ახლდა გაშიშვლება კონკრეტული საფუძვლის გარეშე. განცხადებაში აგრეთვე მითითებული იყო წინასწარი პატიმრობის უვადო გახანგრძლივების პრობლემურობაზე, ადვოკატთან კომუნიკაციის კონფიდენციალურობის

[128] სხვა პირებს გამოძიება დაზარალებულზე ძალადობას ედავებოდა მას შემდეგ, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდში ბრალდება მათ მიმართაც მოიხსნა.

[130] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 17 იანვრის №13/2066 წერილი.

პრინციპის დარღვევასა და ოჯახის წევრებთან შეხვედრისა და დარეკვის შეზღუდვაზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმართა რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარს[131] და ითხოვა დასახელებული შესაძლო უფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლა.

რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისრის წერილით[132] საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ პენიტენციური დაწესებულების პირობები რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობას შეესაბამება და პირადი შემოწმებაც კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება. ამასთან, მან დაადასტურა, რომ ი.ს.-სთან შემავალი და გამავალი კორესპონდენცია, გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე, აბსოლუტურ მონიტორინგს ექვემდებარება, შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება ადვოკატთან კომუნიკაციაც. რაც შეეხება ოჯახის წევრებთან კომუნიკაციასა და შეხვედრას, ბრალდებულს, 2 წელზე მეტია, მათთან კომუნიკაცია მხოლოდ წერილობით შეუძლია, რაც სრულ მონიტორინგს ექვემდებარება, ხოლო სატელეფონო საუბრისა და პირადი შეხვედრის შესაძლებლობა დღემდე არც ერთხელ ჰქონია. გარდა ამისა, წინასწარი პატიმრობის განუსაზღვრელად გახანგრძლივების საკითხზე რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარმა მხოლოდ ის მიუთითა, რომ მოსამართლეები აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ დამოუკიდებლად.

2022 წლის საქმიანობის ანგარიშში სახალხო დამცველმა ეს შემთხვევა მიმოიხილა[133], როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა და მიუთითა, რომ იმის მიუხედავად, რომ ი.ს-ის ექსტრადიციამდე რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილ ორგანოებს წარმოდგენილი ჰქონდათ ოფიციალური გარანტიები, რომ არ მოხდებოდა მისი ძირითადი უფლებების დარღვევა, რუსეთის ფედერაციამ სრულად უგულებელყო პატიმრის არაერთი, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება.

2023 წელს სახალხო დამცველმა კვლავ მიმართა[134] რუსეთის ადამიანის უფლებათა კომისარს ი.ს-ის უფლებრივი მდგომარეობის დამატებითი მონიტორინგის მიზნით, თუმცა საპასუხო ინფორმაცია ჯერ არ მიუღია. ამგვარად, სახალხო დამცველის აპარატი კვლავ აგრძელებს დაკვირვებას ი.ს-ის უფლებრივ მდგომარეობაზე და, აგრეთვე, აგრძელებს კომუნიკაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან რუსეთის ფედერაციის მხრიდან მიღებული შუამდგომლობის საპასუხო პოზიციის საკითხზე.

ნ. მ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ ნ. მ.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საქმე. მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ ექსტრადიციის

[131] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 4 აგვისტოს N 15-4/7613 წერილი.
[132] რუსეთის ფედერაციის სახალხო დამცველის 2021 წლის 17 დეკემბრის წერილი.
[133] იხ: <https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> გვ. 35-36.
[134] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 3 თებერვლის 15-4/1158 წერილი.

განხორციელება, წარსულში მისი პოლიტიკური საქმიანობისა და ერთ-ერთი სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა მისი წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლებას. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ ის არის ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი.[135]

მიუხედავად, სახალხო დამცველის დასაბუთებული პოზიციისა, სამწუხაროდ, 2022 წლის 17 ივნისს განხორციელდა მსჯავრდებული ნ. მ.-ს ექსტრადიცია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს ნ. მ.-ს უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს აზერბაიჯანის ომბუდსმენთან კომუნიკაციის გზით.[136]

ვ. ა.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს უკრაინის მოქალაქე ვ. ა.-ს რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საქმეს. ხსენებული პირი, რუსეთ-უკრაინის შეირაღებული კონფლიქტის დროს მონაწილეობას იღებდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში. ასევე, მონაწილეობდა უკრაინულ მოხალისეთა ჯგუფების შემადგენლობაში და აქტიურ როლს ასრულებდა უკრაინის არმიის აღჭურვა-მომარაგებაში.[137]

მოცემული საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ვ. ა.-ს რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს წამება ან/და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, კანონმდებლობასთან და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან.

სახალხო დამცველმა 2020 წლის 3 აგვისტოს წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურორს ვ. ა.-ს ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის შესახებ. სამწუხაროდ, პროკურატურას დღემდე არ გაუზიარებია სახალხო დამცველის წინადადება და არ მიუღია ცალსახა გადაწყვეტილება, რომლითაც გამორიცხავდა ვ.ა.-ს რუსეთში გადაცემის მოსალოდნელ პერსპექტივას.[138]

სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში

სამწუხაროდ, დაგვიანებული ან არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების პრობლემა პენიტენციურ სისტემაში გასულ პერიოდშიც კვლავ გამოწვევად რჩებოდა. ჯანდაცვის

---

[135] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, 36-38.

[136] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 1 აგვისტოს N 15-3/7817 წერილის პასუხად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ომბუდსმენის 2022 წლის 13 სექტემბრის 1/24880-22 წერილით გვეცნობა, რომ პრევენციის ეროვნული ჯგუფის წევრებმა მოინახულეს ნ. მ. მას მოპყრობასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გამოუთქვამს.

[137] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, 25.

[138] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 16 იანვრის №13/1916 წერილი.

მიმართულებით გამოვლენილი სისტემური ხარვეზების პარალელურად, სახალხო დამცველის აპარატს შესწავლილი აქვს არაერთი საქმე, სადაც კონკრეტული პატიმრებისთვის არადროული ან არაშესაბამისი სამედიცინო სერვისის მიწოდების ფაქტი დასტურდება.

პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.[139]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[140]

აღნიშნულის მიუხედავად, წინა წლების მსგავსად, 2022 წლის განმავლობაშიც, პენიტენციური დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების უმეტესობა კვლავ სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობის, ხელმისაწვდომობისა და დროულად უზრუნველყოფის პრობლემებს შეეხებოდა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ ამ მიმართულებით შესწავლილ საქმეებში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების გაჭიანურებამ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.

გაჭიანურებული რეფერალი

შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის გაჭიანურების ერთ-ერთი მაგალითია მსჯავრდებულ ე.მ.-ს შემთხვევა, რომელიც რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში ოპერაციული მკურნალობის მიზნით დარეგისტრირდა 2021 წლის 28 ივლისს,[141] თუმცა 17 თვის შემდგომაც, პაციენტს ხსენებული სამედიცინო მომსახურება კვლავ არ ჰქონდა ჩატარებული.[142] სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს მითითებული საქმის შესწავლას.

---

[139] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, §40.2.

[140] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Bujak v. Poland, 2017, 686/12, § 68.

[141] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 5 ნოემბრის №264213/01 წერილი.

[142] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 23 დეკემბრის №374285/01 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ასევე მსჯავრდებულ ჯ.ც.-ს საქმეს, რომელსაც 2022 წლის 5 ნოემბერს ჩაუტარდა ნევროლოგის კონსულტაცია, დაესვა დიაგნოზი და გაიცა რეკომენდაცია შემდგომ მომსახურებაზე, თუმცა 2023 წლის 20 იანვრის მდგომარეობით რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში მსჯავრდებულის რიგითი ნომერი ჯერ კიდევ 1 196 იყო.[143]

ამავე მიმართულებით, მნიშვნელოვანი იყო საანგარიშო პერიოდში შესწავლილი მსჯავრდებულ გ.ზ.-ს საქმე, რომელიც ექიმ-პარადონტოლოგის კონსულტაციის ჩატარების მიზნით რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირებული იყო ჯერ კიდევ 2020 წლის 5 ნოემბერს,[144] ხოლო დაგეგმილი კონსულტაცია ჩაუტარდა 2022 წლის 16 მაისს[145] სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი მიმართვების შემდგომ.[146]

ოპერაციული მკურნალობის თითქმის ერთწლიანი გაჭიანურების შემთხვევა დაფიქსირდა მსჯავრდებულ გ.კ-ს შემთხვევაში. პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული პასუხებით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ პაციენტი დარეგისტრირებული იყო რეფერალის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში და მომსახურება გაეწეოდა გონივრულ/შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადაში.[147] აღნიშნულის მიუხედავად, მსჯავრდებულთან თავდაპირველი შეხვედრიდან 5 თვის გასვლის შემდეგაც, გ.კ. კვლავ იგივე ჩივილებს წარმოადგენდა.[148]

არსებული გარემოებების საფუძველზე, მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტები, მის მიერ წარმოდგენილ ჩივილებთან ერთად შეაფასა სახალხო დამცველის აპარატის ექიმ-ექსპერტმა, ხოლო მისი მოსაზრების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულისთვის კონკრეტული სამედიცინო მომსახურებისა და ოპერაციული მკურნალობის დროულად ჩატარებასთან დაკავშირებით.[149]

- დ.ბ.-ს საქმე

სხვა საქმეებისგან განსხვავებული იყო აპარატის მიერ შესწავლილი მსჯავრდებულ დ.ბ.-საქმე, სადაც დაგეგმილი სამედიცინო მომსახურება არა მხოლოდ გაჭიანურდა, არამედ,

---

[143] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 20 იანვრის №15282/01 წერილი.
[144] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2020 წლის 5 ნოემბრის №267076/01 წერილი.
[145] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 18 მაისის №143598/01 წერილი.
[146] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 16 მარტის №15-13/2810 და 2022 წლის 27 აპრილის №15-13/4441 წერილები.
[147] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 18 ნოემბრის №276797/01 და 2022 წლის 6 იანვრის №3648/01 წერილები.
[148] 2022 წლის 1 აპრილის შეხვედრის ოქმი.
[149] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის №15-14/4806 წინადადება.

საბოლოოდ მას უარი განუცხადეს სამოქალაქო კლინიკაში გაყვანაზე უსაფრთხოების მოტივით.

მსჯავრდებულის საქმის შესწავლის დაწყების შემდგომ სახალხო დამცველის აპარატმა გაარკვია, რომ დ.ბ. მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარი ხარჯით სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გეგმიური წესით მომსახურების მიღების მიზნით, რეფერალის სამედიცინო პროგრამაში დარეგისტრირდა 2022 წლის 3 თებერვალს, თუმცა 2022 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით მისი რიგითი ნომერი ჯერ კიდევ 143 იყო.[150]

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მისი მოლოდინის პერიოდი გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებაზე მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ერთთვიან მოლოდინის პერიოდს,[151] მომსახურების გაჭიანურების მიზეზის დაზუსტების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა სამედიცინო დეპარტამენტს.[152]

საბოლოოდ, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ პენიტენციური დეპარტამენტის მოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დ.ბ.-ს სტომატოლოგიურ კლინიკაში გაყვანა შეიცავდა გარკვეულ რისკებს უსაფრთხოების თვალსაზრისით, რის გამოც მოცემული რეფერალი ვერ განხორციელდებოდა. ამასთანავე, პასუხში ცნობისთვის იყო მითითებული, რომ პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით, შესაძლებელი იყო მოთხოვნილი სტომატოლოგიური მომსახურების ჩატარების მიზნით, შესაბამისი პროფილის სპეციალისტის მიწვევა (შეყვანა) პენიტენციურ დაწესებულებაში, საკუთარი ხარჯით.[153]

მოცემული საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებული სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გეგმიური წესით მომსახურების მიღების მიზნით, რეფერალის სამედიცინო პროგრამაში მომლოდინეთა სიაში იყო 7 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. უსაფრთხოების საკითხის გადამოწმება კი პენიტენციური დეპარტამენტის მიერ განხორციელდა დაახლოებით 2022 წლის ოქტომბერში.[154] დ.ბ. უსაფრთხოების საკითხის დროულად გარკვევისა და მისი ინფორმირების შემთხვევაში, მსჯავრდებული 7 თვის განმავლობაში არ იქნებოდა უსაფუძვლო მოლოდინის რეჟიმში, მაღალი ალბათობით

---

[150] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 3 აგვისტოს №229794/01 წერილი.

[151] „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანება, მუხ. 8, პ. 4.

[152] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 12 აგვისტოს №15-13/8239 და 2022 წლის 26 სექტემბრის №15-13/9650 წერილები.

[153] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 21 ოქტომბრის №310086/01 წერილი.

[154] სახალხო დამცველის აპარატს ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით 2022 წლის 21 ოქტომბერს მიეწოდა.

დააკორექტირებდა მოთხოვნას და გამოიყენებდა შესაბამისი პროფილის სპეციალისტის პენიტენციურ დაწესებულებაში მიწვევის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი საქმეებიდან, რამდენიმე შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატმა მოითხოვა დაგეგმილი რეფერალის დაჩქარება:

- ჯ.დ.-ს საქმე

ბრალდებულ ჯ.დ.-ს 2022 წლის 19 მარტს დაუდგინდა დიაგნოზი: სმენის დაკლება. დაენიშნა აუდიომეტრიული გამოკვლევა, რისთვისაც დარეგისტრირდა რეფერალების ელექტრონულ ბაზაში 2022 წლის 28 მარტს გეგმიური წესით.[155] 2022 წლის 25 აგვისტოს განმეორებითი კონსულტაციის შედეგად დაესვა დიაგნოზი: სენსონევრალური სმენის დაქვეითება ორმხრივი, დაუზუსტებელი. მიღებული იქნა რეკომენდაცია აუდიომეტრიისა და ტიმპანომეტრიის სასწრაფო-დაყოვნებულ რეჟიმში ჩატარების შესახებ და რეფერალის წესი, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვების[156] შემდეგ გეგმიურიდან გადაყვანილ იქნა სასწრაფო-დაყოვნებულ რეჟიმზე.[157] პატიმარს აუდიომეტრიული კვლევა ჩაუტარდა 15 დეკემბერს, დაუდგინდა დიაგნოზი: ორმხრივი სენსონევრალური სმენის დაქვეითება და რეკომენდებულ იქნა სმენის აპარატი.[158]

- დ.გ.-ს საქმე

მსჯავრდებულ დ.გ.-ს 2022 წლის 14 მაისს ჩატარებული ნევროლოგის კონსულტაციით დაესვა დიაგნოზი, დაენიშნა და ჩაუტარდა მედიკამენტური მკურნალობა. რეკომენდებულ იქნა ნეიროქირურგის კონსულტაცია, რისთვისაც დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში.[159]

აპარატის ექიმის, მედიცინის დოქტორის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აღინიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტს უგრძელდებოდა ტკივილი, საჭირო იყო ნეიროქირურგის კონსულტაციის დაჩქარება. შესაბამისად, აპარატის მიმართვის[160] შემდეგ, მოხდა რეფერალის დაჩქარება და მსჯავრდებულს დაგეგმილი სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა სასწრაფო-დაყოვნების წესით.[161]

---

[155] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 23 ივნისის №186535/01 წერილი.

[156] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 5 ივლისის 15-5/6836 და 18 აგვისტოს 15-5/8442 წერილები

[157] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების მთავარი ექიმის 2022 წლის 29 აგვისტოს №254611/01 წერილი.

[158] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 16 იანვრის №11413/01 წერილი.

[159] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 12 აგვისტოს №238334/01 წერილი.

[160] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 აგვისტოს №15-5/8410 წერილი.

[161] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 6 სექტემბრის №262800/01 წერილი.

სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზები

სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმის მიერ მსჯავრდებულ გ.გ.-ს სამედიცინო დოკუმენტების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაძლებელია მსჯავრდებულ გ.გ.-ს დაავადება (მიელოპათია) გამოწვეული იყო აუტოიმუნური პროცესით და მისი დადასტურების შემთხვევაში პაციენტი მწვავე პერიოდში საჭიროებდა შესაბამის მკურნალობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპარატის მიმართვის[162] საფუძველზე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ დაიწყო შპს „ვივამედში" პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა. 2022 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით, სამედიცინო დოკუმენტაცია კლინიკური კუთხით შეფასებისთვის გადაგზავნილი იყო შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტებთან.[163]

ანალოგიურად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე,[164] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო სწავლობს ასევე მსჯავრდებულ გ. ნ.-სთვის კლინიკა „ვივამედში" გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხს.[165]

სახალხო დამცველის აპარატის ექიმის მიერ მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მას მხედველობის პრობლემები აწუხებდა, რის თაობაზეც მიმართა №8 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალს. სახალხო დამცველის აპარატის ექიმის მიერ მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ კლინიკა „ვივამედში", ჩატარებული კვლევები და დასმული დიაგნოზი არ იყო სრულყოფილი. პაციენტს არ გაეწია სათანადო სამედიცინო მომსახურება და ყურადღება არ გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებზე, რომლებმაც, შესაძლოა, გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს დაავადების მიმდინარეობაზე და დროული დიაგნოსტიკისა და დიაგნოზის შესაბამისი სრულფასოვანი მკურნალობის გაწევის შემთხვევაში, შესაძლებელია, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სხვაგვარად განვითარებულიყო - დაავადების პროგრესირება შეჩერებულიყო ან დროში შენელებულიყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატმა, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს გარდა, შემდგომი რეაგირებისთვის ასევე მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვისა და კონტროლის სამმართველოს, გ.ნ.-სთვის სპეციალიზებულ კლინიკაში რეკომენდებული კონსულტაციისა და შესაბამისად, ოპერაციული მკურნალობის დაგვიანებით ჩატარების

[162] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 28 მარტის №15-5/3297 წერილი.

[163] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 24 აგვისტოს №REG82200239763 წერილი.

[164] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 28 ნოემბრის №15-3/11841 წინადადება.

[165] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 22 დეკემბრის №REG 3 22 00683756 წერილი.

მიზეზების, ასევე, მომსახურების გაჭიანურებასა და პაციენტის მხედველობის გაუარესებას შორის შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საკითხის შესწავლის მიზნით.[166] უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად, გ. ნ.-ს უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება.[167]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა პატიმარ კ.ლ-ს საქმეც, რომელსაც, პატიმრის დედის მიერ აპარატში წარმოდგენილი, ექიმის გაცემული ცნობების თანახმად, გაცემული სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციებით ესაჭიროებოდა სამკურნალო დატვირთვის კურსი და სამკურნალო მასაჟი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პენიტენციური სამსახურის პოზიციით, პატიმარ კ.ლ.-ს სარეაბილიტაციო მკურნალობის ჩატარების საკითხზე რეკომენდაცია გაცემული არ იყო.[168]

აპარატის მიმართვის შემდეგ, მსჯავრდებულ კ.ლ.-ს №18 სამკურნალო დაწესებულებაში ჩაუტარდა რეაბილიტოლოგის კონსულტაცია, დაესვა დიაგნოზი, გაიცა რეკომენდაცია და სამედიცინო პროცედურა უტარდებოდა.[169] მოგვიანებით, პატიმარმა განმარტა, რომ ჩატარებული ფიზიოთერაპიული პროცედურების შედეგად მიღებული ეფექტი შემცირებული აქვს და გაუძლიერდა ტკივილი ხერხემლის არეში. აპარატის ექიმის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, პაციენტის ჩივილებიდან გამომდინარე, მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის დასაზუსტებლად, სასურველი იყო მრტ კვლევის ჩატარება. ხოლო მის ჩატარებამდე ფიზიოთერაპიული მკურნალობის შემდეგ გასული დროის გათვალისწინებით შესაძლებელი იყო სამკურნალო პროცედურების განმეორებით ჩატარება. შესაბამისად, აპარატმა მიმართა სამედიცინო დეპარტამენტს.[170]

არასათანადო სამედიცინო მომსახურების პრობლემა გამოიკვეთა მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს საქმეშიც. ბ. ლ. აღნიშნავდა, რომ გულის მიდამოში ტკივილი და ე. წ. ფრიალი აწუხებდა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ ბ.ლ.-ს, სუბიექტური ჩივილების საფუძველზე, არაერთხელ აქვს ჩატარებული კარდიოლოგიური გამოკვლევები და კონსულტაციები. ბოლო კონსულტაციის დროს, კარდიოლოგიური ხასიათის ჩივილებს არ წარმოადგენდა.[171]

განმეორებითი შეხვედრის დროს მსჯავრდებულმა განმარტა, რომ იგივე ჩივილები აწუხებს და ითხოვდა დამატებით გამოკვლევების ჩატარებას.

---

[166] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 21 დეკემბრის №15-3/12741 წერილი.

[167] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №380935/01 წერილი.

[168] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 13 ივლისის №208426/01 წერილი.

[169] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 25 ოქტომბრის №313794/01 წერილი.

[170] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 30 დეკემბრის №15-5/13184 წერილი.

[171] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 21 ოქტომბრის №310203/01 წერილი.

მოცემულ შემთხვევაში, აპარატში დასაქმებულმა ექიმმა, სრულფასოვანი დიაგნოსტიკისთვის მიზანშეწონილად ჩათვალა ეკგ-ს 24 საათიანი მონიტორინგი (ჰოლტერის მონიტორირება) ჩატარება. საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, მსჯავრდებულის შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს,[172] თუმცა, სამწუხაროდ, რეკომენდებული გამოკვლევის ჩატარების ნაცვლად, სამედიცინო დეპარტამენტმა მხოლოდ კარდიოლოგის განმეორებითი კონსულტაციის ჩატარება გადაწყვიტა.[173] მოგვიანებით, ვინაიდან პატიმარი კვლავ წარმოადგენდა ჩივილებს, საჭიროდ ჩაითვალა მისთვის ფიზიკური დატვირთვის ტესტის ჩატარება, რის გამოც მსჯავრდებული დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში.[174] სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს ხსენებული პირის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების საკითხის შესწავლას.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ დ.გ.-ს საქმეც, სადაც სასამართლომ დაავალა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მსჯავრდებული გადაეყვანა სამოქალაქო პროფილის კლინიკაში სათანადო მკურნალობის მიზნით, თუმცა, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სასამართლოს დროებითი განჩინება არ აღასრულა. მსჯავრდებული შესაბამის კლინიკაში გადაიყვანეს მხოლოდ გამოკვლევების ჩატარების მიზნით, თუმცა საჭიროდ არ ჩაითვალა მისი სტაციონარული მკურნალობის მიზნით კლინიკაში დატოვება და იგი იმავე დღესვე დაბრუნდა პენიტენციურ დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულ დ. გ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა: სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა დ. გ.-თვის ღვიძლის გადანერგვა და გადანერგვისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება სათანადო სამედიცინო დაწესებულებაში.

საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა მიიჩნია, რომ ვიდრე დ. გ.-თვის ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარების მიზნით შესაბამისი პროცედურები განხორციელდებოდა, კვლავაც არსებობდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ის რეალური რისკები, რომლებზეც სასამართლო მიუთითებდა დროებით განჩინებაში და რაზეც მკაფიო მითითება გააკეთა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის სასამართლო პროცესზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ღვიძლის გადანერგვისათვის აუცილებელი პროცედურების დასრულებამდე დ. გ.-ს შესაბამის სამოქალაქო მრავალპროფილურ კლინიკაში მოთავსებისა და ღვიძლის გადანერგვისთვის

[172] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 21 ნოემბრის №15-3/11652 წინადადება.
[173] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 2 დეკემბრის №352355/01 წერილი.
[174] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 20 იანვრის №15302/01 წერილი.

აუცილებელი პროცედურების შემჭიდროვებულ ვადებში დასრულების თაობაზე.[175] თუმცა, რეკომენდაციის განხილვის პასუხად, აპარატს ეცნობა, რომ დ. გ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ავადმყოფობის გამო გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან.[176]

საყურადღებოა დ. გ.-ს ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხიც.

დ. გ.-მ შესაბამისი შუამდგომლობით 2022 წლის 5 აგვისტოს მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. ექსპერტებმა დაადასტურეს ექსპერტიზის დასკვნაში[177] ასახული გარემოებები და განმარტეს, რომ დ. გ. იყო მძიმე ავადმყოფი და საჭიროებდა ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ექიმმა განმარტა, რომ დ. გ.-ს უტარდებოდა ისეთივე სამედიცინო მომსახურება, რაც მას სამოქალაქო პროფილის კლინიკაში ჩაუტარდებოდა. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში პაციენტი გაჰყავდათ შესაბამის კლინიკაში. ამ განმარტების საფუძველზე, დ. გ.-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მხარი არ დაუჭირა სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმაც. რუსთავის საქალაქო სასამართლომ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია დ. გ.-სთვის გაწეული მკურნალობის შესახებ, გაითვალისწინა თავად დ. გ.-ს პიროვნება, წარსული და 2022 წლის 13 სექტემბრის განჩინებით[178], დ. გ.-ს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროცესის პარალელურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განიხილებოდა დ. გ.-ს ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვდა სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის ქმედების განხორციელების - მისთვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დავალებას. 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით, დ. გ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა და პენიტენციურ სამსახურს დაევალა მისთვის ღვიძლის გადანერგვა. ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ არ იყო მიღებული.

დ. გ.-მ და მისმა ადვოკატებმა, 2022 წლის 27 სექტემბერს იმავე შუამდგომლობით, ამჯერად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს. ექსპერტებმა კვლავ იგივე განმარტებები გააკეთეს დ. გ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის აუცილებლობაზე.

პენიტენციური დაწესებულების N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ექიმმა განმარტა, რომ მიუხედავად დ. გ.-სთვის გაწეული მკურნალობისა,

---

[175] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 ოქტომბრის №15-3/10764 რეკომენდაცია.

[176] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 2 ნოემბრის №322474/01 წერილი.

[177] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 10 ივლისის 004565922 დასკვნა.

[178] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის N297-22 განჩინება.

შედეგი სახეზე არ იყო. N18 დაწესებულებაში არიან სპეციალისტები, მაგრამ ონკოლოგიური კუთხით დახმარება სირთულეს წარმოადგენს. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ დ. გ.-ს სხეულში ჰქონდა მეტალი და ფრთხილობდნენ, კონკრეტული კვლევის ჩატარებას, თუმცა, პენიტენციური სისტემის გარეთ არსებობდა კვლევის სხვა საშუალებები, რომლებიც მეტალს უგულებელყოფენ და კვლევის ჩატარება შესაძლებელია. რაც შეეხება ღვიძლის გადანერგვას, საჭირო იყო სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან შემდგარი კონსილიუმის მოწვევა. ყველაფრის უზრუნველყოფა ციხის პირობებში კი შეუძლებელი იყო. დ. გ.-ს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის კი ყოველ დღეს და საათს ჰქონოდა მნიშვნელობა და ამდენად, დ. გ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უშლიდა სასჯელის მოხდას. პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა შუამდგომლობის გადაწყვეტის საკითხი სასამართლოს მიანდო და ამჯერად, დ. გ.-ს გათავისუფლებაზე პოზიცია არ დააფიქსირა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით,[179] დ. გ.-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა.

ნიშანდობლივია, რომ ამ დროისთვის, პენიტენციურ სამსახურს უკვე დავალებული ჰქონდა დ. გ.-სთვის ღვიძლის ტრანსპლანტაცია, რამაც პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლების პოზიციის რადიკალური ცვლილება გამოიწვია. კერძოდ, თუ რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამავე საკითხის განხილვის დროს მათ სასამართლოს განუმარტეს, რომ დ. გ.-ს ყველა საჭირო პროცედურა უტარდებოდა, მეორე შემთხვევაში, მკურნალმა ექიმმა, პრაქტიკულად აღიარა, რომ დ. გ.-ს სათანადო სამედიცინო მომსახურება არ უტარდებოდა და პრობლემები იქმნებოდა სხვადასხვა მიმართულებით. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის ჩვენება, ორივე შემთხვევაში სახეზე იყო. ამდენად, პენიტენციურმა სამსახურმა თავიდან აიცილა სასამართლოს მიერ დავალებული ქმედების - ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარების ვალდებულება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, აგრეთვე, შეისწავლა მსჯავრდებულ მ.ბ.-ს საქმე, რომელიც სათესლე ჯირკვლების მწვავე ტკივილზე მიუთითებდა.

საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მ.ბ.-ს, წარმოდგენილი უროლოგიური ჩივილების საფუძველზე, 2021 წლის 14 ივლისს, კლინიკა „ვივამედში" ჩაუტარდა სათესლე ჯირკვლების ექოსკოპია და უროლოგის კონსულტაცია, დაუდგინდა დიაგნოზი, დაენიშნა და ჩაუტარდა მედიკამენტური მკურნალობა. აღნიშნულის შემდგომ მსჯავრდებულს დამატებით კიდევ არაერთხელ ჩაუტარდა სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევა და მკურნალობა.[180] აღნიშნულის მიუხედავად, მსჯავრდებულმა კვლავ მომართა სახალხო დამცველს და განაცხადა, რომ აწუხებს სათესლე ჯირკვლების მწვავე, გაუსაძლისი ტკივილები.

---

[179] თბილისის საქალაქო სასამართლოს 20 ოქტომბრის N798/100657 განჩინება.

[180] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 15 იანვრის №11777/01 და 2022 წლის 8 თებერვლის №36094/01 წერილები.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაცია დეტალურად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატის ექიმმა. მისი განმარტებით, ვინაიდან მსჯავრდებულს ანამნეზში ჰქონდა ფილტვების ტუბერკულოზი, უნდა გამოირიცხოს შარდ-სასქესო სისტემაში მიმდინარე პროცესის ტუბერკულოზური ეტიოლოგია, რა მიზნითაც მსჯავრდებულს უნდა ჩაუტარდეს ფტიზიო-უროლოგის კონსულტაცია და მისი დანიშნულებით სპეციფიური პროცესის გამოსავლენად განხორციელდეს ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევები, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალისტის მიერ უნდა იყოს დანიშნული.

ამდენად, მსჯავრდებულისთვის ზემოხსენებული რეკომენდებული სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, სახალხო დამცველმა, წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს.[181] უწყებიდან მიღებული პასუხით[182] სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულისთვის ჩატარებული გამოკვლევებისა და ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად, რეკომენდაცია ფტიზიო-უროლოგის კონსულტაციის საჭიროების თაობაზე გაცემული არ ყოფილა.

სამედიცინო მომსახურების ხარვეზები გამოიკვეთა მსჯავრდებულ ა.ბ.-ს საქმეშიც. პატიმარს წლების განმავლობაში აწუხებდა ტკივილი კისრის არეში, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, წონასწორობის დარღვევა, ყურებში შუილი და მხედველობის გაორების პრობლემები. მსჯავრდებულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე ინფორმაციის, ასევე, მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათის[183] შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პაციენტს რამდენჯერმე ჰქონდა ჩატარებული ნევროლოგის კონსულტაცია, ასევე, დიაგნოსტიკური კვლევები - ექსტრაკრანიული დუპლექს სკანირება, კისრის მალების რენტგენოგრაფია და რამდენჯერმე ჩაუტარდა მედიკამენტებით მკურნალობის კურსი, თუმცა, პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აპარატის ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს.[184] უწყების პასუხით[185] სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა ინფორმაცია მსჯავრდებულისთვის ჩატარებული სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების შესახებ, რომელთაგან ნაწილი შეესაბამებოდა აპარატის ექიმის მიერ რეკომენდებულ კვლევებს. აღსანიშნავია ისიც, განმეორებითი შეხვედრის დროს მსჯავრდებული ამ მიმართულებით ჩივილებს აღარ აფიქსირებდა.

---

[181] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 10 მარტის №15-6/2673 წინადადება.
[182] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 21 მარტის №78559/01 წერილი.
[183] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 14 თებერვლის №41526/01 წერილი.
[184] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 21 აპრილის №15-6/4297 წინადადება.
[185] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 5 მაისის №130192/01 პასუხი.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ ლ.პ-ს საქმეც, რომელსაც დადგენილი ჰქონდა დიაგნოზი - აპლაზიური ანემია, თრომბოციტოპენია.

საკითხის შესწავლის მიზნით, აპარატმა რამდენიმე წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტს.[186] უწყებიდან მიღებული საპასუხო წერილებით[187] აპარატს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია მსჯავრდებულის დიაგნოზებისა და მისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციისა და მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორიის დეტალურად შესწავლის შედეგად, აპარატის ექიმმა დაასკვნა, რომ მსჯავრდებულის დიაგნოზის გათვალისწინებით, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის გარეშე პროგნოზი არაკეთილსაიმედო იყო. ვინაიდან მსჯავრდებული სხვა ქვეყნის მოქალაქე იყო და მისი სისხლით ნათესავები არ იმყოფებოდნენ საქართველოში, დროის მოკლე მონაკვეთში დონორის მოძიების შანსი საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობდა.[188] იმის გათვალისწინებით, რომ მისი დაავადება მძიმედ მიმდინარეობდა და პროგნოზი არაკეთილსაიმედო იყო, სახალხო დამცველმა, საგამონაკლისოდ, ინდივიდუალურობისა და ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულისთვის საზღვარგარეთ მკურნალობის ჩატარების შესაძლებლობის განსახილველად, წინადადებით იუსტიციის მინისტრს მიმართა.[189] სახალხო დამცველის წინადადება არ იქნა გაზიარებული და საბოლოო სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა,[190] რომ 2022 წლის 27 თებერვალს (წინადადების გაგზავნიდან 1 თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ) მსჯავრდებული ლ.პ. კლინიკა „ვივამედში" გარდაიცვალა.

გასული წლების ანგარიშებში[191] სახალხო დამცველი მიუთითებდა №18 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის გ.მ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, როგორც პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების სფეროში სერიოზული პრობლემების თვალსაჩინო მაგალითზე. ამასთან, 2020 წლიდან პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება №18 სამკურნალო დაწესებულების

---

[186] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 15 სექტემბრის №15-10/8889, 2021 წლის 22 ოქტომბრის №15-10/10064, 2021 წლის 26 ნოემბრის №15-10/11240 და 2021 წლის 24 დეკემბრის №15-10/12383 წერილები.

[187] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 29 სექტემბრის №10422/21, 2021 წლის 9 ნოემბრის №11904/21 და 2021 30 დეკემბრის №14136/21 წერილები.

[188] საქართველოში მისი ახლო ნათესავის ყოფნის შემთხვევაში მსჯავრდებულს ექნებოდა შესაძლებლობა აღნიშნული ოპერაციული მკურნალობა საქართველოს ონკო-ჰემატოლოგიისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრში ჩაეტარებინა. იხ. < https://bit.ly/3JbvhgD >.

[189] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 21 იანვრის №15-10/641 წინადადება.

[190] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 22 მარტის №80970/01 პასუხი.

[191] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 43. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HnTUVZ >, [ბოლოს ნანახია: 23.01.2023]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 38-39 < https://bit.ly/3J2vL8S >, [ბოლოს ნანახია: 23.01.2023].

თანამშრომელთა მიერ მსჯავრდებულ გ.მ-ს მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე და აქტიურად ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.[192] თუმცა შემაჯამებელი გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული კვლავ არ არის.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საქმიანობის ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) სარეცენზიო დასკვნების მომზადების გაჭიანურების საკითხიც. აღნიშნული პრობლემა სახალხო დამცველის აპარატისთვის განსაკუთრებულად აქტუალური პატიმართათვის სავარაუდოდ უხარისხო სამედიცინო მომსახურების საკითხის შეფასების კონტექსტშია. სახალხო დამცველის აპარატს, პატიმრებთან ერთად, უამრავი წლის მანძილზე უწევს, რიგ შემთხვევაში, რეგულირების სააგენტოს მოკვლევის შედეგების ლოდინი.

2019 წლის 26 ივლისს, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[193] სააგენტოს მსჯავრდებულ ბ.ზ.-სთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისთვის შესწავლის მიზნით. ამ საქმეში პატიმარი მიუთითებდა, რომ ოპერაციული მკურნალობის ჩატარების შედეგად, ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუმძიმდა. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხის შესწავლა სააგენტოში თითქმის 3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.[194]

აგრეთვე, ერთ-ერთ საქმეში, სადაც სახალხო დამცველის აპარატმა სააგენტოს დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლისა[195] და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით მიმართა,[196] შესწავლის საბოლოო შედეგები, თითქმის 21 თვიანი ლოდინის შემდეგ მიიღო.[197]

მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა ერთ-ერთ საქმეში, სადაც სახალხო დამცველის აპარატმა სააგენტოს მიმართა[198] და საბოლოო შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია თითქმის 4 წლის შემდეგ ეცნობა, სადაც, აგრეთვე, მითითებული იყო, რომ დაისვა საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ" 74-ე მუხლის შესაბამისად, N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების შესაბამისი ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.[199]

---

[192] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 1 აგვისტოს №13/48539 წერილი.
[193] სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 26 ივლისის №15-13/8442 წერილი.
[194] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 22 მარტს №02/5334 წერილი.
[195] პ.გ.-ს საქმე.
[196] სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 30 აპრილის №15-13/4554 წერილი.
[197] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 25 თებერვლის №02/3408 წერილი.
[198] N11-3/12931 წერილი და [198] N11-3/14713 წერილები.
[199] ი.ფ.-ს საქმე.

სახალხო დამცველის აპარატმა ისეთი საქმეც შეისწავლა, სადაც საკითხი პატიმრის მიმართ ტუბერკულიოზთან დაკავშირებული მკურნალობის შესაძლო არასწორ განსაზღვრასა და ჩატარებას ეხებოდა.[200] სააგენტოსათვის მიმართვის შემდეგ,[201] 27 თვის თავზე, აპარატს კვლავ არ ჰქონდა მიღებული საბოლოო შესწავლის შესახებ ინფორმაცია.[202]

მსგავსად, 2022 წლის 29 ივნისის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სააგენტოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის N15/11523 წინადადების[203] საფუძველზე დაწყებული მსჯავრდებულ თ.გ-ს გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა.[204]

ამასთან, მაგალითად, ო.ი-ს საქმეში სააგენტო 2020 წლიდან სწავლობდა ყოფილი პატიმრის ო. ი.-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, მისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესაბამისობის თაობაზე საკითხს,[205] ხოლო შესწავლის შედეგების შესახებ გამოძიებას ეცნობა 2022 წლის ივლისში.[206]

ერთ-ერთ შემთხვევაში,[207] სააგენტოს 3 წელი დასჭირდა, რომ მსჯავრდებულის მიმართ სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლის თაობაზე საბოლოო შედეგების შესახებ სახალხო დამცველის აპარატისათვის ეცნობებინა.[208] ამასთან, ნ.ქ-სა და რ.უ-ს[209] საქმეების შესწავლის შედეგად სააგენტოს მხრიდან სახალხო დამცველის აპარატის მიმართვებზე[210] უპასუხობის პრობლემაც გამოიკვეთა.[211]

---

[200] ი.მ.-ს საქმე.

[201] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 9 სექტემბრის N 15-7/9895 წერილი.

[202] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2023 წლის 20 იანვრის REG 4 23 00057076 წერილი. სააგენტომ მიუთითა, რომ ხსენებულ საქმეზე შესაბამისი ექიმ-სპეციალისტების სარეცენზიო დასკვნა მიღებული კვლავ არ იყო.

[203] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის N15/11523 წინადადება.

[204] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 29 ივნისის NREG 9 22 00053508 წერილი. (მსჯავრდებულისთვის გაწეული სამედიცინო ხარვეზების შესახებ დეტალურად მითითებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშში) იხ: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > გვ. 39.

[205] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 5 მარტის NSIS 8 21 00006019 წერილი.

[206] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 21 თებერვლის NSIS 3 23 00002692 წერილი.

[207] რ.კ-ს საქმე; სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წლიდან არაერთხელ მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში", აწ გარდაცვლილი ყოფილი პატიმრის ნ. ქ-ისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. თუმცა რეგულირების სააგენტოს ინფორმაცია დღემდე არ წარმოუდგენია.

[208] სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 4 აგვისტოს REG 8 22 00182829 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 6 სექტემბრის N15-6/9818 წერილის პასუხად.

[209] სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, ოჯახის ექიმის მიერ მსჯავრდებულ რ. უ.-სთვის ფსიქოტროპული მედიკამენტის დანიშვნის კანონიერების შესწავლის მიზნით.

[210] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 13 აგვისტოს N15-15/7923; 2022 წლის 10 მაისის N15-15/4870 და 2022 წლის 2 სექტემბრის 15-15/8919 წერილები.

[211] ნ.ქ.-ს საქმე.

ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება

2021 წლის ანგარიში აპარატი მიუთითებდა 2019 და 2020 წლებში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან ბრალდებულთა (რომლებიც შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში იყვნენ) მიმართ სასამართლოს განჩინებით დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების საკითხზე. როგორც ინდივიდუალური განცხადებების, ასევე, საკითხის სისტემური შესწავლის დროს, გამოიკვეთა, რომ ბრალდებულთან მიმართ დანიშნული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის 4-5 თვე გაჭიანურების საფუძველი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სარემონტო სამუშაოები, ექსპერტ-ფსიქიატრის შტატის ნაკლებობა, და პანდემია იყო.[212]

2022 წლის მანძილზე მითითებული პრობლემა კვლავ აქტუალური იყო. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზით, დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება 4-5 თვის მანძილზე არ ხორციელდებოდა.[213] ამასთან, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დასკვნის მიღებას აგვიანდებოდა დაახლოებით 1 თვე, შესაბამისად, ბრალდებულს დასკვნის მიღებამდე, დამატებით, კვლავ პენიტენციურ დაწესებულებაში უწევდა ყოფნა.

საკითხის შესწავლისა და ანალიზის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს[214] და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს მიმართა.[215] ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პასუხის[216] თანახმად, გამოსაკვლევი პირების საექსპერტო კვლევაზე წარდგენას ახდენს პენიტენციური დეპარტამენტი და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას, რაიმე ფორმით დააჩქაროს აღნიშნული პროცესი.

საგულისხმოა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირების და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს პასუხის[217] თანახმად, სასამართლო ფსიქიატრიული/კომპლექსური ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ესკორტირება ექსპერტიზის დანიშვნიდან რამდენიმე თვის დაგვიანებით გამოწვეულია ექსპერტიზაზე წარსადგენ ბრალდებულთა დიდი რაოდენობით. ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის

---

[212] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 42-43, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >

[213] მაგალითად, ი.გ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა 2022 წლის 28 ივნისს, რაც ჩაუტარდა 17-29 ნოემბერს, დაუდგინდა შეურაცხადობა, ფსიქიატრიულ სტაციონარში განთავსდა 21 დეკემბერს. კ.ე.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაენიშნა 2022 წლის 22 ივლისს, ჩაუტარდა 17 ნოემბერი-2 დეკემბერი, ფსიქიატრიულ სტაციონარში განთავსდა 23 დეკემბერს.

[214] 2022 წლის 29 ნოემბრის N15-14/11896 წერილი.

[215] 2023 წლის 18 იანვრის N15-14/705 წერილი.

[216] 2022 წლის 13 დეკემბრის N5008615922 პასუხი.

[217] 2023 წლის 30 იანვრის N23681/01 პასუხი.

დეპარტამენტში, ერთდროულად შესაძლებელია მაქსიმუმ 15-20 ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა დამოკიდებულია მათ კატეგორიასა და რისკებზე) და თითოეულის ექსპერტიზას სჭირდება რამდენიმე დღე. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, ესკორტირების და სპეციალურ ღონისძიებათა სამმართველო იმავე დღეს ახორციელებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ესკორტირებას შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო შემდგომ სამუშაო დღეს ხორციელდება სხვა ბრალდებულთა ესკორტირება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ექსპერტიზის ბიუროს პასუხისმგებლობის ცენტრი ესკორტირების სამსახურზე გადააქვს, ხოლო ამ უკანასკნელს, პირიქით - ბიუროზე. თუმცა, მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული განყოფილება ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო ფსიქიატრიული/კომპლექსური ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან უმოკლეს დროში ჩატარებას, განყოფილებაში სათანადო ადგილების ლიმიტიდან გამომდინარე. მეორე მხრივ კი - ბრალდებულთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ესკორტირების სამსახური ვერ უზრუნველყოფს ყველა გამოსაკვლევი ბრალდებულის სწრაფად წარდგენას ბიუროს წინაშე.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურება მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის კონკრეტულ ბრალდებულთა სამედიცინო მდგომარეობის კუთხით. ბრალდებულებს, ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, თვეების მანძილზე უწევთ საკნებში მარტო განთავსება, ხშირად პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახში მოთავსება, რაც, ცალსახად, აუარესებს მათ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

მიხეილ სააკაშვილის საქმე

ჯანმრთელობა

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2021 წლის 1 ოქტომბერს, დაკავებისა და N12 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისთანავე საქართველოს მესამე პრეზიდენტმა, ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მიხეილ სააკაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა. ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი, 8 ნოემბერს, N18 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანა. 2021 წლის 19 ნოემბერს კი დამძიმებული ჯანმრთელობისა და შიმშილობის შეწყვეტის შემდგომი მდგომარეობის მართვის მიზნით იგი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს. 2021 წლის 30 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან კვლავ N12 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს, საიდანაც, კვლავ დამძიმებული ჯანმრთელობის მდგომარეობით, 2022 წლის 12 მაისს სამოქალაქო პროფილის კლინიკა „ვივამედში" მოათავსეს, სადაც ის ამ დრომდე იმყოფება.

საზოგადოებისთვის ისიც ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნით, შიმშილობის 47-ე დღეს, სახალხო დამცველმა მულტიპროფილურ ექსპერტთა/სპეციალისტთა ჯგუფი შექმნა.[218] 2021 წლის მანძილზე სახალხო დამცველისა და ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შედეგები დეტალურად იყო ასახული 2021 წლის ანგარიშშიც.[219]

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2022 წლის მანძილზე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დინამიკაში არ გაუმჯობესდა და მაისიდან მას კლინიკაში მოუხდა მკურნალობის გაგრძელება, სახალხო დამცველის ექსპერტთა/სპეციალისტთა ჯგუფმა დამატებითი ვიზიტები განახორციელა და შეაფასა ვითარება.

კერძოდ, 2022 წლის 11 იანვარს და 22 აპრილს ვიზიტები განხორციელდა N12 პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო 4 დეკემბერს - კლინიკა „ვივამედში". ნიშანდობლივია, რომ 12 მაისს კლინიკა „ვივამედში" გადაყვანის გადაწყვეტილებას, სახალხო დამცველის მიერ მოწვეულ ექსპერტთა დასკვნა უძღვოდა წინ (27 აპრილის დასკვნა), რომლის თანახმად პაციენტის მდგომარეობა დამატებით მნიშვნელოვნად გაუარესებულად შეფასდა.[220]

კლინიკა „ვივამედში" გადაყვანამდე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ნევროლოგიური სტატუსის მიმართულებით) არსებითი გაუმჯობესება დინამიკაში ვერ გამოვლინდა. პაციენტის ფსიქოთერაპიული და ფიზიკური რეაბილიტაციის საკითხი კვლავ არსებით პრობლემად დარჩა.[221] მიუხედავად მრავალჯერადად გაცემული რეკომენდაციისა, იმასთან დაკავშირებით, რომ პაციენტს აქვს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და დეპრესია, რომელიც საჭიროებს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რეაბილიტაციას, სამწუხაროდ, ეს მკურნალობა არ ჩატარდა. პაციენტის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესდა. ექსპერტთა ჯგუფმა, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზგასმით განაცხადა, რომ მათ მიერ რეკომენდებულ ღონისძიებათა ჩაუტარებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელია მდგომარეობის დამძიმება, კერძოდ, სტრესული აშლილობისა და დეპრესიის გაღრმავება. [222]

---

[218] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelma-mikheil-saakashvilis-sameditsino-momsakhurebis-monitoringis-miznit-multiprofilur-ekspertta-jgufi-shekmna >

[219] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 49-55, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >

[220] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n6-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >

[221] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n3-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb>, < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n4-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >, < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n5-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb>

[222] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n5-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >

2022 წლის აპრილის დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფმა, სხვა საკითხებთან ერთად, პირდაპირ მიუთითა შემდეგი: არ/ვერ შესრულდა სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეკემბერ-იანვარში გაცემული რეკომენდაციები ფსიქოთერაპიისა და ფიზიკური რეაბილიტაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. მედიკამენტოზურმა მკურნალობამ, რომელიც ამ პერიოდის შემდეგ პაციენტს მიეწოდებოდა, შედეგი არ გამოიღო და მდგომარეობა დამძიმდა. შესაბამისად, მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობის გაგრძელება, ანალოგიურ პირობებში, დასახელებული რეკომენდაციების შეუსრულებლად, იქნება არაეფექტიანი, მომავალში კვლავ ვერ გამოიღებს დადებით შედეგებს და გამოიწვევს პაციენტის მდგომარეობის ზემოაღნიშნული ფორმით მკვეთრად დამძიმებას, რამაც, შესაძლოა, შეუქცევადი შედეგები გამოიწვიოს.

2022 წლის 4 დეკემბერს სახალხო დამცველის მიერ მოწვეული ექსპერტები იმყოფებოდნენ კლინიკა „ვივამედში" უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის გასინჯვისა და რელევანტური სამედიცინო მასალების გაცნობის მიზნით, ხოლო ამავე წლის 5 დეკემბერს, კონკრეტულ საკითხებზე დამატებითი დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იმყოფებოდა „ვივამედში" მიხეილ სააკაშვილის მკურნალ ექიმთან.

4-5 დეკემბრის ვიზიტების მიზანი იყო პაციენტის იმჟამინდელი მდგომარეობისა და ჩივილების, სიმპტომების აღწერა-შეფასება. ასევე, დინამიკის შედარება წინარე ვიზიტებთან მიმართებით, იმ კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, რაც სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია.

ექსპერტთა ჯგუფმა 2022 წლის 6 დეკემბერს გასცა დასკვნა, რომლის მიხედვით „პაციენტის მდგომარეობა, ბოლო შეფასების (27.04.2022) შემდგომ, მკვეთრად გაუარესებულია და ფასდება როგორც მძიმე".[223] ექსპერტებმა დასკვნაში მიუთითეს არაერთ დიაგნოზზე. მათ შეაფასეს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ნეგატიურად განვითარების დინამიკა. ასევე, მიუთითეს, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის მიწოდებული მკურნალობა შედეგს არ იძლევა. პაციენტის მართვა ვერ ხდება პროაქტიურ რეჟიმში და მკურნალობის მიდგომები შემოიფარგლება სხვადასხვა გართულებებზე რეაგირებით. ექსპერტული მოსაზრებით, პაციენტს ჩაუტარდა საქართველოში ხელმისაწვდომი ყველა ლაბორატორიული თუ ინსტრუმენტული კვლევა და მკურნალობა, რამოდენიმე პოლიპროფილურ კლინიკაში, მიუხედავად ამისა, პაციენტის მდგომარეობა სწრაფად უარესდება.

სამედიცინო შეფასების საფუძველზე, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიემართა, რომელიც მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების/გათავისუფლების

[223] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n7-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >

შუამდგომლობას განიხილავდა. სახალხო დამცველმა სასამართლოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები, ასევე, საერთაშორისო და შიდაეროვნული სტანდარტებისა და რეგულაციების ანალიზი და განმარტა, რომ მიხეილ სააკაშვილის საქმეში სულ მცირე იკვეთება სასჯელის გადავადების საფუძველი. სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით სასამართლოს აპარატის კვლევის შედეგებიც მიაწოდა, რაც სასჯელისგან გათავისუფლებისა და გადავადების შესახებ საქართველოს 2015-2020 წლების პრაქტიკას ასახავდა.

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის" მე–3 მუხლის შესაბამისად, *არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.*

პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი. ევროპული ციხის წესების თანახმად, ციხეებში ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და ეთავსებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას.[224] პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.[225] ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება, უნდა გაეწიოს პატიმრებს.[226] ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას უნდა იქნან გადაყვანილნი სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში.[227]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პატიმრების სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად, განიხილება კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტში, ზოგიერთ შემთხვევაში, მე-2 მუხლის მიხედვით და მე-8 მუხლის მიხედვით.

პატიმრობაში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება გულისხმობს ხელისუფლების ვალდებულებას, გაუწიოს სამედიცინო დახმარება, რომელიც აუცილებელია მათი სიცოცხლის დასაცავად.[228] არასაკმარისი და არადროული

---

[224] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარა. 40.2.
[225] იქვე, პარა. 40.3.
[226] იქვე, პარა. 40.5.
[227] იქვე, პარა 46.1.
[228] Jasinskis v. Latvia განაცხადი N45744/08, 21.12.2010, §60

მკურნალობა და ზოგადად, ავადმყოფის ყოფნა არაადეკვატურ საპატიმრო პირობებში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.[229]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირი სათანადო სამედიცინო მომსახურებით, ფსიქიატრიული დახმარების ჩათვლით. თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების არარსებობა შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად განიხილავს საქმეებს, რომლებიც ეხება თავისუფლებააღკვეთილი პირების სათანადო მკურნალობის არარსებობას წამებისა და არასათანადო მოპყრობის ჭრილში.[230]

პატიმრობის დროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია: (ა) პატიმრის სამედიცინო მდგომარეობა, (ბ) პატიმრობის დროს სამედიცინო დახმარებისა და მზრუნველობის ადეკვატურობა და (გ) დაკავების ღონისძიების გაგრძელების მიზანშეწონილობა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. დასადგენად ყველაზე რთულ ელემენტს სამედიცინო დახმარების ადეკვატურობა წარმოადგენს. საკითხის განხილვისას უნდა განსაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის საჭირო სტანდარტი, რომელიც, უნდა მოიცავდეს პატიმრობაში ყოფნის ლეგიტიმურ მოთხოვნებს, თუმცა, ამავდროულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსებას და უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების სათანადო შესრულებას, მოცემული საკითხი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.[231]

სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, სრულიად არ არის საკმარისი მხოლოდ მისი გასინჯვა და დიაგნოზის დასმა. მნიშვნელოვანია, რომ დასმული დიაგნოზის შესაბამისი თერაპია და ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა იქნას ჩატარებული.[232]

უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[233] ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო

---

[229] Price v. the UK განაცხადი N33394/96, 10.07.2001 წ. პარ. 21-30 Ilhan v. Turkey განაცხადი N22277/93, 27.06.2000 წ. პარ. 86-88.

[230] ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი N10799/06, 08.01.2013 წ. §66.

[231] გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი N47729/08, 04.10.2011 წ. პარ. 70

[232] პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი N9870/07, 24.02.24.2009 პარ. 59.

[233] Bujak v. Poland განაცხადი N686/12, 21.03.2017 წ. §68.

ვალდებულია, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.[234]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა" რჩება რთულად დასადგენ ელემენტად.[235] ამასთან, გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევა და მკურნალობის დანიშვნა ავტომატურად ვერ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური.[236] საკითხის შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს ტესტით - გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით.[237] ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, საკმარისი არ არის მხოლოდ ექიმის კონსულტაცია მისი რეკომენდაციის შემდგომი შესრულების გარეშე.[238]

სასამართლოს პრაქტიკით, მხოლოდ ჯანმრთელობის გაუარესება, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა კითხვებს ბადებდეს ციხეში მკურნალობის ადეკვატურობის შესახებ, საკმარისი არ არის, სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლის ვალდებულების დარღვევის დასადგენად, თუ მეორე მხრივ, გამოვლინდება, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დროულად გაუწიეს პატიმარს ყველა შესაძლო სამედიცინო დახმარება მოცემული დაავადების განვითარებისთვის ხელის შეშლის მიზნით.[239]

შესაბამისმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მსჯავრდებულის სრულყოფილი და ამომწურავი სამედიცინო ბარათის წარმოება,[240] დიაგნოზისა და მკურნალობის დროულობა და აკურატულობა,[241] რეგულარული და მრავალმხრივი (სადაც საჭიროა) სამედიცინო ზედამხედველობა, მკურნალობა არა სიმპტომური მეთოდით, არამედ მსჯავრდებულის მთავარი სამედიცინო პრობლემისა.[242] დამატებით, სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ დანიშნულება, რომელიც ამგვარი მკურნალობის ფარგლებში იქნა გაცემული, რეალურად სრულდება.[243]

დამატებით ხაზგასასმელია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების თვალსაზრისით არ არის საკმარისი გამოკვლევა და დიაგნოზის დასმა; აუცილებელია დიაგნოზის დადგენის პრობლემის სათანადო მკურნალობა და შესაბამისი სამედიცინო ზედამხედველობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.[244] ამ მხრივ სასამართლო

---

[234] Naumenko v. Ukraine, განაცხადი N42023/98, 2004 წ. § 112; Dzieciak v. Poland განაცხადი N77766/01 2008 წ. § 91
[235] გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი N47729/08, 2011 წ. §70
[236] Hummatov v. Azerbaijan განაცხადი N9852/03, 2007 წ. § 116.
[237] გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი N47729/08, 2011 წ. §71.
[238] Holomiov v. Moldova განაცხადი N30649/05, 2006 წ. § 117.
[239] გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი N47729/08, 2011 წ. § 71.
[240] Khudobin v. Russia განაცხადი N59696/00, 2006 წ. § 83.
[241] Melnik v. Ukraine განაცხადი N72286/01, 2006 წ. §§ 104- 106.
[242] Amirov v. Russia განაცხადი N51857/13, 27.11.2014 წ. § 93.
[243] Holomiov v. Moldova განაცხადი N30649/05, 2006 წ. § 117.
[244] Murray v. the Netherlands [GC], განაცხადი N10511/10 26.04.2016 წ. § 106.

მხედველობაში იღებს პატიმრობაში გაწეული სამედიცინო დახმარებისა და ზრუნვის ადეკვატურობას.[245] ყოვლისმომცველი თერაპიული სტრატეგიის არარსებობა, რომელიც მიმართულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრის მკურნალობისკენ, უტოლდება „თერაპიული მიტოვებას" და მოცემულ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხის საავადმყოფოში ცხოვრების პირობების გაუარესების კუმულაციური ეფექტი, სადაც მომჩივანი იზოლირებულია იყო და არასაკმარისი ფსიქიატრიული და თერაპიული მკურნალობა ციხის საავადმყოფოში, შეადგენდა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.[246] სასამართლომ გამოიყენა ზემოაღნიშნული პრინციპები სხვადასხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ, მათ შორის, ისეთი დაავადების ქონის დროს, როგორიცაა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.[247] ამ კონკრეტულ საქმეში მართალია სასამართლომ სამწუხარო ფაქტად მიიჩნია ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა PTSD-ით დაავადებული პატიმრებისთვის, რომელიც ძალიან მძიმე და საზიანო ფსიქიატრიული მდგომარეობაა პირისთვის. თუმცა, მოცემულ საქმეში განმცხადებელი იმყოფებოდა პატიმრობაში შედარებით მოკლე ვადით (ოთხი თვე და 18 დღე), გარდა ამისა, მომჩივნის მიერ წარდგენილი დოკუმენტებიდან არ იკვეთებოდა, რომ პატიმრობის პირობებმა გამოიწვია მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება. როგორც ჩანს, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დამატებითი თერაპიული მკურნალობის არარსებობას არ მოჰყოლია ისეთი სერიოზული გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რომ კლასიფიცირებული იყოს როგორც არაადამიანური ან დამამცირებელი და, შესაბამისად, მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში.[248]

სასამართლომ ჩათვალა, რომ პატიმარს არ მიუღია ადეკვატური სამედიცინო დახმარება, როცა პატიმრის სამკურნალოდ სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანაზე დაუსაბუთებელი უარი ეთქვა, როცა ციხეში არ არსებობს სამკურნალოდ საჭირო სპეციალისტები და აღჭურვილობა.[249]

საერთო ჯამში ევროსასამართლოს მიდგომით, რომელიმე კონკრეტული დარღვევა ცალკე აღებული შესაძლოა არ იყოს საკმარისი სახელმწიფოს დასადანაშაულებლად პოზიტიური ვალდებულებების არაადეკვატურ შესრულებაში ციხეში მყოფი მომჩივნის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის თვალსაზრისით, თუმცა დარღვევათა თანაარსებობა და კუმულაციური ეფექტი ამის საფუძველია ხოლმე. ასევე სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მომჩივნის სიცოცხლის დაცვა ციხეში.[250] იმავე საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი ექსპერტების ცალსახა შეფასებაზე, რომ ავადმყოფის

---

[245] Rooman v. Belgium [GC], განაცხადი N18052/11 31.01.2019 წ. §§146-147.

[246] Strazimiri v. Albania განაცხადი N 34602/16 21.01.2020 წ. §§ 108-112.

[247] „Guide on the case-law of the European Convention on Human Rights Prisoners' rights" 31.08.2022 წ. პარ. 147 < https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Prisoners_rights_ENG.pdf > ბოლოს ნანახია: 07.12.2022 წ.

[248] Novak v. Croatia განაცხადი N 8883/04 14.06.2007 წ. პარ. 41-47.

[249] Mozer v. the Republic of Moldova and Russia [GC], განაცხადი N11138/10, 23.02.2016, §179.

[250] მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი N35254/07, 22.11.2011 წ. პარ. 92, 93.

ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საკითხი დამოკიდებული იყო მის სპეციალიზებულ კლინიკაში მოთავსებაზე.[251]

კონვენციის მე-3 მუხლი არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც გათავისუფლების ზოგადი ვალდებულების დაწესება ჯანმრთელობის ნიშნით. თუმცა, როდესაც დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა აბსოლუტურად შეუთავსებელია მის დაკავებასთან, მე-3 მუხლმა შეიძლება მოითხოვოს ამ პირის გათავისუფლება გარკვეული პირობებით.[252]

სასამართლოს არ შეუძლია გამორიცხოს შესაძლებლობა, რომ განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევებში შეიძლება წარმოიშვას სიტუაციები, სადაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება მოითხოვს დაცვის საშუალებების სახით ჰუმანიტარული ზომების მიღებას.[253]

უფრო მეტიც, პატიმარისთვის, რომელიც დაავადებული იყო ფატალური მოკლევადიანი პროგნოზით და დაავადება პროგრესირებდა, გაძლება შეუძლებელი გახდა ციხის გარემოში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობა იყო მიეღო სპეციალური ზომები ამ კუთხით ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე. თუმცა, რადგან ეროვნულმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ გაითვალისწინა განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა, სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა.[254]

მნიშვნელოვანია ასევე სასამართლოს დამოკიდებულება იმ პატიმრის მდგომარეობის მიმართ, რომელიც დაავადებულია ისეთი დაავადებით, რაც მოსალოდნელია დროის მოკლე პერიოდში დასრულდეს პირის გარდაცვალებით. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ არ შეაფასა პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობა და არ იქნა მიღებული პატიმრის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სასჯელის მოხდის ვადისა და პატიმრობაში მისი ქცევის გათვალისწინებით.[255]

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დადგენილი აქვს გარკვეული ჩარჩო სტანდარტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს მისთვის სასჯელის მოხდის გადავადება ან სრულად გათავისუფლება, რომ ადგილი არ ჰქონდეს მის მიმართ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას და სახელმწიფოს მიერ არ იქნეს დარღვეული ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება.

---

[251] იქვე, პარ. 103.

[252] Yunusova and Yunusov v. Azerbaijan განაცხადი N59620/14 02.06.2016 წ. §138; Rozhkov v. Russia, განაცხადი N64140/00 19.07.2007 წ. §104.

[253] Enea v. Italy [GC], განაცხადი N 74912/01 17.09.2009 წ. §58.

[254] Dorneanu v. Romania, 2017, §§ 93-100. იხ. „Guide on the case-law of the European Convention on Human Rights Prisoners' rights" 22.08.2022 წ. პარ. 120 < https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Prisoners_rights_ENG.pdf > ბოლოს ნანახია: 07.12.2022 წ.

[255] Gülay Çetin v. Turkey, 2013, §§ 122-125.

შუამდგომლობის განხილვის სხდომაზე დაიკითხა სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრი.[256]

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის 6 თებერვლის განჩინებით სასამართლომ უარი უთხრა მიხეილ სააკაშვილს სასჯელისგან გათავისუფლებაზეც და გადავადებაზეც. ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა პატიმარზე მიმართა და განმარტა, რომ ვერ დარწმუნდა არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების საკითხში. გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 2 მარტის განჩინებით.

სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესების დინამიკა, დამძიმებული მდგომარეობის ხანგრძლივობა, სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები და პროგნოზები, ექსპერტთა რეკომენდაციების ვერ შესრულების გარემოებები და მდგომარეობის ლეტალურ გამოსავლამდე დამძიმების მაღალი რისკები ამ საქმეს აქცევს ადამიანი უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სივრცეში. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის მიმდინარე პატიმრობა შეიძლება ჩაითვალოს არაადამიანურ მოპყრობად.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ ღირსების შემლახველი მოპყრობა

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2021 წლის 9 ნოემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში (2022 წლის 1 მარტიდან აგრძელებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური), სახალხო დამცველის აპარატის შეტყობინებისა და მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო საქართველოს მესამე პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე გამოძიება, სსკ-ის 144[3] მე-2 ნაწილის „ა", „ბ", „ე" „ზ" ქვეპუნქტებით.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2022 წლის ბოლოს, სახალხო დამცველის აპარატს, საგამონაკლისო წესით გამოძიების მასალების გაცნობის შესაძლებლობა მისცა.

მასალების გაცნობით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან გამოძიების არაეფექტიანად წარმოების ფაქტი არ გამოვლენილა. თუმცა, გამოვლინდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაძლოა მიზანმიმართული მოქმედებები, რომლის ძირითადი მიზანი მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხეების სივრცეში მოხვედრა და ღირსების შელახვა იყო.

გამოძიების დაწყებიდან გასულია 1 წლისა და 3 თვეზე მეტი დრო, ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მოპოვებულია მოცულობითი ინფორმაცია და მასალა. იმის გათვალისწინებით რომ საქმე მოცულობითია, სახალხო დამცველის აპარატი ყურადღებას შეაჩერებს რამდენიმე საგულისხმო გარემოებაზე:

[256] დაკითხვა მოხდა 2023 წლის 1 თებერვალს.

1. 2021 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, ბრალდებული/მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ნათლად მისთვის წინასწარ არ მიუწოდებიათ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, დირექტორმა უთხრა, რომ გადაყავდათ კლინიკაში თუმცა უსაფრთხოებიდან გამომდინარე ვერ დაუსახელებდა ზუსტ დასახელებას. ხოლო პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელის პოზიციით, მიხეილ სააკაშვილს აუწყა, რომ გადაყავდათ „ჩვენს კლინიკაში", რაშიც თვითონ N18 დაწესებულებას გულისხმობდა, თუმცა პატიმრისთვის აღნიშნული არ დაუზუსტებიათ/დაუკონკრეტებიათ. მოწმეთა გადმოცემით, მიხეილ სააკაშვილის რეაქცია გლდანის ციხეებში მიყვანის შემდეგ და მისი შეკითხვები, ნათლად ადასტურებს, რომ მან არ იცოდა, და მეტიც, მისთვის მოულოდნელი იყო ამ დაწესებულებაში აღმოჩენა.
2. საგულისხმოა, რომ #18 პენიტენციურ დაწესებულებაში ეტაპირების დღეს, სახელმწიფო კონსილიუმის მიერ გაიცა მიხეილ სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაუდებელი გადაყვანის შესახებ რეკომენდაცია. გადაუდებელი გადაყვანის რეკომენდაცია ექიმთა სახელმწიფო კონსილიუმმა ძირითადად იმ მიზეზის გამო გასცა, რომ მათ პაციენტთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მიეცათ, მითუმეტეს, ითვალისწინებდნენ შიმშილობის ხანგრძლივ პერიოდს, მწირ ლაბორატორიულ მონაცემებს და ანალიზების გაუარესებულ შედეგებს,. ექიმებს განუმარტეს რომ თავად პაციენტი აცხადებდა შეხვედრაზე უარს. აღნიშნული კი არ შეესაბამებოდა სიმართლეს. პაციენტს ექიმებთან შეხვედრაზე უარი არ უთქვამს. არც მოწმე ადასტურებს თანამშრომლების მხრიდან პატიმრისთვის კონსილიუმთან შეხვედრის შეთავაზებას. თანამშრომლების შედგენილ ოქმზე (კონსილიუმთან შეხვედრაზე უარის შესახებ) არ ფიქსირდება მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერა და არც ის დასტურდება, რომ ოქმი ხელმოსაწერად გადასცეს. მისთვის არ გაუცნიათ N18 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე რაიმე დოკუმენტი, ასეთი იმ დროისთვის არც კი არსებობდა (ბრძანება მეორე დღეს გამოიცა).
3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელმა 15 საათზე დაურეკა დაქვემდებარებულ პირებს და დაიბარა N12 დაწესებულებაში, როცა ჯერ კონსილიუმს გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ მიღებული არ ჰქონდა. აღნიშნული მიუთითებს მიხეილ სააკაშვილის N18 დაწესებულებაში სასწრაფო გადაყვანის თაობაზე პენიტენციური სამსახურის სურვილზე. პატიმარს, დადგენილი წესის შესაბამისად, არც შემოწმება ჩატარებია დაწესებულებიდან გაყვანამდე, და მისი ესკორტირება ისე დაიწყო, რომ ოფიციალური შეტყობინება გაგზავნილიც არ იყო.
4. პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იყო, თავად მიხეილ სააკაშვილისა და მისი ადვოკატების წერილობითი განცხადებების სახით ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ N18 დაწესებულება რისკის შემცველი იქნებოდა უსაფრთხოების თვალსაზრისით და რომ იქ მიხეილ სააკაშვილი არ იმკურნალებდა. ამავდროულად, არსებობდა სახალხო დამცველის ოფიციალური საჯარო

გაფრთხილება, რომ N18 დაწესებულებაში გადაყვანა შეიცავდა უსაფრთხოების თვალსაზრისით სერიოზულ რისკებს.

5. გარდა ამისა, პრობლემა იყო სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისითაც. სახელმწიფო კონსილიუმის დასკვნას წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა „ც" კატეგორიის, მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებაში. ოქტომბრის ბოლოს ჯანდაცვის სამინისტრომ მონიტორინგიც კი ჩაატარა N18 დაწესებულებაში „ც" კატეგორიის ლიცენზიის მინიჭებისთვის, თუმცა სამედიცინო სერვისების ნაწილის გაწევა ხსენებულ დაწესებულებას არ შეეძლო. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ N18 დაწესებულება არ აკმაყოფილებდა სახელმწიფო კონსილიუმის მიერ დადგენილ სამედიცინო სტანდარტებს, რასაც გამოძიების მასალების მიხედვით, არც მთავარი ექიმი და სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი უარყოფენ. დაწესებულებაში არ იყო სრული საჭირო ტექნიკა, არც შესაბამისი სპეციალისტები. სამედიცინო პერსონალი სასწრაფო წესით ითხოვეს რესპუბლიკური კლინიკიდან. აღნიშნული ადასტურებს პენიტენციური სამსახურის სურვილს, რომ სწორედ N18 დაწესებულებაში ყოფილიყო გადაყვანილი მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად იმისა რომ N18 დაწესებულება არ იყო ამისთვის შესაფერისი.

6. ნიშანდობლივია, რომ პენიტენციურ სამსახურს მოცემული დროისთვის სტაციონალურ სამედიცინო მომსახურებაზე ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული მრავალფუნქციურ კლინიკებთან, მათ შორის, „ვივა მედთან", სადაც ამ დროისთვის უკვე 9 თვეა ყოფილი პრეზიდენტი იმყოფება და რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია გარე პერიმეტრზე, რის საფრთხეზეც პენიტენციური აპელირებდა. მოგვიანებით, 20 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილი სამედიცინო მომსახურების გასაწევად თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც 30 დეკემბრამდე იმყოფებოდა და მის უსაფრთხოებას გარე პერიმეტრიდან რაიმე საფრთხე არ შექმნია. ხსენებულ ჰოსპიტალთან დაკავშირებით იმ დროისთვის შესწავლილი არ იყო პატიმრის და ადვოკატის განცხადებაში მითითებული სავარაუდო საფრთხე (ოკუპირებულ ტერიტორიაზე სავარაუდო გატაცების). საგულისხმოა, რომ პენიტენციურ სამსახურის საკმარისი დრო ჰქონდა 23 ოქტომბრის კონსილიუმის დასკვნის გაცემის შემდეგ, სადაც სწორედ მულტიფუნქციურ კლინიკაში გადაყვანის რეკომენდაცია გაიცა, რომ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავდაპირველად შეესწავლა საკითხი და შესაბამისი ღონისძიებები გაეტარებინა. ამასთან სამსახურის ხელმძღვანელი მიუთითებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციაზე, სადაც გამოძიება სსკ-ის 315-ე მუხლით მიმდინარეობდა, რომ თითქოს იგეგმებოდა მიხეილ სააკაშვილის ტრანსპორტირებისას მანქანებით გზების ბლოკირება. პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელობის თქმით, უსაფრთხოება იყო მთავარი ფაქტორი, რის გამო N18 დაწესებულებაში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს, სადაც მათი მტკიცებით, დაიცავდნენ ყოფილი პრეზიდენტის უსაფრთხოებას. ხოლო საქმის გარემოებები საპირისპიროს ადასტურებს.

7. N18 დაწესებულება მდებარეობს N8 დაწესებულების ეზოში და მის კორპუსებს შორის, მოპირდაპირედ ახლო მანძილზე (26 და 40 მეტრი), სადაც განთავსებულია

ყველაზე მეტი პატიმარი (3 000-მდე). N8 და N18 დაწესებულების დირექტორებს წინასწარ უსაფრთხოების სამმართველოსგან არ მიუღიათ შეტყობინება მიხეილ სააკაშვილის გადაყვანის თაობაზე, რათა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიეღოთ. ეს იმ ფონზე, როდესაც N8 დაწესებულებას ისედაც ჰქონდა ადამიანური რესურსის ნაკლებობა, რაც ცხადია, უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში უნდა ყოფილიყო დამატებითი საყურადღებოდა გარემოება და ბუნებრივია, ამის შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იქნებოდა. ასევე, უსაფრთხოების სამმართველოს, დადგენილი წესის შესაბამისად, წინასწარ ოფიციალურად გადაყვანის საშიშროების რისკების შეფასება და წინადადება/რეკომენდაციის გაცემა არ მოუხდენია, თუმცა მოცემულ საკითხზე ხელმძღვანელობასთან საუბარი გაიმართა.

8. საგულისხმოა, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მიღებული იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტირის შესახებ" და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადად გამოცხადდა „ქურდული სამყაროს წევრობა" და „კანონიერი ქურდობა". შესაბამისად, კრიმინალური სუბკულტურის პატიმრების მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის განჭვრეტა მარტივი იყო. განსაკუთრებით სახალხო დამცველის და ადვოკატის განცხადებების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით, ხელისუფლებას შეახსენა წარსულში, კერძოდ, 2015 წელს ერთ-ერთი ძალოვანი მაღალჩინოსნის მიმართ გლდანის ციხეში მომხდარი ფაქტიც.[257]

   გამოძიების მასალებში მოცემულია სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციაც, რომლის მიხედვით, N12 დაწესებულებიდან (სასჯელს იხდიან ყოფილი მოხელეები) 2021 წელს არ ფიქსირდებოდა პატიმრის გადაყვანა N18 დაწესებულებაში, გადაყვანა ფიქსირდება 2017, 2018 და 2019 წლებში, 2020 წელს მხოლოდ 3 მსჯავრდებული - იანვარსა და თებერვალში, მოკლე ვადით; ხოლო N9 დაწესებულებიდან N18 დაწესებულებაში გადაყვანა საერთოდ არ ფიქსირდება. საგულისხმოა, რომ 2020 წლის გაზაფხულიდან გაუქმდა N9 დაწესებულება, სადაც სასჯელს იხდიდნენ ყოფილი ძალოვანები, მაღალი თანამდებობის პირები (თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი). შესაბამისად, პენიტენციური სამსახურის პრაქტიკით დასტურდება, რომ ყოფილი მოხელეები მათი წარსული საქმიანობიდან გამომდინარე არ გადაყავდათ N18 დაწესებულებაში.

9. საქმის მასალებით ირკვევა, რომ გლდანში შესახლების პროცესში, პატიმრები განუწყვეტლივ აგინებდნენ მიხეილ სააკაშვილს, აბრახუნებდნენ გისოსებზე, რამდენიმე მოწმე მიუთითებს სიცოცხლის ხელყოფის მუქარაზე (ერთი თანამშრომლის თქმით, ემუქრებოდნენ მოკვლით, თუ ხელში ჩაუვარდებოდათ). ხოლო თანამშრომლების მწირი რაოდენობის გამო მხოლოდ ეზოდან მოუწოდებდნენ დამშვიდებისკენ და საკნის კარების სარკმლიდან მიმართავდნენ

[257] იხ. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelma-mikheil-saakashvilis-mighebistvis-n18-samkurnalo-datsesebulebis-mzadqofnis-khariskhi-sheamotsma >

დაწყნარებულიყვნენ. თანამშრომლები და პატიმრები ერთხმად უარყოფენ მიხეილ სააკაშვილის შესახლების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და ე.წ. „შუმოკის" მოწყობის დავალების ვინმესგან მიღებას და ინფორმაციის წყაროდ ტელევიზიებით გადაცემულ სიუჟეტებს, ადგილზე არსებულ ვითარებას (ვერტმფრენის ხმა, ესკორტის შესვლა, დაწესებულების შესასვლელთან ბევრი ადამიანის თავშეყრა) ასახელებენ.

10. 2900-პატიმრიან ციხეში, სადაც მასიურად ხმაურობდნენ, გისოსებზე აბრახუნებდნენ, შეურაცყოფას აყენებდნენ მიხეილ სააკაშვილს, 8 ნოემბერს არცერთ პატიმარს არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი. ხოლო მომდევნი დღეებში, 9-10 ნოემბერს ხმაურისთვის, გადაძახილისთვის (მასალებით არ ირკვევა დაკავშირებული იყო თუ არა მიხეილ სააკაშვილთან) დისციპლინური სახდელი გამოიყენეს მხოლოდ 24 პატიმრის მიმართ (ძირითადად სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის სახით), 9-19 ნოემბერს 10 პატიმარი განათავსეს სამარტოო საკანში, ხოლო 19 პატიმარს შეუცვალეს საკანი. ირკვევა, რომ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც, 3000-მდე პატიმარია განთავსებული, ადგილი ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის მიმართ გინებას, სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხმაურს, გისოსებზე ბრახუნს მასიურად, თუმცა მასალების მიხედვით დასტურდება, მხოლოდ ერთეული სახდელების და ეზოდან დამშვიდების მოწოდების სახით გატარებული ზომები.
11. რეანომობილის N18 დაწესებულების ბაქანთან გაჩერებიდან მიხეილ სააკაშვილის შენობაში იძულებით შეყვანამდე დაახლოებით 20-წუთიან პერიოდში მასთან კომუნიკაციაში იყვნენ პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელი პირები. გასათვალისწინებელია, რომ (ექსპერტიზის დასკვნით) ვიდეო ჩანაწერებში ისმის სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტრის მოადგილის ხმა, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ეკითხება „ამიტომ გიყვირიან ხო?!", რაშიც საუბრის კონტექსტიდან და არსებული გარემოებებიდან პატიმართა შეურაცხმყოფელი შეძახილები იგულისხმება. აღნიშნული სიტყვები მიხეილ სააკაშვილის საპასუხოდ ჟღერდება, რომელიც თავის მხრივ საუბრობს იმაზე, რომ უსამართლოდ ექცევიან მაშინ, როდესაც ის ამ ქვეყნის პრეზიდენტი და აღმშენებელი იყო. ასევე, პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელს უწოდებს „არა ქართველებს", რის პასუხად გენერალური დირექტორის მოადგილე მიმართავს ყოფილ პრეზიდენტს შემდეგი სიტყვებით „შენზე დიდი ქართველია, რომ იცოდე!" (გულისხმობს თავის ხელმძღვანელს). ამ დიალოგისას ხელმძღვანელი ცდილობს მოადგილის დამშვიდებას. ასევე, ვიდეო ჩანაწერში უშუალოდ ისმის ხსენებული მოადგილის გინება, თუმცა ადრესატად ის გამოკითხვისას პუტინს მიუთითებს და უარყოფს მიხეილ სააკაშვილისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას. ჩანაწერით კი ზუსტად ვერ დგინდება ვის მიმართ არის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიმართული. საგულისხმოა, რომ გინება ისმის ვიდეო ჩანაწერში, ასევე, დაფიქსირებულია დათვალიერების ოქმშიც, თუმცა ეს ფრაზა/სიტყვები რატომღაც ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნაში (რომელსაც ჩანაწერის ტექსტიც უნდა გაეშიფრა) ასახული არ არის.
12. გასათვალისწინებელია, რომ ესკორტირების მთელი პროცესის და N18 დაწესებულებაში მიყვანას ვიდეო/აუდიო გადაღებას ახდენდა მონიტორინგის

დეპარტამენტის თანამშრომელი თავდაპირველად ვიდეო კამერით, ხოლო მეხსიერების ამოწურვის შემდეგ მობილური ტელეფონით, რომელსაც მისი თქმით, ეკრანის დაზიანების გამო ჰქონდა ხარვეზი და პროცესში თავისით გამოირთო. ამასთან ჩანაწერის გაწყვეტასთან დაკავშრებით განმარტავს, რომ იწყებოდა უშუალოდ რეანომობილიდან გადაყვანის პროცესი, რის გამო შეწყდა გადაღება და ჩავიდა მანქანიდან. თუმცა ექსპერტიზის დასკვნებით ირკვევა, რომ მობილური ტელეფონი ვიდეო გადაღებას მხოლოდ მოქმედების შედეგად წყვეტს და არა თავისით; ამრიგად, ხსენებული პირის განმარტება ვიდეო გადაღების შეწყვეტასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება. ასევე, ხსენებული პირი რეანომობილიდან გადავიდა მიხეილ სააკაშვილის გადაყვანამდე 5 წუთზე მეტი დროით ადრე. შესაბამისად, ამ დროის მონაკვეთის ჩანაწერი არ გადაუღია. ამდენად, უცნობია მიხეილ სააკაშვილთან პენიტენციური ხელმძღვანელობის საუბრის შინაარსი. საგულისხმოა, რომ დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულ ვიდეო ჩანაწერებზე მხოლოდ გამოსახულებაა ასახული და ხმა არ ისმის. ხმიანი ვიდეო ჩანაწერების წყვეტისა და 5 წუთიანი ეპიზოდის არ ჩაწერის გამო, შეუძლებელია ყველა მნიშვნელოვანი რელევანტური გარემოების დადგენა.

13. რაც შეეხება N18 დაწესებულებაში შესახლების პროცესს, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ავტომობილში მყოფს მოკიდეს ხელები კიდურებზე და ერთმა პირმა - კისერზე, დაიწყეს მისი იძულებით გადაყვანა. ცდილობდა მათგან ხელიდან გასხლტომას, ფეხის მხრიდან ეკავა ერთ-ერთ პირს და გააშვებინა ხელი, რის შემდეგ მისი ფეხები მიწას ეხებოდა, ხოლო მკლავებით კვლავ აგრძელებდნენ მის გადაადგილებას და გაატარეს ამ მდგომაროებაში. ავტომანქანიდან გადაყვანისას კისერში წაუჭირეს ხელი, ფეხებზეც იგრძნო დარტყმა ხელიდან დასხლტომის მცდელობის პროცესში. არ იცის გაზრახ თუ გაუფრთხილებლობით მიუხვდა ფეხის არეში სავარაუდოდ ფეხი და მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ მარცხენა წვივის არეში აქვს დაზიანება, ასევე, იგრძნო კისრის არეში ბიძგი, თუმცა განზრახ დაარტყა ვინმემ თუ შემთხვევით არ იცის ემოციური ფონის გამო. ასევე გადაადგილებისას გაძვრა ფეხსაცმელი, რის გამო მიათრევდნენ წინააღმდეგობის მიუხედავად ასფალტზე. ამის გამო ტერფებზეც აქვს გარკვეული დაზიანებები. კისრის არეში და ფეხის არეში დარტყმით განიცადა ფიზიკური ტკივილი. მისი თქმით, თანამშრომლებმა ზემოაღნიშნული იძულების წესით შეათრიეს N18 დაწესებულების პირველ სართულზე. ამ დროს ფეხსაცმელები უკვე გამძვრალი ჰქონდა. შენობაში გაუსხლტა ხელიდან ვისაც ეჭირა უკანა მხრიდან და ხელში შერჩათ ქურთუკი, ხოლო შემდეგ წვდნენ პულოვერზე და რომელიც დაზიანდა და აღმოჩნდა წელს ზევით შიშველი. ამ პროცესში მაინც მოახერხეს მისი გაკავება. შეიყვანეს ლიფტში და მიიყვანეს მე-4 სართულზე. დაუზიანდა ტანსაცმელიც. მისი თქმით, განიცდიდა და განიცდის მორალურ ტანჯვას და ფსიქოლოგიურ სტრესს ფიზიკური საფრთხის გამო, ძალიან ძნელია ამდენი შეურაცხყოფის, მუქარის ატანა, რაც ესმის პატიმრების სარკმლიდან და რაც მისი მოსაზრებით, წახალისებულია პენიტენციური სამსხურის მხრიდან.

    ვიდეო ჩანაწერებში პირდაპირი დარტყმის ფაქტი არ დასტურდება, ამასთან, პატიმარს გარს ახვევია ბევრი ადამიანი, რაც უტყუარად მტკიცების საშუალებას გამორიცხავს. ჩანაწერების მიხედვით, რეანომობილში მყოფ მიხეილ

სააკაშვილს მოკიდეს მკლავებში ხელები და იძულებით გადაიყვანეს რეანომობილიდან ბაქანზე. შემდეგ ერთ ეპიზოდში ჩანს დაცემის მსგავსი მოქმედება და შემდეგ ფეხებშიც მოკიდეს ხელები და შეიყვანეს ჰაერში აწეული შენობაში. დერეფანში ჩასვეს ეტლში, იქნევდა ფეხებს და გაძვრა ფეხსაცმელები, აეწია/გაეხადა ტანსაცმელი. შემდეგ ისევ ჰაერში აწიეს და შეიყვანეს ლიფტში, სადაც იატაკზე დასვეს, თუმცა კიდურებზე ხელი არ გაუშვიათ და შემდეგ შეიყვანეს მე-4 სართულზე პალატაში, სადაც, ასევე, იატაკზე დასვეს. ამ დროს მას გახდილი ჰქონდა ფეხსაცმელი და ნაწილობრივ (წელს ზევით) ტანსაცმელი.
ექსპერტიზის დასკვნით, დასტურდება მიხეილ სააკაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები: აღენიშნებოდა მარცხენა წვივისა და მარჯვენა კოჭ-წვივის სახსრის მიდამოში ნაჭდევები, რაც განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით. როგორც ერთობლიობაში, ისე ცალ-ცალკე მიეკუთვნებიან მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება მითითებულ თარიღს 8 ნოემბერს.

14. საგულისხმოა, რომ ჩანაწერებში ფიქსირდება სამსახურის გენერალური დირექტორის ხშირი საუბარი ტელეფონზე, მათ შორის, იძულებით გადაყვანის გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა, მასალებით არ ირკვევა თანამოსაუბრის ვინაობა.
15. ასევე საყურადღებოა, რომ საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო გამოძიება 8 ნოემბერს მომხდარ ფაქტზე მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ და ერთ-ერთი დანაყოფის ხელმძღვანელი, გამომძიებელთან ერთად, შევიდა მიხეილ სააკაშვილის საკანში მომდევნო დღეს, 9 ნოემბერს. ვიდეო ჩანაწერის (ხმოვან ვიდეო ჩანაწერს თავადვე ახორციელებდნენ) მიხედვით, მოცემული თანამდებობის პირი მართალია თავდაპირველად მიხეილ სააკაშვილს უცხადებს, რომ გენერალური ინსპექციის წარმომადგენელია, თუმცა საუბრის შინაარსიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტს იძიებენ. კერძოდ, ხსენებული პირი მიხეილ სააკაშვილს ეუბნება, რომ მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია მის მიმართ შეურაცხყოფაზე, რაზეც დაიწყეს გამოძიება, ყველაფერს ობიექტურად და სრულყოფილად გამოიძიებენ, სჭირდებათ მისი ტანსაცმელი, რის ნებაყოფლობით გადაცემასაც მიხეილ სააკაშვილი თანხმდება. პარალელურად კადრში ჩანს, რომ ამავდროულად სააკაშვილი უყურებს ტელევიზორს, სადაც გადასცემენ ინფორმაციას და ინტერვიუს აძლევს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოკითხვის მიზნით შედის N18 დაწესებულებში. მიხეილ სააკაშვილის შეკითხვაზე, ტელევიზიით ნახსენები პირიც არის თუ არა მათი თანამშრომელი, გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი პასუხობს, რომ ეს სხვა საქმეა, ქვემდებარეობით ინსპექტორი იძიებს მის მიმართ არასათანადო მოპყრობას და თვითონ იუსტიციის სამინისტროდან არიან. ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი უარს ეუბნება ტანსაცმლის ნებაყოფლობით გადაცემაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების მასალებით ცალსახად იკვეთება, რომ გონივრული დროის ქონის მიუხედავად, პენიტენციურ სამსახურს არანაირი

ღონისძიება არ გაუტარებია საიმისოდ, რომ გამორიცხულიყო მიხეილ სააკაშვილის სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისას შესაძლო უსაფრთხოების რისკები. ამავდროულად, მათ იცოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი პროტესტის გამო, არ მიიღებდა სამედიცინო მომსახურებას N18 დაწესებულებაში, ვინაიდან არ გრძნობდა გლდანის ციხეების ტერიტორიაზე თავს უსაფრთხოდ. ამავდროულად, პენიტენციურმა სამსახურმა იცოდა, რომ სახელმწიფო კონსილიუმის რეკომენდაციის შესაბამის სტანდარტებს N18 დაწესებულება არ შეესაბამებოდა და ვერ მიაწოდებდა მიხეილ სააკაშვილს სათანადო სერვისს. როგორც სამედიცინო მიმართულებით N18 დაწესებულების არამზადყოფნაზე, ისე უსაფრთხოების მნიშვნელოვან რისკებზე პენიტენციურმა სამსახურმა იცოდა სახალხო დამცველის საჯარო განცხადებებიდანაც. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მათ მაინც N18 დაწესებულებაში გადაიყვანეს მიხეილ სააკაშვილი, სადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მალევე კიდევ უფრო დამძიმდა და N18 დაწესებულებამ ვერ შეძლო სათანადო სერვისის მიწოდება.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ ასეულობით პატიმრის მხრიდან გინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, მისი ხანგრძლივობის, ინტენსივობის, ჯანმრთელობის მდგომაროების 40 დღიანი შიმშილობის ფონზე, ასევე, რეანომობილიდან ფიზიკური იძულებით გადაყვანის, შენობაში შეყვანისა და პალატაში განთავსების ფორმა (ყოფილი პრეზიდენტის ჰაერში აწევა, კიდურებზე ხელის იძულებით ჩაჭიდებით, იატაკზე დადება ლიფტში და პალატაში, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ნაწილობრივ გახდილ მდგომაროებაში) და შემდეგ ამ კადრების გასაჯაროება, და ამავდროულად ის ვერბალური გამოხატულება რაც პენიტენციური სამსახურის მაღალჩინოსნისგან მომდინარეობდა, კერძოდ, მაპროვოცირებელი, პატიმრის დამშვიდების მიზნის საწინააღმდეგოდ, მიმართული ქმედებები და ფრაზები შესაძლოა შეფასდეს როგორც ფსიქიკური და მორალური ტანჯვა, რაც შესაძლოა აღწევდეს კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი სისასტიკის მინიმალურ ზღვარს და წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას.

აქციები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი კვლავ აგრძელებდა 2021 წლის 5 ივლისს ლგბტქ+ პირებსა და ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების შესწავლას. ასევე, აკვირდებოდა 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ რუსთაველზე მიმდინარე აქციის დაშლისას პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას.[258]

წინამდებარე თავში დეტალურად იქნება განხილული 2021 წლის 5 ივლისს რუსთაველის გამზირსა და სხვადასხვა ლოკაციებზე ლგბტქ+ პირებისა და ჟურნალისტების მიმართ

[258] ძალადობის შედეგად დაზარალებული ჟურნალისტების წარმომადგენელი „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განცხადების თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დასაშვებად იქნა ცნობილი საჩივარი და 2023 წლის 17 იანვარს კომუნიკაცია შედგა საქართველოს მხარესთან 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით < https://gyla.ge/ge/post/evropul-sasamartloshi-5-ivlisis-saqmis-arsebiti-gankhilva-daitsyo#sthash.RwFgouYu.MbU8E6BK.dpbs >

განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში გამოვლენილი ხარვეზები. რაც შეეხება 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის დაშლისას პოლიციის თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ხარვეზების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოცემულია სპეციალური ანგარიში.[259] ასევე მითითებულია 2019-2021 წლების ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში.[260] შესაბამისად, წინამდებარე თავში ასახულია მხოლოდ ის პრობლემები, რასაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში.

5 ივლისის საქმე

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიშში ყურადღება იყო გამახვილებული 2021 წლის 5 ივლისს რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ლგბტქ+ პირებისა და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების გამოძიების ხარვეზებისა და კონკრეტული პირების მიმართ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდების წარდგენის საჭიროებაზე.[261]

2022 წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა განაჩენი სამ საქმეზე, რომლებზეც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 20 პირი, რომელთაგან, მხოლოდ 6 პირი იქნა მსჯავრდებული სხვა მუხლებთან ერთად, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისათვის[262] და საბოლოო სასჯელის სახედ განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოცემულ ნაწილში შეცვალა პირველი ინსტანციის განაჩენი და ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობაში ეს პირებიც გაამართლა.[263] შესაბამისად, შეიცვალა მათთვის განსაზღვრული სასჯელის საბოლოო ზომაც და განესაზღვრათ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიმდინარე წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განაჩენები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 იანვრის განაჩენი და, საქმის მოცულობიდან გამომდინარე (თითოეული

[259] http://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/20-21-ivnisis-movlenebis-gamodziebis-shualeduri-angarishi .
[260] https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf (გვ.122-126);
https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf (გვ.14, 47, 249);
https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf (გვ. 68, 185).
[261]http://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf (გვ.43-44).
[262] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 225, ნაწ.2.
[263] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის განაჩენი, საქმე N1ბ/935-22.

საქმის მოცულობა შეადგენს 25-27 ტომს), სახალხო დამცველის აპარატი, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაეცნო მხოლოდ ერთი საქმის მასალებს[264] 7 პირის მიმართ.[265]

საქმის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა არაერთი ხარვეზი როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე - განაჩენებში, გამოძიების ეფექტიანობის სტანდარტების, კვალიფიკაციის განსაზღვრის და სასჯელის დანიშვნის პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებით.

გამოძიების ზედმიწევნითობა და დროულობა

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები, გამოძიების ფარგლებში, დაინიშნა მნიშვნელოვანი დაგვიანებით - ფაქტიდან დაახლოებით ერთი თვის გასვლის შემდეგ. ასევე დაგვიანებით მოხდა სამედიცინო დოკუმენტაციის სრულად მოპოვება. რამდენიმე შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის პერიოდშიც კი არ იყო მოპოვებული.[266]

მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების დაგვიანების გამო, სასამართლომ სამი ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდება[267] შედარებით უფრო მსუბუქ დანაშაულზე[268] გადააკვალიფიცირა.

გამოძიებამ ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ 2021 წლის 12 ოქტომბერს დანიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა მისი შერაცხადობის დადგენის მიზნით.[269] ამასთან, საქმე სასამართლოში არსებითად განსახილველად წარიმართა 2021 წლის ოქტომბერში, რა დროისთვისაც ექსპერტიზის დასკვნა არ იყო მიღებული. ექსპერტიზის დასკვნების მნიშვნელოვან დაგვიანებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე გამოითხოვა[270] ინფორმაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, თუმცა აპარატს პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

---

[264] სისხლის სამართლის N1/4559-21საქმე.

[265] აღნიშნული საქმე შეეხებოდა წარდგენილი ბრალდებებიდან ყველაზე მძიმეში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში - ბრალდებული პირის ქმედების ნაკლებად მძიმე კატეგორიის, 126-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გადაკვალიფიცირებასა და ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში გამართლებას.

[266] ი.თ.- დაზარალებულად იქნა ცნობილი 2021 წლის 8 ივლისს, სამედიცინო ექსპერტიზა მის მიმართ დაინიშნა 2021 წლის 8 აგვისტოს, 2021 წლის 31 აგვისტოსა და 6 ოქტომბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა მიმოწერა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და გამოძიებას შორის დამატებითი სამედიცინო დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე, ასევე დამატებითი სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვება და ექსპერტიზის ბიუროსთვის მიწოდება. სამედიცინო ექსპერტის დასკვნა განაჩენის გამოტანის დროისთვის ბრალდების მხარეს მიღებული არ ჰქონდა. სხვა რამდენიმე შემთხვევაშიც სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 2021 წლის 8-10 აგვისტოს.

[267] ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და მე-5 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით.

[268] ძალადობა - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

[269] სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის N000969922 დასკვნა გაცემულ იქნა 2022 წლის 16 თებერვალს.

[270] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 5 აგვისტოს და 13 სექტემბრის N15-2/8025 და N15-2/9206 წერილები.

1. კვალიფიკაციის ხარვეზები

- ჯგუფური ძალადობის ბრალდება

პირველი ინსტანციის ორმა სასამართლომ, ასევე მესამე საქმეზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეებში არ იყო წარდგენილი საკმარისი მტკიცებულებები ბრალდებულთა მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის უტყუარად დასადასტურებლად, რის გამოც, ჯგუფურ ძალადობრივ ქმედებებში მონაწილეობაში ბრალდებული ყველა პირი გამართლდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის გამო პირთა დამნაშავედ ცნობისთვის საჭირო იყო უტყუარად დადგენილიყო, რომ ბრალდებულები წინასწარ შეკავშირდნენ ჯგუფური ძალადობის ჩასადენად და მოქმედებდნენ კონკრეტულ პირთან (პირებთან) შეთანხმებითა და მისი დავალებით ან მითითებით.[271] პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მან „ნამდვილად დაინახა რიგ მტკიცებულებებში ჰომოფობიური და ძალადობის შემცველი მოწოდებები, ასევე გაირკვა კონკრეტულ პირთა სახელები და გვარები, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც <u>არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია ბრალდების მხარეს</u> იმის სამტკიცებლად, რომ ბრალდებულები სტრუქტურულად და მყარად ორგანიზებული ჯგუფის მონაწილენი იყვნენ [...] შეუძლებელია გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენა, რომ ბრალდებულებმა ამ სახის ჯგუფურ მოქმედებაში მიიღეს მონაწილეობა“.[272] ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისათვის პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის „ბრალდების მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ არსებობდა ჯგუფური მოქმედების ორგანიზების ან ხელმძღვანელობის ფაქტი და რომ კონკრეტული პირი მონაწილეობას იღებდა ამ ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ქმედებაში.“[273]

ამრიგად, როგორც სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტებიდან შეიძლება დავასკვნათ, ბრალდებულები ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობაში გამართლდნენ, ვინაიდან სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ვერ იმსჯელა 5 ივლისის მოძალადე ჯგუფის სტრუქტურისა და მყარი შეკავშირების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიცაა, რომ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისთვის ბრალდების წარსადგენად ბრალდების მხარემ საქმეში არსებული მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტად არ შეაფასა და შესაბამისი ბრალდება არც ერთ პირს არ წარდგენია.

შესაბამისად, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდება უფრო გამყარებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ და ლგბტქ+ პირების მოწინააღმდეგე პირთა შეკრებისა და მათ მიერ ძალადობის განხორციელების ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ბრალდებით დაწყებული იქნებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოტანილი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სახალხო დამცველმა აღნიშნა სწორედ

[271] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/4559-21, პუნქტ. 4.3. (გვ. 49).
[272] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/4458-21, გვ.49-50.
[273] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 იანვრის განაჩენი, საქმე N1ბ/935-22, გვ.47.

მტკიცებულებების ამ მიმართულებით შეფასების საჭიროების შესახებ და ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით გენერალურ პროკურორს მიმართა.[274] პროკურატურამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა.

მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთ საქმეში[275] ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ორგანიზატორების თაობაზე სახალხო დამცველის მიერ საქმეში არსებული ერთ-ერთი მტკიცებულების შეფასება[276] ფაქტობრივად გაზიარებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერაც და „სირცხვილიას" ოფისის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები სასამართლომაც, ისევე, როგორც სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულ წინადადებაში, ერთობლიობაში შეაფასა, როგორც წინასწარ ზურაბ მახარაძისა და სხვების[277] მიერ „სირცხვილიას" წინააღმდეგ მიმართულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ქმედებად. პირველი ინსტანციის სასამართლო კოლეგიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ონლაინ გამოცემა „პუბლიკას" მიერ გაკეთებული სიუჟეტი[278], სადაც კონკრეტული პირები აცხადებენ რა ძალადობრივი და უკანონო ღონისძიებები და მოქმედებები უნდა განხორციელდეს 2021 წლის 5 ივლისს, ხოლო შემდეგ მოვლენები ვითარდება ისე, როგორც აღნიშნულ სიუჟეტში მოცემული პირები აღწერენ.[279] შესაბამისად, ამ ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე და „სირცხვილიას" ოფისში ძალადობრივი ქმედებების ამსრულებლები პირველი ინსტანციის სასამართლო კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ იქნენ სწორედ ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის (სსკ-ის 225 მუხლი, მე-2 ნაწილი). თუმცა სააპელაციო პალატამ აღნიშნული შეფასება არ გაიზიარა და განაჩენში აღნიშნა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებებში მითითებული იყო „ღირსების მარშის" პარალელურად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით გამოძიებით დაუდგენელ დროსა და დაუდგენელი პირების მიერ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების შესახებ, მათ შორის ჟურნალისტების მიმართ. თუმცა აღნიშნული და ასევე იგივე მტკიცებულება - ონლაინ გამოცემა „პუბლიკადან" გამოთხოვილი ვიდეო ფაილი არ მიიჩნია მსჯავრდებული 6 პირის ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის პასუხისგებაში მისაცემად საკმარისად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დამტკიცებულად და მათი ქმედება კონკრეტულ ლოკაციაზე შეაფასა

---

[274] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 3 სექტემბრის N15-11/8584 წინადადება, ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021090615354912875.pdf > [ბოლოს ნანახია 22.09.2022].

[275] საქმე N1/4457-21.

[276] სახალხო დამცველის წინადადება ეყრდნობოდა ონლაინ გამოცემა „პუბლიკა"-ს ვიდეო სიუჟეტს, ტელეკომპანია „ალტ-ინფოს" გადაცემაში 2021 წლის ივნისის თვეში მომზადებულ გადაცემებს, სადაც საუბარია 2021 წლის 5 ივლისს განსახორციელებელ დანაშაულებრივ მოქმედებებთან დაკავშირებით, რაც გამოძიების მიერაც იქნა მოპოვებული.

[277][277] სასამართლოს განაჩენებში ხსენებული სახელები არ დაუსახელებია, რამდენადაც საქმეთა განხილვა მათ წინააღმდეგ არ მიმდინარეობა. თუმცა, მითითებულია სწორედ იმ საჯარო წყაროებსა და სიუჟეტზე, რომელზე დაყრდნობითაც სახალხო დამცველმა მოამზადა დევნის დაწყების შესახებ წინადადება.

[278] აღნიშნული სიუჟეტი ბრალდების მხარის მიერ იყო მოპოვებული და წარდგენილი მტკიცებულებად.

[279] თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 აპრილის განაჩენი N1/4457-21 საქმეზე, გვ.35.

როგორც ცალკე აღებული, დამოუკიდებელი, სპონტანური, ჯგუფური ქმედება, ვინმეს მითითების გარეშე, კონკრეტულ დროს სიტუაციიდან გამომდინარე ჩადენილად.[280]

ამ ფონზე კიდევ ერთხელ და მკაფიოდ დადასტურდა პროკურატურის მხრიდან მტკიცებულებების არაჯეროვანი შეფასება ჯგუფური ძალადობის ორგანიზების მიმართ, რის გამოც ამ დრომდე სისხლისსამართლებრივი დევნა ორგანიზატორების მიმართ არ დაწყებულა.

ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების არასაკმარისობის საფუძველს დაეყრდნო როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო ორ სისხლის სამართლის საქმეში[281], ასევე სააპელაციო პალატა იმ საქმეში[282], რომელშიც სასამართლო კოლეგიის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისთვის მსჯავრდებული იყო 6 პირი, და გაამართლა ყველა ბრალდებული/მსჯავრდებული ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებაში. სასამართლომ აქცენტი დასვა სწორედ იმ გარემოებაზე, რომ პროკურატურამ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები ჯგუფური ძალადობის ორგანიზების თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ განსახილველ საქმეში ქმედების ჩამდენი პირებიც არ მიიჩნია ორგანიზებული ჯგუფური ძალადობის ამსრულებლებად.

საგულისხმოა, რომ თავად (მოგვიანებით გამართლებული) ბრალდებულები ადასტურებდნენ, რომ ძალადობა სოციალური ქსელებისა და მედიის მეშვეობით ორგანიზებულ აქციაში მონაწილეობის დროს ჩაიდინეს.

ამრიგად, გამოძიების უდიდესი ხარვეზია ის, რომ საქმის მასალები ჯეროვნად არ შეფასდა და კონკრეტულ პირებს არ წარედგინათ ბრალდება ძალადობრივი ქმედებების ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისთვის, რაც ცალსახად იქნებოდა სასამართლოსთვის ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირების ამ ბრალდებაში გამტყუნების დამხმარე საფუძველი.

- საკუთრების უფლების ხელყოფა

განაჩენის თანახმად, მოწმეებისა და დაზარალებულების ჩვენებებითა და სასაქონლო ექსპერტიზების დასკვნებით დასტურდება, რომ კონკრეტულმა პირებმა „სირცხვილიას" ოფისის შენობის სადარბაზოში, განზრახ დაამტვრიეს ოპერატორის კამერა, შტატივი და ჟურნალისტის მობილური ტელეფონი.[283] პროკურატურამ ეს გარემოება მხოლოდ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლად მიიჩნია (ხსენებულ ეპიზოდში პირები პასუხისგებაში მიეცნენ ჯგუფური ძალადობისა და დევნისთვისაც) და არ დააკისრა პირებს პასუხიმგებლობა სხვისი ნივთის განადგურების გამო.

---

[280]თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 იანვრის განაჩენი, საქმე N1ბ/935-22, გვ.47.

[281] N1/4559-21 და N1/4458-21.

[282] საქმე N1ბ/935-22 (N1/4457-21).

[283] 2021 წლის 8 ივლისის ექსპერტის N1161569/ტრ დასკვნის თანახმად, ვიდეოკამერისა და შტატივის დაზიანებით მესაკუთრეს მიადგა, შესაბამისად, 8000 და 1200 ლარის ზარალი, ხოლო 2021 წლის 16 აგვისტოს ექსპერტის N1375/ს დასკვნის თანახმად, მობილური ტელეფონის დაზიანებით მესაკუთრეს მიადგა 3400 ლარის ზარალი.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაცულია საკუთრების უფლება.[284] ამასთან, საკუთრების უფლება მოიცავს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებს და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მაშინაც კი, როდესაც ადგილი აქვს აშკარა და სერიოზულ ნაკლს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეტაპზე, მათ შორის ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც.[285]

ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ჩადენას შესაძლებელია თან ახლდეს სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ნივთების დაზიანება არა ჯგუფური ძალადობის თანამდევი შედეგი,[286] არამედ - დამნაშავის პირდაპირი განზრახვაა, ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს. რაკი გამოძიებამ ამ მუხლით ბრალდება არ წარადგინა, სასამართლოს ამ ფაქტების შეფასება აღარ შეეძლო.[287]

2. სასჯელის ინდივიდუალიზაცია

გამოძიების მიერ მოპოვებული ინფორმაციით დასტურდებოდა წარსულში რამდენიმე მსჯავრდებულის სისხლისსამართლებრივი დევნის, გამამტყუნებელი განაჩენებისა და მათ მიმართ სხვადასხვა შეღავათის გამოყენების ფაქტები. მიუხედავად ამისა, ერთნაირი ქმედებისთვის, ერთის გარდა ყველა მსჯავრდებულს, სასამართლომ ერთი და იგივე სახისა და ზომის საბოლოო სასჯელი დაუნიშნა.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ვალდებულია, სხვა გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს დამნაშავის წარსული ცხოვრება[288] და მსჯავრდებულის პიროვნება.[289]

---

[284] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19; „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, მუხ. 1.

[285] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Blumberga v. Latvia, N70930/01, §67.

[286] ჯგუფური ძალადობის თანამდევი შედეგი ნივთის დაზიანება ან განადგურება შეიძლება იყოს მაგალითად მაშინ, როდესაც პირები ცდილობენ კონკრეტულ შენობაში ძალადობრივ შეჭრას და ამ დროს აზიანებენ სხვადასხვა ნივთებს. თუ მოძალადე ამ მოქმედების პარალელურად, მაგალითისთვის, ანადგურებს მახლობლად მდგარ ავტომანქანას, აქ უკვე აშკარა ხდება მისი პირდაპირი განზრახვა ნივთის განადგურებისადმი, რაც სამართლებრივი გაკიცხვის ცალკე საფუძველს წარმოშობს.

[287] აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გასულ წლებში დანაშაულთა ერთობლიობით დააკვალიფიცირა სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტი და ყაჩაღობა საქმეში, სადაც ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ყაჩაღობა ჩადენილი არ იყო შემდგომში განადგურებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და მისაკუთრების მიზნით, თუმცა, ყაჩაღობის ჩადენის შემდეგ, როდესაც ნივთი უკვე გადასული იყო თავდასხმის განმახორციელებელი პირების მპყრობელობაში სწორედ ყაჩაღობის ჩადენის შედეგად და შესაძლებლობა ჰქონდათ ფაქტობრივად საკუთარი სურვილისამებრ განეკარგათ იგი, აღნიშნული ნივთი მსჯავრდებულების მიერ განზრახ იქნა განადგურებული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მაისის განჩინება, საქმე N2კ-1101ა3-06). შესაბამისად, მაშინ როდესაც სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობით იმ ქმედებების შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირებას, როდესაც სხვა დანაშაულის შედეგად დამნაშავის მპყრობელობაში გადასული ნივთის განზრახ დაზიანებასაც აქვს ადგილი.

[288] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[289] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პირთა ნასამართლობა გაქარწყლებული იყო და იგი მხედველობაში სასჯელის დანიშვნის დროს არ უნდა მიღებულიყო, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა დამნაშავის პიროვნება, განესხვავებინა დანაშაულის პირველად ჩამდენ პირთაგან და თითოეული პირის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას ემსჯელა აღნიშნულ გარემოებებზეც. სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა გათვალისწინებული ერთ-ერთი მსჯავრდებულის შეზღუდული შერაცხადობა. ამრიგად, დარღვეულია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

3. დაზარალებულთა უფლებები

მთავარი დადებითი ტენდენცია, რაც წინამდებარე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ფარგლებში გამოვლინდა, დაზარალებულთა უფლებების პატივისცემაში გამოიხატება. ჩვენების მიცემისთანავე, 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის მსხვერპლები გამოძიებამ დაზარალებულად ცნო. მისასალმებელია, რომ გამოძიება არ დაელოდა დაგვიანებით დანიშნული და გაჭიანურებული ექსპერტიზის დასკვნას კონკრეტული ფიზიკური დაზიანებების სიმძიმესთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაზარალებულად ცნობის შემდეგ, მსხვერპლებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მიეღოთ სხვადასხვა ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

მიზანშეწონილია, გამოძიების ადრეულ ეტაპზე, პირველივე შესაძლებლობისთანავე და არაგონივრული გაჭიანურების გარეშე, პირის დაზარალებულად ცნობის მსგავსი მიდგომა დაინერგოს სხვა სისხლის სამართლის საქმეებშიც.

დასკვნა

შესწავლილი საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ 5 ივლისის საქმეზე ჩატარებული გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს ზედმიწევნითობისა და დროულობის კუთხით. ეს გამოიხატა ექსპერტიზის დაგვიანებით ჩატარებასა და ნივთიერი მტკიცებულებების დაგვიანებით მოპოვებაში და გახდა სასამართლოში რიგ ბრალდებულთა გამართლების მთავარი მიზეზი. პროკურატურამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და არ წარუდგინა ბრალდება კონკრეტულ პირს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის შესახებ, რაც გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სასამართლომ ყველა პირი ჯგუფური ძალადობის ბრალდებაში გაამართლა. პროკურატურამ ასევე უგულებელყო საკუთრების უფლების ხელყოფის ცალკეული შემთხვევები და არ წარადგინა შესაბამისი ბრალდება მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით.

ბრალდების მხარის ერთ-ერთ არსებით ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორის ან ხელმძღვანელისთვის ბრალდება წარდგენილი არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოდ, სასამართლოს მიდგომაც შესაბამისი იქნებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისას.

სასამართლომ ასევე დაარღვია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, არ გაითვალისწინა რა კონკრეტულ პირთა მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მათი პიროვნება სასჯელის განსაზღვრის დროს.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გამოძიებამ დროულად ცნო ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლები დაზარალებულად და მისცა მათ საქმის მასალების გაცნობის უფლება. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პრაქტიკა სხვა ძალადობრივ დანაშაულთა მსხვერპლებზეც გავრცელდება.

20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების გამოძიება

2019 წლიდან სახალხო დამცველი აკვირდება 20-21 ივნისის აქციის დაშლისას პოლიციის თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას. შესწავლის ფარგლებში 2019 წლიდან სახალხო დამცველის მიერ გამოძიებას მიეცა რამდენიმე წინადადება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და კონკრეტული პირის ბრალდების შესახებ, გამოქვეყნებულ იქნა გამოძიების შუალედური ანგარიშიც.[290]

გამოძიების მიმდინარეობას სახალხო დამცველი ასევე აკვირდებოდა 2021 წელს. მონიტორინგის შედეგად კვლავ იკვეთებოდა გამოძიების დასრულებისთვის სხვადასხვა ხელშემშლელი პირობები, მათ შორის სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების დაგვიანებით წარდგენა, რაც თავის მხრივ აბრკოლებდა პირების დაზარალებულად ცნობასა და მათთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში გამოძიებაში ჩართვას. გამოვლინდა ასევე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ" კანონის ხარვეზები.[291]

საანგარიშო პერიოდში განახლებული ინფორმაციით, გამოძიებისთვის კვლავ დამაბრკოლებელი გარემოებაა დანიშნული ექსპერტიზების დასკვნების დასრულება და გადაცემა. 2022 წლის მდგომარეობით საქმეზე დაზარალებულად ცნობილია სულ 34 აქციის მონაწილე და ჟურნალისტი, მაშინ, როცა გამოძიების მიერ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 330-ზე მეტი პირის მიმართ. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამშრომლების მიმართ ბრალდება წარდგენილი არ ყოფილა და გამოძიება კვლავ არ დასრულებულა.[292]

სისტემური ხარვეზები პენიტენციურ სისტემაში

პატიმრების ინდივიდუალური საქმეების განხილვის შედეგად საანგარიშო პერიოდშიც დეპარტამენტმა გამოავლინა არაერთი სისტემური პრობლემა, რაც პენიტენციურ სისტემას და პენიტენციურ დაწესებულებებს უკავშირდება. შესაბამისად, წინამდებარე თავში განხილული იქნება სწორედ მსგავსი საკითხები. აქვე აღსანიშნავია, რომ სისტემური

[290] < http://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/20-21-ivnisis-movlenebis-gamodziebis-shualeduri-angarishi >.
[291] < http://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> გვ. 44-47.
[292] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 დეკემბრის N13/84288 წერილი.

პრობლემების პრევენციულ და პროაქტიულ მონიტორინგს ახორციელებს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის დეპარტამენტი.

დეესკალაციის ოთახში პატიმართა განთავსების პრაქტიკა
სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახში მოთავსების მავნე პრაქტიკაზე. ხშირია პატიმრების დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსების შემთხვევები, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.[293]

სახალხო დამცველმა, ამ მიმართულებით გამოიყენა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ბერკეტი და ბრალდებულების/მსჯავრდებულების დეესკალაციის ოთახში განთავსების მომწესრიგებელი ნორმების არაკონსტიტუციურობის თაობაზე, შესაბამისი სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[294] კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანია პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული, პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების წესებისა და პირობების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

სამწუხაროდ, არსებული მანკიერი პრაქტიკა საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნებულია და პატიმრებიც აქტიურად აპელირებენ ამ მიმართულებით მათი უფლებების დარღვევის ფაქტებზე, განსაკუთრებით მაღალი რისკის დაწესებულებებში.

აღნიშნულ ქვეთავში მიმოხილული იქნება რამდენიმე მაგალითი, სადაც ნათლად იქნება წარმოჩენილი ამ კუთხით საკანონმდებლო და პრაქტიკული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

მსჯავრდებულ ნ. მ.-ს საქმე

ეპიზოდი N1

მსჯავრდებული ნ. მ., რომელიც სასჯელს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა, 2021 წლის 1 ივლისს მოათავსეს დეესკალაციის ოთახში, სადაც უწყვეტად იმყოფებოდა 7 ივლისის ჩათვლით. 2021 წლის 18 ივლისს იგი კვლავ მოათავსეს დეესკალაციის ოთახში, სადაც იმყოფებოდა 26 ივლისის ჩათვლით. ჯამში, ნაცვლად დაწესებულების დებულებით

[293]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წ., გვ. 56; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წ., გვ. 41-42.

[294] <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12023> [ბოლოს ნანახია: 29.12.2022].
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის საოქმო ჩანაწერით, საქართველოს სახალხო დამცველის N1637 კონსტიტუციური სარჩელი („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“) მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

დადგენილი მაქსიმალური ვადის - 72 საათისა,[295] დეესკალაციის ოთახში პატიმარი დააყოვნეს პირველ შემთხვევაში - 143 საათის, ხოლო, მეორე შემთხვევაში - 186 საათის განმავლობაში. აღნიშნულ ფაქტებზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის შედეგად მონიტორინგის დეპარტამენტმა მსჯავრდებულის უფლებების დარღვევა არ დაადგინა.[296]

საქმის შესწავლითა და ანალიზით გამოვლინდა, რომ ნ. მ., ერთი კალენდარული თვის განმავლობაში, ჯამში 14 დღე იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში, რა დროსაც, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც თვითდაზიანების მიყენებას, ისე სუიციდის მცდელობას. მიუხედავად პატიმრის მხრიდან გამოვლენილი პროტესტის მწვავე ხასიათისა, მის მიმართ გამოყენებული იყო მხოლოდ ფიზიკური შეკავებისა და შეზღუდვის საშუალებები და ადგილი არ ჰქონია მასთან მულტიდისციპლინური ხასიათის მუშაობას, შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მონაწილეობით. კერძოდ, პატიმარს ამ დროის განმავლობაში, არ შეხვედრია ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი და არ შემუშავდა მისი ემოციური მდგომარეობის დეესკალაციის უფრო ეფექტიანი ტაქტიკა. მითუმეტეს, არ შეფასებულა მსჯავრდებულისთვის სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამისი დახმარების გაწევისთვის გადაყვანის საჭიროება. დაწესებულება შემოიფარგლა მხოლოდ პატიმრის ფიზიკური შეზღუდვით და უბრალოდ, დაელოდა მისი ემოციური მდგომარეობის ბუნებრივად მიწყნარებას, რასაც დასჭირდა რამდენიმე დღე. მსგავსი მიდგომის არაეფექტიანობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში, ორჯერ გახდა საჭირო ნ. მ.-ს დეესკალაციის ოთახში გადაყვანა და მისი იქ რამდენიმე დღით დაყოვნება.

საყურადღებო და საგანგაშოა ის გარემოებაც, რომ ნ. მ., ორივე შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში კანონმდებლობით გათვალისწინებული, 72 საათიანი მაქსიმალური ვადის დარღვევით მოთავსდა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების დებულებით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი პატიმრის დეესკალაციის ოთახში ერთჯერადად განთავსების მაქსიმალური ვადა, მოცემულ შემთხვევაში, ეს ვადა დარღვეულია და სამწუხაროდ, აღნიშნულ გარემოებას, სათანადო შეფასება, არც სამსახურებრივი შემოწმების დროს მიეცა. დაწესებულების ადმინისტრაციას შედგენილი აქვს მხოლოდ ფორმალურად ახალი ბრძანება თითქოს პატიმარი ხელახლა განათავსეს დეესკალაციაში, თუმცა რეალური მოცემულობა იმგვარი იყო, რომ 72 საათის გასვლის შემდეგ მსჯავრდებული წამიერადაც კი არ ყავდათ გამოყვანილი დეესკალაციის ოთახიდან.

ეპიზოდი N2

---

[295] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 4.

[296] მასალები აპარატს მიეწოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 7 ოქტომბრის №294455/01 წერილით.

ნ. მ.-მ, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, 2022 წლის 25-28 ოქტომბრის პერიოდი დეესკალაციის ოთახში გაატარა. იგი მიუთითებდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, იგი იყო მშვიდად, არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა როგორც საკუთარ თავს, ისე სხვა პირებს, არ აპროტესტებდა მის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებას, რათა დაწესებულების თანამშრომლებისთვის არ მიეცა იმის საფუძველი, რომ შესაბამის დოკუმენტებში დაეფიქსირებინათ, რომ იგი, თითქოს იყო აღელვებული და აგრესიული, მაინც მოუწია დეესკალაციის ოთახში მაქსიმალური ვადით ყოფნა, რისი საჭიროებაც, მისი მტკიცებით, არ არსებობდა და შესაბამისად, დაირღვა მისი უფლებები.

სახალხო დამცველის აპარატმა, აღნიშნული საქმის შესწავლის მიზნით მოითხოვა[297] შესაბამისი ვიდეომასალის დაარქივება, რაც დაკმაყოფილდა.[298] აპარატმა, ასევე შეისწავლა N6 პენიტენციური დაწესებულების მიერ ნ. მ.-ს დეესკალაციის ოთახში მოთავსებასთან დაკავშირებით შედგენილი მასალები.[299]

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ დაწესებულების უფლებამოსილმა პირებმა შეადგინეს შესაბამისი ოქმები, სადაც ფიქსირდებოდა მათ მიერ ნ. მ.-ს მდგომარეობა დეესკალაციის ოთახში ყოფნისას დროის კონკრეტულ პერიოდში. კერძოდ, ხსენებული ჩანაწერების თანახმად, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორებმა, 2022 წლის 26 ოქტომბერს 09:57 საათზე, 13:50 საათზე და 17:30 საათზე, 27 ოქტომბერს 08:50 საათზე და 18:25 საათზე, 28 ოქტომბერს 08:45 საათზე და 12:37 საათზე შეამოწმეს მსჯავრდებულ ნ. მ.-ს მდგომარეობა, რა დროსაც იგი იყო „აღელვებული", „აგრესიული", „იმუქრებოდა თვითდაზიანებით", ხოლო 28 ოქტომბერს 19:05 საათზე - „დაწყნარებული, დამშვიდებული".

ამასთან, სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა მოცემულ საქმეზე დაარქივებული ვიდეომასალა. დათვალიერებით გადამოწმდა ზემოხსენებულ ოქმებში მითითებულ დროებში, მსჯავრდებულ ნ. მ.-ს მდგომარეობა. ეს უკანასკნელი, ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში, ან იწვა საწოლზე და სავარაუდოდ, ეძინა და ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა უძრავად, დიდი ხნის განმავლობაში ან საწოლზე იჯდა, გამოიყურებოდა მშვიდად და მისი მხრიდან არ შეინიშნებოდა რაიმე სახის მოქმედება, საუბარი, აღელვება ან სხვაგვარი იმ ტიპის ქცევა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მხრიდან აგრესიის, აღელვებისა თუ რაიმე ტიპის მუქარის გამოვლენაზე ან ამგვარი რისკის არსებობაზე.

ასევე, დათვალიერდა დეესკალაციის სივრცეში, დერეფანში განთავსებული იმ ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომლის მხედველობის არეალშიც მოქცეულია N10 დეესკალაციის ოთახი.[300] დათვალიერების დროს, კონკრეტულად გადამოწმდა იმ დროის ვიდეომასალა, რა

---

[297] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 10 ნოემბრის N 15-3/11270 წერილი.
[298] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 21 ნოემბრის №340398/01 წერილი.
[299] N6 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 17 ნოემბრის № 337366/23 წერილი.
[300] მსჯავრდებული ნ. მ. განთავსებული იყო N10 დეესკალაციის ოთახში.

დროებშიც, ზემოხსენებული დოკუმენტაციის თანახმად, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორების მიერ შემოწმდა პატიმრის მდგომარეობა. არცერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში, არ იკვეთება დაწესებულების რომელიმე თანამშრომლის მხრიდან N10 დეესკალაციის ოთახთან მისვლა და მსჯავრდებულზე ვიზუალური დაკვირვება/შეფასება. მათ შორის, არც 2022 წლის 28 ოქტომბერს, 19:05 საათზე, როდესაც, დოკუმენტაციის თანახმად, ნ. მ. იყო „დამშვიდებული".

გარდა ამისა, ვიდეომასალის დათვალიერებით დადასტურდა, რომ დეესკალაციის ოთახში განთავსებისას და აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგ, არ მომხდარა ნ.მ.-ს შემოწმება ექიმის მიერ, რასაც სავალდებულოდ ითვალისწინებს დაწესებულების დებულება.[301] კერძოდ, დეესკალაციის ოთახში განთავსებისას საერთოდ არ მომხდარა ექიმის მიერ პატიმრის მონახულება. ხოლო, ღონისძიების დასრულების შემდეგ, ექიმმა პატიმარი მოინახულა 3 საათზე მეტი ხნის შემდეგ, რაც ვერ მიიჩნევა დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვით განხორციელებულ ღონისძიებად.

ამდენად, საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი გარემოებების, დოკუმენტაციისა და დაარქივებული ვიდეომასალის შესწავლითა და ურთიერთშეჯერებით დადგინდა, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორებმა, ნ. მ.-ს დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემდეგ, მისი მდგომარეობის შემოწმების შესახებ დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაცია შეიტანეს, რითიც შექმნეს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მაქსიმალური ვადით განთავსების საფუძველი.

ჩვენი შეფასებით, აღნიშნული და სხვა, მსგავსი ტიპის საქმეების შესწავლის შედეგები ადასტურებს, რომ უსაფრთხოების ხსენებული ღონისძიების გამოყენების არსებული პრაქტიკა, რეალურად, დაწესებულების მხრიდან პატიმართა დასჯის არაფორმალურ მექანიზმს წარმოადგენს.

ეპიზოდი N3

სახალხო დამცველის აპარატში არაერთხელ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც პატიმრები აცხადებენ, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებს პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები აწვდიან არასწორ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს კონკრეტული პატიმრები უარს აცხადებენ რწმუნებულთან შეხვედრაზე.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტი N6 პენიტენციურ დაწესებულებაში დაფიქსირდა და სწორედ, დეესკალაციის ოთახში მყოფი პატიმრის უფლების უკანონო შეზღუდვას ეხებოდა. კერძოდ, 2022 წლის 11 აგვისტოს, სახალხო დამცველის რწმუნებულმა მოითხოვა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახში განთავსებულ

[301] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 4.

მსჯავრდებულთან, ნ. მ.-სთან შეხვედრა. დაწესებულების თანამშრომელი შევიდა დეესკალაციის სივრცეში და დაბრუნების შემდეგ, რწმუნებულს აცნობა, რომ ნ. მ. უარს აცხადებდა მასთან შეხვედრაზე.

რწმუნებულმა მოწოდებული ინფორმაცია არასარწმუნოდ მიიჩნია, მაინც მივიდა საკანთან და პირადად გაესაუბრა ნ. მ.-ს, რა დროსაც ამ უკანასკნელმა კატეგორიულად უარყო რწმუნებულთან შეხვედრაზე მისი მხრიდან უარის თქმის ფაქტი და პროტესტი გამოხატა.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დაათვალიერა რელევანტური დროის დაარქივებული[302] ვიდეომასალა, რომლითაც უტყუარად დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომელი, რწმუნებულის მიერ ნ. მ.-სთან შეხვედრის თაობაზე მოთხოვნის შემდეგ გავიდა დეესკალაციის ოთახების სივრცეში, თუმცა, მყისიერად უკანვე დაბრუნდა ისე, რომ არ მისულა N7 დეესკალაციის ოთახში, სადაც განთავსებული იყო ნ. მ. ამდენად, მას პატიმართან კომუნიკაცია არ დაუმყარებია, რწმუნებულს კი განზრახ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, რითიც შეეცადა რწმუნებულისა და პატიმრის შეხვედრა თავიდან აეცილებინა.

მოცემულ საქმეზე სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა.[303] მისასალმებელია რომ წინადადების საფუძველზე, N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს დისციპლინური სახდელი დაეკისრა.[304]

რ. ი.-ს საქმე

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი,[305] მსჯავრდებულ რ. ი.-ს დეესკალაციის ოთახში განთავსების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მსჯავრდებული ფაქტობრივად უწყვეტად, თითქმის 10 დღის განმავლობაში იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში.

წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ მსჯავრდებული 2022 წლის 29 ოქტომბერს, 14:33 საათზე გადაიყვანეს დეესკალაციის ოთახში,[306] სადაც იმყოფებოდა 2022 წლის 1 ნოემბრის 14:01 საათამდე. დეესკალაციის ოთახში მოთავსების 72 საათიანი ვადის

---

[302] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 23 აგვისტოს №248157/01 წერილი.
[303] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 22 სექტემბრის N 15-3/9592 წინადადება.
[304] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 25 იანვრის N20229/01 წერილი.
[305] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2022 წლის 24 ნოემბრის N344183/21 წერილი.
[306] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 29 ოქტომბრის N855 ბრძანება.

გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, მსჯავრდებული გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან, თუმცა ერთი წუთის შემდეგ, 14:02 საათზე დააბრუნეს ისევ დეესკალაციის ოთახში.[307] მიზეზად მითითებულია, რომ მსჯავრდებულმა საცხოვრებელ საკანში გადაყვანისას, აგრესია გამოხატა დაწესებულების თანამშრომლის მიმართ.[308] თუმცა, არ არის დაზუსტებული, რა სახის აგრესია გამოხატა მსჯავრდებულმა.

დაწესებულების დირექტორის ბრძანების თანახმად, მსჯავრდებული რ. ი. 2022 წლის 4 ნოემბერს, 12:47 წუთზე გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან, თუმცა იმავე წუთს, 12:47 საათზევე დააბრუნეს დეესკალაციის ოთახში, სადაც იმყოფებოდა 2022 წლის 7 ნოემბრის 12:00 საათამდე.[309] 2022 წლის 7 ნოემბრის 12:00 საათზე მსჯავრდებული გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან და იმავე წუთს, 12:00 საათზე, დააბრუნეს ისევ დეესკალაციის ოთახში, სადაც იმყოფებოდა 2022 წლის 7 ნოემბრის 19:44 საათამდე.[310] ამგვარად, მხოლოდ ფორმალურად დააკმაყოფილა კანონმდებლობის მოთხოვნა, რომ თითქოს 72 საათზე დიდხანს არ ამყოფა პატიმარი დეესკალაციის ოთახში.

რ. შ.-ს საქმე

მსჯავრდებული რ. შ-ს განმარტებით, 2022 წლის 9 თებერვალს, მიუხედავად იმისა, რომ არ არღვევდა სამართლებრივ რეჟიმს, სრულიად უსაფუძვლოდ ჩაიყვანეს დეესკალაციის ოთახში.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რ. შ.-ს დეესკალაციის ოთახში განთავსების ფაქტზე შედგენილი დოკუმენტაცია[311] და დაარქივებული ვიდეომასალა.[312]

დოკუმენტაციის თანახმად, 2022 წლის 9 თებერვალს, რ. შ. დილიდანვე გამოხატავდა აგრესიას, კერძოდ, აპროტესტებდა დაწესებულების სარეჟიმო მოთხოვნებს, ითხოვდა სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, რაზეც არაერთხელ იქნა გაფრთხილებული, დაეცვა წესრიგი. დაახლოებით 14:25 საათზე, მსჯავრდებულმა რ. შ.-მ დაიწყო მუქარა, რომ პროტესტის მიზნით მიიყენებდა სხეულის თვითდაზიანებას. მოწოდების მიუხედავად, იგი არ დამშვიდდა.

---

[307] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N860 და N861 ბრძანებები.
[308] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N321144/21 შუამდგომლობა.
[309] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 4 ნოემბრის N868 და N869 ბრძანებები.
[310] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის N875, N876 და N881 ბრძანებები.
[311] N6 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 19 აპრილის № 112736/23 წერილი.
[312] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 17 მარტის №75401/01 წერილი.

ვიდეომასალის დათვალიერებით კი დადგინდა, რომ 2022 წლის 9 თებერვალს, 14:00 საათიდან, მსჯავრდებული რ. შ. იმყოფება საკანში, ზის მაგიდასთან, წერს და შემდეგ გადაადგილდება საკანში. 14:21 საათზე, საკნის კარების საკვებურიდან, სავარაუდოდ დაწესებულების თანამშრომელს მცირე ხნით ესაუბრება. მისი მხრიდან სამართლებრივი რეჟიმის დარღვევის რაიმე ფაქტი არ იკვეთება. 14:22 საათზე, მან საკანში განთავსებული ვიდეოკამერების მხედველობის არეში მოაქცია ფურცელი გარკვეული წარწერით, რომლითაც მიმართავდა დაწესებულების დირექტორს. 14:25 საათზე კი, საკანში შევიდა დაწესებულების სამი თანამშრომელი. ერთ-ერთმა მათგანმა მსჯავრდებულს ჩამოართვა ზემოხსენებული ფურცელი, რის შემდეგაც იგი, ყოველგვარი საუბრისა და ძალდატანების გარეშე, მშვიდ ვითარებაში გაიყვანეს დეესკალაციის ოთახში.

ამდენად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ვიდეომასალა არ შეიცავს ხმოვან სიგნალს და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა შინაარსის დიალოგი გაიმართა მსჯავრდებულსა და დაწესებულების თანამშრომელს შორის 14:21 საათზე (საკნის საკვებურიდან), დაწესებულების თანამშრომლის ზემოხსენებულ პატაკში მითითებული ფაქტი იმის შესახებ, რომ მითითებულ დღეს, დაახლოებით 14:25 საათზე, რ. შ.-მ დაიწყო მუქარა, რომ მიიყენებდა თვითდაზიანებას, რისი შეწყვეტისკენ არაერთხელ მოუწოდეს, ვიდეომასალით, მაღალი ალბათობით, არ დასტურდება. ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, რომ 2022 წლის 9 თებერვალს, 14:25 საათზე, მსჯავრდებული რ. შ., საკანში განთავსებულ ვიდეოკამერებს აჩვენებს ფურცელზე განთავსებულ წარწერას, გამოიყურება მშვიდად და არ იკვეთება არანაირი მოძრაობა, რაც შესაძლოა ახასიათებდეს მისი მხრიდან მუქარას და აგრესიის გამოხატვას ვერბალურად. ასევე, არ ჩანს არანაირი მოწოდება მის მიმართ დამშვიდებისკენ. ხოლო, დაწესებულების თანამშრომლების საკანში შემოსვლის შემდეგ, მათსა და მსჯავრდებულს შორის, არანაირი დიალოგი არ გამართულა. იგი დაუყოვნებლივ გაიყვანეს საკნიდან.

საქმეზე სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირებისთვის მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს,[313] უწყების მიერ მოწოდებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების თანახმად, რ. შ.-ს უფლებების დარღვევა არ გამოიკვეთა. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს მოცემული საქმის შესწავლას.

ზემოხსენებული საქმეების ანალიზი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დეესკალაციის ოთახებში პატიმართა მოთავსებას, ხშირ შემთხვევაში, დასჯისა და პატიმრის მიმართ ანგარიშსწორების მოტივაცია აქვს. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევს უფლებამოსილების ბოროტად და თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას. კანონმდებლობის ხარვეზების გამო, ადმინისტრაციული პრაქტიკაც მანკიერად ვითარდება, პატიმრებს ხანგრძლივი დროით ათავსებენ დეესკალაციის ოთახებში, ნორმატიულად დადგენილ ვადაზე ხანგრძლივად და

[313] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 21 აპრილის N 15-3/4280 წერილი.

ასევე, დიდი სიხშირით, რა დროსაც მათთან არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა და სამედიცინო მომსახურება. ამრიგად, სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებისა და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა ისევ დგას დღის წესრიგში,[314] რათა შემუშავდეს დეესკალაციის ოთახში პატიმართა ემოციური მდგომარეობის მართვისა და მათ მიმართ უსაფრთხოების აღნიშნული ღონისძიების გამოყენების საფუძვლების აღმოფხვრის/განეიტრალების უფრო ეფექტიანი ტაქტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება პატიმართან მულტიდისციპლინური მუშაობის პრინციპზე და მიმართული არ იქნება მათი დასჯისკენ.

ვიდეოჩანაწერების შენახვა/დაარქივება

პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული მეთვალყურეობის/ვიდეო-მონიტორინგის გამართული სისტემის არსებობა, გარდა დაწესებულების უსაფრთხოებისა თუ სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფისა, სახალხო დამცველის აპარატისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის. იმ შემთხვევაში კი, თუ პატიმარი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას, ვიდეო ჩანაწერები ერთ-ერთი ყველაზე მყარი და სანდო მტკიცებულება შეიძლება იყოს გამოძიებისთვის.

საანგარიშო პერიოდში კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ცალკეულ შემთხვევებში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვა/დაარქივება, რამაც კონკრეტული ფაქტების ირგვლივ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებასა და გადამოწმებას ხელი შეუშალა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე შემთხვევას.

ე. წ. მაყურებლების საქმე

პენიტენციურ დაწესებულებებში ე.წ. კრიმინალური სუბკულტურის/არაფორმალური იერარქიის არსებობის ფაქტზე სახალხო დამცველი წლებია ღიად საუბრობს. სახალხო დამცველი მიუთითებს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული არაფორმალური მმართველობის თაობაზე, რაც არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს და ხშირად განაპირობებს პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრას. არაფორმალური მმართველობა პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება. კრიმინალური სუბკულტურა, პატიმრების უსაფრთხოების თვალსაზრისით, რისკის შემცველია და მნიშვნელოვანია მის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტიანი საშუალებებით.[315] გარდა ამისა, საქმეების შესწავლის შედეგად სახალხო დამცველი

[314] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ. 70.

[315] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი „N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში" 2019 წ. < http://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf > [ბოლოს ნანახია: 16.01.2023 წ.] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის

მიუთითებს ციხეებში კრიმინალური სუბკულტურის მხრიდან ჩადენილ სავარუდო კანონდარღვევებზე შიდა ინსპექტირების და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არაეფექტიანი სამსახურებრივი შემოწმების და გამოძიების ხარვეზებზე.[316]

საქართველოს პენიტენციური დაწესებულებებში 2018 წლის ვიზიტის შემდგომ CPT-ის ანგარიშში[317] აღინიშნა N15 დაწესებულებაში არაფორმალური იერარქიის პატიმრების - ე. წ. „მაყურებლების" გავლენაზე; ადმინისტრაციის მხრიდან წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის ნაწილის გაზიარებაზე ე. წ. „მაყურებლებთან", რითაც სხვა პატიმრები ძალადობისა რისკის ქვეშ არიან; პატიმართა შორის ძალადობის პრობლემაზე. შესაბამისად, CPT-მ მოუწოდა ხელისუფლებას ხსენებულ და ყველა დაწესებულებაში პატიმართა შორის ძალადობის და დაშინების პრევენციისა და ბრძოლის მიზნით გამოიყენოს მათ ხელთ არსებული ყველა შესაბამისი საშუალება; ასევე, მიიღოს ზომები რეალური ან პოტენციური მსხვერპლის დასაცავად. გარდა ამისა, ბოლო უნდა მოეღოს N15 დაწესებულებაში (სხვა ციხეებშიც) არაფორმალური პატიმარი „ლიდერებისთვის" უფლებამოსილების დელეგირების პრაქტიკას და გამოყენებას პატიმართა შორის წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

საქართველოს ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში 2021 წელს განხორციელებული ad hoc ვიზიტის შემდგომ CPT-ის ანგარიშში[318] მითითებულია ციხეებში არაფორმალური კრიმინალური იერარქიის აშკარა ნიშნებზე (საკნის კარებზე კედლებზე განთავსებულ „ქურდული სამყაროს" სიმბოლოებზე, აშკარა განსხვავება საკნების მოწყობას შორის), ფულის შეგროვებაზე (გამოძალვა) პატიმრებისგან და მათი ოჯახებისგან („ობშჩაკი"); პატიმრებს შორის ძალადობის მაღალ რისკზე; პატიმრებს შორის ძალადობის რეალური პრობლემაზე.

ციხის კრიმინალური, არაფორმალური მმართველობა პატიმართა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი სახეობაა. ამაში, ცხადია, იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური ძალადობა. კრიმინალური წესებისადმი მორჩილება, ე.წ. საერთოების შეგროვებაში მონაწილეობის მიღება და სხვა.

მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი", გვ. 57, 64-65 < http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf > [ბოლოს ნანახია: 16.01.2023 წ]. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი" გვ. 49-54 < http://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf > [ბოლოს ნანახია: 16.01.2023 წ]. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი" გვ. 39 < http://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf >

[316] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 29-41 < http://ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf > [ბოლოს ნანახია: 16.01.2023 წ.] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 51-54 < http://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf > [ბოლოს ნანახია: 18.01.2023 წ.]

[317] იხ. < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია: 16.01.2023 წ.] ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის 10 მაისს.

[318] იხ. < https://rm.coe.int/1680a6eabd > [ბოლოს ნანახია: 16.01.2023 წ.] ანგარიში გამოქვეყნდა 2022 წლის 16 ივნისს.

აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ კრიმინალური სუბკულტურისა და მათთან პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის თანამშრომლობაზე მამხილებელი ინფორმაციის მოწოდება პატიმრებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია და როგორც წესი, მსგავსი ინფორმაციის ღიად მოწოდება არც ისე ხშირია. მიუხედავად ამისა, ფიქსირდება იმგვარი შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველის აპარატს პატიმრები აწვდიან კონკრეტულ ცნობებს თუ როგორ შეიძლება შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება ამ ფაქტების აღმოსაჩენად/დასადასტურებლად. მსგავსი შემთხვევა საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა, რა დროსაც პენიტენციურმა სისტემამ არადამაჯერებელი განმარტებებით სცადა სახალხო დამცველის აპარატისთვის ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობის შეზღუდვა.

კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატისთვის მიღებული ინფორმაციის თანახმად ცნობილი გახდა, რომ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში კონკრეტულ საკნებში განთავსებული იყვნენ ე.წ. „მაყურებლები", რომლებიც დღის განრიგით დადგენილი წესების დარღვევით, თავისუფლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და მათი მხრიდან ასევე, ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ადგილი ჰქონდა სხვა უკანონო ქმედებებს.

საკითხის შესწავლისა და გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის მანძილზე, ხუთჯერ[319] მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს, N2 პენიტენციური დაწესებულების ცალკეულ საკნებსა და დერეფნებში არსებული ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დაარქივებისა და მოწოდების/გაცნობის თაობაზე.

2022 წლის 28 თებერვლის პასუხის[320] თანახმად, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზის გამო, აპარატის მიერ მოთხოვილი ვიდეოჩანაწერები დაარქივებული ვერ იქნა. 28 მარტის წერილით[321] განმარტებულია სისტემაში მითითებული დროისთვის არსებული ტექნიკური ხარვეზის შესახებ. ამასთან, პასუხიდან ირკვევა, რომ ხსენებული ტექნიკური ხარვეზი იმ დროისთვის აღმოფხვრილი იყო, თუმცა, 24 მაისის პასუხის[322] თანახმად, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზის გამო, მოთხოვილი ვიდეოჩანაწერების დაარქივება კვლავ ვერ მოხდა.

---

[319] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 17 თებერვლის N15-14/1984, 17 მარტის N15-14/2849, 29 აპრილის N15-14/4542, 20 ივნისის N15-14/6294 და 12 დეკემბრის N15-14/12369 წერილები.

[320] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 28 თებერვლის N56692/01 წერილი.

[321] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 28 მარტის N87372/01 წერილი.

[322] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 24 მაისის N150801/01 წერილი.

2022 წლის 30 ივნისის პასუხის[323] თანახმად, არსებული ტექნიკური პრობლემების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ დაგეგმილია ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკის შესყიდვა და ახალი, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ტექნიკით ჩანაცვლება, რაზეც მიმდინარეობს შესაბამისი მოქმედებები. 21 დეკემბრის პასუხის[324] მიხედვით, აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრილი კვლავ არ არის და ახალი აპარატურა არ შესყიდულა.

საგულისხმოა, რომ ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული მასალა/ვიდეო ჩანაწერი, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოადგენს შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებისა თუ სხვა კანონდარღვევის გამოვლენის ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, რომელთა დაარქივებაც, მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით (თითქმის მთელი წელი), ტექნიკური ხარვეზით ვერ ხორციელდებოდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პრობლემის არსებობის შესახებ ინფორმირებული იყო პენიტენციური დაწესებულება ჩვენი მიმართვის შემდგომ.

ამასთან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა მითითებული საკითხის შესწავლა დაიწყო N2 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული შესაძლო კანონდარღვევების - ე. წ. „მაყურებლების" მიერ ადმინისტრაციის ხელშეწყობით განხორციელებული სავარაუდო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენის მიზნით. მიღებული ინფორმაციის ანალიზი კი, კიდევ ერთხელ მაღალი ალბათობის ეჭვს წარმოშობს არაფორმალური იერარქიის არსებობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატი N2 პენიტენციურ დაწესებულებაში კონკრეტულ პერიმეტრზე ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული მასალის/ვიდეოჩანაწერების დაარქივებას, ე. წ. „სუბკულტურის" წარმომადგენლების შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესწავლის მიზნით, ითხოვდა 2019 და 2020 წლებშიც[325], თუმცა, ანალოგიურად, ტექნიკური ხარვეზის არსებობის არგუმენტით, 2019 წლის 18 ნოემბრის და 3 დეკემბრის ჩანაწერების დაარქივებაც ვერ განხორციელდა, ანალოგიურად, ტექნიკური ხარვეზის არსებობის არგუმენტით. დაარქივება მოხდა მხოლოდ 2020 წლის 21 იანვრის მასალის/ვიდეო ჩანაწერების.

თუმცა, ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატის მიერ წინასწარ მოპოვებული ინფორმაციით, ე.წ. კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების შესაძლო უკანონო ქმედებები (შეკრებები) ასახული იქნებოდა კონკრეტული დღეების კონკრეტულ საათებში და სწორედ, ამ პერიოდის ჩანაწერების მოპოვება ვერ მოხერხდა, ჩნდება საფუძვლიანი

[323] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 30 ივნისის N194668/01 წერილი.
[324] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 21 დეკემბრის N371346/01 წერილი.
[325] 2019 წლის 19 ნოემბრის N15-13/12531, 2019 წლის 5 დეკემბრის N15-13/13107, 2020 წლის 22 იანვრის N15-13/665 წერილები.

ეჭვი, რომ ორი მიმართვის გაგზავნის შემდეგ (18 ნოემბრის და 3 დეკემბრის ვიდეო ჩანაწერების მოპოვების მიზნით) მოხდა კონკრეტული პირების გაფრთხილება, მოჩვენებითი წესრიგის შექმნა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეწოდა სახალხო დამცველის აპარატს 21 იანვრის ვიდეოჩანაწერები. მიწოდებულ ვიდეოჩანაწერებში კი, გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია, როგორც უკვე მოსალოდნელი იყო, არ აღმოჩნდა.

იოსებ გოგაშვილის საქმესთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერები

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, იოსებ გოგაშვილმა და მისმა ადვოკატებმა, 2022 წლის 11 აგვისტოს, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის №12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავებული იოსებ გოგაშვილი, 2022 წლის 28 ივლისიდან 6 აგვისტომდე დროის მონაკვეთში, საკნიდან რამდენიმეჯერ გაიყვანეს სააბაზანო ოთახში, სადაც მას დახვდა მობილური ტელეფონი. ტელეფონის გამოყენებით იგი ესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც მასზე განახორციელა მუქარა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულის ორგანიზებაში ჩართული იყო №12 დაწესებულების ადმინისტრაცია.[326] იგივე იოსებ გოგაშვილმა სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრების დროსაც დაადასტურა.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს და მოითხოვა 2022 წლის 28 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით, დროის კონკრეტულ, სხვადასხვა მონაკვეთებში, №12 პენიტენციურ დაწესებულებაში, იოსებ გოგაშვილის გადაადგილების ამსახველი ყველა ვიდეო სამეთვალყურეო კამერის, პაემნების ყველა ოთახის ამსახველი სამეთვალყურეო კამერის, პაემნების სივრცის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყველა ვიდეო სამეთვალყურეო კამერის, საშხაპე ოთახებთან არსებული სამეთვალყურეო კამერებისა და საშხაპე ოთახების მიმდებარე ტერიტორიის (დერეფნის) ამსახველი ყველა ვიდეო სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერების დაარქივება.[327]

მოთხოვნილი ვიდეომასალის დაარქივება და მოხსნა-ფიქსაცია შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან პენიტენციური სამსახურის მტკიცებით, №12 პენიტენციურ დაწესებულებაში მწყობრიდან იყო გამოსული ჩამწერი მოწყობილობები.[328]

მიზეზის ახსნა პენიტენციურმა სამსახურმა ვერ შეძლო და განმარტა, რომ ეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების კომპეტენციაა. ამასთან, აპარატს დაუდასტურეს, რომ 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით N12 პენიტენციურ

[326] იხ. < https://bit.ly/3PMfioM > [ბოლოს ნანახია 10.02.2023 წ.]

[327] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 11 აგვისტოს №15-11/8224 წერილი.

[328]სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 23 აგვისტოს №248035/01 წერილი.

დაწესებულებაში პრობლემა აღმოფხვრილია და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა ფუნქციონირებს შეფერხების გარეშე.[329]

მოგვიანებით, სახალხო დამცველის აპარატი, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, საგამონაკლისო წესით, გაეცნო იოსებ გოგაშვილის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე მიმდინარე გამოძიების მასალებს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ამ გარემოებების შემოწმებაც.[330]

საქმის მასალების გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ იოსებ გოგაშვილმა გამომძიებელთან გამოკითხვის დროს დეტალურად მიუთითა კონკრეტული დღეები და საათები, როდესაც იგი გაიყვანეს N12 პენიტენციური დაწესებულების სააბაზანო ოთახში და ტელეფონით ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრთან. იოსებ გოგაშვილმა დაასახელა მისთვის გადაცემულ ტელეფონში მოთავსებულ სიმ-ბარათზე მიბმული ნომერი და ტელეფონის ნომერი, რითაც მისთვის გადაცემულ ტელეფონზე შემოვიდა ზარი.

გამოძიების მიერ გამოთხოვილ იქნა იოსებ გოგაშვილის მიერ დასახელებულ ტელეფონის ნომრებზე შემავალი და გამავალი ზარების ამონაწერი. იკვეთება, რომ იოსებ გოგაშვილის მიერ დასახელებელ ტელეფონის ნომრებს შორის ნამდვილად განხორციელებულია სატელეფონო კონტაქტი, რომლის დრო და ხანგრძლივობა ემთხვევა იოსებ გოგაშვილის მიერ დასახელებ დროებს.

შესაბამისად, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა იმ ვიდეოჩანაწერებმა, რომელიც პენიტენციური სამსახურის განმარტებით, არ არსებობს ტექნიკური გაუმართაობის გამო.

სწორედ ამ ვიდეოჩანაწერების და ჩამწერი მოწყობილობების გაუმართაობასთან დაკავშირებით (N12 პენიტენციურ დაწესებულებაში, 2022 წლის 28 ივლისიდან 6 აგვისტომდე დროის მონაკვეთში) გამოძიების მიერ გამოიკითხნენ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები, რომლებსაც ე.წ. პულტების ოთახში ყოფნა და დაწესებულების ელექტრონული-ვიზუალური მეთვალყურეობა ევალებოდათ. ეჭვები გააძლიერა მათ მიერ მიცემულმა არადამაჯერებელმა ახსნა-განმარტებებმა.

კერძოდ, პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების განმარტებით, N12 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩამწერი მოწყობილობები მწყობრიდან გამოდის და ჩაწერას აღარ ახორციელებს მაშინ, როდესაც ხდება ელეტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა ან ძაბვის ვარდნა. როგორც ახსოვთ, 2022 წლის ზაფხულში N12 პენიტენციურ დაწესებულებაში ხშირად ჰქონდა ადგილი ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას. მათივე გადმოცემით, როდესაც ელექტროენერგია შეწყდებოდა და N12 დაწესებულების ჩამწერი მოწყობილობები ითიშებოდა, დაწესებულების ადმინისტრაცია მათ ნებას რთავდა გამოსულიყვნენ ე.წ. პულტების ოთახიდან ან დაეტოვებინათ დაწესებულება, რადგან მათ ადგილზე ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. თანამშრომელები ვარაუდობენ, რომ გამოძიებისათვის საინტერესო დროის მონაკვეთებში შესაძლოა სწორედ მითითებულ

[329]სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 7 სექტემბრის №263281/01 წერილი.
[330] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 3 ოქტომბრის NSIS 7 22 00012092 წერილი.

შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, თუმცა ზუსტად ვერ იხსენებენ. მათი ჩვენებები არის ზოგადი და ფაქტებთან მიმართებით არ არის დეტალიზებული.

ჩვენებების ანალიზი იძლევა მხოლოდ იმის თქმის შესაძლებლობას, რომ პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები ცდილობენ გამოძიება პრაქტიკულად დაარწმუნონ, რომ იმ პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელშიც მოთავსებულები არიან ყოფილი მაღალჩინოსნები, ძალოვანი უწყების ყოფილი ხელმძღვანელი პირები თუ თანამშრომლები, ყოფილი მინისტრი და დროებით დაწესებულებიდან კლინიკაში გადაყვანილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტიც კი, უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი - ელექტრონული მეთვალყურეობა დენის ძაბვის სიმძლავრეზეა დამოკიდებული, ხშირად ითიშება ხოლმე და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები მორიგეობიდანაც კი თავისუფლდებიან, ისე რომ ამის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას გამოძიებას არ/ვერ აწვდიან, თუ ზუსტად რა პერიოდში იყვნენ გათავისუფლებული, რამდენი ხნით და რამდენი ხნით რჩებოდა ხოლმე N12 დაწესებულება ელექტრონული მეთვალყურეობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა N12 პენიტენციური დაწესებულების ჩამწერი მოწყობილობები ამოიღო, რაზეც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საინფორმაციო-ტექნიკური ექსპერტიზა დაინიშნა. საინფორმაციო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს N12 პენიტენციური დაწესებულების ჩამწერი მოწყობილობების, გამოძიებისთვის საინტერესო დროის მონაკვეთში მწყობრიდან გამოსვლის მიზეზები. ამასთან, ჩამწერი მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა ხომ არ არის გამოწვეული ხელოვნური ჩარევით ან ხომ არ განხორციელდა ჩამწერი მოწყობილობების მიერ გაკეთებული ჩანაწერების შემდეგში წაშლა. ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, მიუხედავად მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლისა, ხომ არ იქნება შესაძლებელი ჩანაწერების მოპოვება. ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი კითხვას, რა დროიდან ან რამდენი ხნით იყო ჩამწერი მოწყობილობები გამოსული მწყობრიდან. შესაბამისად, საინფორმაციო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებას და დასკვნის გაცემას არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისთვის.

სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსაც მიმართა[331] წარმოედგინათ ინფორმაცია, დასრულდა თუ არა N12 პენიტენციური დაწესებულების ჩამწერ მოწყობილობებზე დანიშნული საინფორმაციო-ტექნიკური ექსპერტიზა, თუმცა პასუხი აპარატს ჯერჯერობით არ მიუღია.

ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება N3 პენიტენციურ დაწესებულებაში, ვიდეოჩანაწერების 30 დღის ვადით შენახვის საკითხიც. სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეოჩანაწერების შენახვა არ ხორციელდება 30 დღის განმავლობაში და ისევ მხოლოდ 120 საათით ინახება, მაშინ როდესაც ამის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი არც

[331] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 20 იანვრის N15-8/773 წერილი.

საჯაროდაა გამოქვეყნებული და ვერც პენიტენციურმა სამსახურმა წარმოუდგინა სახალხო დამცველის აპარატს.

2019 წლის 19 მაისს, „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებაში შესული ცვლილების[332] თანახმად, ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას გადაღებული მასალის შენახვის ვადად განისაზღვრა არანაკლებ 30 დღისა.[333] ამავე ცვლილების თანახმად, ელექტრონული მეთვალყურეობისას გადაღებული მასალის შენახვის 30 დღიანი ვადა N3 პენიტენციური დაწესებულების მიმართ უნდა ამოქმედებულიყო 2022 წლის 1 აგვისტოდან.[334]

2019 წლის 19 მაისის შემდეგ, იუსტიციის მინისტრის N403 ბრძანებაში ორჯერ შევიდა ცვლილება და N3 დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობისას გადაღებული მასალების შენახვის ვადად თავდაპირველად განისაზღვრა 2021 წლის 1 აგვისტო,[335] ხოლო შემდგომ ისევ 2022 წლის 1 აგვისტო.[336]

2022 წლის 22 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს და მოითხოვა N3 დაწესებულების ერთ-ერთი საკნის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების დაარქივება.[337] თუმცა, სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, N3 პენიტენციური დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობისას გადაღებული ვიდეომასალის შენახვის ვადად კვლავ არანაკლებ 120 საათი იყო განსაზღვრული.[338]

---

[332] „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის N403 ბრძანება.

[333] იხ. იქვე, მუხლი 1.

[334] იხ. იქვე, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ვ".

[335] „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის №403 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 1 სექტემბრის N603 ბრძანება, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ვ".

[336] „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის №403 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის N751 ბრძანება, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ვ".

[337] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 20 ოქტომბრის N15-15/10528 წერილი.

[338] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N316055/01 საპასუხო წერილი.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის[339] N35 ბრძანებაში ბოლო ცვლილება ფიქსირდება 2020 წლის 1 სექტემბერს. ხოლო იუსტიციის მინისტრის N403 ბრძანებაში - 2021 წელის 30 ივლისს. მითითებულ ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ იუსტიციის მინისტრის ბრძანება არც საკანონმდებლო მაცნეს საძიებო ველში მითითებით იძებნება.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს და მოითხოვა შესაბამისი ბრძანების წარმოდგენა.[340] სამმართველოს მითითებული ინფორმაცია დღემდე არ წარმოუდგენია. თუმცა, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის[341] თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის N751 ბრძანების შესაბამისად, N3, N11 და N8 დაწესებულების ნაწილში, ელექტრონული მეთვალყურეობისას განხორციელებული ვიდეო ჩანაწერების შენახვის 30 დღიანი ვადა ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 აგვისტოდან, მაგრამ აღნიშნულ დაწესებულებებში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეომასალის შენახვის ვადად განსაზღვრულია კვლავ არანაკლებ 120 საათი.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს არ წარმოუდგენია იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის N751 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება, რომლითაც განისაზღვრებოდა ვიდეო მეთვალყურეობისას გადაღებული ვიდეო ჩანაწერების შენახვის 30 დღიანი ვადის, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლების შემდეგ ამოქმედების წესი. მითითებული ბრძანება არც საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზეა ასახული. შესაბამისად, გაურკვეველია რომელი სამართლებრივი საფუძვლით ხელმძღვანელობს პენიტენციური სამსახური, N3, N11 და N8 დაწესებულების ნაწილში გადაღებული ვიდეო მასალის შენახვის განსხვავებული რეჟიმის დადგენის დროს.

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სახალხო დამცველის აპარატს, ისევე როგორც პატიმრებს, არ მიუწვდებათ ხელი მითითებულ ნორმატიულ ცვლილებაზე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პენიტენციური სამსახური თვითნებურად ადგენს ვიდეო ჩანაწერების შენახვის განსხვავებულ ვადას და უცნობია როდემდე შეიძლება გადაიდოს ვიდეო მასალის შენახვის 30 დღიანი ვადის ამოქმედება, რაც ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ცალკეული უფლებადარღვევების გამოვლენის მხრივ.

სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ ვიდეომასალის არანაკლებ 30 დღიანი ვადით შენახვის უზრუნველყოფას პენიტენციური სისტემა უმოკლეს ვადებში მოახერხებს და ასევე, გამჭვირვალეს გახდის იმ ნორმატიულ მოწესრიგებას, რომელსაც ყველა

---

[339] დღეის მდგომარეობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური.

[340] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 1 ნოემბრის N15-15/10927 და 15 დეკემბრის N15-15/12499 წერილები.

[341] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 30 იანვრის N23854/01 საპასუხო წერილი.

რელევანტური პირი თუ უწყება, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატი იყენებს პატიმრების უფლებების შესაძლო დარღვევების შემოწმების პროცესში.

კრიმინალური სუბკულტურა

მოცემულ თავში (ქვეთავი - ე.წ. მაყურებლების საქმე) უკვე იყო საუბარი კრიმინალური სუბკულტურის გავლენებზე ქართულ ციხეებში და იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, როცა სახალხო დამცველის აპარატს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა არ/ვერ მიაწოდა ის კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. საკითხი განხილული იყო ვიდეოჩანაწერების პრობლემის კონტექსტში. მოცემულ ქვეთავში დამატებით წარმოდგენილი იქნება ერთ-ერთი გამოძიების მასალების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც დამატებით წარმოაჩენს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ვითარებას.

შ.ა.-ს საქმე

2021 წლის 26 ივლისს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში, პატიმრებს შორის დაპირისპირების შედეგად, გარდაიცვალა სამეურნეო ნაწილში დასაქმებული მსჯავრდებული შ. ა.

საქმის მასალების[342] (ბრალდებულის ჩვენების) თანახმად, მსჯავრდებულ ერთ-ერთ პატიმარსა და შ. ა.-ს შორის კონფლიქტის მიზეზი იყო თანხისა და სიგარეტების გადაცემა, რაც თითქოს სამ პატიმარს, გადაცემული ჰქონდათ შ. ა.-სთვის ახალი ტელევიზორისთვის, რომელსაც ყიდდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე, თუმცა მათ ტელევიზორი არ მიუტანეს.

სხვა პატიმრებმა გამოკითხვისას მიუთითეს, რომ შ. ა. მუშაობდა სამზარეულოში, მაღაზიაში და პატიმრებთან მიჰქონდა ხაჭაპურები, შემწვარი ქათმები და სხვა პროდუქტები. სანაცვლოდ, პატიმრები ან ახლობლებს არიცხვინებდნენ თანხებს ან შ. ა.-ს აძლევდნენ სიგარეტებს, რომლებიც შემდეგ გადაეცემოდა „ბრიგადირ" პატიმარს და ინახებოდა ამ უკანასკნელის საკანში.[343] პატიმრების ვარაუდით, აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო დაწესებულების ადმინისტრაციაც, ვინაიდან, ხსენებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები მათი ნებართვის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

აღნიშნული ფაქტების თაობაზე გამოძიებას ჩვენება მისცეს ასევე სხვა მსჯავრდებულებმა. მათი ჩვენების თანახმად, თავიდან, მათაც შესთავაზეს აღნიშნულში მონაწილეობა მოგების მიღების სანაცვლოდ და აუხსნეს, რომ ადმინისტრაციასთან ყველაფერი მოგვარებული იყო.

---

[342] სპეციალური საგამოძიებო სამსახურში არსებული სისხლის სამართლის N199260721001 საქმე.

[343] მსჯავრდებული 2021 წლის 14 ოქტომბერს, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად გარდაიცვალა.

აღნიშნული პატიმრები გამოძიებას აწვდიან ინფორმაციას N17 დაწესებულებაში ე. წ. „მაყურებლების" შესახებ, ასევე, იმ გარემოებებზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საკანი არ გადაიხდიდა დადგენილ დროში სიგარეტებით, ან არ ჩაირიცხებოდა თანხა პროდუქტისთვის, საქმეში ჩაერთვებოდა მაყურებელი. სიგარეტების ოდენობა დადგენილი იყო პატიმრების მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე. ამავე პატიმრების ჩვენებით, 26 ივლისს დაწესებულებიდან გათავისუფლდა ე. წ. „ზონის მაყურებელი" და მოხდა ახალი „მაყურებლის" არჩევა.

საქმის მასალებიდან არ იკვეთება, გამოკითხვების გარდა, ჩატარდა თუ არა სხვა საგამოძიებო მოქმედებები დაწესებულების ადმინისტრაციის სავარაუდო თანამონაწილეობის დადგენის მიზნით პატიმრებს შორის სიგარეტების გადაცემის, სხვადასხვა პროდუქტებით ვაჭრობასა ე. წ. „მაყურებლების" არსებობის დადასტურების მიზნით.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც იკვეთება N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ორი მსჯავრდებულის გარდაცვალების საქმეზე მიმდინარე გამოძიების მასალებით.[344]

კერძოდ, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით, მათ შორის, მოპოვებული ვიდეომასალით ირკვევა, რომ 2021 წლის 14 ოქტომბერს, N17 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული სასადილოსა და საწყობის ტერიტორიაზე, რომლებიც ერთ შენობაში იყო განთავსებული, გაჩნდა ხანძარი. ხანძრის გაჩენის მომენტში, სამზარეულოში იმყოფებოდნენ იქ დასაქმებული პირები, მათ შორის, ერთ-ერთი მსჯავრდებული. ვიდეომასალით დასტურდება, რომ სამზარეულოში მყოფმა ყველა პირმა დროულად დატოვა შენობა, გარდა ამ პირისა, რომელსაც, ასევე თავისუფლად შეეძლო შენობიდან გასვლა.

სხვა მსჯავრდებულთა გამოკითხვების ოქმებიდან ირკვევა, რომ „ბრიგადირი" მსჯავრდებული, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ პატიმარი სამზარეულოდან გამოსული არ იყო, შევიდა შენობაში მასთან, რა დროსაც უკვე ძლიერი დაკვამლიანება შეინიშნებოდა და იქ ყოფნა სახიფათო უნდა ყოფილიყო.

ვიდეომასალების დათვალიერებით კი დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე პატიმარს (მათ შორის, „ბრიგადირს"), შეეძლოთ ტერიტორიის დროულად დატოვება, ისინი არ გავიდნენ შენობიდან და წყლის შლანგებით დაიწყეს გარკვეულ ადგილზე წყლის მისხურება. გაუარესებული ხილვადობის გამო, შეუძლებელია დაზუსტებით თქმა, თუ რა ნივთების გადარჩენას ცდილობდნენ ისინი ხანძრისგან, თუმცა, შესაძლოა აღნიშნული კავშირში იყოს ე.წ. ბრიგადირის მიერ N17 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან, რაც გამოიკვეთა მსჯავრდებულ შ. ა.-ს

[344] გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის №199141021002 საქმეზე, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურში დადგენილი წესის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტზე, რამაც №17 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ორი პატიმრის გარდაცვალება გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 342 -ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გარდაცვალების საქმეში, კერძოდ, პატიმრების მიერ, დაწესებულებაში პატიმრებისთვის მიყიდული პროდუქტების/საკვების საფასურიდან (ძირითადად, სიგარეტი) წილის მიტანა.

დისციპლინური სამართალწარმოება და საშიშროების რისკები

სახალხო დამცველის აპარატი, წლებია, საუბრობს პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე.[345] სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში კვლავ ფიქსირდება გამოწვევები ამ მიმართულებითაც.

გ. ვ.-ს საქმე

აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთი საქმის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ვ.-ს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, რამდენიმე დღის ინტერვალით, სამჯერ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რის შემდეგაც N8 დაწესებულების ადმინისტრაციამ მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს, მის მიმართ საშიშროების რისკის შეცვლის თაობაზე. გ. ვ.-ს განესაზღვრა მაღალი რისკი,[346] რის შემდეგად, იგი გადაიყვანეს N6 განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული დოკუმენტური მასალის მიხედვით დადგინდა, რომ მსჯავრდებულ გ. ვ.-ს არ დაურღვევია დაწესებულებაში არსებული წესრიგი და მის მიმართ გამოცემული დისციპლინური დასჯის გადაწყვეტილებები არ იყო კანონის დაცვით შედგენილი, რასაც ადასტურებდა მოცემულ საქმეზე დაარქივებული ვიდეომასალა.[347]

შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა პატიმრის უფლებების დარღვევა, რის საფუძველზეც, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების, ასევე, რისკის დამძიმების გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე.[348] სამწუხაროდ, მოცემულ საქმეზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გ. ვ.-ს უფლებების დარღვევა არ გამოიკვეთა.[349]

აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულების მიერ პატიმრის მიმართ გამოყენებული სახდელების დაკისრებამდე, გ. ვ.-მ რამდენჯერმე მიმართა სახალხო დამცველის აპარატს

---

[345] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf>, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 69-70.

[346] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასების გუნდის 2021 წლის 1 დეკემბრის სხდომის ოქმი.

[347] ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმი N1052-22, 10.03.2022წ.

[348] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 მაისის N15-9/5147 წინადადება.

[349] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 11 ივლისის №206261/01 წერილი.

სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო და უსაფრთხოების პრობლემებზე, რის შესახებაც ეცნობა N8 დაწესებულების ადმინისტრაციას და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, თუმცა რაიმე სახის ქმედითი ღონისძიებები მათი მხრიდან არ გატარებულა. პირიქით,[350] გარკვეული პერიოდის შემდეგ გ. ვ.-ს საკანთან მივიდა უცნობი პატიმარი, რომელმაც მიაყენა როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა.[351]

ი. კ.-ს საქმე

მსჯავრდებულ ი. კ-ს 2018 წელს დაუდგინდა საშიშროების საშუალო რისკი, რომლის საფუძველზეც განესაზღვრა სასჯელის მოხდა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში. 2018 წლის 19 მარტიდან - 30 აპრილამდე, N15 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, პატიმრის მტკიცებით, მის მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა (ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება). ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, პატიმარი N8 დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანეს. 2020 წელს მსჯავრდებულმა სასამართლო წესით მოიპოვა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის უფლება. 2020 წლის 31 აგვისტოს N12 ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, მეორე დღეს ი. კ.-ს მიმართ, კვლავ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა და იგი, კვლავ N8 დახურული ტიპის დაწესებულებაში დააბრუნეს, სადაც დღემდე იმყოფება.

2021 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით,[352] სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა ი. კ.-ს მიმართ საშიშროების რისკის გადაფასების პროცედურის წარმართვა. 2022 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.[353] რისკების გადაფასების შედეგად, მსჯავრდებულს დაუდგინდა მომეტებული რისკის სახე მისი დადებითი დახასიათების მიუხედავად. გადაწყვეტილების მიხედვით, პატიმრის ნებისმიერი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, არსებობს მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ალბათობა.

ამდენად, საშიშროების საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული იმყოფებოდა მისი რისკის შეუსაბამო დახურული ტიპის დაწესებულებაში, ხოლო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში გადაყვანის შემდეგ მომხდარი ზემოხსენებული ფაქტების გამო, კვლავ დახურული ტიპის დაწესებულებაში დააბრუნეს. პატიმარმა მოითხოვა რისკების გადაფასების პროცედურის ხელახლა დაწყება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

---

[350] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 28 ივნისის N15-9/6220 წერილი N8 დაწესებულების ადმინისტრაციას და 2021 წლის 28 ივლისის N15-9/7399 წერილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს.

[351] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 12 დეკემბრის N15-9/11313 წერილი საქართველოს იუსტიციის სამინიტროს გენერალურ ინსპექციას სისხლის სამართლის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

[352] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

[353] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინება (საქმე Nბს-107(კ-22).

პენიტენციური სამსახურის შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, პატიმრის ქცევა არ გაუარესებულა, თუმცა მსჯავრდებულს დაუმძიმდა რისკი. აღნიშნულის მიზეზად, მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან სავარაუდო ძალადობის რისკი დასახელდა. ცხადია, საკითხის ასეთი გადაწყვეტა პატიმრის უფლებების არამართლზომიერ შეზღუდვად უნდა შეფასდეს, რადგან მხოლოდ სხვა პატიმართა მხრიდან მომდინარე ძალადობის საფრთხე არ შეიძლება კონკრეტული პატიმრის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების საფუძველი გახდეს. საგულისხმოა ისიც, რომ კანონმდებლობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრის დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაშიც არ გამორიცხავს მისთვის უფრო შელავათიანი საშიშროების რისკის სახის მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა შესაბამისი უფლებებით სარგებლობა შეძლოს.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია

სარეაბილიტაციო პროგრამები

გ. ც.-ს საქმე

მსჯავრდებულმა გ. ც.-მ 2022 წლის აგვისტოს თვეში მიმართა N3 დაწესებულებას სახატავი ტილოებისა და ზეთის საღებავების მიწოდების მოთხოვნით, არტ-თერაპიაში სრულყოფილად მონაწილეობის მიზნით. იგივე მოთხოვნით, როგორც მსჯავრდებულმა, ასევე, მსჯავრდებულის მიმართვის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ მიმართა[354] მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ეკონომიკურ დეპარტამენტებს.

მითითებული სახატავი საშუალებებით მსჯავრდებულის უზრუნველყოფა, სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციით, განხორციელდება მხოლოდ 2023 წლის პირველ კვარტალში, შესყიდვების განხორციელების შემდეგ.[355] მსჯავრდებულს უარი ეთქვა ასევე, მითითებული ნივთების საკუთარი ხარჯებით შეძენაზე.[356]

გ. ც.-ს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმაში მითითებულია კიდევ ერთი რეკრეაციული პროგრამა - ხელნაკეთი ნივთების დამზადება. მსჯავრდებული მიუთითებს, რომ ხელნაკეთი ნივთების დამზადების მიზნით, მისთვის არ მიუწოდებიათ შესაბამისი

[354] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 15 სექტემბრის N15-15/9304, 6 ოქტომბრის N15-15/10064, 21 ოქტომბრის N15-15/10554, 2 ნოემბრის N15-15/11003, 1 დეკემბრის N15-15/11984, 19 დეკემბრის N15-15/12658 წერილები.

[355] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 7 დეკემბრის N357281/01 წერილი.

[356] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2022 წლის 1 ნოემბრის N321139/21 წერილი.

სამუშაო მასალა. სახალხო დამცველის აპარატის წერილზე[357] მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტს ჯერ პასუხი არ გაუცია.

სავარჯიშო ინვენტარი

N3 პენიტენციური დაწესებულება

სახალხო დამცველის აპარატი წლებია საუბრობს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა შესაბამისი სავარჯიშო საშუალებებით უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ. 2021 წელს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[358] N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული სავარჯიშო ინვენტარი, ხანგრძლივი მოხმარებიდან გამომდინარე, სრულად ამორტიზებული იყო და აღდგენას არ ექვემდებარებოდა.

2022 წელს, N3 დაწესებულება მომარაგდა შემდეგი სავარჯიშო ინვენტარით: რეგულირებადი პრესის სკამი; ოლიმპიური ტიპის ღერძი; გრეხილი ღერძი; ოლიმპიური წონის დისკები.[359]

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულმა შ. ა.-მ, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულებისთვის მიწოდებული სავარჯიშო ინვენტარიდან, N3 დაწესებულების N9 სასეირნო ოთახში დამონტაჟდა მხოლოდ რეგულირებადი პრესის სკამი. სხვა სავარჯიშო ინვენტარი, რომელიც არის მითითებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის წერილში[360], დაწესებულებაში არ არის განთავსებული.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებას,[361] რომლის განმარტებით, დაწესებულებამ ეკონომიკური დეპარტამენტიდან მიიღო წერილში მითითებული ყველა ინვენტარი, მაგრამ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან, აღნიშნულ დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდებიან საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულები, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების გამო, დაწესებულების ადმინისტრაციამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია აღნიშნული ინვენტარის სავარჯიშო ეზოში განთავსება.[362]

---

[357] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 20 დეკემბრის N15-15/12701 წერილი.
[358] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2021 წლის 14 ივლისის N164735/01 წერილი.
[359] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის2022 წლის 6 მაისის N130831/01 წერილი.
[360] 2022 წლის 6 მაისის N130831/01 წერილი.
[361] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 26 სექტემბრის N15-15/9690 წერილი.
[362] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2022 წლის 5 ოქტომბრის N292012/01 საპასუხო წერილი.

შესაბამისად, N3 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს არ ეძლევათ დაწესებულებისთვის მიწოდებული ყველა სახის სავარჯიშო ინვენტარით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც ხელს უშლის მათ ფიზიკურ გაჯანსაღებას. მინიმალური ინდივიდუალური სპორტული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა საშუალებას აძლევს პატიმრებს ეფექტიანად გამოიყენონ გასეირნებისთვის გამოყოფილი დრო, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესზე, მათ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. პატიმართა უსაფრთხოების ინტერესები, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მეორე მხრივ ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მათი ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობისთვის. შესაბამისად, პენიტენციურმა სამსახურმა იმგვარი სავარჯიშო ინვენტარი უნდა შეარჩიოს და მოამარაგოს, ამ შემთხვევაში, N3 დაწესებულება, რომელიც რისკებს მაქსიმალურად დააზღვევს და ხელმისაწვდომი იქნება პრაქტიკაში პატიმრებისთვის. სხვა მხრივ, სავარჯიშო ინვენტარის შეძენა და დაწესებულებისთვის მიწოდება ისე, რომ დაწესებულებამ ეს ინვენტარი არ მიაწოდოს პატიმრებს, წარმოადგენს სრულიად ფორმალურ და უშედეგო პროცესს.

N6 პენიტენციური დაწესებულება

სახალხო დამცველის აპარატს სავარჯიშო ინვენტარის პრობლემაზე, ასევე მიმართა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულმა ნ. მ.-მ.

ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის №6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულია რამდენიმე სახის სპორტული ტრენაჟორი, რომელიც ხანგრძლივი ექსპლოატაციიდან გამომდინარე, გამოვიდა მწყობრიდან. ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს მიერ ხორციელდება 2023 წლისათვის სახელმწიფო პენიტენციური დაწესებულებებისათვის, მათ შორის №6 პენიტენციური დაწესებულებისათვის, სხვადასხვა დასახელების სპორტული ტრენაჟორების შეძენის პროცედურები.[363]

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში ახორციელებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის - ადგილობრივი საბჭოების (შემდეგში - ადგილობრივი საბჭოები) საქმიანობის აქტიურ მონიტორინგს. მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე, გამოავლინა ხარვეზები არაერთი

[363] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2022 წლის 18 ნოემბრის №339235/01 წერილი.

მიმართულებით, რომელთა დეტალური ანალიზი აისახა სახალხო დამცველის სპეციალურ[364] და წლიურ ანგარიშებში.[365]

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში შეისწავლა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ 2022 წლის ნოემბრის თვის[366] სხდომებზე მიღებული 897 გადაწყვეტილება[367], რომელთა დეტალური ანალიზი შემდგომ ქვეთავებში იქნება წარმოდგენილი.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა საანგარიშო პერიოდშიც გაუარესებულია. კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, 2020 წელს - 830, ხოლო 2021 წელს - 829.[368] 2022 წელს აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა. კერძოდ, 2022 წელს პირობით ვადამდე მხოლოდ 635 პატიმარი გათავისუფლდა.[369]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუარესების ტენდენცია შეინიშნება ასევე, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაშიც. კერძოდ, 2019 წელს სასჯელი 236 მსჯავრდებულს შეეცვალა, 2020 წელს კი - 545-ს. 2021 წელს რეგრესი დაფიქსირდა და აღნიშნული შეღავათით მხოლოდ 440 მსჯავრდებულმა ისარგებლა. ტენდენცია შენარჩუნებულია 2022 წელსაც - სასჯელი მხოლოდ 388 მსჯავრდებულს შეეცვალა.

---

364 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში." 2019 წ.;
<https://ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა." 2014 წ.

365 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2020 წ. 107-110;
<https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2021 წ. 86-90;
<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, 25-29;
<https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 56-69.

366 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის 22 დეკემბრის N 15-3/12863 წერილით სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან 2022 წლის მარტში, ივლისსა და დეკემბერში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი, თუმცა, ამ დრომდე აპარატს მიღებული აქვს მხოლოდ ერთი თვის გადაწყვეტილებების ასლები.

367 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2023 წლის 3 თებერვლის №29525/01, 2023 წლის 7 თებერვლის №32445/01, 2023 წლის 13 თებერვლის №38996/01, 2023 წლის 15 თებერვლის №41151/01 და 2023 წლის 20 თებერვლის №46134/01 წერილები.

368 იქვე, 56.

369 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.



ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა როგორც დადებითი ცვლილებები, ისე უარყოფითი, წინა წლების პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ხარვეზები, როგორიცაა: იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღება, დადებითი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა და სხვა სახის პრობლემები, რომელთა დეტალური ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

გარდა ამისა, წინამდებარე თავში, სახალხო დამცველის აპარატი გაანალიზებს საანგარიშო პერიოდში რამდენიმე ინდივიდუალური საქმის შესწავლის ფარგლებში განხორციელებული რეაგირების შედეგებს.

გადაწყვეტილებების დასაბუთება

უარყოფითი გადაწყვეტილებები

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთების შაბლონურობა. კერძოდ, საბჭოები ფორმალურად მიუთითებდნენ იმ კრიტერიუმებზე, რომელთა მხედველობაში მიღებითაც იღებდნენ უარყოფით გადაწყვეტილებას. ხშირად, უთითებდნენ მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე და შემოთავაზებული არ იყო მსჯელობა, თუ რატომ მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა აღნიშნულ კრიტერიუმს.

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში, კვლავ გამოიკვეთა ისეთი საქმეები, სადაც მსჯავრდებული დადებითად ხასიათდება, მაგრამ ადგილობრივი საბჭო უარყოფით გადაწყვეტილებას, წინა წლების პრაქტიკის მსგავსად, ისევ მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე

მითითებით ასაბუთებს. აღნიშნული ხარვეზის საილუსტრაციოდ შემდეგ ქვეთავში მიმოვიხილავთ კონკრეტულ შემთხვევებს.

თუმცა, მისასალმებელია ის დადებითი ტენდენცია, რაც საანგარიშო პერიოდში შეინიშნება ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში იმ მიმართულებით, რომ ისეთი უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, სადაც მსჯავრდებულის მხარეს რამდენიმე ნეგატიური ხასიათის კრიტერიუმი იკვეთება. წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, არაერთ შემთხვევაში, საგრძნობლად მრავალფეროვანი დასაბუთება გვხდება. საბჭო ხშირად გვთავაზობს მსჯელობას და განმარტებას იმ უარყოფით კრიტერიუმებზე, რომლებიც, მათი პოზიციით, მოცემულ მომენტში გადამწყვეტია და უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მაგალითად, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ორ საქმეს:

> *საქმე N1.* საბჭოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ *მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. მას მონაწილეობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში. წახალისებული არ ყოფილა, დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ. ამჟამად, აქვს მოქმედი დასჯა დაწესებულების დღის განრიგისა და სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნების დარღვევისთვის, ადმინისტრაციის მოსამსახურეების მიმართ არის საშუალო დამოკიდებულებაში. ნასამართლევია სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით... გადაწყვეტილების თანახმად, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ, გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც შესაძლოა საკითხის გადაწყვეტაზე მოეხდინა გავლენა. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი საბჭო დაეყრდნო პენიტენციური დაწესებულებიდან წარმოდგენილ დახასიათებაში არსებულ ინფორმაციას და მოექცა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 320-ე ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმებით გათვალისწინებულ ჩარჩოებში. ადგილობრივმა საბჭომ შეაფასა მსჯავრდებულის ოჯახური მდგომარეობა და პიროვნული მახასიათებლები, თუმცა, ზემოაღნიშნული კრიტერიუმები საბჭოსთვის არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მიეღო დადებითი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული არ ღებულობს მონაწილეობას სოციალურ აქტივობებში. პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. სწორედ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჩატარებულ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არის რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება. გადაწყვეტილების მიღებისას კი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს. სასჯელის მიზნის მიღწევადობასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხს. უარყოფითად შეფასდა სასჯელის მოხდის პერდიოდში მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი ქცევა. მას აქვს მოქმედი დასჯა პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგისა და სამართლებრივი რეჟიმის*

მოთხოვნათა დარღვევისთვის... პენიტენციური დაწესებულებიდან წარმოდგენილი დახასიათების შესაბამისად, განაჩენის მიხედვით ნასამართლობის არმქონეა, თუმცა, ადგილობრივი საბჭო ითვალისწინებს როგორც მოქმედ ნასამართლობას, ისე გაქარწყლებულს. მან წარსულში ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა და პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია. სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. თუმცა, აღნიშნული ნორმა იმგვარად არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს, გამოიკვლიოს მსჯავრდებულის წარსულში ნასამართლობის ფაქტი და გაითვალისწინოს იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებისას. ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა არ ცვლის წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს და არ ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოს, გაითვალისწინოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში. საკითხის გადაწყვეტისას უარყოფითი ზეგავლენა იქონია ჩადენილი დანაშაულის ხასიათმა. მან ჩაიდინა დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ, გარდა ამისა, მსჯავრდებულის მიმართ წარსულში გამოყენებული იყო ამნისტია, თუმცა, მან კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული..." საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.[370]

საქმე N2. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 11[1]-187-ე მუხლის პირველი ნაწილით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებულს წინააღმდეგობრივი პოზიცია არ გააჩნია. სასჯელის მოხდის პერდიოდში, იგი სოციალურ აქტივობებში ჩართული არ ყოფილა. დისციპლინური წესით დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. სასჯელის მოხდის პერიოდში, სარეჟიმო კორპუსზე ყოფნის დროს, რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა. დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. ნასამართლობის მქონე სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და 11[1]-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლის ვადით პირობითი სასჯელი, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. საბჭო, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, სხვა გარემოებებთან ერთად აღნიშნავს: „მართალია, მსჯავრდებულმა წარმოადგინა დაზარალებულის თანხმობა, პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით, თუმცა, ეს ვერ გახდება ერთადერთი გარანტი იმისა, რომ მსჯავრდებულისგან მომდინარე საფრთხე აღმოფხვრილია. ხშირად, მსხვერპლები „სტოკჰოლმის სინდრომით", ოჯახის მოძალადე წევრის მიმართ ემპათიის გრძნობით, მოძალადისადმი შიშით, ეკონომიკური დამოკიდებულებით, სტერეოტიპული შეხედულებებით თუ სხვა სუბიექტური მიზეზებით, არცთუ იშვიათად სასამართლოს ჩვენებას, ხოლო, ადგილობრივ საბჭოს, სრულ და ობიექტურ ინფორმაციას არ აწვდიან, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მხოლოდ ეს გარემოება არ შეიძლება

[370] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

უპირობოდ გახდეს მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საფუძველი.[371]

შეფასება: პირველ საქმეში, საბჭო დეტალურად განიხილავს თითოეულ უარყოფით კრიტერიუმს, რომლებსაც ეყრდნობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და წარმოგვიდგენს მსჯელობას, თუ რატომ იღებს კონკრეტულ შემთხვევაში უარყოფით გადაწყვეტილებას. მეორე საქმეში, საბჭო, სხვა უარყოფით კრიტერიუმებთან ერთად, მხედველობაში იღებს ოჯახურ ძალადობაში მსჯავრდებულზე დაზარალებულის შესაძლო დამოკიდებულებას და იჩენს სიფრთხილეს, მით უფრო იმ ფონზე, რომ გადაწყვეტილების თანახმად, პატიმარი სასჯელის მოხდის პერდიოდში, სოციალურ აქტივობებში ჩართული არ ყოფილა და არც წახალისება დაუმსახურებია მისი ქცევით პენიტენციურ სისტემაში. ამდენად, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, უარყოფით გადაწყვეტილებებში მსგავსი დეტალური დასაბუთება უკვე ხშირად გვხვდება სხვა საქმეებშიც, რაც დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს.

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკაში, წინა წლების მსგავსად, გარკვეულ შემთხვევებში, ისევ გხვდება ისეთი საქმეები, სადაც მსჯავრდებულს აქვს კარგი დახასიათება, თუმცა უარყოფითი გადაწყვეტილება დასაბუთებულია მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითებით და საბჭო არ გვთავაზობს დამატებით მსჯელობას, თუ რატომ ენიჭება უპირატესობა კონკრეტულ შემთხვევაში ამ კრიტერიუმს სხვა დადებით მახასიათებლებთან შედარებით. მაგალითად:

საქმე N1. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. იგი სარგებლობს დაწესებულების ბიბლიოთეკით, ვარჯიშობს. სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური წესით დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, იცავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობებს, თავაზიანია. ნასამართლობის არმქონე. „საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან მიმართებაში, ის, რომ სარგებლობს ბიბლიოთეკით და ვარჯიშობს, ნასამართლობის არმქონეა, თუმცა, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია მმართველობის წესის წინააღდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე, აშკარად უკანონო მოქმედებისთვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ადმინისტრაციული ორგანო, კანონით დასახული მიზნის მისაღწევად უფლებამოსილია, დისკრეციული უფლებამოსილების თანმიმდევრულად განხორციელებისთვის, მისაღები გადაწყვეტილებების კრიტერიუმები თვითშეზღუდვით შემოფარგლოს. საკითხის გადაწყვეტისას, ადგილობრივ საბჭოს შეუძლია კონკრეტული დანაშაულის

[371]სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სიმძიმე და ხასიათი, საკითხის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნიოს, რაც არ ქმნის ამ უფლებამოსილების გამოყენების კანონშეუსაბამობას. საბჭომ, საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე და ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის მქონე კრიტერიუმებმა."[372]

საქმე N2. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქმის მიხედვით, მსჯავრდებული, სასჯელის მოხდის პერიოდში ესწრებოდა დაწესებულებაში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს. დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, სარეჟიმო კორპუსზე ყოფნის დროს, რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია, ნასამართლობის არ მქონე. „საბჭომ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის ქცევა, სასჯელის მოხდის პერიოდში, მისი ოჯახური პირობები, დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ის, რომ ნასამართლობის არმქონეა, ესწრებოდა დაწესებულებაში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს, თუმცა, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მის მიერ ჩადენილია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე. ადმინისტრაციული ორგანო, კანონით დასახული მიზნის მისაღწევად უფლებამოსილია, დისკრეციული უფლებამოსილების თანმიმდევრულად განხორციელებისთვის, მისაღები გადაწყვეტილებების კრიტერიუმები თვითშეზღუდვით შემოფარგლოს. საკითხის გადაწყვეტისას, ადგილობრივ საბჭოს შეუძლია კონკრეტული დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, საკითხის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნიოს, რაც არ ქმნის ამ უფლებამოსილების გამოყენების კანონშეუსაბამობას. ვინაიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, საბჭომ, ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის მქონე კრიტერიუმებმა."[373]

შეფასება: როგორც ვხედავთ, მოცემულ საქმეებში, მსჯავრდებული პირები დადებითად ხასიათდებიან, მათ მხარეს არის დადებითი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმებიც. თუმცა, საბჭო უარყოფით გადაწყვეტილებას მხოლოდ დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე აპელირებით ასაბუთებს. საბჭო არ ასაბუთებს, რატომ ვერ გადაწონა მსჯავრდებულთა მხარეს არსებულმა დადებითი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმებმა ჩადენილი დანაშაულისთვის დამახასიათებელი უარყოფითი მნიშვნელობის მქონე

[372] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.
[373] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

კრიტერიუმები, ასევე, მსჯავრდებულისთვის არ არის განჭვრეტადი, თუ რა მოლოდინი აქვს საბჭოს, რას ელის მისგან დამატებით, იმისთვის, რომ მან დაიმსახუროს კანონით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობა. ბუნებრივია, ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, საკითხის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნიოს და ეს არ გამოიწვევს მიღებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობას, თუმცა, დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე ის კრიტერიუმია, რომელიც იარსებებს ყოველი მომდევნო შუამდგომლობის განხილვისას და ის არ შეიცვლება. ამდენად, მსჯავრდებულს, მხოლოდ სასჯელის მოხდის პერიოდში გამოვლენილი დადებითი ქცევით შეუძლია გააბათილოს ეს კრიტერიუმი და დაარწმუნოს საბჭო დადებითი გადაწყვეტილების მიღების მართებულობაში. აღნიშნულის შესაძლებლობას არსებული კანონმდებლობა ცალსახად ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში კი, თუ დადებითი ქცევის მიუხედავად მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითებით იქნება მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, რაც მსჯავრდებულისთვის ბუნდოვანს გახდის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, არსებობს საფრთხე, რომ მსჯავრდებულმა დაკარგოს მოტივაცია და მისი რესოციალიზაციის პროცესის დინამიკა გაუარესდეს. ამდენად, სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმის კრიტერიუმზე მითითების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათლად უნდა ჩანდეს შესაძლო დადებითი გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივა და საბჭოს მოლოდინი ამ მიზნის მსჯავრდებულის მხრიდან მიღწევისთვის. მაგალითად, ზოგიერთ უარყოფით გადაწყვეტილებაში, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული არ არის წახალისებული და არც სოციალურ აქტივობებშია ჩართული, საბჭოები მიუთითებენ, რომ მსჯავრდებულის ქცევაზე მსჯელობისას აგრეთვე ფასდება მის მიმართ გამოყენებული წამახალისებელი ღონისძიებები და მისი მისწრაფება რესოციალიზაციისკენ, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.[374] აღნიშნული კი წარმოდგენას უქმნის პატიმარს, რომ სამომავლოდ მას სჭირდება ქცევის იმგვარი გაუმჯობესება, რომ ადმინისტრაციის მხრიდან წახალისების ღონისძიებები დაიმსახუროს.

დადებითი გადაწყვეტილებები

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე მიღებულ დადებით გადაწყვეტილებებში, წინა წლების პრაქტიკის მსგავსად, კვლავ აქტუალურია დაუსაბუთებლობის პრობლემა. კერძოდ, საბჭოები დადებით გადაწყვეტილებებს არ ასაბუთებენ, არ მიუთითებენ არცერთ კრიტერიუმზე, რომელთა მხედველობაში

[374] მაგ.: სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მსჯავრდებული, რომელიც გასამართლებულია სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, არ არის არც დისციპლინური წესით დასჯილი და არც წახალისებულია, აგრეთვე, მას სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. საბჭომ სხვა უარყოფით კრიტერიუმებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მსჯავრდებული არ იყო წახალისებული, ასევე, არ ყოფილა ჩართული სოციალურ აქტივობებში, რაც უარყოფითი გადაწყვეტილების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა და მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროგრესი.

მიღებითაც მივიდნენ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. არ გვთავაზობენ მსჯელობას, თუ კონკრეტულად, რა გარემოებებმა დაარწმუნა საბჭო, რომ მსჯავრდებულმა რესოციალიზაცია განიცადა, სასჯელის მიზნები მიღწეული იქნა და აუცილებელი აღარ არის დარჩენილი სასჯელის მოხდა. სახალხო დამცველის აპარატმა, არაერთხელ აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს განჭვრეტადი. მსგავსი ბუნდოვანება კი, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, სადაც მსჯავრდებულის მხარეს არაერთი უარყოფითი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმია, რაც, როგორც წესი, ხშირად გადამწყვეტია უარყოფითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შესაძლოა, სხვა მსჯავრდებულისთვის/ობიექტური დამკვირვებლისთვის აჩენდეს მიკერძოების განცდას:

საქმე N1. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით. წარმოდგენილია დაზარალებულის თანხმობა, სასჯელის მოხდის პერიოდში რაიმე სახის სოციალურ აქტივობებში ჩართული არ ყოფილა, დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ. ბოლო პერიოდში, სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია, ნასამართლობის არმქონე. გათავისუფლდა პირობით ვადამდე 2 თვით და 18 დღით ადრე.[375]

საქმე N2. მსჯავრდებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის განაჩენით, გასამართლებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის განაჩენით დანიშნული პირობით მსჯავრი, რაც ნაწილობრივ დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო, 4 წელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში, სოციალურ აქტივობებში ჩართული არ ყოფილა, დისციპლინური წესით დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და დაწესებულების მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია. ნასამართლობის მქონე: 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის განაჩენით მსჯავრდებულია სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით; 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის განაჩენით - სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით; 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის განაჩენით - სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილით; 4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის განაჩენით სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი), სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის განაჩენით და აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით დანიშნული პირობითი მსჯავრი, რაც ნაწილობრივ დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის

[375] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო, 3 წელი ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული შეღავათები: 1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილებით, „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით; 2. გათავისუფლდა 2015 წლის გადაწყვეტილებით პირობით ვადამდე; 3. საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის განკარგულებით გაუნახევრდა სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 თვისა და 10 დღის ვადით; 4. გათავისუფლდა 2018 წლის განკარგულებით, შეწყალებით. საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული გათავისუფლდა პირობით ვადამდე 6 თვით და 17 დღით ადრე.[376]

საქმე N3. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან პირობითი მსჯავრი 1 წლის ვადით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, 2 წელი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. წარმოდგენილია დაზარალებულის თანხმობა, მსჯავრდებული სოციალურ აქტივობებში ჩართული არ ყოფილა, დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ, წახალისებული არ ყოფილა. დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია. ნასამართლევია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წელი პირობით. საბჭოს გადაწყვეტილებით, თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა შინაპატიმრობით 2 წლის, 3 თვისა და 26 დღის ვადით.[377]

შეფასება: როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ შუამდგომლობებში მსჯავრდებულების მხარეს იკვეთება არაერთი უარყოფითი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმი, რომლებზეც მიუთითებენ ადგილობრივი საბჭოები უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთების დროს. მაგალითად, ხშირად ვხვდებით აპელირებას ნასამართლობაზე, მსჯავრდებულის მიერ სოციალურ აქტივობებში ჩართვაში უარის თქმასა და დისციპლინური წესით დასჯაზე, რაც, საბჭოების განმარტებით, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესის არქონაზე მეტყველებს და სხვა. განხილულ საქმეებში კი, იმ პირობებში, როდესაც მსჯავრდებულის მხარეს არაერთი მსგავსი უარყოფითი მახასიათებელი არსებობს და დასაბუთება საერთოდ არ არის წარმოდგენილი, გაუგებარი და ბუნდოვანი რჩება საბჭოს მოტივაცია და შესაბამისად, მიღებული გათავისუფლების გადაწყვეტილებაც. სახალხო

[376] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.
[377] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დამცველის აპარატი, ცალსახად აფიქსირებს პოზიციას, რომ აპარატი ცხადია არ მიიჩნევს, რომ ეს პატიმრები არ უნდა გათავისუფლებულიყვნენ, არამედ აპარატი აქცენტს აკეთებს საბჭოების საქმიანობის განჭვრეტადობისა და თანმიმდევრულობის აუცილებლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ გათავისუფლებული პატიმრების ფონზე, უსამართლობის განცდა და მოტივაციის შემცირება შეიძლება მივიღოთ სხვა პატიმრებში, რომლებზეც საბჭოები არ იღებენ დადებით გადაწყვეტილებებს.

არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები

ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკაში, წინა წლების მსგავსად, კვლავ ვხვდებით იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში, ადგილობრივი საბჭოების ურთიერთსაპირისპირო მიდგომებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებს. თუკი საბჭო, ერთ შემთხვევაში უარყოფით გადაწყვეტილებას ასაბუთებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე და რესოციალიზაციის პროცესის არასაკმარისობაზე, იმავე ხასიათის სხვა საქმეზე, საბჭო იღებს დადებით გადაწყვეტილებას, სადაც დასაბუთება წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად, ბუნდოვანი რჩება, თუ რატომ იყენებენ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებს მსგავსი მოცემულობის მქონე საქმეებზე. მაგალითად:

საქმე N1. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 19,108-ე მუხლით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მსჯავრდებულის განმარტებით, დაზარალებული არ წარმოადგენს პრეტენზიას, თუმცა, შესაბამისი საბუთი ვერ წარმოადგინა. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში, სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, დისციპლინური წესით დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. სასჯელის მოხდის პერიოდში სარეჟიმო კორპუსზე ყოფნის დროს, რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია, ნასამართლობის არმქონე. მოცემულ საქმეში საბჭომ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო და აღნიშნა, რომ „საბჭომ, საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციასთან, და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური პირობები, ის გარემოება, რომ ნასამართლობის არმქონეა, თუმცა, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, გაწხრახ მკვლელობის მცდელობა. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას, საბჭო, ასევე მხედველობაში იღებს დაზარალებულის პოზიციას, რაც მოცემულ საქმეში ვერ იქნა წარმოდგენილი. მსჯავრდებულს მონაწილეობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში. მსჯავრდებულის პიროვნება და მისი სწრაფვა რესოციალიზაციის პროცესისადმი უნდა იყოს აშკარა და ხელშესახები, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის დამოკიდებულება დადებითი განვითარების დინამიკასთან მიმართებით ბუნდოვანია, მსჯავრდებულის მხრიდან არ იკვეთება სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში ჩართვის სურვილი და რესოციალიზაციის მოტივაცია. პენიტენციური დაწესებულება მსჯავრდებულებს სთავაზობს, როგორც ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებს, ისე დამხმარე პროგრამებს - პროსოციალურ აქტივობებს. ვინაიდან, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს

თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში არ მიუღია მონაწილეობა, არ წარმოუდგენია დაზარალებულის თანხმობა, საბჭომ, ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა."[378]

საქმე N2. მსჯავრდებული ამ საქმეშიც გასამართლებულია სსკ-ის 19,108-ე მუხლით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, საიდანაც 2 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო, 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებული არ წარმოადგენს საჩივარს, შესაბამის საბუთს წარადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოში. მსჯავრდებული, სასჯელის მოხდის პერიოდში, რაიმე სახის სოციალურ აქტივობაში ჩართული არ ყოფილა, დისციპლინური წესით დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, სარეჟიმო კორპუსზე ყოფნის დროს, რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ არის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. ნასამართლობის არმქონე. საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა შინაპატიმრობით, 5 თვისა და 25 დღის ვადით.[379]

შეფასება: როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ ორივე საქმეში, მსჯავრდებულები იდენტური ხასიათის დანაშაულებისთვის არიან გასამართლებულები. პირველ საქმეში, საბჭომ, ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითების პარალელურად, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულის მხრიდან არ იკვეთებოდა სოციალურ აქტივობებში ჩართვის სურვილი და შესაბამისად, მიიჩნია, რომ მისი რესოციალიზაციის პროცესი არ მიმდინარეობდა. ამდენად, მოცემულ საქმეში, საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება აღქმადია. თუმცა, არც მეორე საქმეში იკვეთება მსჯავრდებულის სწრაფვა რესოციალიზაციისკენ და სხვა კრიტერიუმებიც პირველი საქმის იდენტურია. მოცემულ საქმეში დადებით გადაწყვეტილებას დასაბუთება არ ახლავს და შესაბამისად, გაურკვეველია, რატომ იჩენს საბჭო რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებს მსგავსი მოცემულობის მქონე საქმეებში. ასევე, გაუგებარი რჩება, თუ ერთ საქმეში დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე და მსჯავრდებულის სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის საკითხი და შესაბამისად, მისი რესოციალიზაციის პროცესი უარყოფითად არის შეფასებული, რატომ არ ენიჭება აღნიშნულს იგივე შეფასება იდენტური ხასიათის მქონე სხვა საქმეში. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საბჭომ, ყველა საქმეში წარმოადგინოს დეტალური მსჯელობა და მოტივაცია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამაც უნდა გამორიცხოს არსებული ბუნდოვანება და საბჭოების პრაქტიკა თანმიმდევრული გახადოს.

[378] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.
[379] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებებში დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით არსებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების ანალიზმა აჩვენა, რომ საბჭოები პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას აქტიურად იყენებენ დაზარალებულის პოზიციას. საბჭოები მიუთითებენ, რომ მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებასთან ერთად, დაზარალებულს არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ მისი ინტერესები უგულებელყო ადმინისტრაციულმა ორგანომ და დატოვა შეფასების მიღმა.

დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ფაქტორის გამოყენება გადაწყვეტილების დასაბუთებისას იყოს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული, რათა მსჯავრდებულს არ გაუჩნდეს განცდა, რომ მის მიერ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მისი დადებითი პოზიციის წერილობით დადასტურების მიუხედავად, საბჭო აღნიშნულს არ მიიჩნევს მნიშვნელოვან კრიტერიუმად და ისევე დაასაბუთებს უარყოფით გადაწყვეტილებას, როგორც დაზარალებულის თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

საქმე N1. - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 2021 წლის 10 მაისიდან, ხოლო სასჯელის დასასრულად მითითებულია 2023 წლის 24 თებერვალი. სასჯელის მოხდის პერიოდში მის მიმართ დისციპლინური სახდელი ან წახალისება გამოყენებული არ ყოფილა. არ არღვევს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნებს. წარსულში ნასამართლობის არმქონეა. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებული არ ჰყავს. საბჭომ მსჯავრდებული გაათავისუფლა პირობით ვადამდე.[380]

საქმე N2. - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. ოჯახთან აქვს კარგი ურთიერთობა. წარსულში ნასამართლევია. მსჯავრდებული ჩარიცხული იყო დაწესებულების სამეურნეო სამუშაოებში, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებდა. არის თავაზიანი დაწესებულების ადმინისტრაციისა და პატიმრების მიმართ. სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობა მიიღო მაგიდის ჩოგბურთის ტურნირში. იგი არ არღვევს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნებს. მსჯავრდებული განმარტავს, რომ დაზარალებულს აუნაზღაურა ზიანი და მას პრეტენზია არ აქვს, თუმცა წერილობითი დოკუმენტი ვერ წარადგინა. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო აღნიშნავს, რომ მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულის პოზიცია

[380] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მოცემულ საქმეში ვერ იქნა წარმოდგენილი.[381]

საქმე N3. - დახასიათებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობა მიიღო სოციალურ აქტივობებში. დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული იქნა ერთხელ, ხოლო წახალისებული არ ყოფილა. მსჯავრდებულმა წარადგინა დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, მის მიმართ შეღავათების გამოყენების თაობაზე. უარყოფით გადაწყვეტილებაში საბჭო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ვერ დააფუძნებს დაზარალებულის სუბიექტურ შეფასებაზე, თუმცა დადებითად აფასებს შერიგების ფაქტს.[382]

შეფასება: წინამდებარე საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამივე შემთხვევაში მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. საბჭომ, ერთ შემთხვევაში მსჯავრდებული გაათავისუფლა პირობით ვადამდე, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის თანხმობა არ ყოფილა წარდგენილი. თუმცა, დადებით გადაწყვეტილებას თან არ ახლავს დასაბუთება. მეორე შემთხვევაში საბჭომ მიუთითა, რომ დაზარალებულის თანხმობა არ არის წარდგენილი, რაც უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთების ერთ-ერთ კრიტერიუმად გამოიყენა. ხოლო, მესამე საქმეში საბჭო უთითებს, რომ მიუხედავად დაზარალებულის თანხმობისა, მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტურ პოზიციაზე საბჭო გადაწყვეტილებას ვერ დააფუძნებს.

სოციალურ აქტივობებში ჩართულობის გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას

კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი საბჭოების მიერ სოციალურ აქტივობებში ჩართულობაზე მითითება. როგორც წესი, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას შაბლონურად ვხვდებით ჩანაწერს „რესოციალიზაცია თავისთავად კავშირშია ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანთან, თუ მიღწეული იქნება რესოციალიზციის მიზანი, თავისთავად შემცირდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკიც, ამისთვის კი ერთ-ერთი მთავარი პირობაა სოციალურ აქტივობებში აქტიური ჩართვა, რაც კონკრეტული მსჯავრდებულის შემთხვევაში არ იკვეთება". აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება კი ხორციელდება იმის ფონზე, რომ პენიტენციურ სისტემაში წლების განმავლობაში[383] გამოწვევას წარმოადგენდა პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია. პანდემიის დროს დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღებამ, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გარე პერიმეტრზე გაყვანამ და დისტანციურ რეჟიმში მუშაობამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა ამ მიმართულებით. ამავე პერიოდში შეჩერდა სარეაბილიტაციო აქტივობები. ეს კიდევ უფრო მწვავედ აისახა დახურული

[381] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება.
[382] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება.
[383] იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: , გვ 61-64, [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

ტიპის დაწესებულებებში.[384] როგორც აღმოჩნდა, COVID-19-ის პანდემიის დროს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უმრავლესობას პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა არ მიუღია. კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულ პატიმართა მესამედი აღნიშნულის მიზეზად ასახელებს მსგავსი ღონისძიებების/პროგრამების არ არსებობას, ნაწილი მონაწილეობის საჭიროებას ვერ ხედავს ან ამ პროგრამების შესახებ სათანადო ინფორმაციას არ ფლობს.[385]

საქმე N1. - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 2021 წლის 10 აგვისტოდან, ხოლო სასჯელის დასასრულად მითითებულია 2023 წლის 27 მაისი. აქვე მითითებულია, რომ ჰყავს ოჯახი, სარგებლობს მათთან კომუნიკაციის კანონით ნებადართული საშუალებებით. სასჯელის მოხდის პირობებში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, წარსულში არ ყოფილა ნასამართლევი. მსჯავრდებულს დაწესებულებაში ყოფნის პირობებში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ გამოთქვამს სურვილს აქტივობებში ჩართულობაზე. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო მიუთითებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე, აგრეთვე, უთითებს, რომ მსჯავრდებულს მისი სურვილის მიუხედავად, მონაწილეობა არ მიუღია სოციალურ აქტივობებში.[386]

საქმე N2. - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის. მითითებულია, რომ ოჯახის წევრებთან აქვს კეთილგანწყობილი ურთიერთობა. წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ დისციპლინური სახდელი ან წახალისება გამოყენებული არ ყოფილა. მსჯავრდებულს დაწესებულებაში ყოფნის პირობებში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, არსებობის შემთხვევაში, სურვილს გამოთქვამს მიიღოს მონაწილეობა. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო ყურადღებას ამახვილებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე, აგრეთვე, უთითებს, რომ ამ კონკრეტული მსჯავრდებულის შემთხვევაში არ იკვეთება სოციალურ აქტივობებში ჩართვა.[387]

შეფასება: გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ რიგ შემთხვევებში დახასიათებებიდან ჩანს მსჯავრდებულის სურვილი ჩაერთოს სოციალურ აქტივობებში. ამასთან, მითითებულია, რომ მსჯავრდებულს მონაწილეობა არ აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში და აღნიშნულს საბჭო იყენებს მსჯავრდებულის საუარესოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის

[384] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 78-79.
[385] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის კვლევის ანგარიში „პენიტენციურ სისტემაში covid-19 პანდემიის გავლენა პატიმრების და პერსონალის ჯანმრთელობის და სხვა სახის უფლებრივ მდგომარეობაზე", 2022 წელი„ გვ. 103-104.
[386] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება.
[387] აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება.

უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის დასასაბუთებლად. საბჭოს გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რა გარემოებებმა დააბრკოლა მსჯავრდებული, რომ სურვილის მიუხედავად, არ ყოფილა ჩართული სოციალურ აქტივობებში. გადაწყვეტილებებიდან არ იკვეთება, კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნის დროს განხორციელდა თუ არა მისთვის სოციალური აქტივობების შეთავაზება და მისი ჩართულობა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება პიროვნული და ტექნიკური უნარების გაძლიერებით მისი რისკების დაწევასა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის პროცესის წარმატებით მიმდინარეობაზე. ხოლო, თუ მსჯავრდებულმა გამოხატა სოციალურ აქტივობებში ჩართულობის სურვილი და მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მისი ჩართვა ვერ განხორციელდა, რის შესახებაც გადაწყვეტილებებში არ არის მოცემული ფართო მსჯელობა, მსჯავრდებულის საუარესოდ აღნიშნულის გამოყენება უარყოფითად უნდა შეფასდეს.

მსჯავრდებულთა პროფილის ანალიზი

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებში ასახული ინფორმაცია, მსჯავრდებულთა დახასიათების შესახებ, ძირითადად, დამაკმაყოფილებელია. მსჯავრდებულის შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილია ყველა გადაწყვეტილებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების პრაქტიკის მსგავსად, ამჯერადაც, ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების გადაწვეტილებები, სხვა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებთან შედარებით, გაცილებით ინფორმაციულია. კერძოდ, ხსენებული საბჭოების გადაწყვეტილებებში ასახულია სოციალური მუშაკის დასკვნა მსჯავრდებულთა ოჯახისა და იმ გარემო-პირობების შესახებ, სადაც მსჯავრდებული უნდა დაბრუნდეს შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადგილობრივ საბჭოს ჰქონდეს ხელთ ასეთი მოცულობითი ინფორმაცია თითოეული მსჯავრდებულის (მათ შორის, კაცი მსჯავრდებულების შემთხვევაში) შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი კონკრეტული საქმეები და გამოვლენილი ხარვეზები

გარდა, ადგილობრივი საბჭოების 2022 წლის პრაქტიკის სისტემური შესწავლისა, საანგარიშო პერიოდში, როგორც აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა კონკრეტულ მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთა მიმართ საბჭოების მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებები მსჯავრდებულებს გასაჩივრებული ჰქონდათ სასამართლოში.

აღნიშნული გადაწყვეტილებებისა და მსჯავრდებულთა მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა სამ შემთხვევაში სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა სასამართლოს.

ბ. კ.-ს საქმე

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ შეისწავლა მსჯავრდებულ ბ. კ.-ს სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხი და უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.[388] მსჯავრდებულმა ბ. კ.-მ გაასაჩივრა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში და პარალელურად, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხის შესწავლის მიზნით მიმართა სახალხო დამცველს.

ბ. კ.-ს საქმის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭო დაეყრდნო წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, ნასამართლობას, სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური გადაცდომების არსებობას და წარსულში ერთხელ კანონით დადგენილი შეღავათების გამოყენების ფაქტს[389]. აღნიშნულის გარდა, სხვა გარემოების სახით, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულს საბჭოში არ წარმოუდგენია დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. თუმცა, საბჭომ არ მიუთითა, თუ კონკრეტულად რომელ გარემოებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას.

ამასთან, რაც უფრო მეტად ყურადსაღებია, საბჭომ არანაირი ყურადღება არ მიაქცია მსჯავრდებულის სასჯელის დასაწყისიდან დღემდე რესოციალიზაციის კუთხით არსებულ პოზიტიურ დინამიკას. კერძოდ, საწყის 6 თვეში დაკისრებული ორი დისციპლინური სახდელის შემდგომ, მსჯავრდებულმა სრულიად გამოასწორა ყოფაქცევა. შემდეგი 5 წლის განმავლობაში - ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე, მსჯავრდებული არაერთხელ წახალისდა, დასაქმდა, გაიარა არაერთი სარეაბილიტაციო კურსი და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რესოციალიზაციის კუთხით. როგორც მსჯავრდებულის პირადი საქმიდან და ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებიდან გაირკვა, მსჯავრდებულმა წარმატებით გაიარა ერთ-ერთი კოლეჯის სასწავლო პროგრამა და დაეუფლა მეფუტკრეობის პროფესიას. თუმცა, საბჭოს გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული, რომ ბ. კ.-მ მეგობრების დახმარებით შეიძინა ორი ოჯახი ფუტკარი და მისი ცოდნის საფუძველზე და მითითებებით ოჯახის წევრები შეძლებისდაგვარად უვლიან ფუტკრებს.[390]

საბჭომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ბ. კ. სასჯელის მოხდის პერიოდში ირიცხებოდა სამეურნეო მომსახურებაში, თუმცა მსჯავრდებულმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე,

---

[388]ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N04/21/შ-233 გადაწყვეტილება.
[389] ბ. კ. 2016 წლის 26 აპრილს გათავისუფლდა პირობით ვადამდე.
[390] ინფორმაცია დასტურდება N2 დაწესებულების 2022 წლის 15 იანვრის დახასიათებით.

რომ 2021 წელს დასაქმებული იყო შპს „ილი ჯგუფში", კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების სასადილოში.[391] მის მიერ წარმოდგენილი დახასიათების თანახმად, ბ. კ. კეთილსინდისიერად ასრულებდა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მის მიერ დისციპლინური გადაცდომა არ გამოვლენილა.

საბჭოს გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იყო მითითებული, რომ მსჯავრდებულმა მონაწილეობა მიიღო დისტანციურ ტრენინგში „მეცხოველეობა - ცხოველთა ჯიშები, დაავადებები, პრევენცია, ჰიგიენური სტანდარტები და მეწარმეობის პრობლემები" და იგი კვლავ მზაობას გამოთქვამს პროგრამებში ჩართვაზე. მას სურვილი აქვს სრულფასოვნად დაეუფლოს ვეტერინარიის პროფესიას.[392]

ამასთანავე, საბჭოს გადაწყვეტილებაში არ იყო აღნიშნული, რომ მსჯავრდებულმა 2021 წელს დაწესებულების ეზოში მოაწყო ერთწლოვანი კულტურების ბაღი.[393]

ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ გადაწყვეტილება არავითარ ინფორმაციას არ შეიცავდა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მსჯავრდებულმა აღნიშნული მექანიზმის მასზე გასავრცელებლად, არის თუ არა ეს საერთოდ შესაძლებელი, პირობითად, რა დამატებითი კურსები უნდა გაიაროს, ან რა სხვა ნაბიჯები გადადგას იმისთვის, რომ საბჭომ პოზიცია შეიცვალოს. ამ ფორმალისტური, არაგანჭვრეტადი მიდგომით საბჭო ინდიფერენტულობას გამოიწვევს ნებისმიერ მსჯავრდებულში და პირიქით, დაუკარგავს მას ყველანაირ მოტივაციას რესოციალიზაციის პროცესისადმი.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმის განხილვისას, მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს ემსჯელა საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და განჭვრეტადობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რაც შეცვლიდა ამჟამად დამკვიდრებულ ბლანკეტურ პრაქტიკას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინა.[394] სამწუხაროდ, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სასამართლომ არ გაიზიარა.

ი. კ.-ს საქმე

ი.კ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს დადებითი დახასიათება, არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი, მოტივირებულია, კარგი ურთიერთობით გამოირჩევა თანამშრომლებთან და პატიმრებთან, აქვს პროფესია,

[391] იქვე.
[392] იქვე.
[393] იქვე.
[394] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 16 მარტის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N15-13/2831.

განათლება, ოჯახი და საცხოვრებელი ადგილი, წახალისებულია რამდენჯერმე. საბჭო უარის მიზეზად დანაშაულის ხასიათს, სიმძიმეს, დანაშაულთა ერთობლიობას და წარსულში ნასამართლობის ფაქტებს ასახელებს და დამატებით სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არქონის ფაქტებზეც მიუთითებს.

მსჯავრდებული პარალელურად რისკების გადაფასების პროცედურას წარმართავდა სასამართლო წესით, რომ დაბალი რისკის დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობა ჰქონოდა, სადაც სარეაბილიტაციო და სოციალური აქტივობებისთვის მეტი სივრცეა განსხვავებით მისი განთავსების N8 დახურული ტიპის დაწესებულებისგან.

სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება[395] წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც ყურადღება გამახვილდა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტებზე, აპარატის მიერ მსჯავრდებულ ი.კ.-ს საქმის შესწავლის შედეგად წლების განმავლობაში განხორციელებული რეაგირების თაობაზე. მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა იყოს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულებისა, კიდევ რა დადებით ქცევას ელის მისგან ადგილობრივი საბჭო. მხოლოდ ჩადენილი დანაშაულებისთვის განმეორებითი „დასჯა" არ არის საბჭოს მანდატი. საბჭოს გადაწყვეტილება და მოტივაცია მოსალოდნელი ქცევის მიმართულებითაც უნდა იყოს გამჭვირვალე.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ[396] მსჯავრდებულის სარჩელი არ დააკმაყოფილა და საერთოდ არ იმსჯელა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მითითებული რელევანტურ საკითხებზე. ამავდროულად დადებითად უნდა შეფასდეს, ამავე პატიმრის სხვა სასამართლო დავის ფარგლებში (სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარზე საჩივარი), თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში[397] სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტების გამოყენება გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

მ. თ.-ს საქმე

სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, მ. თ.-ს უარი ეთქვა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.[398] გადაწყვეტილება მსჯავრდებულმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა მოპასუხე მხარისათვის ახალი

[395] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 31 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N15-5/10856.
[396] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება.
[397]თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ადგილობრივ საბჭოს დაევალა ახალი გადაწყვეტილების მიღება.
[398] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის პირველი აპრილის N01/21-0189 გადაწყვეტილება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის სარჩელი, ბათილად ცნო გადაწყვეტილება და ადგილობრივ საბჭოს დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. თ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობასთან დაკავშირებით.[399] გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების დროს არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე; არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და მსჯავრდებულს არ ჰქონია მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა; ადმინისტრაციულ ორგანოს ყურადღება არ მიუქცევია მსჯავრდებულის მიერ დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევის დინამიკაზე და მის დღევანდელ დამოკიდებულებაზე ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან.

აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ ხელახლა განიხილა მსჯავრდებულ მ. თ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი, თუმცა, კვლავ მსგავსი დასაბუთების უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.[400] ადგილობრივმა საბჭოს ახალ გადაწყვეტილებაში კვლავ მიუთითა მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის გამოყენების ფაქტი, რომელიც სასამართლოში გასაჩივრების შედეგად ბათილად იქნა ცნობილი; ადგილობრივმა საბჭომ მიუთითა მსჯავრდებულის გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ; ასევე, ადგილობრივმა საბჭომ არ გამოიყენა ზეპირი მოსმენის და შეკითხვების უშუალოდ მსჯავრდებულისათვის დასმის შესაძლებლობა. როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, საბჭომ არ გაითვალისწინა სასამართლოს შენიშვნები საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა აღმოსავლეთ საქართველოს პირველ ადგილობრივ საბჭოს, რომ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის შეფასება არაჯეროვნად იყო განხორციელებული და მიუთითა კონკრეტული გარემოებები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა საბჭოს, ადგილობრივმა საბჭომ საკითხის ხელახალი განხილვისას სასამართლოს შენიშვნები და პოზიცია საერთოდ არ გაითვალისწინა.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმნიდა საფუძველს მოლოდინისათვის, რომ ადგილობრივი საბჭოსთვის საქმის ხელახალი განხილვის მიზნით დაბრუნების

[399] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება N3/2865-21.
[400] აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის პირველი თებერვლის N01/22-0027გადაწყვეტილება.

შემთხვევაში, კვლავ არ იქნებოდა გათვალისწინებული სასამართლოს მიერ გამოთქმული შენიშვნები საკითხის განხილვის პროცესში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ. ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლო კვლავ განიხილავდა მსჯავრდებულ მ. თ.-ს სარჩელს, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.[401] სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე სასამართლომ საბოლოოდ ვერ იმსჯელა, ვინაიდან განხილვამდე მსჯავრდებულმა მ. თ-მ სარჩელი უკან გაიტანა.[402]

გენერალური ინსპექციები

სამართალდამცავი სტრუქტურების ფარგლებში ისეთი სამსახურის არსებობა, რომელიც თანამშრომელთა მიმართ საჩივრებს დროულად, მიუკერძოებელად და ეფექტიანად განიხილავს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენ სისტემაში არასათანადო მოპყრობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისთვის.

ამასთან, მაშინ, როდესაც საკითხი ეხება თავისუფლებააღკვეთილ პირს, რომელიც სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი სამსახური თუ ორგანო, რომელიც ჯეროვნად, გულისხმიერად, დროულად და სათანადოდ შეისწავლის თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ წარდგენილ საჩივარს თანამშრომლების მხრიდან მისი უფლებების შესაძლო დარღვევაზე, ხოლო დარღვევის დადგენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებითა და პასუხისმგებლობის დაკისრებით უპასუხებს.

სახალხო დამცველის საქმიანობა გენერალური ინსპექციების საქმიანობის შემოწმების მიმართულებით

2017 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გამოსცა სპეციალური ანგარიში,[403] რომლის კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების გენერალური ინსპექციის (სამართალმემკვიდრე - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი) საქმიანობის

[401] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 21 აპრილის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N15-6/4306.

[402] ფაქტის შესახებ სახალხო დამცველის აპარატი ინფორმაციას ფლობს მსჯავრდებულ მ. თ.-ს ადვოკატისგან.

[403] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ", 2017.

პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული[404], ისე - საკანონმდებლო[405] ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები[406] გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

სამწუხაროდ, ეს ხარვეზები სამსახურებრივ შემოწმებებს ახასიათებდა მომდევნო წლებშიც. შესაბამისად, სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად აგრძელებდა და აგრძელებს ამ მიმართულებით აქტიურ მონიტორინგსა და მუშაობას. ამ მნიშვნელოვან ხარვეზებს ეთმობოდა ყურადღება როგორც წლიურ ანგარიშებში,[407] ისე სპეციალურ საჯარო განცხადებებში.[408]

2022 წელსაც სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმის შესწავლის ფარგლებში გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, რომელთა შესწავლის შემდეგ კვლავ გამოიკვეთა არსებითი ხასიათის ხარვეზები. სამწუხაროდ, ხსენებული სამსახურების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცედურებში კვლავ მეორდება იმგვარი ხარვეზები, რომლებზეც სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში მიუთითებდა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი კონკრეტული საქმეები და გამოვლენილი ხარვეზები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების მიუხედავად, პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქმეებში ნეიტრალური და შესაძლო დამატებითი მტკიცებულებების არარსებობა კვლავ ფიქსირდება პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის

---

[404] სამსახურებრივი შემოწმების დაგვიანებით დაწყება; ვიდეოჩანაწერების, როგორც ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების პრობლემა; მოქალაქეთა ინფორმირების ნაკლებობა შემოწმების შედეგებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების შესახებ.

[405] სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში უარის გასაჩივრების უფლების, წესისა და პროცედურის არარსებობა.

[406] განმცხადებლებისათვის ჩატარებული შემოწმებისა და მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინება; სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას ვიდეოჩანაწერების მოპოვება, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში; სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისას ყველა შემთხვევაში დასკვნა/ცნობის შედგენა.

[407] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 70-80, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 61-62, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf >

[408] მაგ., იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-generaluri-inspektsiebis-mushaobas-kvlav-araefektianad-miichnevs >

დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალებში, რისი ნათელი მაგალითიც წინამდებარე საქმეა.

2022 წლის 11 მარტს, სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს, მსჯავრდებულმა რ. ხ.-მა განმარტა, რომ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში მიყვანისას ჩატარებული შემოწმების დროს დაწესებულების თანამშრომლებმა მოსთხოვეს გაშიშვლება და ბუქნების გაკეთება. შემოწმების პროცესი სპეციალური ბარიერის (ე.წ. „შირმის") გარეშე მიმდინარეობდა და აღნიშნულთან დაკავშირებით მის მიერ გამოხატულ სიტყვიერ პროტესტს ხმამაღალი და აგრესიული ტონით საუბარი მოჰყვა. ამასთან, თანამშრომლებმა უხეში ფორმით გადმოუყარეს პოლიეთილენის პარკებში ჩალაგებული პირადი ნივთები, გახსნეს და წაიკითხეს დალუქული კონვერტები. რ. ხ. აცხადებდა, რომ მის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებების თაობაზე მიმართა პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს.

სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ, ასევე, შემოწმების მასალების ასლი.[409]

მონიტორინგის დეპარტამენტიდან მიღებული მასალების[410] გაცნობის შედეგად გაირკვა, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, რ. ხ.-ს გარდა, ახსნა-განმარტება ჩამოერთვა N2 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 2 ინსპექტორ-კონტროლიორს და ოპერატიულ მორიგეს, ასევე, დაწესებულების მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელს და მორიგე ექიმს.[411]

დამკვიდრებული პრაქტიკის მსგავსად, რ. ხ.-ს საჩივრის საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებშიც, გამოიკითხა უშუალოდ მსჯავრდებული, რის შემდეგაც მისი ახსნა-განმარტების საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაცია დააფიქსირეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებმა და სწორედ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მონიტორინგის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ პატიმრის უფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და შემოწმება დაასრულეს.[412]

შემოწმების მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ იყო მოპოვებული არც ერთი ნეიტრალური და საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება. კერძოდ,

---

[409] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 10 აგვისტოს N15-13/8174 წერილი.

[410] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 20 ოქტომბრის N308654/01 პასუხი.

[411] მსჯავრდებული მიუთითებდა ასევე მედიკამენტების მიწოდების შეფერხებაზე, თუმცა ბოლო გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მიეწოდა დანიშნული მედიკამენტები.

[412] მონიტორინგის დეპარტამენტის თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და მომსახურების ხარისხის მართვისა და კონტროლის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2022 წლის 17 ივნისის N178870/01 მოხსენებითი ბარათი.

გამოკითხვები არ იყო ჩატარებული დეტალურად, არ იყო დაარქივებული და დათვალიერებული ვიდეო ჩანაწერები; არ გამოკითხულან ე.წ. პულტის ოთახის თანამშრომლები, რომლებიც იმ დღეს ახორციელებდნენ შემოწმება-დათვალიერების ოთახის ელექტრონული მეთვალყურეობის კონტროლს; არ გამოკითხულან ის მსჯავრდებულები, რომლებიც იმავე დღეს შეიყვანეს/გადაიყვანეს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში და ჩაუტარდათ შემოწმება-დათვალიერება.

ამრიგად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ცალსახად არასრულყოფილი იყო. არ იკვეთებოდა ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. სამსახურებრივი შემოწმების ჯეროვნად ჩატარების შემთხვევაში, შედეგებიც შესაძლოა განსხვავებული ყოფილიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს.[413]

გაგზავნილი წინადადების საპასუხოდ. სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მოსაზრებით, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ გამოკითხულია კონკრეტულ გარემოებებში უშუალო მონაწილე ყველა პირი, ხოლო წინადადებაში მითითებული მოქმედების ჩაუტარებლობის გამო, მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება არ უნდა დაიწყოს. ამასთან სახალხო დამცველის აპარატს აცნობეს, რომ წინადადებაში ასახული მითითებები გათვალისწინებული იქნება სხვა სამსახურებრივი შემოწმებების ფარგლებში.[414]

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა

კვლავ გამოვლინდა არსებითი ხარვეზები შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებებში. სამსახურებრივი შემოწმების მასალების შესწავლის შედეგად, 2022 წელს სახალხო დამცველმა 3 წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიერ არასრულფასოვნად ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოებისდაწყების თაობაზე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში მოქალაქე ე. ა. აღნიშნავდა, რომ 2021 წლის 8 ოქტომბერს, როდესაც შვილთან - ნ. ა.-სთან ერთად მოძრაობდა საკუთარი ავტომანქანით, გააჩერა პოლიციელმა ბ. ბ.-მ და ნარკოტიკული

[413] საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 26 დეკემბრის N15-13/12940 წინადადება.

[414] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2023 წლის 21 თებერვლის №48452/01 პასუხი.

ნივთიერების აღმოჩენის მიზნით, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, განახორციელა მისი პირადი და ავტომანქანის ჩხრეკა. მომხდარის ფონზე გადატანილი ნერვიულობის გამო, ე. ა.-ს შვილს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და დახმარებისთვის ექიმს მიმართა.

გარდა ამისა, მოქალაქე ე. ა. მიუთითებდა, რომ 2022 წლის 17 თებერვალს, როდესაც იგი მცირეწლოვან შვილიშვილებთან ერთად ავტომანქანით მოძრაობდა ქ. რუსთავში, მას ავტომანქანით წამოეწია იგივე პოლიციელი და ანიშნა გაჩერებულიყო. უკანონო ჩხრეკისა და ნარკოტიკული ნივთიერების „ჩადების" შიშის გამო, ე. ა. პოლიციელის მითითებას არ დაემორჩილა და ავტომობილი არ გააჩერა. აღნიშნულის შემდეგ, მის დევნას პოლიციის თანამშრომელი აგრძელებდა. ასევე, სავარაუდოდ, მის დევნაში, სამართალდამცავების კიდევ ერთი ავტომანქანა მონაწილეობდა.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ე. ა.-ს ადვოკატის განცხადების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, რითაც დადგინდა, რომ სატელეფონო გასაუბრება ჩატარდა ე. ა.-ს ადვოკატთან, რომელმაც განცხადებაში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარადგინა; სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ზოგადი ხედვისა და ნომრის ამოცნობის კამერების ჩანაწერები გაანალიზდა და დადგინდა, რომ დასახელებულ ავტომანქანებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ბ. ბ.-ს ავტომანქანას შორის კვეთა, 2022 წლის 17 თებერვალს არ დადასტურდა; შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ ბ. ბ.-ს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რა დროსაც მან, მოლოდინისამებრ, უარყო ე. ა.-ს პრეტენზიები.

გენერალური ინსპექციის თანამშრომელი საერთოდ არ დაინტერესებულა პოლიციელ ბ. ბ-ს მიერ ე. ა.-ს პირადი და ავტომანქანის შესაძლო უკანონო ჩხრეკის ფაქტით (2021 წლის 8 ოქტომბრის ეპიზოდი) და არცერთი მოქმედება აღნიშნული ფაქტის ირგვლივ ინფორმაციის მოსაპოვებლად არ განუხორციელებია. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, არ გამოკითხულან ე. ა. და მისი შვილი - ნ. ა., არ გადამოწმდა 2021 წლის 8 ოქტომბრის ინციდენტის შედეგად გადატანილი ემოციური სტრესის გამო, რომელ სამკურნალო დაწესებულებაში, ვის მიერ და რა სახის სამედიცინო მომსახურება გაეწია ნ. ა.-ს და არ შესთავაზეს მას, ნებაყოფლობით წარმოედგინა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია; არ დაინტერესებულა, 2021 წლის 8 ოქტომბრის ინციდენტს, ნ. ა.-ს გარდა, ჰყავდა თუ არა სხვა თვითმხილველი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ბ. ბ.-სთვის, ნებაყოფლობით წარმოედგინა მის სარგებლობაში არსებული ტელეფონის ნომრის მომსახურე მობილური ოპერატორი კომპანიიდან მისი გადაადგილების შესახებ ინფორმაცია (ე. წ. ანძების ამონაწერი), რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა ბ. ბ.-ს ყოფნას სამსახურებრივი შემოწმებისთვის საინტერესო დროს და ადგილას.

მოქალაქე ე. ა.-ს ადვოკატის განცხადების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების შესწავლის შედეგად, ცხადი გახდა, რომ შემოწმება არ ჩატარდა

ჯეროვნად. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ხსენებულ საქმეზე სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელი პირის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.[415] თუმცა, უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად, წინადადებაში მითითებულ გარემოებებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.[416] მსგავსი დამოკიდებულებას შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წამახალისებელი ეფექტი აქვს/ექნება სისტემის სხვა თანამშრომლებზე და ქმნის დაუსჯელობის განცდას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ კიდევ ერთ საქმეში მსჯავრდებული ნ.რ. მიუთითებდა, რომ დაკავებისას მისი და მისი შვილების მიმართ პოლიციამ უფლებამოსილებას გადაამეტა. ნ. რ.-ს ადვოკატმა აღნიშნა, რომ მსჯავრდებული საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დააკავა პოლიციამ და სურდათ ძალის გამოყენებით ნ. რ.-ს არასრულწლოვანი შვილის დაკავებაც, რაც ვერ მოახერხეს. მოგვიანებით, ნ. რ.-ს ვაჟი თავად გამოცხადდა პოლიციის შენობასთან. დაკავებისას ძალის შესაძლო გადამეტების შესასწავლად, ადვოკატმა მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[417]

სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის[418] პასუხად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აპარატს აცნობა, რომ 2020 წლის 4 სექტემბერს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა ადვოკატის შეტყობინება. იგი მიუთითებდა პოლიციელების მხრიდან არასრულწლოვან ზ. რ.-ს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე. აღნიშნული შეტყობინება შემდგომი რეაგირების მიზნით, ქვემდებარეობით გადაიგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოკითხვის დროს, არასრულწლოვანმა არ დაადასტურა პოლიციელების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტი და განაცხადა, რომ მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. შესაბამისად, საქმე შესასწავლად კვლავ გენერალურ ინსპექციას დაუბრუნდა. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, უწყების ცნობით, მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომა არ დადასტურდა.[419]

სამსახურებრივი შემოწმების საქმისწარმოების მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახეზე იყო მხოლოდ განმცხადებელი პირის და მეორე მხრივ ფაქტთან შემხებლობაში მყოფი 3 პოლიციის თანამშრომლის გამოკითხვის ოქმები, რომლებიც

[415] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 9 ივნისის N 15-3/5954 წინადადება.
[416] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს გენერალური ინსპექციის 2022 წლის 28 ოქტომბრის MIA 1 22 03035416 წერილი.
[417] ადვოკატ რ. რ.-სთან 2021 წლის 7 ივლისის სატელეფონო გასაუბრების ოქმი.
[418] საქართვლოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 14 ივლისის N15-10/6870 წერილი.
[419] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 4 აგვისტოს N8428/21 წერილი.

სრულიად განსხვავებულად აღწერდნენ ფაქტებს. მოპოვებული იყო მხოლოდ ერთი ნეიტრალური მტკიცებულება სოციალური მუშაკის გამოკითხვის ოქმის სახით.

მასალებზე დაყრდნობით, არ იკვეთებოდა საქმისთვის რელევანტური და ობიექტური ჭეშმარიტების დამდგენი სხვა სახის მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. კერძოდ: არ იყო გამოკითხული 2 სოციალური მუშაკი, რომლებიც როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აქტიურად ესაუბრებოდნენ ზ. რ.-ს. შესაბამისად, შესაძლოა მეტ დეტალზე ჰქონოდათ ინფორმაცია; არ გამოკითხულა სხვა არც ერთი ნეიტრალური პირი, მათ შორის, დაკავების ადგილას მყოფი მეზობლები; არ იყო მოპოვებული და შესწავლილი დაკავების ადგილას გარე მეთვალყურეობის კამარების ვიდეოჩანაწერები და არ ყოფილა ობიექტური მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც; არ გამოთხოვილა სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მასალებში არ იკვეთებოდა, რომ ადგილზე გამოცხადებული პოლიციელები არ იყვნენ აღჭურვილი აღნიშნული ტექნიკით ან/და არ არსებობდა ჩანაწერი; არ მომზადდა სამსახურებრივი შემოწმების შედეგების ამსახველი შესაბამისი დასკვნა;[420] მოქალაქე ნ. რ. და მისი უფლებადამცველი არ იყო ინფორმირებული ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით აშკარაა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმება ხარვეზიანია. ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და შესაბამისი მოწმეების გამოკითხვის შემთხვევაში, სამსახურებრივი შემოწმების შედეგები შესაძლოა სრულიად განსხვავებული ყოფილიყო.

მოცემულ შემთხვევაშიც სახალხო დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების წინადადებით, რომელმაც ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება წინამდებარე საქმეზე.[421] გენერალურმა ინსპექციამ შინაარსობრივად არ იმსჯელა და არ განიხილა წინადადებაში მითითებული გარემოებები და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ამჯერადაც უბრალოდ მიზანშეწონილად არ მიიჩნია წინადადების შესრულება.[422]

2022 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ მოქალაქე ი. ნ-ს უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე გენერალურ ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.

მოქალაქე ი. ნ. მიუთითებდა, რომ 2020 წლის აგვისტოს თვეში, პოლიციის თანამშრომლებმა იგი საკარანტინე ზონიდან მოტყუებით გადაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც არაერთხელ გახდა სამართალდამცავთა მხრიდან დაცინვის ობიექტი.

---

[420] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 9, ქვეპ. „5".
[421] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 აპრილის N15-8/4309 წინადადება.
[422] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2022 წლის 16 მაისის NMIA 8 22 01295246 წერილი.

გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, მოქალაქე ი. ნ.-ს უფლებების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.[423]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ სამსახურებრივი შემოწმების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილი იყო. გენერალურ ინსპექციას, არ ჰქონია ისეთი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი, როგორიცაა: სავარაუდო უფლებადარღვეული პირის ი. ნ.-ს გამოკითხვა; რელევანტური მოწმეების გამოკითხვა, მათ შორის, იმ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის წევრების გამოკითხვა, რომლებმაც გადაიყვანეს ი. ნ. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და იმ ფსიქიატრიული დაწესებულების სამედიცინო პერსონალის გამოკითხვა, სადაც გადაიყვანეს მოქალაქე; არ იყო მოპოვებული ინფორმაცია მოქალაქე ი. ნ.-სთან შემხებლობაში მყოფი პოლიციის თანამშრომელთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ; არ იყო მოპოვებული ინფორმაცია საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ვიდეოკამერით აღჭურვის ან/და მათი გამოყენების შესახებ; არ იყო მოპოვებული ინფორმაცია გარე ან შიდა მეთვალყურეობის ვიდეო კამერების ჩანაწერების არსებობის შესახებ, სადაც შესაძლოა ასახული ყოფილიყო ი. ნ.-სთან პოლიციის თანამშრომელთა კომუნიკაცია. არც მსგავსი ვიდეო კამერების არსებობის შესაძლებლობა გადამოწმებულა.

გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების, ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება სხვა შედეგით დასრულებულიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, დისციპლინური წარმოების დაწყების წინადადებით.[424] მითითებულ წინადადებაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო დამცველის აპარატისთვის ჯერ არ წარუდგენია.[425]

- შეჯამება

ამგვარად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მათივე უწყების თანამშრომელთა მხრიდან ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და მათზე სწრაფი და

[423] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 2 სექტემბრის NMIA 4 21 02320892 წერილი.
[424] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 28 თებერვლის N15-15/2316 წინადადება.
[425] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 ივლისის N15-15/7316, 10 ოქტომბრის N15-15/10147 და 2023 წლის 11 იანვრის N15-15/252 წერილები.

ობიექტური რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. დღემდე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში ნეიტრალური და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებების არა თუ მოპოვება, არამედ, მოპოვების მცდელობაც კი. მაშინ, როდესაც ორივე სამსახურის ვალდებულებას წარმოადგენს განმცხადებელთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება და უფლების შესაძლოდარღვევის არსებითად გამოკვლევა ყველა ხელმისაწვდომი კანონისმიერი ხერხით. სამსახურის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, სამსახურებრივი შემოწმების დაუსაბუთებლად დასრულება და მოქალაქეთა არაინფორმირებულობა აზიანებს უწყებათა რეპუტაციას.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა საჩივრების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვა საზოგადოებაში აღნიშნულ უწყებათა მიმართ ნდობის განმტკიცებისთვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველო

სახალხო დამცველის აპარატს ფინანსთა სამინისტროს შიდა ინსპექტირების სამმართველოს არაჯეროვან მუშაობაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისგან განსხვავებით, განცხადებები თითქმის არასოდეს მიუღია.

თუმცა, ერთ-ერთი საქმის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, შეისწავლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დოკუმენტაცია.[426] საქმე ეხებოდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს გამომძიებლის მიერ ადვოკატ ზ. პ.-სთვის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში სავარაუდო ხელშეშლის ფაქტს.

ადვოკატი ზ. პ. განმარტავდა, რომ 2021 წლის 19 აგვისტოს, გამოცხადდა აჭარისა და გურიის სამმართველოში, თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვის მიზნით, სადაც გამომძიებლის მითითებით, დაახლოებით ერთი საათით დააყოვნეს.[427] ადვოკატმა რეაგირების მიზნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, გამომძიებლის დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[428]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა,

[426] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს 2021 წლის 7 ოქტომბრის N14184 / 15-08 წერილი.
[427] ადვოკატ ზ. პ.-ის 2021 წლის 10 მაისის NCA0041212746330 საჩივარი.
[428] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს 2021 წლის 15 სექტემბრის N13175 / 15-08 წერილი.

რომ შიდა ინსპექტირების სამმართველომ სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილად ჩაატარა. სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი პირის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შეფასების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ასევე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

შედეგად, აღმოჩნდა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესი ავალდებულებს შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომელს კეთილსინდისიერად შეასრულოს კონკრეტული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოვალეობები და დაიცვას იმ სამართლებრივი აქტის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება მის საქმიანობას ან სამსახურებრივ ადგილს. თუმცა, ამავე დროს, მსგავსი სამართლებრივი აქტი არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, დადგინდა ნორმატიული მოწესრიგების სისტემური პრობლემა.

სახალხო დამცველმა მიმართა ფინანსთა მინისტრს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნის წესის ან სამსახურებრივი შემოწმების დროს შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის შემუშავების და დამტკიცების რეკომენდაციით.[429]

მისასალმებელია რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შესრულდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 თებერვლის N23 ბრძანება.[430]

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა სამართალდამცავი სტრუქტურების კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა, რაც პირის მიმოსვლის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას უკავშირდება. აღნიშნული უფლების დაუსაბუთებლად შეზღუდვა გულისხმობს ისეთ რეალობას, როდესაც პირს ფორმალურად არ აქვს თავისუფლება აღკვეთილი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, თუმცა ფაქტობრივი მოცემულობით, მას შეზღუდული აქვს სურვილისამებრ გადაადგილება ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე, ან მის გარეთ. ანგარიშისთვის რელევანტურია მიმოსვლის თავისუფლების ის შინაარსი, რომელიც უკავშირდება პირის მიერ საზღვრის კვეთას, რაზეც წინამდებარე თავში დეტალურად იქნება წარმოდგენილი განხილული შემთხვევების შესახებ ინფორმაცია.

---

[429] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 8 თებერვლის N15-15/1609 რეკომენდაცია.
[430] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2022 წლის 1 მარტის N08-02/18529 წერილი.

მეორე მხრივ, აქტუალური იყო შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები, კონსტიტუციითა და საერთაშორისო სტანდარტებით დაცული ფარგლების დარღვევით, რასაც თან სდევდა იმგვარი ადმინისტრაციული პროცედურების გამოყენება, რაც თავის მხრივ კონსტიტუციასთან ცალსახად შეუსაბამოა.

კერძოდ, ერთმნიშვნელოვანია, რომ პირის ადმინისტრაციული დაკავების ან მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, მას, შესაძლოა, შეკრების თავისუფლებით სარგებლობა 24 საათიდან 15 დღემდე ვადით შეეზღუდოს, რაც მსუსხავი ეფექტის მატარებელია შეკრების და გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე და მით უფრო, შეკრების ორგანიზატორთა დაკავების შემთხვევაში, ქმნის საპროტესტო მუხტის ჩახშობის სერიოზულ საფრთხეს.

აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს ატარებს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას: არ უზრუნველყოფს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, არ აკისრებს ოქმის შემდგენ ორგანოს/პირს მტკიცების ტვირთს და სხვა.[431]

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების კონტექსტში, 2022 წლის მანძილზე, მნიშვნელოვანი იყო მოქალაქეთა მოწმის სტატუსით პოლიციაში მიყვანისა და შემდგომ ბრალდებულის სტატუსით დაკავების პრობლემაც.

ადმინისტრაციული დაკავებები და გამოხატვის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის მავნე პრაქტიკა. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, რაც აღნიშნულ პრობლემას ეხმიანება.

ბ. ლ.-ს და ი. ს.-ს საქმე

2022 წლის 1-ლ მარტს, ქ. თბილისში, უკრაინის საელჩოსთან გაიმართა შეკრება, რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინის მხარდაჭერას და ამავდროულად, მის წინააღმდეგ წარმოებულ ომთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ დაფიქსირებული პოზიციების გაპროტესტებას.

[431] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (კონსტიტუციური სარჩელი N1361), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3agZb3Y > [06.07.2022].

ბ. ლ.-სა და ი. ს.-ს აქციაზე ყოფნისას თან ჰქონდათ ბანერები, რომლებზეც დატანილი წარწერები, სამართალდამცავთა შეფასებით, იყო შეურაცხმყოფელი, ხოლო მათი დემონსტრირებით - ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი. აღნიშული არგუმენტაცია დაედო საფუძვლად ხსენებულ პირთა დაკავებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც, აგრეთვე გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლომ.

საგულისხმოა, რომ მითითებული პირების სამართალდამრღვევებად ცნობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში, სასამართლოს არ უმსჯელია გამოხატვის შინაარსზე, დასახულ მიზანზე, ასევე მისი შეზღუდვის საკანონმდებლო წინაპირობათა არსებობის შესახებ.

სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, განმარტა, რომ ბ. ლ.-სა და ი. ს.-ს მიერ გამოყენებულ ბანერებზე დატანილი წარწერები სრულად ექცეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში.[432]

ი. კ.-ს საქმე და ო. ო.-ს საქმე

2022 წლის 11 ივნისს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობასთან, გარემოსა და ცხოველთა დაცვის აქტივისტებმა გამართეს აქცია-პერფორმანსი ცხოველთა მასობრივი მსხვერპლთშეწირვის წინააღმდეგ.

აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავები დაინტერესდნენ შეკრებილთა მარშრუტით, ხოლო მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ მონაწილეები აპირებდნენ აქციის საპატრიარქოს შენობასთან გაგრძელებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მათ განუცხადა, რომ იქ არ უნდა წასულიყვნენ, გადაადგილების შემთხვევაში კი, დაკავებით დაემუქრა. აპარატის მიერ მიღებული ინფორმაციით, აქტივისტები - ი. კ. და ო. ო. დაიძრნენ საპატრიარქოსკენ, რა დროსაც მოხდა მათი დაკავება.

ი. კ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეომასალით დგინდება, რომ გადაადგილებისას, მის მიზანს წარმოადგენდა არა ტრანსპორტის სავალი ადგილის გადაკეტვა, არამედ ქვეითთა გადასასვლელით (ე.წ. „ზებრა გადასასვლელით") სარგებლობა და მსვლელობის გაგრძელება, ამის მიუხედავად, საპირისპიროზე აპელირებდა სამართალდამცავი ადმინისტრაციული დაკავების დასაბუთებისას.[433] ამასთან, ვიდეოკადრებით ჩანდა, რომ, სავარაუდოდ, ქვეითთა გადასასვლელზე გადაადგილებისას, პოლიციელები თავად უღობავდნენ გზას განმცხადებელს.

[432] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 17 ივნისის N04-2/6216 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[433] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3OwkY66 >, <https://bit.ly/3ObeFFy > [ბოლოს ნანახია 18.01.2023].

საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და ვიდეომასალის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ი. კ.-ს და ო. ო.-ს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად მიჩნევით, არამართლზომიერად შეიზღუდებოდა მათი შეკრების თავისუფლება. თავის მხრივ, აღნიშნული წარმოშობდა საშიშროებას, მშვიდობიანი პროტესტის ფორმა მომავალში სამართალდარღვევად დაკვალიფიცირებულიყო.

ამ მიზეზით, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმის განმხილველ მოსამართლეს და მოუწოდა, რომ მკაცრად შეეფასებინა შეკრების მონაწილეთა დაკავების მართლზომიერება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, რათა მსგავსი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკა არ გაგრძელებულიყო.[434] წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნებოდა სამომავლოდ შეკრების თავისუფლებით სრულფასოვან სარგებლობას.[435]

გ. მ.-ს, გ. მ.-ს, ნ. რ.-ს, ზ. ბ.-ს, ა. ს.-ს და გ. გ.-ს საქმე

2022 წლის 07 მარტს, მოძრაობა „სირცხვილიას" წევრებმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციულ შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს, რა დროსაც აქციის მონაწილეებმა მთავრობის შენობის მიმართულებით ისროლეს ტუალეტის ქაღალდები. სამართალდამცავებმა, ჩათვალეს რა, რომ ტუალეტის ქაღალდები მათი მისამართით იყო ნასროლი, ადმინისტრაციული წესით დააკავეს აქციის რამდენიმე მონაწილე.

დაკავებული პირების ადვოკატის მიერ აპარატში წარმოდგენილი ვიდეომასალით ირკვევა, რომ მთავრობის ადმინისტრაციული შენობის წინ აქციაზე შეკრებილ პირებს გ.მ.-მ მიმართა და მოუწოდა: „მთავრობას ტუალეტის ქაღალდი უნდა მივაწოდოთ", რის შემდეგაც აქციის მონაწილეები ორგანიზებულად ისვრიან ტუალეტის ქაღალდებს შენობის მიმართულებით.[436] უსაფრთხოების მიზნით, ჯებირებს მიღმა, შენობასა და აქციის მონაწილეებს შორის იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლები. ამ მიზეზით, მთავრობის ადმინისტრაციული შენობის მისამართით ნასროლი ტუალეტის ქაღალდები, ძირითადად, სწორედ ჯებირებს მიღმა ცვიოდა.

აპარატის შეფასებით, სადავო ქმედების განხორციელების შედეგად, არ არსებობდა სერიოზული კანონდარღვევის/დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რაც თავის მხრივ შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების გაუმართლებელ ბუნებაზე მიუთითებდა.

აღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა მიმართა საქმის განმხილველ მოსამართლეს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით და განმარტა, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზებისთვის, პირთა შესაძლო

[434] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 09 ივლისის N04-2/6933 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[435] იქვე.
[436] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3I6jtZ3> [ბოლოს ნანახია: 18.01.2023].

სამართალდამრღვევად ცნობა, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.[437]

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არცერთ ზემოხსენებულ საქმეში არ გაიზიარა მოსამართლემ და პირები სამართალდამრღვევებად ცნო.

სახალხო დამცველის აპარატი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ არსებული კანონმდებლობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის პირობებში, დაუსაბუთებლად ხორციელდება მოქალაქეთა უფლებაში ჩარევა.

საქართველოს სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებში[438] არაერთხელ გამახვილდა ყურადღება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმისა და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე. ამ მიზეზით, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია, დადგენილებები ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.[439]

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არის ასახული კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური გარანტიები. ამ მიზეზით, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, არამედ კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტებით.

საზღვრის კვეთის უსაფუძვლოდ შეზღუდვა

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს იმ პირების საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად და კანონით წინასწარ დადგენილი მიზნის/ების ფარგლებში.

---

[437] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 16 მარტის N15-3/2830 და 23 მარტის N15-3/3224 სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები.
[438] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, 145-146; 2019 წლის ანგარიში, 157-159; 2018 წლის ანგარიში, 103-106; 2015 წლის ანგარიში, 463-464.
[439] იქვე.

საქართველოს მოქალაქის მიერ საზღვრის კვეთის უფლებას ასევე განამტკიცებს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ".

სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის პერიოდში შეისწავლა 8 მოქალაქის შემთხვევა, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს საზღვრის კვეთისა და საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლება უსაფუძვლოდ შეეზღუდათ.[440]

განმცხადებლებისგან ინფორმაციის მიღების შემდგომ, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, რათა ოფიციალური პასუხი მიეღო საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესაძლო მიზეზებთან დაკავშირებით.[441]

უწყებებიდან მიღებული პასუხების თანახმად, განმცხადებლების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე (შემოსვლა/გასვლა) რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა, მათ მიერ საზღვრის კვეთის მომენტისთვის, არ ფიქსირდებოდა.[442]

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, საზღვრის კვეთის მომენტში არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ლეგიტიმურად ჩაითვლებოდა განმცხადებლებისთვის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა.

ამრიგად, წინამდებარე ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა განმცხადებელთათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა და ვინ წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებ პირს.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელშეშლას.[443]

ვინაიდან, აპარატის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იკვეთებოდა დანაშაულის შესაძლო ნიშნები, 7 განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა გენერალურ პროკურატურას შესაბამისი წინადადებებით, რათა მომხდარიყო გამოძიების დაწყება.[444]

---

[440] შენიშვნა: 8 განმცხადებლიდან ერთ-ერთმა მოითხოვა, რომ მის საქმეზე შეწყვეტილიყო საქმის წარმოება სახალხო დამცველის აპარატში.

[441] სახალხო დამცველის აპარატის N15-12/2545, N15-12/4661, N15-12/9502, N15-2/12768, N15-2/12767, N04-4/7446, წერილები, რომელიც გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს და საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

[442] შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 5 22 02724975, MIA 2 22 00961034, MIA 4 22 00235744, MIA 02202071713, MIA 6 22 01843335, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის N294/15-04-03/1, საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/29798, N13/10286 წერილები.

[443] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 152.

[444] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებები: N 15-4/11654, N 15-12/5499, N 15-12/12154, N 15-2/2829.

გენერალურმა პროკურატურამ ამ დროისთვის მხოლოდ ორ მათგანზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. დანარჩენ 5 განმცხადებელთან დაკავშირებით, აპარატი ელოდება პროკურატურის გადაწყვეტილებას.

დამატებით უნდა მიეთითოს, რომ საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვა ხშირად განპირობებულია მხოლოდ იმ ფაქტორით, რომ დაწყებულია გამოძიება, რომელშიც გამოკვეთილია გამოძიებისთვის საინტერესო პირი (შესაძლოა პერსპექტივაში ბრალდებული პირი), იმის მიუხედავად, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ ჯერ არ მიმდინარეობს. ასეთი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში კი, მოწმის სტატუსის მქონე პირისთვის ქვეყნიდან გასვლის შეზღუდვა არ გამომდინარეობს კანონის დანაწესებიდან, ატარებს თვითნებურ ხასიათს და ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებებს.

ბრალდებულად ცნობილი მოწმეები

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში ყურადღებას ამახვილებდა იმ პირების პოლიციის განყოფილებაში იძულებით მიყვანისა და მოწმედ დაკითხვის პრობლემაზე, რომელთა მიმართ გამოძიების მიერ მოპოვებული იყო ბრალდებულად ცნობისთვის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებები.[445]

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენს გამოძიების მიერ იმ პირების მოწმის სახით გამოკითხვა, რომლების მიმართ უკვე არსებობს ბრალდების წარსადგენად საკმარისი მტკიცებულებები.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2022 წელს შესწავლილ იქნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გამოძიებას მოპოვებული ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც პირის ბრალდებულად ცნობა შესაძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა პირების მოწმის სახით გამოკითხვა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო შემდეგ მათი ბრალდებულად ცნობა. პირის ბრალდებულად დროული ცნობა, მას ავტომატურად აღჭურვავს შესაბამისი საპროცესო უფლებებითა და გარანტიებით. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს დაცვის უფლება, სავალდებულო დაცვის შემთხვევისთვის გათვალისწინებული გარანტიები, დუმილის უფლება, სამედიცინო შემოწმების უფლება და სხვა.

---

[445]საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.82. ხელმისაწვდომია < https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf >.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.84-85. მ<https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >
საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.102-103. ხელმისაწვდომია <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf >.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშიც არის მითითებული.[446] და ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა.[447]

არასრულწლოვან გ.გ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ ასევე დაფიქსირდა არასრულწლოვანი პირის ჯერ მოწმის სახით გამოკითხვის ფაქტი, როდესაც გამოკითხვაში არ მონაწილეობდა ადვოკატი, ხოლო შემდეგ მისი ბრალდებულად ცნობა.[448] სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას ბრალდებული მოგვიანებით განმარტავდა, რომ პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს პოლიციის თანამშრომლებმა, ესაუბრებოდა რამდენიმე პოლიციელი, თუმცა თავიდან არ აღიარებდა დანაშაულის ჩადენას. შემდეგ კი იგი ერთ-ერთმა პოლიციელმა გაიყვანა ცალკე ოთახში, სადაც ესაუბრებოდა, ხომ არ რცხვენოდა დედის თანდასწრებით ეღიარებინა დანაშაული და თუ არ აღიარებდა დანაშაულის ჩადენას, მის მეგობრებსაც დააკავებდნენ. ბრალდებულის მტკიცებით, სწორედ ამ მიზეზით აღიარა დანაშაულის ჩადენა იმავე დღეს, რაც დაფიქსირდა გამოკითხვის ოქმში.[449][450]

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 30 მაისს, არასრულწლოვანი გ.გ.-ს კანონიერ წარმომადგენელს ნ.გ.-ს გამომძიებელ მ.მ.-ს მიერ ჩაბარდა უწყება გ.გ.-ს მოწმის სახით პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში დაუყოვნებლივ გამოცხადების მოთხოვნით. ამავე დღეს, 20:25-21:55 საათზე არასრულწლოვნების მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, გამომძიებელ მ.მ.-ს მიერ მოწმის სახით გამოიკითხა არასრულწლოვანი გ.გ. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, 2022 წლის 30 მაისს, 20:46:05 საათზე იმავე პოლიციელის მიერ ვებგვერდიდან მოპოვებულ იქნა ინფორმაცია გ.გ.-ს შესახებ. 2022 წლის 31 მაისს, 00:30-00:55 საათზე გ.გ.-სთან გადაუდებელი აუცილებლობის გამო გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, გ.გ.-ს თანხმობით, ჩატარებულ იქნა ამოღება, ამოღებულ

[446] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 102. ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf > [ბოლოს ნანახია: 22.09.2022].
[447] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 13 ოქტომბერის კონსტიტუციური სარჩელი N1542. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10168 გადაწყვეტილება მიღებული არ არის.
[448] სისხლის სამართლის N100300522001 საქმე.
[449] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა გ.გ.-ს მოწმის სახით გამოკითხვის ოქმი, სადაც არ არის მითითებული მის მიერ დანაშაულის ჩადენის აღიარების შესახებ.
[450] მოგვიანებით, მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებული გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

იქნა მობილური ტელეფონი, რომლის იმეი კოდი მოპოვებულ ვერ იქნა მობილურზე არსებული პაროლის გამო. 2022 წლის 31 მაისს, 01:00 საათზე გ.გ. დაკავებულ იქნა.

გ. დ.-ს საქმე

დაცვის მხარის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას ბრალდებულმა გ. დ.-მ განმარტა, რომ 2022 წლის 27 აპრილს მგზავრობისას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პოლიციელებმა ჩაიყვანეს მიკროავტობუსიდან, დაადეს ხელბორკილები, ჩასვეს მანქანაში და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში შეიყვანეს დაახლოებით, 28 აპრილს 24 საათიდან 01:00 საათამდე პერიოდში, ხოლო გამოკითხვა დაიწყო დაახლოებით დილის 6 საათზე. ადვოკატის მტკიცებით, გ. დ. გამოიკითხა 28 აპრილს 06:00-07:10 საათზე, ხოლო ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ბრალდებულის დაკავების ოქმის თანახმად, გ. დ. დააკავეს 28 აპრილს, 09:00 საათზე პოლიციის შენობაში. სასამართლომ[451] არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა - პოლიციის შენობაში გ. დ.-ს მიყვანის დროის, შესაბამისი ვიდეო ჩანაწერების გამოთხოვის და დათვალიერების თაობაზე.

აპარატისთვის მიწოდებული ზოგადი ინფორმაციით, 2022 წლის 28 აპრილს, პოლიციის შენობაში მოქალაქე გ. დ.-ს გამოცხადება უზრუნველყოფილ იქნა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ.[452]

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ მიეწოდა მითითებულ საქმეების შესასწავლად გამოთხოვილი ინფორმაცია, მათ შორის ვიდეოჩანაწერები, რაც შესაძლებელს გახდიდა ნეიტრალური მტკიცებულებების საფუძველზე გარემოებების დადგენა, ჰქონდათ თუ არა პირებს ფაქტობრივად შეზღუდული თავისუფალი გადაადგილების უფლება პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პერიოდში. შესაბამისად, საკითხის დეტალურად შესწავლას შეეშალა ხელი.

5 ივლისის ძალადობის ფაქტებზე დაკავებული პირების საქმე

ერთ-ერთი ასეთი იყო 2021 წლის 5 ივლისს ძალადობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში იმ პირების მოწმის სახით გამოკითხვა, რომელთა მიმართ გამოძიების მიერ მოპოვებული იყო საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდებულად ცნობისთვის.

საქმის მასალების თანახმად, გამოძიებისთვის მოწმის სახით გამოკითხვისას მიცემულ ჩვენებებში პირებმა აღიარეს ჩადენილი ძალადობის ფაქტები. მათ გამოკითხვას არ ესწრებოდა ადვოკატი. რამდენიმე მათგანმა, დაკავების შემდეგ, სავარაუდოდ, ადვოკატის კონსულტაციის გათვალისწინებით, აღარ ცნო თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში.

[451] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 მაისის და 2 ივნისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7 ივნისის განჩინებები.
[452] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 13 ივლისის NMIA82201923383 წერილი.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

საანგარიშო პერიოდში, აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა კანონიერების პრინციპის დარღვევა, ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე მსჯავრდება, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით დაცვის მხარისთვის მტკიცებულების მოპოვების შეზღუდვა. კვლავ პრობლემას წარმოადგენს საქმეთა განხილვის გაჭიანურება.

კანონიერების პრინციპის დარღვევა და პოლიტიკური მოტივაცია

ნიკა გვარამიას საქმე

საანგარიშო პერიოდში ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განაჩენები მართლმსაჯულების სისტემაში სერიოზული ხარვეზების ნათელი მაგალითი და მკაფიო დადასტურებაა. განაჩენები გამოტანილია კანონიერების ფუნდამენტური პრინციპის დარღვევით და დასტურდება პოლიტიკური მოტივის/მდგენელის უპირატესობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ნიკა გვარამია დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 220-ე მუხლის[453] ორ (ე.წ. რეკლამის და მანქანის) ეპიზოდში, სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით.

ე.წ. რეკლამების ეპიზოდთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით[454] ჯერ კიდევ 2019 წელს მიმართა სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას ბრალდების მსგავსი სამეწარმეო გადაწყვეტილება ვერ გამოიწვევს არათუ სისხლისსამართლებრივ, არამედ კორპორატიულ პასუხისმგებლობასაც კი. რაც შეეხება, ე.წ. მანქანის ეპიზოდს, სახალხო დამცველმა 2022 წლის 8 ივნისს გამოაქვეყნა საქმის შემოწმების შედეგები და მიუთითა, რომ ამ ნაწილშიც ბრალდება გავდა ე.წ. რეკლამების ეპიზოდს, არ დასტურდებოდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები და საკვანძო ფაქტობრივი გარემოებები სათანადო დასაბუთებული შეფასების გარეშე რჩებოდა.[455] გარდა ამისა, დაუსაბუთებლად შეფარდებული სასჯელი. მართლმსაჯულების არსებითი ხარვეზებით განხორციელების გამო, სახალხო დამცველმა

[453] საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

[454] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება 04.11.2019 წ. N15-11/11857 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110416234655074.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.11.2022].

[455] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022060723090639604.pdf > [ბოლოს ნანახია: 23.01.2023 წ].

საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნით მიმართა.[456]

სააპელაციო სასამართლომ განაჩენი შეცვალა მხოლოდ სასჯელის ნაწილში და სსკ-ის 220-ე მუხლით (2015 წლის ეპიზოდი) ჯარიმის ნაცვლად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 6 თვის ვადით. მიუხედავად იმისა, რომ არ შეცვლილა რეალურად მოსახდელი საბოლოო სასჯელი, აღნიშნული სამართლებრივად წარმოადგენს სასჯელის დამძიმებას. დანარჩენ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი პირველი ინსტანციის განაჩენის მსგავსად არ შეიცავს დასაბუთებებს ძირითად და საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, წარმოადგენს კორპორატიული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევას და სახალხო დამცველის ყველა მოსაზრება და შეფასება კვლავ აქტუალური დარჩა.

სახალხო დამცველმა მოცემულ საქმეში მეორედ, ე. წ. კარტოგრაფების საქმის შემდეგ, დაადგინა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა (ადამიანის უფლებების შეზღუდვა არაკონვენციური/პოლიტიკური მოტივით).[457] მედია მენეჯერისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრება თავისი შინაარსით კორპორატიული სამართლის სფეროს მიკუთვნებული საკითხისთვის, ასევე, განაჩენების დაუსაბუთებლობა, როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის და მსჯავრდების, ასევე, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ნაწილში კრიტიკული ტელეკომპანიის დამფუძნებლის, დირექტორისა და ტელეწამყვანის მიმართ, იმაზე მიანიშნებს, რომ მის მიმართ დაწყებული პროცესი არა მართლმსაჯულების ინტერესით, არამედ სხვა მიზნით იყო განპირობებული. საგულისხმოა, დევნის დაწყებამდე მიმდინარე მოვლენები, ბრალდების წარდგენა ახალი ტელევიზიის შექმნის გეგმის გაჟღერების შემდეგ, კრიტიკული ტელემედია მაუწყებლობის წარმართვა, რაც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უშუალოდ ნიკა გვარამიას მიმართ უარყოფითი განცხადებებით ხასიათდება მთელი სასამართლო განხილვების პერიოდში და განაჩენის გამოტანის შემდეგაც.

თუმცა, მთავარი რაც პოლიტიკურ მოტივის უპირატესობას ადასტურებს, სწორედ, საქმის გარემოებებია, კერძოდ, კანონიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ პირის დამნაშავედ ცნობა დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა ქვეყანაში არსებული გარემოს - ჟურნალისტების, მედია მფლობელებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ სხვადასხვა უკანონო ქმედებების - ფონზე. ამასთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები ცალსახად ადასტურებს ნიკა გვარამიას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსების, ტელეკომპანიის „მთავარი არხი"-ს საქმიანობისგან ჩამოშორებით

[456] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 8 ივნისის N 15-11/5908 წერილი.
[457] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022120716124381642.pdf > [ბოლოს ნანახია: 23.01.2023 წ].

დაინტერესებას. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში კანონიერ მოტივთან შედარებით, პოლიტიკური მოტივი აშკარად უპირატესია.

ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 25 დეკემბერს არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების ნორმატიული შინაარსი, რითიც გაუქმდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელ გამომძიებლებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[458]

ხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი საქმე, რომლებიც ეხებოდა სისხლის სამართლის საქმეებზე ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების საკითხებს და აღნიშნული საკითხი, აგრეთვე, ხაზგასმულია სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშშიც.[459]

2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ა. ბ-ს პირადი ჩხრეკისა და მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკის ჩატარების დროს პოლიციის თანამშრომლების მიერ მტკიცებულების მოპოვების სამართლებრივი სტანდარტის შესაძლო დარღვევა.

ა. ბ-ს ბრალდების საქმის მასალებიდან ირკვევა, პოლიციის თანამშრომლებმა ა. ბ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობით ჩაატარეს. ა.ბ.-ს ავტომანქანის ჩხრეკის ჩატარების დროს, აშკარა შესაძლებლობის მიუხედავად, მოეხდინათ ჩხრეკის მიმდინარეობის ვიდეოგადაღება, თუნდაც მობილური ტელეფონის საშუალებით, რაც ობიექტურ დამკვირვებელს სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში, აღნიშნული არ განუხორციელებიათ. ამგვარად, სახალხო დამცველმა ხსენებულ საქმეზე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით.[460] 2023 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ ა.ბ.-ს ბრალდების საქმის განხილვა დასრულებული არ იყო, მიმდინარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა და განაჩენში არ არის შეფასებული მტკიცებულებები სასამართლოს მიერ.[461]

კიდევ ერთ საქმეში, სადაც დ.მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენისა და შენახვისათვის, გამოიკვეთა, რომ დაკავებასა და ჩხრეკას არ

---

[458]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-104.
[459] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 108-109.
[460] 2022 წლის 18 თებერვლის N 15-2/2002 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[461] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 20 იანვრის წერილი, საქმე N1/4730-21.

დასწრებია ნეიტრალური დამსწრე, არ მომხდარა ვიდეოჩანაწერების ამოღება და ბრალდება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს, მათ მიერ შედგენილ ჩხრეკისა და დაკავების ოქმებს ეყრდნობოდა, ხოლო ექსპერტიზის დასკვნამ ვერ დაადასტურა, რომ იარაღი ნამდვილად მსჯავრდებულის მფლობელობაში იყო. სახალხო დამცველმა, სასამართლო მეგობრის მოსაზრებით[462] თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა, სადაც მიუთითებდა, რომ მსჯავრდება ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილ სტანდარტს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით[463], დ.მ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

ანალოგიურად, 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი - ი. გ.-ს საქმის მასალები[464], სადაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ ი. გ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ჩატარების დროს ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების ვალდებულება არ შესრულებულა.[465]

ბრალდების მხარეს ჩხრეკის სანდოობის გასამყარებლად ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა,[466] თუნდაც და ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ ყველაზე რელევანტური მოქმედებით - საგამოძიებო მოქმედების ვიდეოგადაღების გზით, რაც არ განხორციელებულა. ხსენებულ შემთხვევაშიც, სახალხო დამცველმა 2022 წლის 25 ოქტომბერს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით[467] მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საქმის არსებითი განხილვა ჯერჯერობით გრძელდება.

მსგავსად, აპარატის მიერ ხ.დ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხ.დ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის.

---

[462] 2022 წლის 27 ივლისის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N 15-11/7661.

[463] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 ივლისის განაჩენი.

[464] დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და ბრალდების მხარის ის მასალები, რაც დაცვის მხარეს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე გადასცა ბრალდების მხარემ. შემდეგში მითითებულ საქმეს მიენიჭა გრიფი „საიდუმლო", რის გამოც შემდგომში მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენა აპარატში დაცვის მხარემ ვეღარ შეძლო.

[465] საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ 2022 წლის 15 ივლისს გაცემული განჩინების საფუძველზე, სამართალდამცავმა ორგანომ დაგეგმა და 2022 წლის 16 ივლისს ჩაატარა ი. გ.-ს სახლის ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა საგანი, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.
ჩხრეკის ოქმის თანახმად, ჩხრეკას ესწრებოდნენ ი.გ. და მისი ოჯახის წევრები, თ. მ. და ხ. მ.. შესწავლილი მასალებით, ისინი უარყოფენ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების ი. გ.-ს მიერ ფლობის ფაქტს.

[466]კერძოდ, საქმის მასალების თანახმად, ბრალდების მხარე ჩხრეკას არ ატარებდა გადაუდებელი აუცილებლობით, შესაბამისად, ჰქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა მომზადებულიყო და გადაეღო ჩხრეკის პროცესი. ამასთან, ი. გ.-ს სახლში მობილიზებული იყო სამართალდამცავი ორგანოს არაერთი თანამშრომელი, რაც დამატებით ობიექტურ შესაძლებლობას იძლეოდა ვიდეოგადაღების საწარმოებლად.

[467] 2022 წლის 25 ოქტომბერს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

საქმის მასალების მიხედვით, მიუხედავად გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა, იკვეთება, რომ ობიექტურად შესაძლებელი იყო ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტი დაირღვა, რადგან, ოპერატიული ინფორმაციის მიღებიდან პირადი ჩხრეკის დაწყებამდე პოლიციელებს ჰქონდათ მინიმუმ 5 საათი მოსამზადებლად, პირადი ჩხრეკის მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობის გამო პოლიციელების უსაფრთხოების პრობლემა არ იკვეთებოდა და სამიდან თუნდაც ერთ პოლიციელს შეეძლო მობილური ტელეფონის ვიდეო კამერით გადაეღო პირადი ჩხრეკის პროცესი, რაც რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევას, დროს, ცოდნას ან/და კომპეტენციას არ მოითხოვდა. ჩხრეკის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე ჩატარების მიუხედავად, სათვალთვალო ვიდეოკამერების მოძიება და მათგან ჩანაწერების ამოღება არ მომხდარა, მოწმეებს არ მიეცათ ჩხრეკის პროცესში დასწრების შესაძლებლობა. 2022 წლის მდგომაროებით, საქმის განხილვა დასრულებული არ იყო და სხდომა დანიშნული იყო 2023 წლის 25 იანვრისთვის.[468]

ამგვარად, ხსენებულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების ვალდებულება არ შესრულებულა, რადგან ჩხრეკის მიმდინარეობის კანონიერების ნეიტრალური მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. შესაბამისად, სახალხო დამცველმა[469] სააპელაციო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.

იდენტური ფაქტები დაფიქსირდა ლ.ფ-სა[470] და ა.ჯ-ის[471] საქმეებში, სადაც სახალხო დამცველმა, შესაბამისად, მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და სენაკის რაიონულ სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით.

ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი

აპარატმა შეისწავლა საქართველოს მოქალაქის მ. ბ.-ს და უკრაინის მოქალაქეების: ი. ხ.-სა და ვ. დ.-ს ბრალდების საქმე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენით,[472] ხსენებული პირები ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 19,344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

განაჩენის თანახმად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კატარღაზე მყოფმა მ. ბ.-მ, ი. ხ.-მ და ვ. დ.-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მიზნით,

---

[468] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 28 დეკემბრის N1/10590 წერილი.

[469] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 12 აგვისტოს N15-5/8264 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

[470] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 8 თებერვლის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N 15-14/1608.

[471] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 თებერვლის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N 15-14/2262.

[472] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის განაჩენი.

სასაზღვრო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, ჯგუფურად გადაკვეთეს სახელმწიფო საზღვარი და შემოვიდნენ ბათუმის საზღვაო რაიონში. ასევე, იმავე დღეს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მიზნით, სარფის საზღვაო რაიონიდან სცადეს სასაზღვრო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად გადაკვეთა, რა დროსაც ხსენებული მცურავი საშუალება საპატრულო კატარღის მიერ იძულებით იქნა შეჩერებული. [473]

დაცვის მხარის პოზიციით, კატარღა სარგებლობდა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის უფლებით და არ უცდია საქართველოს შიდა წყლებში ან ნავსადგურში შესვლა და არც მშვიდობიანი გავლის კანონით დადგენილი სხვა წესი დაურღვევია.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და აღნიშნა, რომ კატარღას სავალდებულოდ უნდა შეეტყობინებინა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის შესახებ, შესაბამისი საერთაშორისო კავშირგაბმულობის ან სხვა წესით, რათა სახელმწიფოს გადაეწყვიტა აძლევდა თუ არა მცურავ საშუალებას და მის ეკიპაჟს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის და ნაოსნობის უფლებას.[474] სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ წინასწარი შეტყობინება წარმოადგენს სავალდებულო დანაწესს, რაც გააჩნია მცურავ საშუალებას, რათა სახელმწიფომ გადაწყვიტოს, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მისცეს თუ არა ამა თუ იმ გემს საქართველოში შემოსვლის და ტერიტორიული წყლის გამოყენების უფლება.[475]

სასამართლო დაეყრდნო სისხლის სამართლის კოდექსის ბლანკეტურ ნორმას და არ მიუთითა, კონკრეტულად რომელი სამართლებრივი აქტით არის განსაზღვრული საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში შესვლის შესახებ წინასწარი ნებართვის მოპოვება და კონკრეტულად რა მოქმედებების განხორციელება იგულისხმება რადიოკავშირის წესების დაცვაში. სასამართლოს გამოყენებული სამართლებრივი აქტები საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში შესვლამდე რადიოკავშირის წესის დაცვასთან დაკავშირებით, არ აკმაყოფილებს ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნას, რადგან მკაფიოდ არ აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება სუბიექტს - ნებისმიერ მცურავ საშუალებას, რომელსაც სურს ნაოსნობისთვის გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიული ზღვა. განაჩენით პირებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა იმ წესის დარღვევის გამო, რომლისთვისაც დადგენილი პრაქტიკა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.[476]

აპარატის მიერ შესაბამისი ნორმატიული მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული ან/და სხვა შიდასახელმწიფოებრივი თუ

[473] იხ. იქვე, პუნქტი 1.
[474] იხ. იქვე, პუნქტი 19.
[475] იხ. იქვე, პუნქტი 23.
[476] სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2021 წლის 30 ნოემბრის N07/2619 საპასუხო წერილი.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით არ არის გათვალისწინებული მცურავი საშუალების მიერ ტერიტორიულ ზღვაში შემოსვლამდე სახელმწიფო უწყებებისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება. ამასთანავე, არ არსებობს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მკაფიოდ და ერთპიროვნულად განსაზღვრავს თუ რას გულისხმობს რადიოკავშირის წესის დარღვევა. დამატებით, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით, არ გამოიკვეთა ეკიპაჟის მიერ მშვიდობის, წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საყოველთაო პრინციპების დარღვევა, რასაც შეიძლება მშვიდობიანი გავლის უფლებით სარგებლობა გამოერიცხა.

შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი აქტები ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრულობის სტანდარტებს და სასამართლოს მიერ ბუნდოვანი კანონის თვითნებური განმარტებით შესაძლოა შეიქმნას კონკრეტული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკის დადგენის საფრთხე მაშინ, როცა აღნიშნული ქმედება არ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი მნიშვნელოვან წინააღმდეგობაშია კანონიერების პრინციპთან. შესაბამისად, სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით[477] მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა
აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, სადაც დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების და გამოკვლევის უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას ჰქონდა ადგილი.

რ. ა.-ს და სხვების საქმე

რ. ა.-სა და სხვა პირების ბრალდების სისხლის სამართლის საქმის[478] მასალების თანახმად, დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების მხარის თანაბარ პირობებში დაეკითხა თავისი მოწმეები, როგორც წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებით, ასევე საქმის არსებითი განხილვის მოსამართლის მიერ.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვის დასაშვებად ცნობისთვის საკმარისად არ მიიჩნია დაცვის მხარის მიერ მითითებული ერთ-ერთი პირის, კ. კ.-ს მიერ კანონიერად მოპოვებული გამოკითხვისას

[477] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 თებერვლის N15-15/2001 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[478] რ.ა.-სა და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის N053170811801 საქმის განხილვა მიმდინარეობდა 2021 წელს, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა 2022 წელს, განაჩენის გამოტანისა და სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ. 2022 წელს სააპელაციო სასამართლოში არ იყო განხილული სააპელაციო საჩივარი. ფაქტი შეეხებოდა დაკავებული პირის მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მიერ წამებასა და უკანონო დაკავებას.

მითითებული გარემოება, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში[479] იხდიდა სასჯელს დაზარალებულ ლ. ა.-სთან ერთად. მოსამართლემ დამატებითი მტკიცებულების წარდგენა მოითხოვა მისი დაზარალებულთან ერთად სასჯელის მოხდის დასადასტურებლად. ხოლო სახალხო დამცველის რწმუნებულის, ბ. ქ.-ს მოწმის სახით დასაკითხ პირად დასაშვებად მოსამართლემ მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინასწარი თანხმობის არსებობა.

წინასასამართლო სხდომაზე, როცა მოსამართლე რელევანტურობის კუთხით ამოწმებს მტკიცებულებათა დასაშვებობას, გაუმართლებელი და არაგონივრულია დაცვის მხარის დავალდებულება, დამატებითი მტკიცებულებები წარმოადგინოს მოწმის მიერ გაცხადებული საკითხების დადასტურებისთვის. თუ ბრალდების მხარე ამ ინფორმაციას ეჭვქვეშ დააყენებს, ეს უნდა მოხდეს ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებში, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, და არა წინასასამართლო სხდომაზე, სადაც მტკიცებულებათა საქმესთან შემხებლობის საკითხი მოწმდება. გარდა ამისა, ამავე საქმეში მოწმე კ. კ.-ს დაკითხვასთან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ შეაფასა, თუ რამდენად სასარგებლო შესაძლოა ყოფილიყო დაცვის მხარისთვის მის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გამოკვლევა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, რაც ასევე არ შეესაბამება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს.

საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ სამართალწარმოებისას რომელ ეტაპზე უნდა მოხდეს სახალხო დამცველის თანხმობის მიღება მისი რწმუნებულის მიერ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის წარმოდგენა მხარის ვალდებულებაა. თუ მხარე ვერ მოიპოვებს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის თანხმობას, აღნიშნული მოწმე ვერ დაიკითხება სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ ჩათვალა მოსამართლემ, რომ საჭირო იყო სახალხო დამცველის რწმუნებულის მოწმეთა სიიდან წინასწარი ამორიცხვა, როცა სახალხო დამცველის უარი მისი გამოკითხვის თაობაზე არ არსებობდა.

საქმის არსებითი განხილვისას დაცვის მხარეს უარი ეთქვა პროკურორ ლ. ფ.-ს დაკითხვაზე იმ საფუძვლით, რომ „მოწმე ლ. ფ.", რომელიც დაცვის მხარის დასაკითხ პირთა ნუსხაში იყო მითითებული, სასამართლომ პოლიციელ ლ. ფ.-დ მიიჩნია, რომელიც უკვე დაკითხული იყო.

საპროცესო კანონმდებლობა ბრალდების მხარეს აკისრებს დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთს წინასასამართლო სხდომაზე. ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომაზე არ გაურკვევია, დაცვის მხარის მიერ დასაკითხ პირთა სიაში მითითებული „მოწმე ლ. ფ." იყო თუ არა იგივე პირი, ვინც ბრალდების მხარის დასაკითხ პირთა სიაში იყო მითითებული, როგორც „მოწმე ლ. ფ.". გარდა ამისა, საქმის მასალებში გვხვდება პროკურორი ლ. ფ.-ს შემხებლობაც განსახილველ

[479] ამჟამად, პენიტენციური დაწესებულება.

საქმესთან.[480] შესაბამისად, არ არსებობდა დაცვის მხარისთვის პროკურორ ლ. ფ.-ს დაკითხვაზე უარის თქმის საფუძველი საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. გარდა ამისა, დაცვის მხარის საზიანოდ არ უნდა იქნას გამოყენებული ის რომ არც ბრალდების მხარემ და არც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ არ დააზუსტეს, დაცვის მხარე „მოწმე ლ. ფ.-ს" ვინაობაში პროკურორს გულისხმობდა თუ პოლიციელს. აქვე საგულისხმოა, რომ „მოწმე ლ. ფ-ს" თანამდებობა დასაკითხ პირთა ნუსხაში არ ჰქონდა მითითებული არც ბრალდების მხარეს, თუმცა მოსამართლეს ბრალდების მხარისთვის მოწმის დაკითხვაზე უარი არ უთქვამს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ რ. ა.-სა და სხვათა მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიეცა დაცვის მხარისთვის იმ მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა, რომელთა გამოკვლევის უფლებაც შეეზღუდათ წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის სხდომის მოსამართლეების მიერ.[481] 2023 წლის 10 იანვრის მდგომარეობით, საქმე 2022 წლის დეკემბრის თვეში განსახილველად გადაეწერა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ახალ მოსამართლეს და სააპელაციო საჩივრის განხილვის სხდომა ჩანიშნული იყო თებერვლის თვეში.[482]

დაცვის უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს დაცვის უფლება, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტია პატიმრის, თავისუფლებააღკვეთილი პირის ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების და კონსულტაციის შესაძლებლობის ქონა.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პატიმრის ადვოკატთან შეხვედრისა და კონფიდენციალური სატელეფონო, პირისპირ ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის პრობლემები.

პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების ადვოკატთან გასაუბრების უფლება
საქმეების შესწავლისას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების დაცვის უფლების დარღვევის რისკი, ვინაიდან იმ ბრალდებულებს რომელთა მიმართაც პროკურორის

[480] სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, რ. ა.-ს და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დართული იყო ლ. ა.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, რომლის წარმოების ფარგლებში დანაშაულის ჩადენაში იყვნენ ბრალდებულები რ. ა. და სხვები. ლ. ა.-ს ბრალდებულად ცნობა 2011 წლის 16 ივნისს მოხდა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორის, ლ. ფ.-ს მიერ. ამრიგად, ბრალდების მხარისთვის ცნობილი იყო განსახილველ საქმესთან როგორც პროკურორ ლ. ფ.-ს, ასევე პოლიციელ ლ. ფ.-ს შემხებლობის შესახებ. მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, გაეთვალისწინებინა პროკურორ ლ. ფ.-ს დასაკითხ მოწმეთა სიაში არსებობის შესაძლებლობა და თუ მიიჩნევდა, რომ მისი დაკითხვა დაუშვებელი უნდა ყოფილიყო, შეეძლო აღნიშნული საკითხი წინასასამართლო სხდომაზე დაეყენებინა.
[481] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 აპრილის N15-2/4307 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.
[482] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 იანვრის წერილი, საქმე N1ბ.958-22.

დადგენილებით შეზღუდული აქვთ სატელეფონო საუბრის, მიმოწერისა და პაემნის უფლებები, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ასევე არ ეძლეოდათ შესაძლებლობა ტელეფონის საშუალებით დაკავშირებოდნენ ადვოკატებს, ვინაიდან ადვოკატი არ შედის იმ გამონაკლისებში, რაც მითითებულია პატიმრობის კოდექსის შესაბამის მუხლებში.[483]

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საქართველოს პატიმრობის კოდექსში სათანადო ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რომლის გათვალისწინების შემთხვევაშიც, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულებს, პროკურორის დადგენილებით პირადი სატელეფონო საუბრის უფლებების შეზღუდვის მიუხედავად, შესაძლებლობა ჰქონდეთ ისარგებლონ ადვოკატთან სატელეფონო კავშირის უფლებით, რომ სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი დაცვის უფლება.[484]

მისასალმებელია, რომ პრობლემის არსი სრულად გაიზიარა საქართველოს პარლამენტმა, საანგარიშო წლის მანძილზე პარლამენტის ინიციატივით შედგა სამუშაო შეხვედრაც რელევანტური უწყებების მონაწილეობით, მომზადდა კანონპროექტიც და მოხდა დაინიცირებაც. ამ ეტაპზე პროექტი მეორე მოსმენით უნდა განიხილოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა.[485] სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ ცვლილებები მალე აისახება კანონში და პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს ადვოკატებთან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალება მიეცემათ.

დისტანციური სასამართლო პროცესებისას ადვოკატებთან კონფიდენციალური კომუნიკაცია

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული დისტანციური წესით გამართული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოს პროგრამული ინფრასტრუქტურა არ იძლეოდა შესაძლებლობას ბრალდებულებს სხდომის მიმდინარეობისას ჰქონოდათ ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა.[486]

საანგარიშო პერიოდში აპარატმა სასამართლოებიდან გამოითხოვა ინფორმაცია სხდომების დისტანციურად გამართვისას ბრალდებულსა და ადვოკატს შორის, სხდომის

---

[483] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 101 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > [ბოლოს ნანახია: 23.01.2023 წ].

[484] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 თებერვლის N15-2/2008 წინადადება.

[485] იხ. < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/321090?fbclid=IwAR3aZl4DKOYdrpS5sELRFXFfJgVDRqLrSpPuUJghj5IWhWiAQu-iEA99p6I >

[486] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tANb4y > [20.01.2023].

სხვა მონაწილე პირებისგან კონფიდენციალურად, საუბრის ან მიმოწერის შესაძლებლობის შესახებ.[487]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები დისტანციური სხდომების წარმართვისთვის იყენებენ Cisco Meeting Server (CMS) სისტემას. აღნიშნულ სისტემას მოცემულ ეტაპზე არ გააჩნია ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური სესიის შექმნის შესაძლებლობა. Cisco Meeting Server (CMS) სისტემის შეძენისა და დანერგვის პროცესი გაიყო ორ ეტაპად. მეორე ეტაპი მოიცავს, აგრეთვე, კლიენტისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ფუნქციონალის არსებობასაც. არსებული მოთხოვნების სრულყოფასა და ტექნიკური სპეციფიკაციის შემუშავებაზე დოკუმენტის სამუშაო ვერსია დასრულებულია, ხოლო მისი შეთანხმების შემდეგ უნდა დაიგეგმოს ბაზრის კვლევა, გამოცხადდეს ტენდერი და შემდგომ, განხორციელდეს ფუნქციონალის დეველოპმენტი და დანერგვა.[488]

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საკითხის მოგვარება წინ არ წასულა. 2022 წლის დეკემბერში, სასამართლოს სხდომების დისტანციურად გასამართ სისტემაში ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის უზრუნველყოფის ფუნქციონალის დანერგვის პროცესი, იმავე ეტაპზე იყო, რაც 2022 წლის სექტემბერში ეცნობა აპარატს.[489]

პანდემიის პირობებში ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში

აპარატმა გამოავლინა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების ადვოკატებთან შეხვედრასთან დაკავშირებით არსებული არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან N12 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ადვოკატების შეხვედრა ხდებოდა სრულად გადატიხრულ შეხვედრების ოთახში, სადაც ადვოკატებსა და დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ერთმანეთისთვის მიეწოდებინათ დოკუმენტები ან ეკონტაქტათ გარკვეულ საკითხებზე წერილობით, გაეკეთებინათ მინაწერები დოკუმენტებზე, გადაეწოდებონათ ერთმანეთისთვის. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე შეხვედრები განსხვავებულად ხორციელდებოდა და შეხვედრების ოთახში დატოვებული იყო შესაბამისი ღია სივრცე.

N12 დაწესებულებასთან კომუნიკაციით დადგინდა, რომ ხსენებულ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, კოვიდ-რეგულაციების

[487] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 1 სექტემბრის №15-8/8889 და 2022 წლის 1 სექტემბრის №15-8/8890 წერილები.
[488] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 26 სექტემბრის №714/2817-03-ო წერილი.
[489] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის №1125/3821-03-ო წერილი.

გამო, შეეზღუდათ ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება, კერძოდ, პირისპირ შეხვედრის, საუბრის და წერილობითი დოკუმენტების უშუალოდ ერთმანეთისთვის გადაცემის შესაძლებლობა.

N12 დაწესებულებაში არსებული ხსენებული პრაქტიკა სრულიად განსხვავდებოდა N2 და N8 დაწესებულებების პრაქტიკისგან, სადაც ადვოკატისა და პატიმრის პირისპირ შეხვედრა უზრუნველყოფილი იყო ადვოკატის PCR ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენის შემდეგ.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[490] მიმართა იუსტიციის მინისტრს, რათა უზრუნველყოფილიყო ერთიანი წესის შემუშავება კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა დაწესებულებაში (მათ შორის, N12 დაწესებულებაში) განთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატთან პირისპირ შეხვედრისა და დოკუმენტების გადაცემის გზით კონფიდენციალური (ვერბალური და წერილობითი) კომუნიკაციის უფლებით სარგებლობა, რათა ერთი მხრივ დაცული ყოფილიყო კოვიდ ვირუსის პრევენციისთვის აუცილებელი წესები, ხოლო მეორე მხრივ არ დარღვეულიყო პატიმრის უფლება ჰქონდეს კონფიდენციალური კომუნიკაცია თავის ადვოკატთან; ასევე, ეპიდემიოლოგების რეკომენდაციის გათვალისწინებით განსაზღვრულიყო პატიმართან პირისპირ შეხვედრაზე დასაშვებად ადვოკატის მიერ წარსადგენი სამედიცინო დოკუმენტების ნუსხა, რომელიც მსგავსი იქნება ყველა დაწესებულებისთვის.

ადვოკატის შეხვედრის შეზღუდვა გორის ჰოსპიტალში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან ბრალდებული/მსჯავრდებული ადვოკატთან შეხვედრის უფლებით სარგებლობს როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ისე სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნისას.

აპარატის მიერ საქმის მასალების[491] შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 2021 წლის 28 დეკემბერს, სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობის მიზნით განთავსებულ საქართველოს მესამე პრეზიდენტთან ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილთან ადვოკატ გ. მ.-ს არშეშვების ფაქტზე არ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება სრულყოფილად და ამასთან, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულ დაცვის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით[492] მიმართა თავდაცვის მინისტრს გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიხეილ სააკაშვილთან ადვოკატის არშეშვების ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების განახლების თაობაზე.

---

[490] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 22 თებერვლის N15-5/2133 რეკომენდაცია.
[491] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 13 ოქტომბრის NMOD52201191627 წერილის დანართი.
[492] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 30 დეკემბრის N15-5/13169 წინადადება.

ადვოკატის საქმიანობის ხელშეშლა

სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს გააგრძელა ადვოკატ რ.შ.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო საქმიანობის ხელშეშლის ფაქტის შესწავლა. რ.შ.-ს გადმოცემით, მას 2020 წლის 15 დეკემბერს შსს აბაშის პოლიციის სამმართველოს უფროსმა არ მისცა შესაძლებლობა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში განეხორციელებია დაცვის უფლება, დაატოვებინა დაკავებულთა ყოფნის ადგილი, ჩაიყვანა შენობის პირველ სართულზე და არ მისცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ბრალდებულთა გამოკითხვაში, ასევე, სხვა საგამოძიებო მოქმედებებში.

მითითებულ საქმეზე, მართალია, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის მე-4 ნაწილით,[493] თუმცა ვერ განხორციელდა მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვება, ვიდეო მეთვალყურეობის მასალის ამოღება. გენერალური პროკურატურის პასუხის[494] თანახმად, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული არ შედის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ საგამონაკლისო მუხლებში და არ არსებობდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი, ვერ იქნა ამოღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აბაშის რაიონული სამმართველოს შენობაში განთავსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატის საქმიანობის სავარაუდო ხელშეშლის გამოძიება, რაც მითითებული ფაქტის მსგავსად, შესაძლოა განხორციელდეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა უშედეგო იყოს, რადგან საგამოძიებო ორგანოს მყისიერი წვდომა არ ექნება არსებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერება/ამოღებაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადვოკატი და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ, შესაძლოა ხშირად წარმოიშვას მსგავსი ცდუნება და მაგალითად პოლიციელებს ჰქონდეთ ადვოკატისთვის ხელშეშლის მცდელობა. იმის ალბათობა კი, რომ სხვა პოლიციელები ითანამშრომლებენ მათი კოლეგის პასუხისმგებლობის გამოკვეთის მოტივაციით ნაკლებ სავარაუდო შეიძლება იყოს. ამის ფონზე, მთავარი მტკიცებულების - ვიდეოჩანაწერის მოპოვების სამართლებრივი შეუძლებლობა პრაქტიკულად შეიძლება გამორიცხავდეს გამოძიების შედეგიანად დასრულების პერსპექტივას. ეს კი დიდ ზიანს მიაყენებს როგორც ადვოკატთა საქმიანობის ეფექტიანობას, ისე დაკავებულ პირთა დაცვის უფლებით სარგებლობას.

სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა

ბრალდებულთა უფლებებზე ყურადღების გამახვილების პარალელურად, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მუშაობს დაზარალებულთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის მიმართულებითაც. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის

[493] სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.
[494] 2021 წლის 23 აპრილის N13/24186 პასუხი.

საქმეებზე დაზარალებულად ცნობის პრაქტიკა, სამწუხაროდ, კვლავ არათანმიმდევრულია. რიგ შემთხვევებში, დაზარალებულად ცნობა სავარაუდო მსხვერპლის აშკარად გამოკვეთისთანავე ხდება, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, ექსპერტიზების დასკვნების მიღებისა და ხანდახან, მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ. შესაბამისად, წლიდან წლამდე სახალხო დამცველს არაერთი მოქალაქე მიმართავს, რომლებიც მიუთითებენ რომ დაზარალდნენ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, თუმცა ჭიანურდება მათთვის დაზარალებულის სტატუსის ოფიციალურად მინიჭება, რის გამოც ისინი პრაქტიკულად არ ფლობენ მათი ინტერესების დარღვევის გამო მიმდინარე გამოძიებების შესახებ ინფორმაციას.

მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ ანგარიშში აღნიშნა, რომ 20-21 ივნისის საქმეზე პირებმა დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი ვერ მოიპოვეს მაშინ, როდესაც უკვე აშკარად გამოხატული იყო მსხვერპლები.[495] მოცემულ საქმეში, გამოძიება დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის ძირითადად ექსპერტიზის დასკვნებს ელოდება. მაშინ, როდესაც ე.წ. 5 ივლისის საქმეში მოქალაქეებმა დაზარალებულის სტატუსი ჩვენების მიცემისთანავე მიიღეს. მისასალმებელია, რომ გამოძიება არ დაელოდა დაგვიანებით დანიშნული და გაჭიანურებული ექსპერტიზის დასკვნას კონკრეტული ფიზიკური დაზიანებების სიმძიმესთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაზარალებულად ცნობის შემდეგ, მსხვერპლებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მიეღოთ სხვადასხვა ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

მიზანშეწონილია, გამოძიების ადრეულ ეტაპზე, პირველივე შესაძლებლობისთანავე და არაგონივრული გაჭიანურების გარეშე, პირის დაზარალებულად ცნობის მსგავსი მიდგომა დაინერგოს სხვა სისხლის სამართლის საქმეებშიც.

განსაკუთრებით საყურადღებო პროგრესი დაზარალებულის უფლებების საკითხში ორი მიმართულებით შეიმჩნევა. პირველ რიგში, 2022 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიიღო ბრძანება,[496] რომელიც სავარაუდო მსხვერპლს უზრუნველყოფს უფლებით, რომ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიმდინარე გამოძიების ეტაპზე მაშინ, როდესაც იგი ჯერ დაზარალებულად ცნობილი არ არის. აღნიშნული ცალსახად დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობასა და მსხვერპლის ნდობის გაზრდას გამოძიების მიმართ.

---

[495] საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში გვ. 30-31.

[496] ბრძანება ვრცელდება იმ საქმეებზე, სადაც მოქალაქე სამართალდამცველებს ძალადობასა და არასათანადო მოპყრობაში ედავება და გამოძიება დაიწყო 2022 წლის 27 ივლისის შემდეგ. იხ. <https://sis.gov.ge/ka/article/specialur-sagamodziebo-samsaxurshi-dainteresebuli-moqalaqeebistvis-sisxlis-samartlis-saqmis-masalebis-gacnobis-wesi-amoqmedda/207 >

მეორე მიმართულება, სადაც დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხში გარკვეული დადებითი ტენდენცია შეინიშნება, არის სიახლე პროკურატურის სისტემაში, რომლის მიხედვითაც, გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა საბჭო,[497] რომელიც განიხილავს სიცოცხლის უფლების საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრებს კომისიური შემადგენლობით. საბჭოს კომპეტენციაში შედის, სიცოცხლის ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეებზე, განიხილოს გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით დაზარალებულის საჩივარი და მოამზადოს გენერალური პროკურორისთვის სარეკომენდაციო გადაწყვეტილება. საბჭოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება ასევე დაზარალებულებთან ინტენსიური კომუნიკაცია, მათი ინფორმირება. ცხადია, აღნიშნული სიახლე მისასალმებელია დაზარალებულების ინტერესიდან გამომდინარე და სახალხო დამცველის აპარატი, კომპეტენციის ფარგლებში, დააკვირდება ხსენებული საბჭოს საქმიანობას.

ცალკეული გადაწყვეტილებების მიღება, რაც მსხვერპლების ინტერესების ეფექტიანად დაცვის უზრუნველყოფისკენაა მიმართული, ცხადია, მისასალმებელია. მით უფრო, როდესაც ეს გადაწყვეტილებები სიცოცხლის უფლებასა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებებს ეხება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა დაზარალებულის სტატუსის დროული მინიჭება სხვადასხვა გამოძიების ფარგლებში, თითოეული მსხვერპლი მოქალაქისთვის, რათა მათ შეძლონ მიიღონ სრული ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა და სხვადასხვა საპროცესო ეტაპების შესახებ.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

სახალხო დამცველი, წლებია, ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის საქმეების მხარისთვის განაჩენის თვეობით არგადაცემისა ან/და საჩივრის ზემდგომ ინსტანციის სასამართლოებში არგადაგზავნის შესახებ.[498]

კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს დასაბუთებული განაჩენის მიღების, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას; ასევე, გარანტირებულია ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. დასაბუთებული განაჩენის უფლება პირდაპირ უკავშირდება საქმის გონივრულ ვადაში განხილვისა და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებებსაც. დამატებით, განაჩენის ასლის კანონით დადგენილ ვადაში გადაუცემლობა საფრთხეს უქმნის გასაჩივრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობას და იწვევს საქმის განხილვის არაგონივრული ვადით გაჭიანურებას.

შ. მ.-ს და პ.ხ.-ს საქმეები

---

[497] იხ. < https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-generalur-prokuraturashi-sicocxlis-xelyofis-saqmeebze-dazaralebulTa-sachivrebis-ganmxilv >

[498] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2014 წელს საქართველოში უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ, გვ. 405; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2015 წელს საქართველოში უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ, გვ. 469; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში 2020 წელს საქართველოში უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ, გვ. 146.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, რომ თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ კანონმდებლობით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნის უგულებელყოფით, 2 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებულებს კანონით[499] დადგენილ ვადაში (გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 ან 14 დღისა) არ გადასცა დასაბუთებული განაჩენი, შ. მ.-ს მსჯავრდებიდან 14 თვისა და პ. ხ.-ს 8 თვის გასვლის მიუხედავად. ეს არსებითად არღვევს მსჯავრდებულთა უფლებებს და ხელს უშლის მათ ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში განაჩენის გასაჩივრების უფლებით ეფექტიანად სარგებლობაში. საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში განმცხადებლები მიუთითებენ დასაბუთებული განაჩენის მიუღებლობის მიუხედავად, დადგენილ ვადაში მისი გასაჩივრების შესახებ. თუმცა, ასევე უთითებდნენ, განაჩენისა და საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოცემულ დრომდე გაუგზავნელობის შესახებ.

სახალხო დამცველის შეფასებით, დასაბუთებული განაჩენის მხარისთვის მსგავსი ხანგრძლივობით არგადაცემა წარმოადგენს კანონით დადგენილი ვადის არსებით დარღვევას. ამასთან, საქმეთა სიმრავლე ან გადატვირთულობა ვერ გაამართლებს ამგვარი ხანგრძლივი დროით მსჯავრდებულებისთვის დასაბუთებული განაჩენების გადაცემის გაჭიანურებას, მით უფრო, რომ მოსამართლეს სახალხო დამცველის მიმართვიდან თვეების განმავლობაში, მსგავსი ინფორმაცია არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით[500] მიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორს მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით, ვინაიდან არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია[501] საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

ბათუმის ციხის ხელმძღვანელების საქმე

საქმის განხილვის მრავალწლიანი (8 წელი) გაჭიანურების მაგალითს წარმოადგენს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა მიმართ დაწესებულების ხელმძღვანელი პირების[502] მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე წარმოებული სასამართლო განხილვა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ მითითებული საქმის განხილვა დაიწყო 2014 წლის 19 თებერვალს.[503] 2021 წელს, აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა მხოლოდ ორი სასამართლო სხდომა. ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე შეიცვალა საქმის განმხილველი მოსამართლე, რის გამოც სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო თავიდან.

---

[499] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 278.
[500] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 12 აგვისტოს N15-11/8266 წინადადება.
[501] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლ. 75[1], პუნქტ. 8, ქვეპუნქტ. „ვ.ა".
[502] ბრალდებულები არიან დაწესებულების ყოფილი დირექტორი და სამართლებრივი რეჟიმის ყოფილი უფროსი.
[503] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 1 თებერვლის N29-გ/კ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ხსენებულ საქმეზე 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა მხოლოდ ორი სასამართლო სხდომა.

რ. ა.-ს და სხვების საქმე

კანონით, სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, წყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხს,[504] საიდანაც 1 თვის ვადაში იმართება სხდომა,[505] ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.[506]

აპარატის მიერ შესწავლილი რ. ა.-ს და სხვების საქმე კანონით დადგენილ ვადებში არ განხილულა. რ.ა.-ს და სხვების მიმართ 2021 წლის 29 ოქტომბრის განაჩენზე დაცვის მხარის 2021 წლის 18 ნოემბრის სააპელაციო საჩივრის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2022 წელს არ დასრულებულა. საქმე განსახილველად 2022 წლის 19 დეკემბერს გადაეწერა ახალ მოსამართლეს და სხდომა ჩანიშნული იყო 2023 წლის 6 თებერვალს.[507]

პატიმრების ადმინისტრაციული სარჩელების განხილვის გაჭიანურება

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულების, თ. შ.-სა და მ. ც.-ს საქმეები, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

მსჯავრდებულმა თ. შ.-მ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ დირექტორის 2020 წლის ივნისის განკარგულება გაასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში.[508] ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი სასამართლო განხილვა ჩატარდა 2023 წლის 10 თებერვალს. [509]

მსჯავრდებულმა მ. ც.-მ კი 2017 წელს, ოთხი ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელთა საფუძველზეც გაასაჩივრა დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის განკარგულებები. ბათუმის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილის თანახმად, საქმეთა სიმრავლით გამოწვეული დატვირთულობის გამო, მითითებულ

[504] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 295. ნაწ. 2.
[505] იქვე, ნაწ. 5.
[506] იქვე, ნაწ. 6
[507] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 იანვრის N1ბ/958-22 წერილი.
[508] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 6 მაისის N130569/01 საპასუხო წერილი.
[509] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 იანვრის N35-გ/კ წერილი.

ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა და წლების შემდეგ დანიშნულიც კი არ არის.[510]

თარჯიმნები
საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებიდან რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა თარჯიმნის მომსახურების ხარვეზებით გამოწვეული სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურების პრობლემა.

- თბილისის სააპელაციო სასამართლო

სააპელაციო საჩივრის განხილვა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2020 წლის 24 ივლისს, 2022 წლის ივნისის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[511] სააპელაციო საჩივრის განხილვა სხვადასხვა მიზეზით გადაიდო მოცემულ პერიოდში. თუმცა რამდენიმე შემთხვევაში სხდომის გადადების მიზეზი იყო თარჯიმნის მომსახურების პრობლემა, კერძოდ 2021 წლის 1 მარტს, 19 აპრილს, 24 მაისს, 21 ივნისს, ასევე 2022 წლის 21 მარტის, 23 მაისის სხდომები.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქმეზე აპელანტი იყო რამდენიმე მსჯავრდებული პირი, რომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთს ესაჭიროებოდა თარჯიმნის მომსახურება. ამასთან, სააპელაციო საჩივრის განხილვის გაჭიანურებით დაირღვა როგორც უცხოენოვანი მსჯავრდებულის, ასევე სხვა აპელანტების საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის უფლება.

ამასთან, მიმდინარე პერიოდში, 2022 წლის 18 ივნისიდან, შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის თარჯიმნით მომსახურების უზრუნველმყოფი თარჯიმანთა მომსახურების ბიურო.

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ჯ.კ.-ს საქმე

2022 წლის 9 ნოემბრის შემდგომ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომელი ესწრებოდა მსჯავრდებულ ჯ.კ.-ს ადვოკატის სააპელაციო საჩივრის განხილვას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოცემული საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში თითქმის 2 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და სასამართლო სხდომების გადადება ძირითადად თარჯიმნის (ინგლისური ენა) მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო ხდებოდა.

განმცხადებლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია დადასტურდა სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად. 2022 წლის 9 ნოემბრის სასამართლო სხდომა გადაიდო იმის გამო, რომ ვერ იქნა უზრუნველყოფილი სრულფასოვანი თარგმანი. ასევე,

[510] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 იანვრის N23-გ/კ წერილი.
[511] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის №1ბ/1047-20 წერილი.

აშკარად იკვეთებოდა სხდომაზე მიწვეული თარჯიმნის კვალიფიკაციის პრობლემა, რის გამოც თარჯიმნის ფუნქციას ძირითადად მსჯავრდებულის ადვოკატი ითავსებდა. აღნიშნულის გამო სხდომა 24 ნოემბრამდე გადაიდო, თუმცა 24 ნოემბერს ჩანიშნული სხდომა კვლავ გადაიდო იმ მიზეზით, რომ ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს შესაბამისი სათარჯიმნო მომსახურებით, ვერ უზრუნველყო ინგლისური ენის თარჯიმნის სხდომაზე დასწრება. აღსანიშნავია, რომ არსებული პრობლემის შესახებ მხარეებმა, რომლებიც სხდომაზე დასასწრებად მესტიიდან და თბილისიდან ჩავიდნენ, უშუალოდ სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიგეს.

შემდეგი სასამართლო სხდომები 2022 წლის 22 დეკემბერს და 2022 წლის 30 დეკემბერს ჩატარდა. აღნიშნულ სხდომებზე თარგმანს უზრუნველყოფდა თარჯიმანი, რომელსაც სხდომებზე დასასწრებად უწევდა ზუგდიდიდან ტრასპორტირება. მართალია, მოცემულ შემთხვევებში თარგმანი უზრუნველყოფილი იყო, თუმცა კვლავ იკვეთებოდა თარჯიმნის კვალიფიკაციის პრობლემა, რის გამოც ხშირად ინფორმაციის დაზუსტებაში მსჯავრდებულს ეხმარებოდა ადვოკატი და რიგ შემთხვევაში პროკურორიც.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური საქმეების განხილვის გაჭიანურება

მსჯავრდებულ ი. ფ.-ს საქმის შესწავლისას დადასტურდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დისციპლინური საქმისწარმოებისას სისტემური ხარვეზი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან, საიდანაც 8 წევრს ირჩევს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს - პარლამენტი, 1 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობრივად არის საბჭოს წევრი.[512] სადისციპლინო საკითხზე საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.[513] 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

შესაბამისად, იმის გამო, რომ პარლამენტი წლების განმავლობაში არ ირჩევდა/ირჩევს საბჭოს წევრებს, მოსამართლეთა დისციპლინური საქმისწარმოება უსაფუძვლოდ, ხანგრძლივი დროით ჭიანურდებოდა და განუხილველად რჩებოდა. აღნიშნული პრობლემის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აპარატის შესწავლილი საქმე. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მსჯავრდებულ ი. ფ.-ს 2019 წლის 27 ნოემბრის საჩივარი განიხილა 2021 წლის 16 ივლისის სხდომაზე, ხოლო 2019 წლის 15 მაისის 2 საჩივარი - ქვორუმის არარსებობის გამო ვერ განიხილა 2020-2021 წლების სხდომებზე. საბჭოს

[512] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლ. 47 პუნქტ. 2.
[513] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლ. 50 პუნქტ. 3 (2021 წლის 30 დეკემბრის რედაქცია).

პოზიციით, 2022 წლის 14 იანვრიდან ძალაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით უახლოეს მომავალში განიხილებოდა აღნიშნული მიზეზით შეფერხებული დისციპლინური საქმეები.[514] საბოლოოდ, მსჯავრდებულ ი. ფ.-ს 2019 წლის 15 მაისის საჩივრებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები საბჭომ 2022 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე განიხილა,[515] 3 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ.

ამასთან, ირკვევა, რომ 2019-2022 წწ.-ში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული 566 დასკვნიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა მხოლოდ 279 დასკვნა[516] და კვლავ განსახილველი რჩება 2020 წელს მომზადებული 25 და 2021-2022 წწ.-ში მომზადებული ყველა დასკვნა.

ამდენად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების აურჩევლობამ დისციპლინური საქმისწარმოების გაჭიანურებაც გამოიწვია შესაბამისი კვორუმის არარსებობის მიზეზით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უკანონო მიყურადების/თვალთვალის პრობლემები კვლავ გამოწვევად რჩება 2022 წლის პერიოდშიც. გასულ წლებში დაწყებული გამოძიება ამ დრომდე არ არის დასრულებული და არ არიან გამოკვეთილი დამნაშავე პირები, რასაც ემატება მიმდინარე პერიოდში ახალი დარღვევები, მათ შორის გრძელდება დარღვევები პენიტენციურ დაწესებულებებში და აქვს სისტემური ხასიათი.

ე.წ. სუს-ის ფაილების საქმის გამოძიება
2021 წლის ანგარიშში აღნიშნული იყო 2021 წლის სექტემბერში მედიით გავრცელებული, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის შედეგად მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი მონაცემების ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.[517]

2021 წლის მდგომარეობით, გამოძიების ფარგლებში, კონკრეტული პირები დაზარალებულად არ იყვნენ ცნობილი და არც სისხლისსამართლებრივი დევნა იყო დაწყებული. დეტალური ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს პროკურატურამ 2021 წელს არ მიაწოდა და არც მისცა შესაძლებლობა გამონაკლისის წესით გაცნობოდა საქმის მასალებს.

---

[514] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 29 აგვისტოს N666/2652-03-ო წერილი.
[515] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 27 იანვრის N52/138-03-ე წერილი.
[516] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 27 იანვრის N52/138-03-ე წერილი. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადდა: 2019 წელს - 187 დასკვნა და საბჭოს მიერ ყველა მათგანი განხილულია; 2020 წელს - 117 დასკვნა, საიდანაც განსახილველია - 25; 2021 წელს - 118 დასკვნა ; 2022 წელს - 144 დასკვნა.
[517] <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf >, გვ.104.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კერძო საუბრების უნებართვო მიყურადების, ჩაწერის, გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კვლავ არ არიან გამოვლენილი კონკრეტული ბრალდებულები. თუმცა, პროკურატურამ 115 პირი ცნო დაზარალებულად.[518]

საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანხმად, გამოძიების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნილია შუამდგომლობები სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელთა პასუხები მიღებული არ არის და გამოძიებას არ აქვს მიღებული დანიშნული ექსპერტიზების დასკვნები. ასევე, გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები ჩანაწერების განმახორციელებელი პირების, ჩანაწერების კანონიერი საფუძვლებისა და გავრცელებული ინფორმაციის ავთენტურობის დადგენის მიზნით.[519]

სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით[520] გამოეხმაურა 2021 წლის სექტემბერში მედიით გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების უკანონო მოპოვებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლის გამოუყენებლობას და ასევე მიმართა, განეხორციელებინა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის საქართველოს პარლამენტის სხდომაზე მოსმენა სავარაუდოდ უკანონო და სისტემური მოსმენებისა და პირადი ცხოვრების უფლებაში უხეშად ჩარევის საკითხებზე.

საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოწვევა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ განხორციელებულა.

სახალხო დამცველმა ასევე მიმართა პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს და სთხოვა საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა.[521]

საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილების თანახმად, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 8^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის პირველი წინადადება და ამავე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის პირველი წინადადება. საკონსტიტუციო სასამართლომ

[518] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 1 მარტის N13/13652 წერილი.
[519] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 დეკემბრის N13/84290 წერილი.
[520] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelma-piradi-tskhovrebis-uflebis-sakitkhebshi-gaeros-spetsialur-momkhsenebels-da-sakartvelos-parlaments-mimarta >
[521] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelma-piradi-tskhovrebis-uflebis-sakitkhebshi-gaeros-spetsialur-momkhsenebels-da-sakartvelos-parlaments-mimarta >

სადავოდ გამხდარ საკანონმდებლო მოდელში დაინახა არაერთი რისკი, ადამიანის პირად სივრცეში უკონტროლო და დაუსაბუთებელი ჩარევისთვის.[522]

პრობლემა ერთი მხრივ შეეხებოდა პროფესიულად დაინტერესებული სუბიექტის ხელში იმგვარი ბერკეტის არსებობას, რითაც მას გზა ეხსნებოდა, ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან შეუზღუდავად მოეპოვებინა/შეენახა სასურველი ინფორმაცია.[523] მეორე მხრივ, საკითხს უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ მონაცემთა მოპოვება/დამუშავების პროცესზე არ არსებობდა ეფექტური კონტროლის მექანიზმი, ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვერ აკონტროლებდა ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან მონაცემთა ბანკების წამოღების პროცესს, რაც ღია ფანჯარას ტოვებდა ე.წ. „ალტერნატიული ბანკის" შესაქმნელად.[524]

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა საგამოძიებო მოქმედების ინიციატორ, და შესაბამისი მოქმედების განხორციელების ავტორიზაციის უფლების მქონე სუბიექტთა ინსტიტუციური გამიჯვნის აუცილებლობას. ამასთან, არაეფექტურად ჩაითვალა არსებული გარე კონტროლის მექანიზმიც.

მიუხედავად საკანონმდებლო მოდელში არსებული არაერთი გამოწვევისა, რაც სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა პირადი ცხოვრების დაცულობის საკითხს, 2017 წელს განხორციელებული ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში, არ იყო მოწოდებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წამოჭრილი საფრთხეების დაძლევისკენ, არამედ თვალის ახვევის მიზნით, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ახალი ნორმებით უფლების დარღვევას არსებითად და თვისობრივად იგივე საფრთხე ემუქრება.[525] სახელმწიფოს რჩება აბსოლუტურად უკონტროლო მოქმედების არეალი, იმის გათვალისწინებით, რომ უფლებამოსილ ორგანოდ კვლავ პროფესიულად დაინტერესებული სუბიექტი განისაზღვრა, ასევე არ მომხდარა გარე კონტროლის მყარი, კრიტიკულად საჭირო მექანიზმებით გაძლიერება.[526]

---

[522] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-103, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/klrvtl> [15.02.2023].
[523] იქვე, II-101.
[524] იქვე, II, 101-103.
[525] 2017 წლის 01 ივნისის N1231 კონსტიტუციური სარჩელი - „სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/rctuet> [15.02.2023].
[526] იქვე.

ამ მიზეზით 2017 წელს სახალხო დამცველის აპარატმა კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა,[527] რათა მას ანალოგიური შინაარსის მქონე ნორმები, ძალადაკარგულად ეცნო და დაევალებინა სახელმწიფოსთვის ქმედითი, რეალური ნაბიჯები გადაედგა გამჭირვალე და გარე კონტროლს დაქვემდებარებული მოდელის შესაქმნელად.[528] სამწუხაროდ, თითქმის 6 წლის შემდეგაც არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ უკანასკნელ საკითხზე.

2022 წელს შემუშავებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მეტი სივრცე და შესაძლებლობა გააჩინა არაპროპორციული, არასანქცირებული ჩარევისთვის, უკვე არამხოლოდ ადამიანის პირად ცხოვრებაში, არამედ სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებითაც.

განხორციელებული ცვლილებების თანახმად:[529]

- გაფართოვდა იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ყურადსაღებია, რომ ეს ჩამონათვალი ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და ის ცვლილებების შემდგომ ორჯერ გაიზარდა;
- მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პერიოდი. ცვლილებების შედეგად, სამ ეტაპად მოხდა მისი დაყოფა და შედეგად, მაქსიმალური, საგამონაკლისო 6 თვის ნაცვლად, ასეთ პერიოდად განისაზღვრა ჯამში 9 თვე;
- გამოიყო იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთან დაკავშირებითაც, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს არანაირი კანონისმიერი შეზღუდვა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ხანგრძლივობის მაქსიმალური ვადით შემოფარგვლის კუთხით;
- ორმაგად გაფართოვდა ის ვადა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება პირისთვის უცნობი იყოს, რომ მის მიმართ ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება;
- ამ შემთხვევაშიც, კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით შესაძლებელი ხდება პირისთვის შეტყობინების გადადების ვადის მრავალი გახანგრძლივება იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს გადადება ჩაითვლება საჭიროდ.

ამ მხრივ, ყურადსაღებია ვენეციის კომისიის შეფასება, რომელიც განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, არაერთ საფრთხეზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში.[530]

---

[527] იქვე.
[528] იქვე.
[529] საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/xfhd2j> [15.02.2023].
[530] no. 1092/2022 URGENT OPINION ON THE DRAFT LAW ON THE AMENDMENTS TO THE CRIMINAL PROCEDURE CODE ADOPTED BY THE PARLIAMENT OF GEORGIA ON 7 JUNE 2022, Strasbourg, 26 August 2022, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ipuj3g> [15.02.2023].

ვენეციის კომისია პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს კანონის ხარისხზე, კერძოდ, იყო თუ არა საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართული ყველა რელევანტური ოფიციალური უწყება (ასეთად დაასახელა სახალხო დამცველის აპარატი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური), ასევე გათვალისწინებული იყო თუ არა სამოქალაქო საზოგადოების აზრი/პოზიცია.[531] ხსენებულ საკითხებზე უარყოფითი შეფასება გაკეთდა,[532] ვინაიდან კომპეტენტურ სუბიექტთა ჩართულობა არ ფიქსირდებოდა, რაც ვენეციის კომისიის პოზიციით, შეეტყო კიდეც კანონპროექტის ღირებულებას, ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების არ არსებობის ჭრილში. ამასთან, უარყოფითად შეფასდა ის მოკლე პერიოდი (2 თვე), რა ვადაშიც მომზადდა ცვლილებები.[533]

უარყოფითად შეფასდა მიღებული ცვლილებების პროპორციულობის მახასიათებელიც,[534] რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებაში ჩარევის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ვენეციის კომისია უთითებს, რომ არ ჩანს რაიმე მცდელობაც კი, რომ შეფასებულიყო, ერთი მხრივ, ზემოქმედების ხარისხი განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ, მეორე მხრივ, იმ ფონზე, როცა მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა უფლებამოსილების ფარგლები, არ იყო ჩატარებული რაიმე კვლევა, თუ რა ხარვეზები არსებობდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებში, იყო თუ არა მყარი და დამაბალანსებელი დამცავი ბერკეტები სახეზე.[535] ამასთან, ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ არ არსებობდა მსჯელობა, იმავე მიზნის მიმღწევ ალტერნატიულ ზომებზე.[536]

ვინაიდან, პროპორციულობის ერთ-ერთ გარანტორად მოიაზრება სასამართლო კონტროლი, მნიშვნელოვანია მისი გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება. სამწუხაროდ, ვენეციის კომისიის მიერ, კრიტიკულად შეფასდა ეს ფაქტორიც რამდენიმე გარემოების გამო:[537]

- პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლო ძალიან ცოტა დროს უთმობს იმის შემოწმებას, შეაფასოს წინაპირობები, პროკურორის მხრიდან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის მოსაპოვებლად;
- მოსამართლეთა მაღალი დატვირთულობის მაჩვენებელი;
- პროკურორის შუამდგომლობების დამტკიცების მაღალი მაჩვენებელი;

[531] no. 1092/2022 URGENT OPINION ON THE DRAFT LAW ON THE AMENDMENTS TO THE CRIMINAL PROCEDURE CODE ADOPTED BY THE PARLIAMENT OF GEORGIA ON 7 JUNE 2022, Strasbourg, 26 August 2022, 8-10 ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ipuj3g> [15.02.2023].
[532] იქვე.
[533] იქვე.
[534] იქვე.
[535] იქვე.
[536] იქვე.
[537] no. 1092/2022 URGENT OPINION ON THE DRAFT LAW ON THE AMENDMENTS TO THE CRIMINAL PROCEDURE CODE ADOPTED BY THE PARLIAMENT OF GEORGIA ON 7 JUNE 2022, Strasbourg, 26 August 2022, 12-14 ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/ipuj3g> [15.02.2023].

- ტექნიკური ცოდნის ფლობა, რათა მოსამართლემ შეძლოს ეფექტურად განხილვა იმ მოთხოვნების, რომლებიც სპეციფიკურ სფეროს უკავშირდება.

ვენეციის კომისია დასკვნის სახით განმარტავს, რომ სასამართლო კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებული ეჭვების გათვალისწინებით, უკანონო მასობრივი თვალთვალის და პერსონალური მონაცემების გაჟონვის ფაქტებთან ერთად, ისევე როგორც არასაკმარისი ზედამხედველობისა და დამცავი მექანიზმის პირობებში, არ არსებობს გამართლება ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ფარგლების გაფართოებისთვის, მითუმეტეს არადამაჯერებელი დასაბუთებისა და პროპორციულობის პრინციპის უკუგდების ფონზე.[538]

იმ რეალობაში, როდესაც კვლავ ხარვეზებით და მნიშვნელოვანი საფრთხეებით გამოირჩევა მონაცემთა დამუშავებისთვის დღეს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2022 წელს განხორციელებული ცვლილებები, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით სამართალდამცავი სტრუქტურის უფლებამოსილების ზრდის კონტექსტში, გაუმართლებელია.[539] ამ ნაბიჯით, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ჯიუტად არ ცდილობს მისთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შესრულებას, ის ქმნის სამართლებრივ საფუძველს ამ უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ზრდისთვის, ასევე აფართოებს იმ ურთიერთობათა რიცხვს, სადაც გარდა პოზიტიური ვალდებულებისა, მომეტებული საფრთხე არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ვალდებულების დარღვევის თვალსაზრისითაც, რისი მაგალითიც გასულ წლებში არაერთია[540] და რაზეც წინა ქვეთავშიც გამახვილდა ყურადღება.

სახალხო დამცველთან გასაუბრების კონფიდენციალურობის დარღვევა პენიტენციურ დაწესებულებებში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სახალხო დამცველთან პატიმრების შეუზღუდავ კომუნიკაციას,[541] ხოლო სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველის და პატიმრის კომუნიკაციის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.[542]

აღნიშნულის მიუხედავად, სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან პატიმრების კომუნიკაციის დროს 2022 წლის განმავლობაში დაფიქსირდა უკანონო მიყურადების

[538] იქვე.
[539] საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/xfhd2j> [15.02.2023].
[540] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 104-106, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/j8z5oz> [15.02.2023].
[541] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/3/1441 გადაწყვეტილება.
[542] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 19, ნაწ. 3 .

ფაქტები, ისევე როგორც მსგავსი შემთხვევები გამოვლენილი იყო 2021 წელსაც და შეტანილ იქნა სახალხო დამცველის აპარატის სპეციალურ ანგარიშშიც.[543]

პატიმართა ცნობით, კონფიდენციალური საუბრის დარღვევის ფაქტები ხშირია და სისტემურ ხასიათს ატარებს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში. ზოგიერთი შემთხვევა სახალხო დამცველის აპარატმა გადაამოწმა ვიდეოჩანაწერების მოპოვების და დათვალიერების შედეგად და ფაქტები დადასტურდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის სისტემური ხარვეზები, რომელიც ციხეებიდან სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირებისას ფიქსირდება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის რიგ შემთხვევებში პატიმრების საუბრის შინაარსის გაგებას.

ზ.ს. - ის საქმე

კონფიდენციალური საუბრის დარღვევის ერთ-ერთ ფაქტზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, დაწესებულების ზოგიერთი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზნით.[544]

2022 წლის 22 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატს N6 პენიტენციური დაწესებულებიდან ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა მსჯავრდებული ზ.ს. რომელმაც განაცხადა, რომ სურდა კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება სახალხო დამცველის აპარატისთვის, მაგრამ დაწესებულების თანამშრომლები იმყოფებოდნენ მის გვერდით და უსმენდნენ, რის გამოც ვერ ახერხებდა ინფორმაციის მოწოდებას და ითხოვდა სამართლებრივ რეაგირებას.[545]

ასევე, 2022 წლის 28 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატს განმეორებით დაუკავშირდა მსჯავრდებული ზ.ს. N6 პენიტენციური დაწესებულებიდან და განაცხადა, რომ მას ისევ სურდა კონფიდენციალური საუბარი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან, თუმცა ვინაიდან დაწესებულების თანამშრომლები ამჯერადაც მის გვერდით იდგენენ და ისმენდნენ საუბარს, კვლავ ვერ ახერხებდა ინფორმაციის მოწოდებას და მოითხოვა სამართლებრივი რეაგირება.[546]

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განყოფილებას და მოითხოვა 2022 წლის 22 და 28 სექტემბერს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულ ზ.ს.-ს მიერ

---

[543] < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > გვ.107.
[544] სახალხო დამცველის 2022 წლის 26 დეკემბრის N15-9/12939 წინადადება იუსტიციის მინისტრს.
[545] სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის სატელეფონო საუბრის 2022 წლის 22 სექტემბრის აუდიო ჩანაწერი.
[546] სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის სატელეფონო საუბრის 2022 წლის 28 სექტემბრის აუდიო ჩანაწერი.

სახალხო დამცველის აპარატთან ტელეფონით დაკავშირების ეპიზოდების ვიდეოჩანაწერის შენახვა, შემდგომი დათვალიერების მიზნით.[547]

ამგვარად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა მოპოვებული ვიდეოჩანაწერები და დადასტურდა პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ორივე შემთხვევაში,[548] კერძოდ, დაწესებულების თანამშრომლები დგანან მსჯავრდებულთან დაახლოებით ერთი მეტრის რადიუსში, ყურადღებით აკვირდებიან ვიზუალურადაც და იმდენად ახლოს იმყოფებიან, რომ ბუნებრივია ისმენენ მის საუბარს. შესაბამისად, დაწესებულების თანამშრომლები პატიმარს არ აძლევენ საშუალებას ესაუბროს სახალხო დამცველის წარმომადგენელს კონფიდენციალურად (მიყურადების გარეშე).

ამ პრობლემაზე პატიმრები ხშირად აპელირებენ და სახალხო დამცველის აპარატი მომავალშიც გააგრძელებს ამ პრობლემაზე აქტიურ მუშაობას, მათ შორის, სადაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი მტკიცებულებებით (განსაკუთრებით იგულისხმება ვიდეო ჩანაწერები) პრობლემის გადამოწმებას.

სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე სატელეფონო კავშირის ხმის ხარვეზები

სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე რამდენიმე პენიტენციური დაწესებულებიდან (N2, N3, N5, N6, N10, N15, N17, N18 დაწესებულებები) შემოსული ზარების დროს, საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად ფიქსირდებოდა ხმის ხარვეზი (წყვეტები, ხმის დაგვიანებულად მოსვლა, ხმაური და სხვა), რის შედეგადაც, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა მოსაუბრის სიტყვების გარჩევა, მისი ნათქვამის აღქმა და შინაარსის სრულფასოვანი გაგება. კერძოდ, აპარატის დაკვირვებით, სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე რამდენიმე, კერძოდ, N2, N3, N5, N6, N10, N15, N17, N18 დაწესებულებიდან შემოსული ზარების დროს, ხშირ შემთხვევაში ხმა წყდება, დაგვიანებით მოდის, ისმის ხმაური და სხვა, რის გამოც შეუძლებელი ხდება მოსაუბრის ნათქვამის შინაარსის გაგება. აღნიშნული პრობლემა ყველაზე ხშირად და განსაკუთრებით მწვავედ შეიმჩნევა N3 პენიტენციური დაწესებულებიდან განხორციელებული ზარების დროს.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა N3 პენიტენციური დაწესებულებიდან არაერთი სატესტო ზარი განახორციელა სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, რა დროსაც დადასტურა ხმის პრობლემა. ხმა წყდებოდა, საუბარი ისმოდა ფრაგმენტულად, რის გამოც შინაარსი გაუგებარი იყო. ავტომოპასუხის ხმაც კი წყვეტილად ისმოდა.

არსებული სისტემური პრობლემის შესახებ სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელს მიმართა.[549] დეტალურ ინფორმაციასთან ერთად, პენიტენციურ სამსახურს სატესტო სატელეფონო საუბრების ხმის ჩანაწერებიც

[547] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 3 ოქტომბრის N15-9/9877 წერილი.
[548] ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების 2022 წლის 14 დეკემბრის ოქმი N6381-22.
[549] სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 9 თებერვლის N 15-15/1400 წერილი.

მიეწოდა. სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს ამ პრობლემის მოგვარების აქტიურ მონიტორინგს, ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირების შესაძლებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც არასათანადო მოპყრობის ეფექტიან პრევენციისა და მასზე ადეკვატური რეაგირების კონტექსტში.[550]

ვიდეო და ხანგრძლივი პაემნებით სარგებლობის პრობლემები პენიტენციურ დაწესებულებებში

სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით. ასევე, N18 დაწესებულება არ არის უზრუნველყოფილი ვიდეო პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. საგულისხმოა, რომ ხსენებულ საკითხზე სხვადასხვა დროს სახალხო დამცველის გაცემული რეკომენდაციები დღემდე არ შესრულებულა.[551]

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულ გ.მ.-ს განცხადების შესწავლის ფარგლებში, პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, მოცემულ ეტაპზე N18 პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობს ვიდეო და ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოწყობა. სავარაუდოდ, N18 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები ვიდეო და ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას მიმდინარე წლის ბოლომდე შეძლებენ.[552]

ვიდეო პაემნის უფლების შეზღუდვა გამოვლინდა სხვა დაწესებულებებშიც, კერძოდ, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა ე.რ.-მა აღნიშნა, რომ ვიდეო პაემანი იყო ერთადერთი შესაძლებლობა, რომ კონტაქტი ჰქონოდა სხვა ქალაქში მცხოვრებ ასაკოვან დედასთან. N10 პენიტენციური დაწესებულება 2022 წელს არ იყო ვიდეო პაემნით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი და შესაბამისი სამუშაოები მოცემული დროისთვის იქაც მიმდინარეობდა.[553]

მსჯავრდებულ მ.ჯ.-ს ვიდეო პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა არ მიეცა, რადგან N8 პენიტენციური დაწესებულების ერთ ნაწილში (ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე არსებული დაწესებულება) ვიდეო პაემნები არ ხორციელდება სპეციალურად აღჭურვილი

---

[550] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/3/1441 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-17.

[551] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 მარტის N15-9/3582 რეკომენდაცია იუსტიციის მინისტრს; სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf > გვ.155,157-158,162-163. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიში, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf > გვ. 58.

[552] პენიტენციური დეპარტამენტის 2023 წლის 19 იანვრის N14435/01 წერილი.

[553] სპეციალური პენიტენციური სამსახურის №10 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 29 სექტემბრის N286630/25 წერილი.

სივრცის უქონლობის გამო.[554] თუმცა, მომავალში ამ დაწესებულებაშიც იგეგმება ვიდეო პაემნის უფლებით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.[555]

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 27 თებერვალს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალურ Facebook გვერდზე გავრცელდა ფოტომასალა და ინფორმაცია, სადაც მითითებულია, რომ N8 და N18 დაწესებულებებში მოეწყო გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი სივრცეები. სახალხო დამცველის აპარატი იმედს გამოთქვამს, რომ პატიმრები ამ სივრცეებით უკვე მალე ისარგებლებენ და ამავდროულად იმედს იტოვებს, რომ დროულად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები და მსჯავრდებულებს შეუფერხებლად მიეცემათ ვიდეო პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაც ზემოთ დასახსენებულ დაწესებულებებში.

პატიმრების წერილობითი მიმოწერის უფლების დარღვევა

2022 წლის პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატში არაერთი ინფორმაცია და შეტყობინება შემოვიდა პატიმრების მხრიდან, მათი კორესპონდენციის და განცხადებების დაკარგვის ან არგაგზავნის შესახებ.[556] პატიმრები ხშირად მიუთითებენ, რომ გადასცემენ წერილებს სოციალური სამსახურის თანამშრომლებს და შემდეგ ეს წერილები იკარგება, ან დაწესებულების თანამშრომლები უბრალოდ უარს ეუბნებოდნენ წერილების ჩაბარებაზე. მსგავსი პრობლემის არსებობაზე პატიმრები განსაკუთრებით ხშირად მიუთითებენ დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდთან დაკავშირებით. პატიმრები აცხადებენ, რომ დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს მათ უბრალოდ არ გადასცემენ საწერ საშუალებებს, ზეპირსიტყვიერად უარს ეუბნებიან ნებისმიერი განცხადების შედგენაზე და უარს ეუბნებიან სახალხო დამცველთან ან სხვა უწყებასთან დარეკვის თაობაზე.

სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტების დადასტურება საკმაოდ რთულია, რამდენადაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარე ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემა არ იწერს ხმას და შესაბამისად, შეუძლებელია იმის გარკვევა ვერბალური კომუნიკაციისას, რას ეუბნებიან ადმინისტრაციის თანამშრომლები პატიმრებს. თუმცა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმოწერის უფლების დარღვევაზე განსაკუთრებულად დახურულ დაწესებულებებში პატიმრები ძალიან ხშირად აპელირებენ, ეს სახალხო დამცველის აპარატისთვის სარწმუნო სიგნალია.

პატიმრების მიერ მოწოდებული ინფორმაციების მიხედვით, განსაკუთრებით რთულია იმგვარი წერილების გაგზავნა, სადაც საუბარია პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ

---

[554] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების ნაწილის 2022 წლის 14 ნოემბრის N333843/24 წერილი.

[555] პენიტენციური დეპარტამენტის 2023 წლის 19 იანვრის N14435/01 წერილი.

[556] მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 აპრილის მიმართვა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს მსჯ. გ.გ-ს შესახებ; 2022 წლის 17 ივნისის N15-5/6190 მიმართვა მონიტორინგის დეპარტამენტს მსჯ. ნ.ც.-ს შესახებ; 2022 წლის 26 სექტემბრის N15-5/9684 მიმართვა მონიტორინგის დეპარტამენტს მსჯ. დ.გ.-ს შესახებ; 2023 წლის 11 იანვრის N15-9/232 წერილი პენიტენციურ დეპარტამენტს მსჯავრდებულ გ.ვ-ს წერილების დაკარგვის თაობაზე და სხვ.

პრობლემებზე და მაშინ, როდესაც ადრესატები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ან იუსტიციის მინისტრი.

ასევე, არის ძალიან ბევრი შემთხვევა, როდესაც პატიმრები გადასცემენ წერილებს დაწესებულების ადმინისტრაციას და წერილიც იგზავნება შესაბამის ადრესატთან, თუმცა პატიმრებს ამის შესახებ არ აძლევენ დამადასტურებელ სარეგისტრაციო ნომრებს და სახალხო დამცველის აპარატს უწევს ინფორმაციის მოძიება პატიმრებისთვის, რაც მიუთითებს დაწესებულებების ადმინისტრაციების მუშაობის ხარვეზებზე.

ი.ჩ.-ს საქმე

ერთ-ერთ ამგვარ საქმეზე, N8 დაწესებულების თანამშრომელს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა 2022 წელს, კერძოდ, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული პატიმარი ი. ჩ. მიუთითებდა, რომ 2021 წლის 18 ოქტომბერს საქმესთან საგამოძიებო ორგანოებში გასაგზავნი განცხადება/საჩივარი გადასცა სოციალურ მუშაკს, თუმცა არ გაიგზავნა. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს[557] ვიდეო კამერების ჩანაწერების დაარქივების და მონიტორინგის დეპარტამენტისთვის მიწოდების თაობაზე. გაირკვა, რომ მსჯავრდებულ ი.ჩ.-ს საკანში ვიდეომეთვალყურეობა არ მიმდინარეობდა, თუმცა დაარქივდა საკნის მიმდებარე დერეფნის ამსახველი ვიდეომასალა, რაც გაეგზავნა მონიტორინგის დეპარტამენტს[558] და ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დადასტურდა უფლების დარღვევა, ხოლო პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს დისციპლინური სახდელი დაეკისრა.[559]

ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსება

2022 წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არაერთი საქმე,[560] რომლებშიც მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავები) საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე მუნიციპალიტეტი და ვინაიდან განთავსებული იყვნენ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში (ქ. ქუთაისი), ითხოვდნენ აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ შესაბამისი ტიპის (რისკის) პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ოჯახის წევრები ტერიტორიული სიშორის გამო, ვერ ახერხებდნენ ქ.ქუთაისში ჩასვლას, შესაბამისად, ისინი ვერ სარგებლობდნენ კუთვნილი

[557] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 11 ნოემბრის N15-5/10749 და N15-5/10750 წერილები.
[558] პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2021 წლის 19 ნოემბრის N277539/01 და 289148/01 პასუხი.
[559] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 7 ოქტომბრის N294460/01 წერილის დანართი.
[560] ვ.ა.-ს საქმე, ს.კ-ს საქმე, ნ.ო-ს საქმე.

ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანის უფლებით, ასევე, ეზღუდებოდათ ამანათის მიღების უფლება.

შესწავლილი საქმეების მიხედვით, მსჯავრდებულებს მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების კანონმდებლობით გარანტირებული უფლების შეზღუდვა განპირობებული იყო უსაფრთხოების ან გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, თუმცა, საგულისხმოა, რომ N2 პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, N8 და N10 პენიტენციური დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსების პირობები.

N2 დაწესებულების მსგავსად, N8 და N10 პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და არსებული მდგომარეობით, პატიმრები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური/ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[561] ამასთან, სეირნობის უფლებით სარგებლობას და დაწესებულების ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი. რაც შეეხება, გადატვირთულობის თავიდან არიდების საკითხს, პენიტენციური დეპარტამენტის პასუხის თანახმად,[562] 2022 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 357 პატიმარი, მაშინ როდესაც, დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული.[563]

ამრიგად, შესწავლილი ინდივიდუალურ საქმეების ანალიზის მიხედვით, პენიტენციური დეპარტამენტის გადაწყვეტილებები მოკლებულია ლეგიტიმურ საფუძველს და მსჯავრდებულები, მათი უფლების საწინააღმდეგოდ, მოთავსებული იყვნენ ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილებიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში.

გარესამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ მ. ც.-ს საქმე, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე გარე სამყაროსთან კონტაქტის დაუსაბუთებლად შეზღუდვასთან დაკავშირებით.

---

[561] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანებით დამტკიცებული N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[562] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 26 ოქტომბრის N15-14/10736 წერილი და პენიტენციური დეპარტამენტის 2022 წლის 7 ნოემბრის პასუხი.

[563] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ზ[1]" ქვეპუნქტი.

მსჯავრდებულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებელმა გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზეც შეეზღუდა სატელეფონო საუბრის, მიმოწერის და პაემანის უფლებები, გამოძიების ხელშეშლის, მტკიცებულებების განადგურების და მოწმეებზე ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით.

2022 წლის 14 ივლისს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე, დაცვისა და ბრალდების მხარემ მტკიცებულებები სრულად სცნეს უდავოდ.[564] მიუხედავად ამისა, გამომძიებლის დადგენილება გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ კვლავ ძალაში დარჩა.

მსჯავრდებულმა მიმართა გენერალურ პროკურორს და მოითხოვა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებლის 2022 წლის 20 მაისის დადგენილების გაუქმება. პროკურორის წერილით[565] მსჯავრდებულს განემარტა მხოლოდ დადგენილების გასაჩივრების წესი. აღნიშნული წერილი არ მოიცავდა მსჯავრდებულის მიერ დაფიქსირებული მოთხოვნის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მსჯავრდებულ მ. ც.-ს, პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე, სატელეფონო საუბრის, პაემანისა და მიმოწერის უფლება აღუდგა მხოლოდ 2023 წლის 23 იანვარს.[566]

შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. ც.-ს, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, უსაფუძვლოდ ჰქონდა შეზღუდული გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება, რაც შესაძლოა შეფასდეს როგორც მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მსჯავრდებული განთავსებულია განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში და ისედაც მინიმალური წვდომა აქვს გარე სამყაროსთან.

საკუთრების უფლება

წინა წლების მსგავსად, 2022 წლის განმავლობაშიც, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ შესწავლილ საქმეებში, იკვეთებოდა განმცხადებლების წუხილი მათი საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ. მათგან რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეული იყო, რადგანაც არ არსებობდა საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, ამა თუ იმ ორგანოს გადაწყვეტილება, ამ უფლებაში საქართველოს

[564] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 აგვისტოს N8689-2 (აპარატში რეგისტრაციის N9666/22) წერილი.
[565]საქართველოს პროკურატურის 2022 წლის 21 ოქტომბრის N13/66736 წერილი.
[566] საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორის 2023 წლის 23 იანვრის N13/3629 წერილი.

კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაუშვებელ, გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენდა.

- ს.მ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ს.მ.-ს საქმე, რომელსაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, როგორც თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლით ძებნილს, ჩამოართვეს კუთვნილი ავტომანქანა.

შესწავლის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს დაახლოებით 4 წლის განმავლობაში. ჩამორთმეული ავტომანქანის თავდაპირველი მესაკუთრე სადაზღვევო კომპანია ინფორმირებულია საქართველოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კუთვნილი ავტომანქანის აღმოჩენის შესახებ. საგამოძიებო ორგანოს მიერ არაერთხელ მიეწოდა თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის განყოფილებას ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ავტომანქანის მესაკუთრე კომპანიისა და მისი წარმომადგენლის მხრიდან, ავტომანქანის დაბრუნების მიზნით დღემდე არანაირი მოქმედება არ განხორციელებულა. წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ საგამოძიებო უწყებამ ყველა საშუალება ამოწურა იმისთვის, რომ ხსენებულ სადაზღვევო კომპანიას ჰქონოდა კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნების შესაძლებლობა.[567]

აღნიშნული საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს მოქალაქე ს.მ.-სთვის ავტომანქანის დაბრუნების თაობაზე.[568]

კანონმდებლობის თანახმად, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მესაკუთრის/მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, მას წერილობით უნდა შეეთავაზოს კუთვნილი ნივთის დაბრუნება. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/კანონიერი მფლობელი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას.[569] თუ მესაკუთრემ/კანონიერმა მფლობელმა ამ ვადაში არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაჰბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება პროკურორის დადგენილებით უბრუნდება პირს, რომელმაც ის შეიძინა და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ (კეთილსინდისიერი შემძენი).[570]

---

[567] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 31 მაისის №13/31462 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 6 ივლისის №MIA 3 21 01747286 წერილი.
[568] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 7 ნოემბრის №15-3/11163 წინადადება.
[569] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 2.
[570] იქვე,, მუხ. 80, ნაწ. 4.

ვინაიდან, ს. მ.-ს არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს, მიგვაჩნია, რომ ამოღებული ავტომანქანა უნდა დაუბრუნდეს მას, როგორც კეთილსინდისიერ შემძენს.

სამწუხაროდ, ავტომანქანის მესაკუთრისთვის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე, მიღებული არ არის. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლს დამატებით გაეგზავნა წერილი იმის დასადგენად, ავტომანქანის მესაკუთრე სადაზღვევო კომპანიას განემარტა თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი რეგულაციის შესახებ.[571]

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, მოცემული საქმის გარემოებები სავსებით აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ წინაპირობებს, რა შემთხვევაშიც უნდა დაუბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება მის კეთილსინდისიერ შემძენს. უფრო მეტიც - ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უსაფუძვლოდ უზღუდავს საკუთრების უფლებას ს. მ.-ს და აყენებს მას მატერიალურ ზარალს.

- გ.ა.-ს საქმე

გ.ა.-ს ბრალი ედებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და იმყოფებოდა შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

გ.ა.-ს ადვოკატმა მიმართა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ბრალდებულის მიერ გაცემული მინდობილობის დამოწმებასთან დაკავშირებით,[572] თუმცა დაწესებულების დირექტორმა უარი განაცხადა მინდობილობის დამოწმებაზე.[573] უარი ეფუძნებოდა მისდამი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართვას,[574] რომლითაც საგამოძიებო ორგანო მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა გ.ა.-სთვის მინდობილობების/მინდობილობის, ან სხვა ნებისმიერი დოკუმენტის დამოწმებას, ვინაიდან ბრალდებულის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები, ბრალდებულების მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მინდობილობის დამოწმების შეზღუდვას. ქონებრივი ხასიათის გარიგებებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საპროცესო

---

[571] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 ნოემბრის №13/76453 წერილი.

[572] „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს უთანაბრდება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა რწმუნებები, რომლებიც დადასტურებულია ამ დაწესებულების დირექტორის მიერ.

[573] სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 14 აპრილის №106477/24 წერილი.

[574] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის 11 აპრილის №SSG 72200057716 წერილი.

კოდექსი ითვალისწინებს კონკრეტულ ქონებაზე ტრანზაქციის შეზღუდვის საპროცესო საფუძველს - ყადაღის დადების სახით.[575]

წინამდებარე შემთხვევაში, ბრალდებულს სრულად ჰქონდა შეზღუდული სადავო ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადება - ქონებაზე ყადაღის გამო, თუმცა არ არსებობდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი გ.ა.-სთვის მინდობილობის დადების უფლების ბლანკეტური და განუსაზღვრელი შეზღუდვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს ბრალდებულ გ.ა.-სთვის მინდობილობის დამოწმების უზრუნველყოფის თაობაზე.[576]

შედეგად, პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა დაუმოწმა ბრალდებულ გ.ა.-ს მინდობილობა.[577]

- ბ.შ.-ს საქმე

გასული წლის ანგარიშში[578] აღინიშნა, რომ მოქალაქე ბ.შ. ადმინისტრაციული წესით დააკავეს და მისი პირადი გასინჯვის შედეგად „ამოიღეს" მობილური ტელეფონი. მომდევნო დღეს, დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო წესით გაფორმდა იმავე მობილური ტელეფონის ამოღება. საქმეზე დაინიშნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა და აღნიშნული მობილური ტელეფონი გადაიგზავნა საექსპერტო კვლევისათვის.

საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დღემდე უპასუხოდ დარჩა სახალხო დამცველის წინადადება[579] მოქალაქე ბ. შ.-ს უფლების დარღვევის გამო პოლიციელების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ და

[575]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით, საპროცესო იძულების ღონისძიების - ქონების შესაძლო ჩამორთმევის - უზრუნველსაყოფად, სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ამასთან, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას.

[576] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 17 მაისის №15-8/5101 წინადადება.

[577] სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 17 ოქტომბრის №304204/24 წერილი.

[578] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 110. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Xtk5Ag >, ბოლოს ნანახია [23.01.2023].

[579] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ივლისის №15-5/7355 წინადადება.

ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით აპარატის რამდენიმე მიმართვა[580] ინფორმაციის მიღების მიზნით.

ბოლო ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა მიღებულია, ხოლო მოქალაქე ბ.შ.-ს მობილური ტელეფონის დაბრუნების საკითხი გადაწყდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.[581].

გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები

გამოძიების შეწყვეტაზე უარი ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად
აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეში გამოიკვეთა, რომ პროკურატურა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, არ წყვეტს საქმის გამოძიებას.

კანონმდებლობის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.[582] გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ გასულია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.[583] ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.[584]

იმ ფონზე, რომ პროკურატურა არ წყვეტს ხანდაზმულ საქმეებს, სახალხო დამცველის აპარატს არ ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს საქმის მასალებს[585] და შესაბამისად, ვერ ხდება მოქალაქეთა საჩივრების (გამოძიების არაეფექტიანობის შესახებ) არსებითი შემოწმება.

გ.ო.-ს საქმე

სახალხო დამცველის ანგარიშებში[586] ყურადღება გამახვილდა გ.ო.-ს ბრალდების საქმეზე ნაფიც მსაჯულთა გარე ზეგავლენისგან დაუცველობისა და დამოუკიდებლობის არსებით პრობლემაზე და მოცემულ ფაქტებზე დაწყებული გამოძიების უშედეგოდ მიმდინარეობის

---

[580] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 22 ოქტომბრის №15-5/10041, 2021 წლის 21 დეკემბრის №15-5/12181, 2022 წლის 9 თებერვლის №15-5/1652 და 2022 წლის 23 დეკემბრის №15-5/12877 წერილები.

[581] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 23 იანვრის NMIA92300181397 წერილი.

[582] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 103.

[583] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 105, ნაწ. 1, ქვეპ. „ე".

[584] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 71, ნაწილი 2.

[585] „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შეზღუდვიდან გამომდინარე.

[586] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" - 2015 წლის ანგარიში, გვ. 458–460; 2016 წლის ანგარიში, გვ. 841-842, 404; 2018 წლის ანგარიში, გვ. 102.

გამო საქართველოს პროკურატურის მიმართ გაიცა რეკომენდაცია საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების თაობაზე.

ნიშანდობლივია, რომ მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს კომუნიკაციაში საქართველოს მთავრობას დაესვა შეკითხვა ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების დარღვევის ფაქტის შესაბამისი ორგანოების მიერ გამოძიების წარმოების შესახებ, ხოლო დადებით შემთხვევაში დაევალა გამოძიების დასკვნების წარდგენა.[587]

2015 წლის 09 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო გამოძიება გ.ო.-ს ბრალდების საქმეზე სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ნაფიც მსაჯულთა საქმიანობაში შესაძლო უკანონო ჩარევისა და ნაფიც მსაჯულთა თათბირის და კენჭისყრის საიდუმლოების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სსკ-ის 364-ე მუხლის 2^1 ნაწილით და 367^1 მუხლით.[588] საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციით, საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხა 19 პირი, ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილია ინფორმაცია. ჩატარებული გამოძიების შედეგად ვერ დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირი.[589] კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის, გამოძიება გრძელდება.[590]

მოცემულ საქმეზე სსკ-ის 364-ე მუხლის 2^1 ნაწილით და 367^1 მუხლით გათვალისწინებული სავარაუდო დანაშაულების ჩადენიდან, რომლებზეც გამოძიება 2015 წლის ივნისში დაიწყო, გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის 2-წლიანი ხანდაზმულობის[591] და შესაბამისად, გამოძიების ვადა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა გამოძიებას არ წყვეტს.

3. გ.-ს საქმე

3. გ.-ს ადვოკატის გადმოცემით, საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება 3. გ.-ს მიერ 2005-2006 წლებში დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტს.

---

[587] განაცხადი N43627/16 და N71667/16, §§9-15, კითხვა „2B".

[588] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2015 წლის 30 ივნისის N13/41021, 2016 წლის 25 აპრილის N13/26524, 2016 წლის 25 ივლისის N13/47583, 2016 წლის 13 ოქტომბრის N13/65683, 2017 წლის 30 აგვისტოს N13/56551, 2018 წლის 14 თებერვლის N13/11315, 2018 წლის 07 აგვისტოს N13/60196, 2018 წლის 18 დეკემბრის N13/94710, 2020 წლის 29 იანვრის N13/5392 წერილები.

[589] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 19 სექტემბრის NMIA12202619789 წერილი.

[590] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 21 სექტემბრის N13/59655 წერილი.

[591] სსკ-ის 364-ე მუხლის 2^1 ნაწილით და 367^1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის (თითოეული მათგანი) სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით. იმავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 2 წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას.

აპარატმა გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია მითითებული სისხლის სამართლის საქმის შესახებ.[592] შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2007 წლის 10 იანვარს, საქართველოს გენერალური პროკურატურაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე გამოძიება შეწყვეტილი არ იყო.[593] მოგვიანებით, აპარატმა კვლავ გამოითხოვა ინფორმაცია საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.[594] საქმეზე გამოძიება იმავე კვალიფიკაციით გაგრძელდა.[595]

გენერალური პროკურატურის წარმოებაში არსებულ ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გასულია,[596] თუმცა გამოძიება არ არის შეწყვეტილი.

ზ. წ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობდა მოქალაქე ზ.წ.-ს სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის გამო ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების საკითხის განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალების თანახმად, შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი ჰქონდა 2016 წლის 31 მაისს და, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ორწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლისა,[597] საქართველოს

---

[592]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 6 სექტემბრის №15-8/8618, 2021 წლის 21 ოქტომბრის N15-8/9988 და 2021 წლის 22 ნოემბრის N15-8/11115 წერილები.

[593] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 15 სექტემბრის N13/56036 და 2021 წლის 24 ნოემბრის N13/71116 წერილები.

[594]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 16 თებერვლის N15-8/1882, 2022 წლის 11 აგვისტოს N15-8/8203 და 2023 წლის 12 იანვრის N15-8/301 წერილები.

[595] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 15 მარტის N13/14868, 2021 წლის 25 აგვისტოს N13/53869 და 2023 წლის 3 თებერვლის N13/7077 წერილები.

[596] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე. ამავე კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მძიმე დანაშაულის ჩადენიდან გავიდა ათი წელი.

[597] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „უსაფრთხოების წესის დარღვევა [...] სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე."

ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, „პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ გავიდა ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას."

პროკურატურის ორგანოების მიერ საქმეზე 2021 წლის განმავლობაში კვლავ ტარდებოდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები და, 2022 წლის მაისის მდგომარეობით,[598] გამოძიება შეწყვეტილი არ იყო.[599]

ბუნდოვანი ჩხრეკის განჩინება

საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ ადვოკატის მიერ წარმოდგენილი გ. ო.-ს ბრალდების საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ პირის პირადი და სახლის ჩხრეკის განჩინების შესრულება საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებთან ერთად დაავალა გასაჩხრეკ პირებს.

კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავ განჩინებაში სხვა საკითებთან ერთად უნდა აღინიშნოს პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება.[600] ჩხრეკის ან ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღინიშნება: უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია მოქმედების ჩატარება, და მისი მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი (თუ ვინაობა ცნობილია); ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს; წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება.[601] საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება.[602]

ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია სასამართლოს განჩინება გააცნოს პირს, რომელთანაც ტარდება ჩხრეკა, რასაც პირი ადასტურებს ხელმოწერით.[603] შემდეგ გამომძიებელი სთავაზობს ამოსაღები საგნის ნებაყოფლობით გადაცემას. ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის ან არასრულად გადაცემისას ამოღება ხდება იძულებით.[604] ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს უფლება აქვს, გააღოს დაკეტილი საცავი, სადგომი და სათავსი, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს, ნებაყოფლობით გაღებაზე.[605] ანალოგიურად, პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ,

---

საქმის მასალების თანახმად, კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის.

[598] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 მაისის N13/26227 წერილი.

[599] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა".

[600] იქვე, მუხლ. 112, ნაწ. 2.

[601] იქვე, მუხლ. 112, ნაწ. 3.

[602] იქვე, მუხლ. 11 ნაწ. 7.

[603] იქვე, მუხლ. 120, ნაწ. 2.

[604] იქვე, მუხლ. 120, ნაწ. 4.

[605] იქვე, მუხ. 120, ნაწ. 7.

დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ზემოხსენებული წესით პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი.[606]

ამდენად, საგამოძიებო მოქმედებები - ადგილის და ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინებით, რომლის შესრულება ევალება საგამოძიებო ორგანოს და არა გასაჩხრეკი ადგილის მფლობელს ან გასაჩხრეკ პირს.

კანონის საწინააღმდეგოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 მაისის განჩინებებით, დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობები და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს მიეცათ ნებართვა ჩაეტარებინათ გ. ო.-ს, რ. კ.-ს, თ. მ.-ს, ს. ბ. ა.-ს და ი. ს. უ.-ს პირადი ჩხრეკა და მათ ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართებზე ჩხრეკა. სასამართლომ განჩინებების შესრულება დაავალა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს და ხსენებულ პირებს.

ექსპერტიზების გაჭიანურება

2021 წლის საქმიანობის ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი მიუთითებდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაცემის გაჭიანურების მიზეზით გამოწვეული გამოძიების ხარვეზებზე, ასევე დაზარალებულებისა და ბრალდებულის უფლებების დარღვევაზე.[607]

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება გამოძიების მიერ დანიშნულ ექსპერტიზებზე კვლევის დასრულებისა და დასკვნის გადაცემის გაჭიანურების საკითხი, განსაკუთრებით სსიპ სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მხრიდან. გაჭიანურებული ექსპერტიზის სხვადასხვა ფაქტზე მოცემულ ანგარიშში სხვადასხვა საქმის კონტექსტში უკვე იყო საუბარი, თუმცა წინამდებარე ქვეთავი თავი კონკრეტულად ამ პრობლემაზე უფრო ფოკუსირებულ მსჯელობას დაეთმობა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საქმეებზე, სადაც ფაქტი პირის გარდაცვალებას ან დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალადობის შედეგად დაზიანების მიყენებას და არასათანადო მოპყრობას ეხება.

გარდა სამხარაულის ბიუროში დანიშნული ექსპერტიზებისა, სამწუხაროდ, გაჭიანურება რამდენიმე შემთხვევაში შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში დანიშნულ ექსპერტიზებშიც გამოვლინდა.

2022 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, სადაც ექსპერტის მიერ გამოძიებისთვის წლების წინ დანიშნულ ექსპერტიზაზე არ იყო გადაცემული დასკვნა.

---

[606] მუხლ. 121, ნაწ.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.

[607] იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf > გვ. 80.

გ.კ.-სა და ხ.გ.-ს საქმე

2015 წლიდან თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება გ.კ.-სა და ხ.გ.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.[608] 2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობით დანიშნული იყო სამედიცინო ექსპერტიზა,[609] რომლის დასკვნა გამოძიებას 2023 წლის 24 იანვრის მდგომარეობით მიღებული არ აქვს.[610]

ზ.მ.-ს საქმე

2019 წლიდან კახეთის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ზ.მ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.[611] 2020 წლის 23 მარტის მდგომარეობით, საქმეზე დანიშნული იყო კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა,[612] რომლის დასკვნა გამოძიებას 2023 წლის 17 იანვრის მდგომარეობით მიღებული არ აქვს.[613]

შ.მ.-ს საქმე

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე შ.მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე[614]. 2021 წლის 19 აპრილს და 29 სექტემბერს გამოძიების მიერ საქმეზე დაინიშნა კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც 2022 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გამოძიებას მიღებული არ აქვს.[615]

გ. მ.-ს საქმე

2021 წლიდან თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 სამკურნალო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მსჯავრდებულ გ.მ-ს მიმართ ჩადენილი სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე.[616] აქტიურად ტარდებოდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.[617] საქმეზე სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გამომძიებლის 2021 წლის 24 თებერვლის დადგენილების საფუძველზე დაინიშნა კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და ამბულატორიული ფსიქიატრიული ექსპერტიზა. მოცემულ დრომდე, სამედიცინო ექსპერტიზა ვერ ჩატარდა დაკვეთების დიდი რიცხობრივი რაოდენობის

[608] სისხლის სამართლის N010270515801 საქმე.
[609] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 30 აპრილის N13/23217 წერილი.
[610] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 24 იანვრის N13/3975 წერილი.
[611] სისხლის სამართლის N043010419801 საქმე.
[612] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 მარტის N13/18932 წერილი.
[613] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 17 იანვრის N13/2248 წერილი.
[614] სისხლის სამართლის N002240120008 საქმე.
[615] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2022 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში საგამონაკლისო წესით გაეცნო სისხლის სამართლის N002230120008 საქმის მასალებს.
[616] სისხლის სამართლის N010030221801 საქმე.
[617] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 1 აგვისტოს N13/48539 წერილი.

გათვალისწინებით.[618] 2023 წლის 23 იანვრის მდგომარეობით გამოძიებას ექსპერტიზის დასკვნა ისევ არ აქვს მიღებული.[619]

გ.ს.-ს საქმე

2022 წლის 22 აგვისტოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის მიერ დაინიშნა კომპლექსური გენეტიკურ-ბიოლოგიური, ქიმიური, ბალისტიკური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა 2020 წლის 20 აგვისტოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ეროვნულ ცენტრში პატიმარ გ.ს.-ს მიერ ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.[620] 2023 წლის 20 იანვრის მდგომარეობით გაცემულია მხოლოდ დაქტილოსკოპიური, ბიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები, ხოლო ბალისტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები წარმოების პროცესშია და უნდა გაცემულიყო 2023 წლის 3 თებერვლამდე.[621]

ო.ი.-ს საქმე

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 2020 წლის თებერვლიდან მიმდინარეობს გამოძიება ო.ი.-ს გარდაცვალების ფაქტზე. გამოძიების მიერ 2020 წლის 9 ივლისს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც 2023 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, გამოძიებას მიღებული კვლავ არ აქვს.[622]

2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები

საქმეზე განაჩენის გამოტანის დროს სამედიცინო ექპერტიზის დასკვნის წარუდგენლობა იყო სამი ბრალდებულის მიმართ წარდგენილი მძიმე მუხლის ნაკლებად მძიმე კატეგორიის მუხლზე გადაკვალიფიცირების საფუძველი 2021 წლის 5 ივლისს აქციის მიმდინარეობისას ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე. დაზარალებულ ი.თ.-ს მიმართ გამოძიების მიერ სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 2021 წლის 8 აგვისტოს, 2021 წლის 31 აგვისტოსა და 6 ოქტომბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა მიმოწერა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და გამოძიებას შორის დამატებითი სამედიცინო დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე, ასევე დამატებითი სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვება და ექსპერტიზის ბიუროსთვის მიწოდება. სამედიცინო ექსპერტის დასკვნა განაჩენის გამოტანის დროისთვის, 2022 წლის 4 აპრილისთვის, ბრალდების მხარეს მიღებული არ ჰქონდა.[623]

---

[618] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 25 ნოემბრის N5007968821 წერილი.
[619] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 23 იანვრის N13/3716 წერილი.
[620] სისხლის სამართლის N199200822001 საქმე.
[621] სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 20 იანვრის N5000384823 წერილი.
[622] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 21 თებერვლის NSIS 3 23 00002692 წერილი.
[623] სისხლის სამართლის N006050721004, N010131021002 საქმე.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ ბიუროს წარმოედგინათ ინფორმაცია, რა მიზეზები იწვევს სისხლის სამართლის საქმეებზე სამედიცინო კომისიური ექსპერტიზების კვლევის დასრულებისა და დასკვნის გაცემის გაჭიანურებას.[624] თუმცა ექსპერტიზის ბიურომ ინფორმაცია ჯერჯერობით არ წარმოადგინა.

შ.ბ-სა და ა. ბ-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ა.ბ.-სა და შ.ბ.-ს საქმეს. 2020 წლის მარტში, გამოძიების ფარგლებში, მათი კომპანიიდან ამოღებულ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები. ამოღებიდან თითქმის სამი წლის გასვლის შემდეგაც კი, საექსპერტო კვლევა დღეის მდგომარეობით არ არის დასრულებული და კომპიუტერული ტექნიკა კვლავ გამოძიების ხელთ არის.[625]

საქმე შეეხება 2020 წლის 16 მარტს პირის მიერ 6 ტექსტური სმს შეტყობინების გაგზავნას სამსახურებრივი კომპიუტერისა და სერვერის გამოყენებით, რომელიც ცრუ ინფორმაციას შეიცავდა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. 2020 წლის 26 მარტს დაინიშნა ორი საინფორმაციო–ტექნოლოგიური ექსპერტიზა, ზემოხსენებული კომპანიისა და თანამშრომლებისგან ამოღებულ 89 ერთეულ კომპიუტერულ ტექნიკაზე[626], რომელზეც ექსპერტიზა კვლავ არ არის დასრულებული. ამასთან, კვლავ შეუძლებელია ექსპერტიზის დასრულების მიახლოებითი თარიღის განსაზღვრა.

გამოსაკვლევი ობიექტების რაოდენობისა და მოცულობის მიუხედავად, შეუძლებელია, რომ საკუთრების უფლების ამგვარი ხანგრძლივი შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს ჩამორთმეული აქვს საკუთრებაში არსებული თითქმის მთლიანი კომპიუტერული ტექნიკა, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდის კომპანიის ნორმალურ ფუნქციონირებას.[627]

როგორც აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ ექსპერტიზის დასკვნის დამკვეთისთვის გადაცემის გაჭიანურების ორი შემთხვევა.

გ. ბ.-ს საქმე

2021 წლის 3 ოქტომბერს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დაიწყო გამოძიება არასრულწლოვან - გ. ბ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე.[628] საქმეზე ჩატარდა

---

[624] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 5 აგვისტოს N15-2/8025, 13 სექტემბრის N15-2/9206, 29 დეკემბრის N15-2/13108, 2023 წლის 3 იანვრის N15-2/16 და 10 იანვრის N15-2/196 წერილები.

[625] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 16 თებერვლის წერილი

[626] 2023 წლის 23 თებერვლის მონაცემებით, ადვოკატის გადმოცემით, ამ ტექნიკიდან მხოლოდ დაიბრუნეს 1 ცალი პრინტერი, 3 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 1 ცალი ლეპტოპი და 2 ცალი მობილური ტელეფონი.

[627] ადვოკატი მიუთითებს, რომ ამ გარემოების გამო კომპანიას მოუწია ხელახლა შეეძინა ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკა.

[628] სისხლის სამართლის N007031021001 საქმე.

სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, მათ შორის: ამოღებულ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და გ. ბ.-ს კუთვნილი მობილური ტელეფონი. 2021 წლის 7 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში დაინიშნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც მიმდინარეობდა და მოცემულ ეტაპზე დასკვნა მიღებული არ იყო.[629] აღსანიშნავია, რომ საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხსენებული ექსპერტიზის დასკვნის შედეგებს შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისთვის, თუმცა 1 წელზე მეტი დროის გასვლის მიუხედევად დასკვნის მომზადება ჭიანურდება.

გ. ო.-ს საქმე

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტმა ექსპერტის დასკვნა 4 წელზე მეტი დროის შემდეგ გაიცა: საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის 2017 წლის 6 ივნისის მიმართვით დანიშნულ სამსახურებრივი შემოწმების საქმეზე შესრულებული ფოტო-ვიდეო ტექნიკური ექსპერტის დასკვნის ელექტრონული ვერსია პროკურატურას გადაეგზავნა 2021 წლის 28 დეკემბერს; ხოლო ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნა - 2021 წლის 16 დეკემბერს. ამასთან, 2022 წლის 28 აპრილს, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტიდან ზემოაღნიშნული დასკვნები, მატერიალური სახით, თანდართულ მასალასა და საკვლევ ობიექტებთან ერთად, გატანილ იქნა ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანოს წარმომადგენლის მიერ.[630]

შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" გამოვლენილი პრობლემური საკითხები

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა 2022 წლის მანძილზე, ინდივიდუალური განცხადებების შესწავლის მიზნით, 19 ვიზიტი განახორციელეს შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში."

ინდივიდუალური განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 მარტამდე სრულად იყო შეზღუდული პაციენტების მნახველებთან შეხვედრის უფლება. განსხვავებით პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავებული რეგულაციებისა (კოვიდ ტესტის წარდგენა, სათანადო აღჭურვილობა, მინის ბარიერი), რითაც მცირე პერიოდის გარდა, პატიმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესარგებლათ ოჯახის წევრებთან ხანმოკლე პაემანის უფლებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული

[629] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 11 ნოემბრის NMIA52203188736 წერილი.
[630] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 1 სექტემბრის NMIA72202439497 წერილი.

ცენტრის ადმინისტრაციამ არ გადადგა სათანადო ნაბიჯები,[631] იძულებით და არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისთვის შესაბამისი ნორმების დაცვით შესაძლებლობა მიეცა, შეხვედროდნენ ოჯახის წევრებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც პირადი ცხოვრების უფლების, ასევე, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის სტაბილურობის კუთხით.

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2022 წელს განახლდა პაციენტებთან მნახველთა ვიზიტის შესაძლებლობა, ოჯახის წევრებთან შეხვედრა ხორციელდება დაწესებულების წარმომადგენლის (ზედამხედველი) თანდასწრებით, რაც ცალსახად ხელყოფს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველმა 2017 წელს რეკომენდაციით[632] მიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს, პაციენტთა და მნახველთა კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის კანონით დადგენილი უფლების განხორციელების თაობაზე, თუმცა მიუხედავად დაწესებულების ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციისა, რეკომენდაცია ამ დრომდე შეუსრულებელია.

2022 წლის მანძილზე ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის ფუნქციონირების საკითხი. ინდივიდუალურ საქმეებში დაფიქსირებული გარემოებების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის ფუნქციონირების თაობაზე 2022 წლის 21 თებერვალს მიმართა[633] ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს. მიღებული პასუხის[634] თანახმად, „საინვესტიციო ვალდებულებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარე, სარემონტო სამუშაოების გამო, ვიდეო სათვალთვალო სისტემა შეზღუდულად ფუნქციონირებს და ვიდეო კონტროლი არ მიმდინარეობს."

საგულისხმოა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს 2016 წლიდან, 2022 წლის თებერვალში უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო განყოფილებების ძირითადი ნაწილის რეაბილიტაცია და დერეფნებში, ასევე, სხვა ყველა სათანადო ადგილზე დამონტაჟებული იყო ვიდეო სათვალთვალო მოწყობილობა. ამასთან, ხსენებულ განყოფილებებში მომსახურება ფუნქციონირებდა სრულად, განთავსებული იყვნენ პაციენტები.

აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განსხვავებული სპეციფიკის ფსიქიატრიულ სტაციონარს წარმოადგენს, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, დახურული ტიპის დაწესებულების შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტები საუბრობენ, მათ მიმართ შესაძლო

---

[631]შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის" 2022 წლის 28 თებერვლის N445 პასუხის, თანახმად, „მითითებული შეზღუდვა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და გაამართლა, გამოიწვია ქვეყანაში არსებულმა ეპიდ მდგომარეობამ."
[632] 2017 წლის 6 ივლისის N11-3/9416 რეკომენდაცია.
[633] 2022 წლის 21 თებერვლის N15-14/2089 წერილი.
[634] 2022 წლის 28 თებერვლის N446 პასუხი.

არასათანადო მოპყრობის ან სხვა უკანონო ქმედების თაობაზე, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შეუფერხებლად ფუნქციონირებას.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წელს შეისწავლა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებული პაციენტის კ.ჩ.-ს გარდაცვალების[635] ფაქტი, როდესაც პაციენტს სხეულზე აღენიშნებოდა არაერთი დაზიანება. საკითხის შესწავლის პროცესში გენერალური პროკურატურის პასუხის თანახმად[636], გამოძიების მიერ ვერ იქნა მოპოვებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. კერძოდ, შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან" მიღებული ინფორმაციით, მითითებულ პერიოდში კლინიკის ტერიტორიაზე ვიდეოკამერები არ ფუნქციონირებდა, ვინაიდან მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

ცალკე აღსანიშნავია, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებული პაციენტების უფლება კორესპონდენციების შეუფერხებლად გაგზავნისა და მიღების თაობაზე. ზეპირ საუბრებში, სახალხო დამცველის რწმუნებულებს არაერთი პაციენტი უცხადებს, რომ დაწესებულებიდან პრობლემას წარმოადგენს შესაბამის უწყებაში წერილის გაგზავნა.

2022 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა პაციენტ ი. გ.-ს საქმე, რომელიც აცხადებდა, რომ დაწესებულებიდან სურდა უზენაეს სასამართლოში კორესპონდენციის გაგზავნა, თუმცა, სავარაუდოდ, ადმინისტრაციამ კორესპონდენცია არ გააგზავნა. საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ არ გააგზავნა[637] პაციენტის განცხადება შესაბამის ადრესატთან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[20] მუხლის[638] საფუძველზე.

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[20] მუხლი განსაზღვრავს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესს, თუმცა, აკმაყოფილებს თუ არა პაციენტის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია სათანადო პროცედურულ მოთხოვნებს და შეესაბამება თუ არა კონკრეტული საჯარო დაწესებულების უფლებამოსილება წერილის შინაარსს, არ უნდა იყოს დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან განცხადების არ გაგზავნის საფუძველი. მეტიც, კორესპონდენციის შინაარსი უნდა ატარებდეს კონფიდენციალურ ხასიათს და არ უნდა ხდებოდეს მისი რევიზია ადმინისტრაციის მხრიდან.

---

[635] კ.ჩ.-ს გარდაცვალება დაფიქსირდა ქ. ქუთაისში, კლინიკა „ბომონდში".
[636] 2021 წლის 25 თებერვლის N13/10716 პასუხი.
[637] შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის" გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 დეკემბრის N2523 პასუხი.
[638] არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესი.

აღსანიშნავია, ასევე, რომ უკვე წლებია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებული პაციენტებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სომატური ჯანმრთელობის კუთხით სათანადო დიაგნოსტირება და მკურნალობა. პრობლემა მეტწილად გამოწვეული არის იმ მიზეზით, რომ ფსიქიატრიული ჯანმრთელობის პროგრამა არ ითვალისწინებს პაციენტთა სომატური ჯანმრთელობის დაფინანსებას. შესაბამისად, პაციენტებს ფსიქიატრიული მკურნალობის გარდა, თავად უწევთ მატერიალურად უზრუნველყონ შესაბამისი პროფილის ექიმთან კონსულტაცია, დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება, მედიკამენტების შეძენა და სხვა სახის სამედიცინო ჩარევის დაფინანსება. უმეტესწილად, კი პაციენტებს არ გააჩნიათ სათანადო სამედიცინო ჩარევის უზრუნველყოფის მატერიალური შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს შეისწავლა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებული დ.გ-ს საქმე, რომელშიც პაციენტის გადმოცემით, დადგენილი ჰქონდა მწვავე ფრონტიტი, ფარინგიტი, ტონზილიტი, ცხვირის ძგიდის გამრუდება, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში დანიშნული ჰქონდა ქირურგიული ჩარევა, ნევროლოგის კონსულტაცია, ცხვირის სპრეი, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ხელმისაწვდომი არ იყო, ფინანსური უზრუნველყოფა უნდა მოეხდინა თავად, რის შესაძლებლობაც არ გააჩნდა.